ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ფილოლოგიური მაცნე
IV

თბილისი 2017

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი
ფილოლოგიური მაცნე IV.

მთავარი რედაქტორი **რამაზ ხალვაში**

ტომის რედაქტორი **მაია ბარამიძე**

სარედაქციო საბჭო:

შორენა მახაჭაძე
მამია ფალავა
თინა შიოშვილი
მალხაზ ჩოხარაძე
ელგუჯა მაკარაძე

გამომცემლობა „ივერიონი“
ISSN 2587-4799

შინაარსი

- **მამია ფალავა,** მეტსახელები ჭოროხის ხეობიდან
- **მაია ბარამიძე,** პირდაპირი ნათქვამისა და ავტორისეული სიტყვების ურთიერთმიმართებისათვის ქართულში
- **მაია კიკვაძე,** მუჰაჯირ ქართველთა ტრადიციებში ასახული ენობრივი ფორმები
- **ნათია ფარტენაძე,** ფუნქციური სტილის მახასიათებლები სარეკლამო ტექსტში
- **ლევან ხალვაში,** ისტორიზმი ლინგვისტურ აზროვნებაში
- **რამაზ ხალვაში,** დიგიტალური ქართველოლოგია
- **თინა შიოშვილი,** მარადიული გაზაფხულის მითოსი ტაოს ფოლკლორში
- **გურამ ბახტაძე,** ქართული რომანტიზმის გენეზისისათვის
- **შორენა მახაჭაძე,** სიცოცხლის კონცეპტი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში
- **მალხაზ ჩოხარაძე, მანანა თავდგირძე, მარიამ ჩოხარაძე,** მუჰაჯირობის ნარატივები და აჭარაში მცხოვრები აფხაზების კოლექტიური მეხსიერების ზოგიერთი საკითხი
- **ქეთევან შოთაძე,** ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ანზორ კუდბას რომანში „უჟამო ჟამი“
- **მარინა შალიკავა, ნატალია ლაზბა,** საქორწინო ტრადიციები მუჰაჯირ აფხაზთა შთამომავლებში
- **ელგუჯა მაკარაძე, მარიკა დუმბაძე,** „მეგობრობის დღიური“
- **ქეთევან გარაყანიძე,** წარმართთა მიერ წამებული ქართველი წმინდანები და წამების იკონოგრაფია ძველ ქართულ პროზაში
- **ფატი აბაშიძე,** თამარ მეფის სახე გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებასა და ზეპირსიტყვიერებაში
- **თეონა კეკელიძე,** ალექსანდრე ყაზბეგის პროზის კინესიკა

მამია ფალავა

მეტსახელები ჭოროხის ხეობიდან

პრობლემა ვრცელი და მრავალწახნაგაა. ბუნებრივია, ერთი სტატიის ფარგლებში ყველა საკითხზე საუბარი შეუძლებელია. კვლევის პროცესში დაგვიგროვდა მრავალფეროვანი მასალა, რომლის კლასიფიკაცია და ანალიზი იძლევა ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას. საკითხი საინტერესოა ეთნოლოგიის, სოციოლინგვისტიკის, ენის ისტორიის, დიალექტოლოგიისა და კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით კვლევები მომავალშიც უნდა გაგრძელდეს ახლადმოპოვებული ეთნოლოგიური, დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ისტორიული მასალების საფუძველზე. ვფიქრობთ, კვლევის შედეგები საყურადღებო იქნება ქართული მეცნიერებისათვის. ჩვენი კვლევა მრავლისმომცველი პრობლემის შესწავლის მოკრძალებული ცდაა.

პიროვნების სახელდება, სახელის შერჩევა ნებისმიერია: ახალშობილს სახელს არქმევენ მშობლების შეთანხმებით: არქმევენ წინაპართა სახელებს, რითაც პატივს მიაგებენ მათ, ნათლობისას – რომელიმე წმინდანის სახელს უწოდებენ... ყველა შემთხვევაში სახელი ნებისმიერია და სრულებითაც არ მიანიშნებს იგი სახელდებულის ნიშან–თვისებასა თუ ხასიათზე. მეტსახელს კი პიროვნებებს, გვარებსა თუ შტო–გვარებს შეარქმევენ მისი ხასიათიდან, საქმიანობიდან, წარმომავლობიდან თუ გარეგნობიდან... გამომდინარე. სხვაგვარად, მეტსახელი რაიმე ნიშნით ახასიათებს მის მატარებელს.

მეტსახელს ქართულ კულტურაში სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ, კერძოდ:

– აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში (ხევსურული, თუშური, ფშაური) მეტსახელის მნიშვნელობით **თიკუნი** იხმარება (იხ. ღლონტი, 1984). აკ. შანიძე **თიკუნს** ასე განმარტავს: „ჴ. ზედმეტი სახელი თავის მიერ ან სხვის მიერ დარქმეული. თიკუნი უფრო მოშაირეებშია გავრცელებული და ფსევდონიმს

მოგვაგონებს. ამას გარდა თიკუნია შვილი რომ მამას სახელს გამოუცვლის და სხვა სახელს ეძახის (უფრო ხშირად **გაგას** ეძახიან), აგრეთვე რძალი რომ მამამთილსა და დედამთილს სახელს გამოუცვლის. უფროსი კაცის სახელი რომ ბავშვსაც ერქვას, იმასაც სხვა სახელი უნდა დაარქვას. ამნაირად დარქმეული ზედმეტი სახელი თიკუნი არის. ფშავშიც იგივეა: რძალი დედამთილსა და მამამთილს მაზლის სახელობით ეძახის: **ხიწუას დედა, ხიწუას მამა**..." (შანიძე, 1984:329)[1]. მოყვანილი განმარტებიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში **თიკუნი** მრავალი მნიშვნელობით იხმარება, თუმცა ამ მნიშვნელობებს აქვს საერთო: თიკუნი პიროვნების მეტსახელია სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა მიზნით შერქმეული. მეტსახელიც ხომ „ზედმეტი, შერქმეული სახელია" (ქეგლ).

აჭარულში მეტსახელის გამოსახატავად არაბული **ლაღაბი**// **ლაღუბი** იხმარება (ნიჟარაძე, 1971)[2]. იგივე ტერმინი დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც, – შავშურსა და კლარჯულშიც.

შავშურში იხმარება **ლაღაბი**: „კიკვიები **ლაღაბია**, დაბალი კაცები არიან და ისე იტყვიან (ჩიხ. იხ. ფაღავა... 2011:191).

კლარჯულში გვხვდება **ლაღაბ**'ის ფონეტიკური სახესხვაობანი: **ლაღაბი//ლაღუბი//ლაყაბი** (იხ. ფაღავა... 2016,1059).

ლაღაბი დაუცავს ჭოროხის სხვადასხვა „ქვეყნიდან" გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებს (იხ. ფუტკარაძე, 1993:492).

აჭარულში, კერძოდ, ქვემოაჭარულსა (ბათუმურსა) და ქობულეთურში იმავე მნიშვნელობით იხმარება **სიგელიც**: „ზედმე-

---

1. **თიკუნი** და **მეტსახელი** სინონიმური ცნებებია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მიხედვით: „მეტსახელი – ზედმეტი, შერქმეული სახელი"; **თიკუნი** – შერქმეული სახელი, მეტსახელი" (ქეგლ).

2. შ. ნიჟარაძის განმარტებით, **ლაღაბი, ლაღუბი** ზედმეტი, შერქმეული სახელია, ვისიმე დაცინვის ან აბუჩად აგდების მიზნით... ავტორი გვაგზავნის საბასთან, ნ. ჩუბინაშვილთან, არნ. ჩიქობავასთან... (ნიჟარაძე, 1971). მცირე შესწორებას შევიტანთ მოყვანილ განმარტებაში: შერქმეული სახელი ყოველთვის დაცინვას და აბუჩად აგდებას არ გამოხატავს, იგი დადებით ნიშანზეც/ნიშნებზეც მიგვანიშნებს. აქვე ბარემ აღვნიშნავთ, რომ ჯ. ნოღაიდელი **ლაღაბი/ლაყაფი**'ის განმარტებისას მიუთითებს – ზედმეტი სახელი ან გვარი (ნოღაიდელი, 2015). საყურადღებო მინიშნებაა, მრავალი გვარი მეტსახელიდან მომდინარეობს.

ტი სახელი ან გვარი. იცი, მაგას რა სიგელი აქ? ალიჯანაᲲ“ (ნოღაიდელი, 2015);

„– რატომ იჩხუბეს ბაღნებმა?

– **სიგელი** დუუძახა ოსმანამ და თამაზამ არ მუუთმინა, ბერაბუზასავეთ შეასკდა...

– რა სიგელი?

– **დაქანებული**! ისე იმანაც დუუძახა **დიდთავაᲥ**, მარა მაინც იჩხუბეს...“ (ორთაბ.).

მოვიყვანთ კიდევ ერთ დიალოგს, ჩაწერილს მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან:

„– ერთმანეთს **ძეგლს** დუუძახებთ?

– **ძეგლი** რაა?

– **სიგელი**, გასაჯავრებლად რომ ეტყვიან ერთმანეთს!

– **სიგელს** ვეტყვით. **სიგელის** ბაბაები მინანოღლები არიან, დარქმობა იმათ უყვარან, იმიზა ვჩივი ასე: **ქოსაᲥ**, **დულჯი**, **ბუცუნაკაᲥ**, **ხაბაზოღლი**...“ (მუჰაჯირი, 331).

თანამოსაუბრე ჩურუქსუელ მუჰაჯირთა შთამომავალია.

ლაღაბი გვხვდება სხვა დიალექტებშიც, კერძოდ:

ჯავახური: „მეტსახელი ადამიანისა რაიმე ნაკლოვანების მიხედვით (იმეორებს შ. ნიჟარაძის განმარტებას – ავტ.). **ლაღაბი** და **ლაყაფი** ორივე ერთი უნდა ყოფილიყო, ორივე ერთად კავშირშია **ლაყბობასთან**, მეტ ლაპარაკთან (ბერიძე, 1981). ვფიქრობთ, საინტერესო დაკავშირებაა, მაგრამ არა ახალი. ჯერ კიდევ სულხან–საბა წერდა: „**ლაყაფი** ქართულად **ცუდმოუბარს** ნიშნავს, სპარსულად **მეორე სახელს**“ (ორბელიანი, 1949).

შევნიშნავთ: 1. **მეორე სახელი** – მეტსახელია.

2. ჩანს, თავდაპირველად **მეტსახელს//მეორე სახელს** ზედმეტად მოლაპარაკეს, მოლაყბეს არქმევდნენ, შემდეგ გაფართოვდა მისი გამოყენების არეალი.

ინგილოურში იხმარება **ლაღაბი//ლაღუბი** ფონეტიკური სახეოსხვაობებით: **ლაყაფ, ლაყაპ, ლაყაბ** (ღამბაშიძე, 1988).

ბარემ აღვნიშნავ, რომ **ლაღაბი** ქართულ ქვეკულტურებში – შავშურსა და კლარჯულში შემოსულია თურქულის გზით, ინგილოურში – აზერბაიჯანულიდან.

სამხრულ მეტყველებაში **ლაღაბის** გვერდით იხმარება **ძეგლი**. მუჰაჯირების შთამომავლებთან ჩავიწერეთ: ,,ჭუხა – ქვაბითაველების **ძეგლია**. ადი გუუფენიან ქვაბითაველებს და შაშვ შუუჭამია. მაშინ **„ჭუხა“** დიგვიძახეს ჩვენ“.

მეტსახელის მნიშვნელობით **ძეგნე**//**ძეგნი** (**ძიგური** – ვიწ.) იხმარება ლაზურში (თანდილავა, 2013).

მეგრულში იხმარება **კილი** – ნაკლის მნიშვნელობით (ქაჯაია, 2002). **კილი** იმავე მნიშვნელობით გვხვდება სვანურშიც (თოფურია, ქალდანი, 2000).

კილი მეტსახელის მნიშვნელობით იხმარება მაჭახლურშიც. მოვიყვანთ ერთი დიალოგის ამონარიდს მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავალთან:

,,– ქუჩუქ ბატონო, თქვენთან **„მეტსახელს“„სიგელს“** დუუძახებენ ერთმანეთს, გააჯაღინებენ? – ვცდილობ, მათთვის გასაგები ენით ვისაუბრო.

– ვერ მივხტი!

– **კილს** თუ დაარქმენო, გეკითხება, – ჩაერთო საუბარში ალი.

– **კილს** დაარქმენ **გამობმულები**, ჩვენებურებმა **კილი** დარქმევა არ იციან: **შავი ალიაჲ, თეთრი ალიაჲ**...“ (მუჰაჯირი, 372).

ამდენად, მეტსახელის მნიშვნელობით ქართულში უხმარიათ: **თიკუნი, ძეგლი, სიგელი, ლაღაბი, კილი** (შეიძლება, რომელიმე ქვეკულტურაში სხვა ტერმინიც იხმარება ჩვენთვის უცნობი – ავტ.). ყველა მათგანი მეტ–ნაკლებად განსხვავებულ მნიშვნელობებს გამოხატავს, თუმცა თითოეულისათვის ერთ–ერთ მნიშვნელობაა – მეტსახელი.

* * *

მეტსახელი მეტ–ნაკლებად ყველა კულტურისათვის არის დამახასიათებელი: მეტსახელს არქმევდნენ ძველ აღმოსავლეთში (თემურ **ლენგი**, ბაიაზიდ **ილდირიმი** (მეხი), სულეიმან პირველი **კანუნი** (კანონმდებელი), **უზუნ** ჰასანი (ყაენი); ქ. ცხ. II, 341,11. უზუნი – გრძელი...), დასავლეთში (**ფეხმარდი** აქილევსი, პიპინ **მოკლე**, რიჩარდ **ლომგული**, კონსტანტინე I **დიდი**, ბიზანტიის კეისარი (ქ. ცხ. IV, 6,30), თეოდოსი I **დიდი** – ბიზანტიის კეისა-

რი (ქ.ცხ,IV, 7.23), თეოდოსი II **მცირე** (ქ. ცხ. IV,7,23)...), ჩრდილოეთში (ივანე **მრისხანე**, პეტრე **დიდი**...) სხვა კულტურებშიც.

მეტსახელს არქმევდნენ ძველ საქართველოშიც. ქართულ ისტორიულ საბუთებს დაუცავს არაერთი მეტსახელი:

ჩოლოყაშვილი ბიძინა, **სუფრაჯი** (ქ.ცხ,IV, 597,2); ყუარყვარე პირველი ათაბაგი, **ციხიჯუარელი** (ქ. ცხ.IV, 17); **ფალავანი** – სვიმონ პირველის ცხენის მეტსახელი (ქ.ცხ,IV, 416,19); **მჭარგრძელი** („ფავლენიშვილი იტყვის **მჭარგრძელობას**"(ქ.ცხ,IV,34,20); სარგის პირველი ჯაყელი **ციხისჯუარელი** (ქ.ცხ,II,259,2)[3]; **ბურსელი** იოანე (ქ.ცხ,IV, 243,26)[4]; **ბერი** გრძელი[5] – მთარგმნელი გიორგი პირველის ძის, ბაგრატ მეოთხის დროს (ქ.ცხ,IV, 20); ბარამ **ჩუბინი** (მან მოკლა თურქთა მეფე. ქ.ცხ, IV, 12,11. შეიპყრა სპარსთა მეფე ორმუზ. ქ.ცხ,IV, 120,15. მისი ქმედებებიდან ჩანს მეტსახელის შერქმევის მოტივი); აშოტ **კეკელა** – ადარნესეს ძე, აშოტ კურაპალატის (sic) ძის ძე (ქ.ცხ,IV697,12); იოანე **შავთელი**[6] (ქ. ცხ.II,6)...

გავრცელებული ჩანს მეტსახელად პირის წარმომავლობის სახელის შერჩევა. მეტი სიზუსტისათვის ხდებოდა პიროვნების ორწევრა აღნიშვნა: სახელი+წარმომავლობის სახელი:

ივანე **ახალციხელი** (ქ. ცხ.II,95,4); ივანე **ორბელი** (ქ. ცხ-.II,6,18); ივანე **ჭიმჭიმელი**[7](ქ. ცხ.II,113,15); იოანე **ბანელი** (ქ. ცხ.II,144,3); ვარამ **გაგელი**[8](ქ. ცხ.II, 103,10); ზაქარია **გაგელი** (ქ. ცხ.II,96,16)...

---

3. მეტსახელიდან მომდინარეობს გვარსახელი **ჯაყელი**. **ჯაყი** გეოგრაფიული სახელი ჩანს სამხრეთ საქართველოში (შდრ. **ჯაყის ციხე**).

4. იქვე განმარტებაა: **ბურსელი** – ძუელთა მთავართა გუარი (ქ.ცხ.IV, 28,5). ბურსელი – აგებულებით წარმომავლობის სახელია –ელ სუფიქსით ნაწარმოები. ბუნებრივია, დაგვებადოს კითხვა: რატომ ბურსელი?

5. ჩანს, **გრძელი** გავრცელებული მეტსახელი იყო, მოგვიანო პერიოდში მისგან უწარმოებიათ გვარსახელი **გრძელიძე** (<გრძელისძე).

6 . **შავთელი**<**შავმთელ**'ისაგან **მ**'ს ჩავარდნით. ქართული ენის სამხრულ კილოებში **მ**'ს ჩავარდნა სახელურ ფუძეში მთა (>თა) გავრცელებული მოვლენაა: თა'ზე წევდე'ნა (აჭარული); **მაჭარელთა** (<**მაჭარელმთა**).

7. **ჭიმჭიმი** სოფელია ისტორიულ ტაოში.

8. **გაგი** ციხეა სომხითში (ქ. ცხ.II,144,5). ეს ციხე ხშირად იხსენება მატიანეებში.

ისტორიულ წყაროებში მეტსახელებად ჩანს **ხელობის** სახელებიც, მაგალითად **ამილახორი:**

ამილახორი[9]ავთანდილ (ქ.ცხ,IV, სქ.1); **ამილახორი** ანდუყაფარ (ქ.ცხ,IV,425,13);

ამილახორი ბარძიმი (ქ.ცხ,IV, 410,19); **ამილახორი** გივი (ქ.ცხ,IV,450,11)...

მნიშვნელოვანია, რომ **ამილახორი** – ხელობის სახელი (ზოგიერთი წარმომავლობისა და სხვა სახელებიც) მოგვიანო პერიოდში ჩამოყალიბდა გვარსახელად. ხელობის სახელებია შემდგომ გვარსახელად ქცეული **დადიანი**, **გურიელი**, **მენაბდე**, **მებუკე**...

თემურ **ხოჯა** (ქ. ცხ.II, 334,25); დიმიტრი II **თავდადებული** (ქ. ცხ.II,244,1);

დელუ[10] სვიმონი (ქ. ცხ.II,535,28); დავით VI **ნარინი** (რუსუდანის ძე) (ქ. ცხ.II, 192,2);

დავით VII **ულუ** (ლაშას ძე) (ქ. ცხ.II,205,2); გიორგი V **ბრწყინვალე** (ქ. ცხ.II,286,6);

გიორგი VI **მცირე** (ქ. ცხ.II,444,30); ბეშქენ **ძველი** (ათაბაგის ძე) (ქ. ცხ.II,71,15)...

ქართულ კულტურაში პიროვნების ორწევრა აღნიშვნისათვის სხვადასხვა ხერხი გამოუყენებიათ:

სახელი + მამის სახელი;

სახელი + წარმომავლობის სახელი;

სახელი + ხელობის სახელი...

ასეთ შემთხვევაში მეორე სახელი ზედწოდებაა, მეტსახელია. ლიტერატურულ თუ ისტორიულ წყაროებში ამის მრავალი შემთხვევა დასტურდება:

სეფედავლე **დარისპანის ძე** (ამირანდ.); ამირან **დარეჯანის ძე** (ამირანდ.); ბადრი **იამანის ძე** (ამირანდ.)...

აჰმადა **სურამელი** (ქ. ცხ.II,305,15); შიო **ანტიოქელი** (ქ. ცხ.II,213,25); შიო **მღუმელი** (ქ. ცხ.I, 208,4); სალომე **უჯარმელი** (ქ. ცხ.I, 70,14); ივანე **ორბელი** (ქ. ცხ.I, 331,9)...

---

9. **ამილახორი**<**ამირახორი**'საგან (**ლ – რ**<**რ – რ**'საგან დისიმილაციით).

10. უნდა **დელი**. შდრ. თ. **Deli** - გიჟი, გადარეული, ხელი (ნიჟარაძე, 1971).

ბასილი **ბერი** (ქ. ცხ.II,525,26); ბასილი **ეზოსმოძღვარი** (ქ. ცხ-.II,136,10); ბასილი **კათალიკოსი** (ქ. ცხ.II,339,10); ბასილი **მონაზონი** (ქ. ცხ.II,282,15)...

პიროვნების ორწევრა აღნიშვნის დროს ყველაზე მიღებული წესი მაინც სახელი + წარმომავლობის სახელი ჩანს. წყაროებში გვხვდება:

არმაზელი ... ქართლის მეფე კაოს ძე (ქ. ცხ.I, 45,2,3,4); **არმაზელი** ფარსმანი (ქ. ცხ.I,44,5); **არმაზელი** ფარსმან **ქუელი**[11](ქ. ცხ.I,50,6,7); ადარნასე **კლარჯი** (ქ. ცხ.I,380,5); გურგენ **კლარჯი** (ქ. ცხ.I,259,19); ბასილი **კლარჯი** (ქ. ცხ.I,260,9); ბასილი **დიდი** (**კესარიელი**)(ქ. ცხ.I,209,22); აბიბოს **ნეკრესელი** (ქ. ცხ.I,208,4)...

გამოუყენებიათ სხვა მახასიათებლებიც:

აშოტ **კეკელა** (ქ. ცხ.I,259,12); აშოტ **კუხი** (ქ. ცხ.I,260,1); დავით **დიდი** კურაპალატი (ქ. ცხ.I,266,14); დავით **მცირე** (ქ. ცხ.I,381,23); თეოდოსი II **მწუხარე** – აფხაზთა მეფე (ქ. ცხ.I,271,6); შიოშ **ბედნიერი** (ქ. ცხ.I,14,22); ფოკა **განდგომილი** (ქ. ცხ.I,286,1); ანტონი **მარტომყოფელი** (ქ. ცხ.I,208,3)...

სახელზე მეტსახელის მიმატება პიროვნების სხვათაგან გასარჩევად ხდებოდა. ამის საჭიროება განსაკუთრებით გვარსახელის ჩამოყალიბებამდე იგრძნობოდა უფრო მეტად. როდესაც მასალებს ვეცნობით, ვხედავთ, პიროვნების ყველა მახასიათებელი გამოუყენებიათ მიზნის მისაღწევად:

გიორგი **ამარტოელი** (ქ. ცხ.I,230,სქ.1); გიორგი **კაპადუკიელი** (ქ. ცხ.I,72,8); გიორგი **მაჩაბელი** (ქ. ცხ.I, 60,სქ.1); გიორგი **მთაწმინდელი** (ქ. ცხ.I,273,სქ.1); გიორგი **ტაოელი** (ქ. ცხ.I,313,20); გიორგი **ჭყონდიდელი** (ქ. ცხ.I,331,16).

ბაგრატ მამფალი **არტანუჯელი** (ქ. ცხ.I,260,7); ბაგრატ **არტანუჯელი** (ქ. ცხ.I,259,17); ბაგრატ **მაგისტროსი** (ქ. ცხ.I,266,10); ბაგრატ II **რეგვენი** (ქ. ცხ.I,266,16).

დასახელებული ექვსი გიორგი და ოთხი ბაგრატი ხომ უნდა გაესხვავებინათ ერთმანეთისაგან. ამიტომაც სახელს მეტ-

---

11. დავაკვირდეთ: როდესაც ორი პიროვნების სახელი და წარმომავლობის სახელი ემთხვევა (**არმაზელი ფარსმანი, არმაზელი ფარსმანი**), მაშინ მესამე აღსანიშნს მიმართავენ – **ქუელი**. მთავარი პრინციპია, განსხვავდეს ერთი პიროვნება მეორისაგან.

სახელიც მიუტოლეს. ეს პიროვნების ორწევრა აღნიშვნის პირველადი ხერხი ჩანს. მას მიმართავდნენ ძველ საქართველოში, ტრადიციას იცნობს სხვა კულტურებიც. გვიან დაადგა საზოგადოება პიროვნების სახელით, გვარითა და მამისახელით აღნიშვნის გზას. გვარსახელის ჩამოყალიბებამდე გრძელი გზა გაიარა კულტურულმა საზოგადოებამ.

ქართულ მატიანეებში გამოყენებული მეტსახელების უმეტესობა გამჭვირვალეა, ნათელია მემატიანის (სახელმდებლის) მიზანიც – გაარჩიოს პიროვნებები ერთმანეთისაგან.

შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო ძეგლებში დადასტურდა საინტერესო „გვარსახელით" პიროვნების ორწევრა აღნიშვნა – ივანბეგ **წუერგრძელისძე** (ქისკ I, 16–33). **ივანბეგის** მამა აქ მეტსახელითაა მოხსენებული – **წუერგრძელი**.

ისტორიულ საბუთებში ვხვდებით ორ, სამ და ოთხწევრა აღნიშვნასაც, სადაც ფიგურირებს მეტსახელები:

ორწევრა: **თევდორე მემღვიმე** (ქისკ I, 16:70);

სამწევრა: **თევდორე ბერი მღვიმისა** (ქისკ I, 16:74); **თევდორე მთავარი მემღვიმე** (ქისკ I,1:15);

თევდორე ქართლის კათალიკოსი (ქისკ I, 80–81);

ოთხწევრა: **თევდორე მღვიმის მონასტრის ძმა** (ქისკ I, 16:21); **თევდორე მღვიმის კრებულის ძმა** (ქისკ I, 16:72)...

ზედწოდებად გამოუყენებიათ ხელობის სახელები:

ელია **მემღვიმე** (ქისკ I,15:137); ელია **მნათე** (ქისკ I, 17:20)...

არც ხასიათის თვისება დარჩენიათ ყურადღების მიღმა სახელმდებლებს:

ელია **ურჩი** (ქისკ I, 152:21); გრიგოლ **მაოჭრებელი** (ქისკ I, 7:14)...

ისტორიულ საბუთებში პიროვნების აღსანიშნავად გამოუყენებიათ სოციალური მდგომარეობისა და გარეგნობის აღმნიშვნელი ზედწოდებებიც:

ანტონ **იშხნელ–ყოფილი** (ქისკ I, 36:56); **თავბრტყელი** (ქისკ I, 41:32); მანინა **შეჩუენებული** (ქისკ I, 152:22)...

ისტორიულ საბუთებს სხვა მრავალი ზედწოდების ნიმუში დაუცავს. საერთო სურათი შემდეგია: „სახელმდებლებს" პიროვნების აღსანიშნავად გამოუყენებიათ ყველა ნიშანი, რომლითაც ერთი პიროვნება განსხვავდება მეორისაგან.

***

მეტსახელები (ლაღაბები, ძეგლები, კილები, სიგელები) ერთმანეთისათვის მოუგონებიათ აჭარლებს – ზემოაჭარლებს, ბათუმელებს, ქობულეთლებს, მაჭახლელებს, შავშებს, კლარჯებს... ისტორიული სამშობლოს ტრადიციები გაუგრძელებიათ მუჰაჯირებს, რომელთა შთამომავლები დღესაც მოიხსენებენ ერთმანეთს მეტსახელით. მეტსახელები დადებია საფუძვლად თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ოსმალურ „გვარებს". ჭოროხის „ქვეყნებში" და მუჰაჯირთა შთამომავლებთან მოწყობილ ოცზე მეტ კომპლექსურ ექსპედიციაში სხვა მასალებთან ერთად ვაგროვებდით მეტსახელებსაც. დაგვიგროვდა საკმაო მასალა, მრავალფეროვანი და საყურადღებო.

თითოეული მეტსახელი „მოგვითხრობს" აქაურთა ემოციურ მდგომარეობაზე, თვისტომებთან თუ სხვა ერის წარმომადგენლებთან დამოკიდებულებაზე, იუმორის გრძნობაზე, ადამიანური ურთიერთობის სხვა ნიუანსებზე...

დავიწყოთ იმით, რომ ლაღაბებს „უგონებდნენ" ქართველები (გურჯები, ჩვენებურები) თურქებს და თურქები ქართველებს, სხვაგვარად, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ლაღაბით მოიხსენებდნენ ერთმანეთს:

თურქებს **ბოლოკებ** ვეტყვით ჩვენ! ისინი **ჲეზიდი**[12] გვეტყვიან (მუჰაჯირი, 2016: 452).

კილს დაარქმენ **გამობმულები**, ჩვენებმა კილი დარქმევა არ იციან (მუჰაჯირი,2016: 371).

თურქებ **კუდიანს** ვეტყოდით, იგინიც **კოზახს** (დუუმწიფებელს, ჭახეს) დიგვიძახებენ (იქვე).

კოზახს გვეტყვიან, ჰამა იგინი ჩვენზე ჭახე არიან. **მოგილს** გვეტყვიან. ჩვენი კაცები ახსი ყოფილან, **კუდი მუუბმიან** (მუჰაჯირი, 2016:100).

ბოლოკაჲ, კუდიანი, გამობმული – თურქის მეტსახელებია.

თურქებიც ქართველებს **ჲეზიდს,კოზახსა** და **მოგილს** დაუძახებენ.

---

12. Yezidi - მოსულსა და ლიბიაში მცხოვრები „ეშმაკის თაყვანისმცემელი ხალხი" (ოსმალური: 1354)

რატომ, რა ნიშნით შეარქვეს ქართველებს თურქებმა და ქართველებმა თურქებს დასახელებული სიგელები?

კოზალიო გვეტყვიან თურქები, **კუდიანები**. ჩვენ რომ ორი ენა ვიცით, თურქულს დევლაპარიკებდით, ჩვენი სხვაფრული იქნებოდა, იტყოდენ – **კოზალიო** (მუჰაჯირი,2016:154).

მოყვანილი მოსაზრების მიხედვით, **„კოზალი“** (კოზახი) ჩვენებურებს ცუდი თურქულის გამო შეურქმევიათ. თითქოს რაღაც ახსნა მიეცა **კოზალს**, ჩვენებურთა სიგელს.

ახლა ვნახოთ, როგორ ხსნიან ჩვენებურები თურქების მეტსახელებს:

„– თურქები არ „მოგწონდებათ“, რატომ?

– თურქებ **ბოლოკებ** ვეტყვით, **კუდიან** ვეტყვით, გადარცხილი არიან.

– რას აკეთებენ ასეთს?

– რას იზმენ და... ყანის იგი არ ეცოდინებიან, ფაჭვა, იჯინდრებენ... (მუჰაჯირი,2016: 206).

მოყვანილი დიალოგით, მთლად ნათელი არაა სახელდების მოტივი, თუმცა ჩვენი მაჭახლელი ინფორმატორი შეეცადა აეხსნა: ყანის **ფაჭვა** (გათოხნა) რომ არ იციან, იმიტომ არიან **გადარცხილები** და ვეძახით **კუდიანსა** და **ბოლოკასო**.

მოყვანილმა მოსაზრებამ ვერ დაგვაკმაყოფილა, ამიტომაც ვცდილობდით, სხვებთან გამოგვერკვია სახელდების მოტივი. ვნახოთ „ძიების“ შედეგები:

„– ბატონო ახმედ, ლაპარაკში **კუდიანი** ახსენეთ; რატომ ეძახით თურქებს კუდიანს?

– **იმათ შალოვრებს უკან ჩაკიდული ქონია,** კუდიანს იმიტომ ვეტყვით“ (მუჰაჯირი, 2016:332).

კუდიანის „შალოვრებს უკან ჩაკიდული ჰქონია“, ამიტომაც შეურქმევია „კუდიანი“.

სხვა „ახსნებიც” ვნახოთ:

არც თურქები დარჩენილან „ვალში“:

„აჭარლებს **ჯო** მუჰაჯირს დიგვიძახებენ“ (მუჰაჯირი,2016: 354).

„იგინი **ჭოებიო** გვეტყოდენ, ჩვენ **კუდიანს** ვეტყვით. **მალე რომ დაბეჩდებიან კუდიანს ვეტყვით**“ (მუჰაჯირი,2016: 381).

სახელდების კიდევ ერთი მიზეზი გამოიკვეთა, თუმცა არც მთლად დამაჯერებელი: „მალე რომ დაბეჩდებიან, **კუდიანს** ვეტყვითო“. აღარაფერს ვამბობ აჭარელ მუჰაჯირთა მეტსახელზე **ჭო/ჯო**, გამჭვირვალეა და იმიტომ.

მოვიყვანთ კიდევ ერთ „მოსაზრებას“:

„– კაცო, თურქებს **კუდიანებს** რომ ეძახით, მართლა **კუდი** აქვთ?

– კუდიანი ჩალი ქუდ დეꙋხურებდა, ჩარშაბ კუდები ექნებიანო, კუდიანებ ეტყვიან“ (მუჰაჯირი,2015: 387).

„ჩარშაბ[13] კუდები ექნებიანო“ – იმიტომაც ვუწოდეთ კუდიანიო. აქ თითქოს ჩანს სახელდების პირდაპირი მოტივი.

„–თურქს **კუდურაꙋ** უჩივიან, ეტყვიან, არ ვიცი. ისინიც იტყვიან **კოზაკ** მუჰაჯირლარ, **ჭახე** მუჰაჯირიო, იმას ნიშნავს“.

„კუდურაꙋ“ „კუდიანის“ მოფერებითი ფორმაა.

კიდევ ერთი მეტსახელი ჩავიწერეთ **თურქის** (ქართულის არმცოდნის) აღმნიშვნელი:

„ვინც ქართული არ იციან, **გძელჩოხიან** ვუძახით, ისინი **ფიხ** გვიზახიან (სობას ზედან დემირი რომაა, იმა **ფიხ** ეტყვიან, იმა გვიძახიან“) (ფაღავა, 2011:167).

გძელჩოხიანი იმერხეველთა გაგებით თურქიცაა და ყველა, ვინც ქართული არ იცის, მეთურქულე შავშიც მათ შორის...

აქვე ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ მეტსახელს – **ფიხი**. მოყვანილი ახსნა **ფიხ**'ად სახელდებისა ვერაა მთლად დამაჯერებელი, ამიტომაც სხვა ინფორმატორსაც მოვუსმინოთ:

„ბაზგირეთ ზეꙋთ კაꙋ წყალია (საზგირელის წყალს გულისხმობს – ავტ.), ცივი და რბილი, ꙋოდი არაა შით. ჩვენ კაცებ **ფიყვი** (**ჩიყვი** – ავტ.) გამუუვდოდა. თურქი ვერ აფერავდა **ფიყვის**, იზახდა – **ფიხის**“ (ფაღავა, 2011:355).

ვფიქრობთ, საინტერესო ახსნაა. **ფიხი** სხვათა ენაზე გამოთქმული **ფიყვი** ყოფილა. სახელდების მოტივიც ნათელია, სახელმდებელიც – მოტივირებული.

ამგვარად, თურქეთში მცხოვრები ქართველი თურქს სხვადასხვა მეტსახელით მოიხსენებს:

---

13. **ჩარშაბი**<**ჩარჩაფი**, **ჩარჩაპი**<**ჩერჩები** (თურქ.) – **საბურავი, ჩადრი**. იხ. ნოღაიდელი, 2015).

ბოლოკაჲ//ბოლოკები; კუდიანები//კუდურაჲ//გამობმულები; გძელჩოხიანები.

თურქები ქართველებს მოიხსენებენ მეტსახელებით:

ჲეზიდი; კოზახი//კოზალი//კოზაკი; მოგილი; ჭო//ჯო მუჰაჯირი; ფიხი (<ფიყვი).

ასეთი მეტსახელებით იხსენებენ თურქეთელი ქართველები (განსაკუთრებით მუჰაჯირები) თურქებს (დამხვდურ მოსახლეობას) და თურქები ქართველ მუჰაჯირებს. თუ გავითვალისწინებთ გადასახლებულთა ახალ სამოსახლოში, ახალ კულტურულ გარემოში დამკვიდრების ძნელ და რთულ პროცესს, წინააღმდეგობას ადგილობრივ მოსახლეობასთან (მუჰაჯირი, 2016:17–19), ნათელი გახდება ზოგადად ლაღაბის შერქმევის მოტივი.

* * *

ჭოროხის ხეობაში ვხვდებით სოფლის თუ ხეობის მეტსახელებს. მაგალითები:

გურბინის (კლარჯეთი) მეტსახელია **დათვი**:

„უწინ ნად გააკეთებდენ თოვლის გასაწმენდათ... ყველა ჩევდოდა, გურბინის კაცი არ ჩევდოდა, ან გვიან ჩევდოდა. ე, **დათვიც** ჩამოვდაო, იტყოდენ“ (ფაღავა... 2016: 954).

დურჩასა და დურჩელების (კლარჯეთი) მეტსახელია **ტურა** და **ხორხოცო**:

„მცემარი და მოჩხუბარი ხალხია“ – განმარტავს მთქმელი, **ხორხოცო** იმიტომ დაარქვესო.

ქლასკურის (კლარჯეთი) მეტსახელია **ვირიმჭამელი**.

მაჭახლელების მეტსახელია – **გუდიანი**.

არტანუჯელთა მეტსახელია – **ფოშა**[14].

შავშთა მეტსახელია – **ფალიგი**[15].

ბორჩხელთა მეტსახელია – **გუუთლელი დათვი**.

ჯიგანი – ახისხელ (ახალციხელ) მუჰაჯირებს ეძახიან აჭარელი მუჰაჯირები. გვარსახელიცაა აჭარაში **ჯიგანიძე** (მაისურაძე, 1990:244).

---

14. **ბოშა** – აქ: მათხოვარი (შავშეთი, 2011:603).

15. Falik - ორად გაყოფილი (ოსმალური:286).

შეიძლება სხვა კუთხეებსა და სოფლებსაც აქვთ მეტსახელები, რომელთაც ჩვენ ვერ მივაქციეთ ყურადღება. საერთოდ არაერთგზის გვხვდება, როცა ერთი კუთხე თუ სოფელი ეხუმრება მეორეს, სასაცილო ამბებს უგონებს. ამის დასტურია მაგალითად გევლელების (კლარჯეთი) მიერ მარილის დათესვის ამბავი, მაჭახლელმა მზის გულზე ცაღი (ერბო) რომ გაფინა გასაშრობად, ხოხნელების მიერ ვირის მოკვლის ამბავი და სხვა მრავალი. მოყვანილი მაგალითებიც დასტურია, რომ სოფლები, კუთხეები ერთმანეთს ეხუმრებიან, მეტსახელით მოიხსენებენ, აბრაზებენ, „აჯაღინებენ". და ამ „დაცინვაში" ჩანს ალალი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი, სიყვარული, ჩანს სახელმდებლის იუმორის გრძნობა...

* * *

მუჰაჯირად წასულებს თუ მათ შთამომავლებს თვითიდენტიფიკაციისათვის თურქეთში მცხოვრები ქართველისათვის **ჩვენებური** უწოდებია. ჩანს, სახელი ჯერ მუჰაჯირებს ეწოდა, შემდეგ იგი გავრცელდა მთლიანად თურქეთელ ქართველებზე. მეტსახელი „ჩვენებური" თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ბედზე, ისტორიულ ხვედრზე მინიშნებაა, მასში მემლექეთის ნატვრაა ჩადებული...

– **„ჩვენებური ხარ?"** – მიმართავენ ერთმანეთს;

–**„ჩვენებური ვარ!"** – პასუხის შემთხვევაში ორ ადამიანს შორის განსხვავებული ურთიერთობა მყარდება, ნათესაური და შინაურული...

* * *

მეტსახელებს ადამიანები ერთმანეთს უგონებდნენ უპირატესად. უმეტეს შემთხვევაში ლაღაბი მოტივირებულია, სხვაგვარად, მეტსახელის შერქმევას კონკრეტული საბაბი აქვს.

მეტსახელის დაძახება ადრესატს ყოველთვის არ სიამოვნებს, ზოგჯერ ღიზიანდება კიდეც. ლაღაბის შერქმევის ერთ–ერთი მიზეზიც ხომ გამოჯავრებაა, „გაჯაღინებაა"... ერთ ამონარიდს მოვიტან ადრინდელი ჩანაწერიდან:

,,– **ლალაბები** თუ იცით–მეთქი თქვენს სოფელში? – ვკითხე ნიაზ ლომიძეს (მოქმედება შავშეთში, სოფელ ხოხლევში ხდება – ავტ.).

– ვიცით, ჰამა ხოჯა გვიკრძალავს დაძახებას, – გვითხრა ბატონმა ნიაზმა და ᲝᲔᲜᲩᲐᲠᲡ (სოფლის იმამს – ავტ.) გადახედა.

– რატომ უკრძალავთ ხალხს ლალაბის დაძახებას? – ვკითხე ხოჯას.

– ცოდვაა ლალაბის დაძახებაა, არაა კაᲐ, გონჯია, ეწყინება, ვინცხას დუუძახ, გეᲐბუკვის, – გვაცნობს თავის მოსაზრებას ᲝᲔᲜᲩᲐᲠᲘ“ (ფალავა, 2011:186–187).

მოყვანილი დიალოგიდან კარგად ჩანს, რატომაც უკრძალავს ხოჯა მორწმუნე მრევლს სიგელის დაძახებას, – ხოჯის ქმედებას მეზობლებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება უდევს საფუძვლად: არ სურს მეზობლებს სწყინდეთ ერთმანეთისაგან, არ სურს ერთმანეთს ,,გეებუკონ“ მოკეთეები... მეტსახელის დაძახება სწყინთ შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში, სწყინდათ ჩვენს სოფელშიც, თუმცა ზოგი შეჩვეული იყო და ჩვეულებრივად ღებულობდა მას. მახსენდება სოფელში გავრცელებული სიგელები: **ბალაᲐ, პიტოᲐ, შლაკატაᲐ, ბუდვაᲐ, ქანცაᲐ, ბუდიონი, ჩესნი, პულულაᲐ, ბზიკაᲐ, ლენეᲐ, ჩოფიაᲐ, თავგოროხაᲐ, დემირაᲐ, დერგაᲐ, დედეᲐ, ქორაᲐ, ჩელოვეკაᲐ, კასოᲐ, ქირვაᲐ, ჯიხოᲐ, ყარყატი, ობეხე, შტუფაᲐ, დოქსანდოქუზი, ტოტოლიანი, კაცაᲐ, ყადიოვი, ვალოდია, ტივა//ტივი, დიმჩაქუჩაᲐ//დინჩაქუჩაᲐ// ჩიმჩაქუჩაᲐ, ტუტუᲐ, შავუსუფაᲐ, ჰამაᲐ, ბრიგადირი, აჰმედ უსტა, რიჟა ჯემალაᲐ, მოადგილე, ბოლშევიკი, აბიაშიკი, კარტინაᲐ, ქორი დინნეᲐ...** მეტსახელია სოფლის შტო–გვარებიც: **ჯასიმბეგიშვილი, ომერაღიშვილი, ხუსეინბეგიშვილი, მიქთათბეგიშვილი, შევქეთბეგიშვილები...** სხვაც მრავალი გამიგონია, ყველას ვერ ვიხსენებ საწერ მაგიდასთან. მახსოვს ნახსენები სიგელების მატარებლები და მათი რეაქცია მეტსახელის გაგონებაზე. ანდა ვის ესიამოვნება, როდესაც:

ა. ფიზიკურ ნაკლზე მიგანიშნებენ: **თავგოროხაᲐ, დემირაᲐ, დერგაᲐ, ქორაᲐ, ქორი დინნეᲐ...**

ბ. უარყოფით თვისებებზე: **პულულაᲐ** (მატყუარა კაცს/კაცებს ეძახდნენ), **ბზიკაᲐ** (ვინც ბზიკივით შეასკდებოდა კაცს)...

მახსოვს, ძალიან ბრაზდებოდა, როცა ადრესატი გაიგონებდა მეტსახელს – **ჩელოვეკ, კასო** (<კაცო)... არ უნდა სწყენოდა ამ ერთი შეხედვით უწყინარი მეტსახელის გამგონებელს, მაგრამ ბრაზდებოდა, გრძნობის დაკარგვამდე აგინებდა დამძახებელს. „ჩელოვეკაᲲ“, „კასოᲲ“ ბრაზობდა, ხალხი კი გულიანად იცინოდა...

ზოგსაც სიამოვნებდა მეტსახელის გაგონება, ზოგადად მეტსახელი: **ჩესნი, ობეხე...** განსაკუთრებით „ობეხე“ მახსენდება, რა სიამაყით გადახედავდა სხვებს, სახელდახელოდ „მეგობარსაც“ გაიჩენდა: „მე ამოღსავლეთის **ობეხე** ვიქნები, შენ – ჩასავლეთის **ობეხე** იყავო“, უწილადებდა „მეტსახელსა და საასპარეზო სივრცეს“ მეგობარსა თუ „თანამოაზრეს“...

სოფელში სხვა სიგელებიც გვხვდება:

ჯიხოᲲ – შავგრემანი იყო და იმიტომ დაარქვეს;

ყარყატი – გრძელკისერა ბიჭს ეძახდნენ;

ქირვაᲲ (თ. ნათლია, მამობილი იხ. ნიჟარაძე, 1971) – უფროსებს ქირვას ეძახდა და იმიტომაც შეარქვეს.

რიჟა (რუს. Рыжий - წითური, წითელი) – წითური იყო და ასე ეძახდნენ.

თავგოროხაᲲ – დიდთავა კაცი იყო და მეტსახელიც იმიტომ უწოდეს.

ბალაᲲ – მეტსახელი რა ნიშნით ეწოდა ძნელი ასახსნელია. **ბალაᲲ** თხელკანიან თეთრ გოგრას ეძახიან ჩვენს სოფელში (ორთაბათუმში)[16]...

ბუდვაᲲ – არ ჩანს სახელდების ნიშანი. **ბუდუას** ნათლიას ეძახიან გურიაში (ღლონტი, 1984), იგივეა, რაც აჭარული **ქირვა**.

ჰამაᲲ – საინტერესო კაცი იყო, კარგი მოსაუბრე, ლაპარაკში ხშირად იმეორებდა **„ჰამამ“** (//ჰომამ) (შდრ. **ჰამა** არაბ. **მაგრამ**. ნიჟარაძე, 1971): **„ჰამამ** ჰეჩ, არაფელი გამოვდა...“ მეტსახელიც აქედან წარმოსდგა.

ბოლშევიკი – ტანად დიდი კაცი იყო ამ მეტსახელის მატარებელი.

აბიაშიკი – ტყისმცველი იყო და აბიაშიკს ეძახდნენ (შდრ. რუს. Лесной объездчик– ტყის ცხენოსანი დარაჯი. ლექსიკონი, 1993).

---

16. Bala - თურქულში განმარტებულია, როგორც **მაღალი, დიდი** (ლექსიკონი, 78). შესაძლებელია, ეს მნიშვნელობა დაედო საფუძვლად აღნიშნულ მეტსახელს.

ქორაჲ – ცუდი მხედველობა ჰქონდა და იმიტომ უწოდეს (შდრ. თ. Kör – ბრმა).

ქორი დინნეჲ (<დიდნენენეჲ<დიდი ნენეჲ, ბებია) – ბრმა იყო ცალი თვალით, მეტსახელიც აქედან მოდის...

ბევრი მეტსახელის მნიშვნელობა გაურკვეველია, ასეთია: **პიტოჲ, შლაკატაჲ, ქანცაჲ, ტუტუჲ, შტუფაჲ, ტოტოლიანი, ყადიოვი, ვალოდია, დიმჩაქუჩაჲ//დინჩაქუჩაჲ// ჩიმჩაქუჩაჲ**... დავიწყებას მიეცა ნიშანი, რომელიც სიგელის საფუძველი გახდა.

სიგელი სახელმდებლის შემოქმედების ნაყოფი ჩანს: ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა ნიშანს მიაქცევს „ნათლია" ყურადღებას, რა ნიშანს გამოარჩევს და აქცევს სახელის საფუძვლად. საყურადღებოა ქედაში, ბზუბზუში ჩაწერილი მასალები[17]:

კოჲტარაჲ (<[რ]კოს (მუხის) ტარაჲ) – ფიზიკურად ძლიერ კაცზე უწოდებიათ (ქედა, ბზუბზუ).

ყერი (ღობის სარებს შორის გადებული ხე) – მაღალი კაცისათვის შეურქმევიათ. შდრ. **ყერო** – სიგრძლივ ორად გაპობილი ან კანგაცლილი თუ კიდეებჩამოთლილი გრძელი ხე, „წვრილი და გრძელი ძელი" (ორბელიანი, 1949), **ლატანი**; ჩვეულებრივ ღობის სარს **ყეროზე** ააკრავენ (ნიჟარაძე, 1971. შდრ. ჩუბინაშვილი, 1961).

ტიხონკაჲ – წყნარი, მშვიდი, უთქმელი კაცია და იმიტომაც შეარქვეს (შდრ. რუს.**Тихонький** - **ჩუმი, წყნარი, მშვიდი**...ლექსიკონი, 1993).

ვარქანი – სომეხი ქალი მოიყვანა ცოლად და **ვარქანი** (||ვართანი) შეარქვეს.

ბოტვინიკი (ცნობილი მოჭადრაკე) – გად. ჭკვიანი, გონიერი კაცი. გამორჩეულად მოაზროვნე კაცს ბოტვინიკს შეარქმევდნენ არამარტო ქედაში, არამედ სხვა სოფლებშიც. ანალოგიური მეტსახელია – **მენდელეევი** თუ **დიმიტრი**. ჩემს ბავშვობაში სკოლაში ეძახდნენ მოწაფეს, ვინც ქიმიას კარგად სწავლობდა. იმავე პრინციპიდან გამომდინარე, სკოლაში გვყავდა **ლომონოსოვიც**, ვინც ყველა საგანში წარმატებული იყო. ასე რომ **ბოტვინიკი** – ქედაში, **მენდელეევი, დიმიტრი, ლომონოსოვი,** როგორც მეტსახელები, სინონიმებია.

---

17. ქედური მასალები მოგვაწოდა ბატონმა შოთა ბოლქვაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

კულაკი – გად. მდიდარ კაცზე, უფრო მდიდრად რომ მოაქვს თავი იტყვიან.

ნაჩალიკი – უფროსობის მოყვარულისათვის შეურქმევიათ.

ბოხრიკაჲ – კნ. გამხდარი კაცი ყოფილა და იმიტომაც ეძახდნენ. შდრ. **ბოხრიკი** – მსხვილფეხა პირუტყვი, გამხდარი, სიბერისაგან ღონეგამოლეული, ბეხრეკი (ნიჟარაძე, 1971)..

ჩალიღერაჲ – გამხდარ და ტანმაღალ კაცზე დაურქმევიათ. შდრ. ჩალი[ს] ღერი – გადანაჭერი სიმინდის მცენარის ღერო, რომელიც მიწაში რჩება (ნიჟარაძე, 1971).

კეჟერაჲ – გად. ხანდაზმულ, ჯანმრთელ კაცზე იტყვიან. შდრ. **კეჟერა** – კომბოსტო რომ თავს არ დაიხვევს (ორბელიანი, 1949). შდრ. **დიალ**. კეჟერაჲ (ფუტკარაძე, 1993).

როხი – უაზრო ლაპარაკი იცის და იმიტომ შეარქვეს **როხი.** შდრ. **დაროხვა** – მსხვილად დაფქვა, დაროშვა, დაღერღვა. გად. ყველაფრის თქმა (ნიჟარაძე, 1971): ,,მაგასთან რამე ითქმება, დათრება და **დაროშავს//დაროხავს** ყველაფერს...“(ორთაბ.).

კაფსონაჲ – ფეთქებადი ხასიათისაა და იმიტომ შეარქვეს. შდრ. რუს. Капсуль - კაფსული, ფისტონი (ლექსიკონი, 1993). შდრ. **კაფსული** – მუხტისათვის ცეცხლის გადამცემი მოწყობილობა. პატარა ლითონის კოლოფი, რომლის ფსკერზე მოთავსებული ასაფეთქებელი ნივთიერება ფეთქდება და დარტყმის ან გახურების შედეგად, ფისტონი (ქეგლ).

ბოლნავი – პატარაა და იმიტომ შეარქვესო.

კონდახაჲ – უხასიათო კაცია და იმიტომ შეარქვესო. შდრ. აჭ. კონდახში მოშლა. გად. **ვულგ.** ხასიათის გაფუჭება, ხასიათის მოშლა რაიმე მოლოდინის გაუმართლებლობის გამო... (ნიჟარაძე, 1971).

ყართოფაჲ – ზემოაჭარაში კარტოფილს **ყართოფას**, **ყართოფილას** ეძახიან (ნიჟარაძე, 1971). ზემოაჭარიდან ბარად ჩამოსახლებულები, ბუნებრივია, ხმარობენ ტერმინს ,,ყართოფაჲ“, რაც ,,უცხოა“ ქვემოაჭარელისათვის. ამიტომაც ქედელმა ,,ნათლიამ“ **ყართოფა**ჲ მეტსახელად ზემოაჭარელ მეზობელს უწოდა.

დღეს უკვე ვეღარ ხერხდება დადგენა, თუ რატომ შეარქვეს მავანს **ადორა**ჲ, **ოჯოკი, გაგანიძე, სვანი, არაბა**ჲ, **ლაბეშა**ჲ,

ტყიკატა,აფხოტაᲘ, ბზანაᲘ... შესაძლებელია, სახელდების საბაბი ერთი კონკრეტული შემთხვევა გახდა, რომელსაც დღეს ველარ იხსენებენ. მეტსახელის შერქმევის მოტივი ხანდახან ისეთი შემთხვევა გახდება, რომ ჩაძიების გარეშე შეუძლებელია ახსნა. ზემოაჭარაში, ღორჯომის თემში ერთ პიროვნებას მეტსახელად **უზბეკს** ეძახნენ. ვიკითხე, რატომ ქვია **უზბეკი**–მეთქი? მაგათი ოჯახი გასული საუკუნის 50–იანი წლების დასაწყისში უზბეკეთში იყო გადასახლეული, ესეც იქ დაიბადა და **უზბეკიც** იმიტომ დაარქვესო. ამჟამად მოტივი გასაგებია, სახელმდებელი გარემოც ცოცხალია და სახელდებულის უშუალო შთამომავლობაც, მაგრამ მომავალში ემახსოვრება ეს ფაქტი ვინმეს? არადა **უზბეკის** ღორჯომის თემში პოვნიერება ერთი ქართული ოჯახის მძიმე ხვედრის ანარეკლია.

საყურადღებო მეტსახელები დასტურდება ქვემო მაჭახელში[18]. ამ ხეობაში შეხვდება კაცი **ბუდიონს, ზასტავას, პაბედას, ხლებსოლს, ჰაჯიას, ჩეთეს, ეპჭიას, ტორიწს, ბალკვატას, ჩიტს, ოტოს...პანტა აამედას, პაწა ხუსეინს, კუკუ უსეინს, გალიე[რ] დი მემედს, ტიპი ახმედას, ჩოლაყი ახმედას** და სხვებს.

ბუდიონი გასაგებია, მაგრამ რა იყო მიზეზი პიროვნებისათვის ეწოდებინათ **ზასტავა** (რუს. Застава - საგუშაგო, სადარაჯო. იხ. ლექსიკონი, 1993), **პაბედა** (შდრ. რუს. Победа - გამარჯვება, ძლევა... იხ. ლექსიკონი, 1993), **ხლებსოლი** (შდრ. ქართ. პურმარილი)... ძნელი გასაგებია. თუმცა ყოველი მეტსახელი რაღაცით მოტივირებულია.

მაჭახლელებს სოფელში რამდენიმე ახმედი ჰყოლიათ, ჰოდა, რომ გაერჩიათ ერთმანეთისაგან **კილი** გამოუყენებიათ: **პანტა აამედაᲘ**[19], **ტიპი ახმედაᲘ, ჩოლაყი**[20] **ახმედაᲘ**. მეტსახელით გაურჩევიათ ერთმანეთისაგან **პაწა ხუსეინი** და **კუკუ ხუსეინი,**

---

18. მაჭახლური მასალები მოგვაწოდა ბატონმა ზურაბ შაშიკაძემ. გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ მას.

19. **აამედაᲘ** – მაჭახლური გამოთქმაა. საკუთარ სახელში – **ახმედი** ხ' არ ისმის, სამაგიეროს წინამავალი ხმოვანი (ა) გრძლად გამოითქმის (სამაგიერო სიგრძე?). თუმცა **აამედის** გვერდით ახლა გვხვდება **ახმედიც**, ლიტერატურული გამოთქმის გავლენით.

20. **ჩოლაყი** – თ. çolak.ცალხელა, უხელო, ინვალიდი... (ნიჟარაძე, 1971).

ჭარიკაჲ მემედი და **გალიე[რ]დი მემედი**. როდესაც ერთი სახელი საკმარისი არაა პიროვნების აღსანიშნავად, ყოველი სოციუმი დამატებით სახელს იყენებს, მიმართავს ორწევრა აღნიშვნას, ზოგჯერ სამწევრასაც და მეტსაც.

ვნახოთ, რა მდგომარეობაა ჭოროხის სხვა ქვეყნებში და მუჰაჯირთა შთამომავლებთან.

,,ერთმანებ ვაჯაღინავთ, **ძეგლ** ვეტვით" (ჯივანა, კლარჯეთი).

გამოსაჯავრებლად, ,,გასაჯაღინებლად" მოუგონებენ მეტსახელს (ძეგლს) კლარჯები, საფუძვლად კი სხვადასხვა ნიშანს იყენებენ. ინფორმატორები ხშირად დამაჯერებლად განმარტავენ სახელდების მიზეზს:

ჲანდუხაჲ (ჯივანა) – ,,თმებს გეᲲზდიდა და **შპილკებს**[21] იკეთებდა, ᲲანდუხაᲲ დაარქვეს" .

ბეტონშაბანი (ჯივანა) – ,,თამაშობიხან წააქცევდენ, ურტყემდენ, არაფერს იტყოდა, **ბეტონშაბანი** დაარქვეს".

ჭიბონაჲ (||ჭიბონი) (ჯივანა) – ,,ჭიბონს, ყავარს უკრევდა, ჭიბონაᲲ დაარქვეს".

შმუვლაჲ (ჯივანა) – **,,შმუოდა,** ხნეშოდა, **შმუვლა**Ჲ დაარქვეს".

ფომფა (ჯივანა) – ,,ნასოსი[22] აკაჩავებდა, **ფომფა**[23] დაარქვეს".

ბურძღელაᲲ (ჯივანა) – ,,არ დეᲲბარცხნიდა თმებ, **ბურძღელა**Ჲ იყო". შდრ. ბურძღლა.

თენექე (ჯივანა) – ,,ბევრი ლაპარიკვა ქონდა, ერახუნებოდა, **თენექე** ეტყოდენ". შდრ. თ. Teneke თუნუქი, თუნუქის ჭურჭელი ნავთის ჩასასხმელად, სანავთე (ნიჟარაძე, 1971). ქვემოაჭარაშიც იტყვიან უაზროდ მოლაპარაკეზე, ,,ერახუნება თენექასავეთო".

ლასტიკი (ჯივანა) – აბეს (უფროს ძმას – ავტ.) გამეევეტირებოდი და ლასტიკი (რეზინის კალოში – ნიჟარაძე, 1971) დემეკარქებოდა, **ლასტიკი** დამარქვეს".

საშხაპუნაᲲ (ჯივანა) – ,,ბევრჯელ ტან იბანდა, **საშხაპუნა**Ჲ იყო". შდრ. **საშხაპუნა** – საიდანაც შხაპი, შხეფი მოდის. ,,საშხა-

---

21. **შპილკა** – შდრ. რუს. Шпилка 1. სარჭი, თმის ჩხირი. 2. სპეც. სარჭი. გად. კბენა, გესლიანი სიტყვების თქმა (ლექსიკონი, 1993). ყურადსაღებია რუსული სიტყვის პოვნიერება ჯივანელთა მეტყველებაში.

22. **ნასოსი** შდრ. რუს. Насос - ტუმბო (ლექსიკონი, 1993).

23. **ფომფა** შდრ. რუს. Помпа - ტუმბო (ლექსიკონი, 1993).

პუნაᲘ – გულამოღებული დიდგულას ღერო, რომლითაც ბავშვები წყალს შეაშხეფებენ ერთმანეთს ან ხელთოფას მსგავსად გაისვრიან; თოფ–თოფელა“ (ნიჟარაძე, 1971).

გაფინქულაᲘ (ჯივანა) – „ხმელი კაცი იყო და იმიტომ უძახდენ“. **გაფინქულთან** ხმელს რა აქვს საერთო ძნელი სათქმელია, **გაფიჩხულს** ხომ არ გულისხმობენ?

კომუნისტი (არხვა) – წესიერ, კანონმორჩილ კაცზე იტყვიან კლარჯები. ჩანს მაღალი წარმოდგენისა არიან კომუნისტებსა და კომუნიზმზე ძველი კლარჯების ჩამომავლები.

ბურვაკი (გურბინი) – „მე ამ სოფლის **ბურვაკი** ვარა“ – გვითხრა ნეჯათ პავლაძემ სიამაყით. ბუნებრივია, გურბინელთათვის ბურვაკის მნიშვნელობა უცნობია, უცნობია იგი „გურბინის ბურვაკისთვისაც“, თორემ არ იამაყებდა მეტსახელით: ღორი ხომ უწმინდური ცხოველია მუსულმანურ სამყაროში? ბურვაკი „დიდი გოჭია“ საბას განმარტებით (ორბელიანი, 1949).

ბურვაკს (გოჭსაც) ქვემოაჭარაში მსუქან ბავშვზეც იტყვიან.

კონწოლი, ჩენგელი, ფოქერი, ლაფერი, ფოთაᲘ, შავი, ბალანაᲘ, ღლაფოᲘ, ბულუქბაში, ყიოᲘ, ყაფერაᲘ, ლეჩერი, ბურჯგელაᲘ, კუჭუჭი, ბოდგე (დოდგე – მანქანის მარკაა – მთქმელის განმარტება – ავტ.), **მუზიკაჯი**...

ჩვენს კითხვაზე:

„– რატომ დაარქვეს ეს ლაღაბები? რესპოდენტმა გვიპასუხა:

– მე რა ვიცი, დაარქვეს და... გევგონე, გითხარი!“

გაიგონა და გვითხრა! ამაზე შორს ჩვენი რესპოდენტის ცოდნა არ მიდის. აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა სახელდების ნიშანი იკარგება, დავიწყებას ეძლევა, როცა მეტსახელი პიროვნების სახელ–სიმბოლოდ იქცევა. მიუხედავად „დავიწყებისა“, ლაღაბის შერქმევის პრინციპებიდან გამომდინარე, შევეცადეთ ზოგიერთი მეტსახელის მნიშვნელობის გარკვევა:

კონწოლი – „ნაყოფით დახუნძლული შტო, კუნწულა“ (ნიჟარაძე, 1973). საბასთანაც დაახლოებით იგივე მნიშვნელობაა: წენგოთა და ხულთა ტევანი“ (ორბელიანი, 1949; შდრ. ჩუბინაშვილი, 1961; ჩუბინაშვილი, 1984). **კონწოლი** მტევანია ზოგადად. ქართულში ცნობილია ასევე სახელი **„კონძოლი“** – „დალალი

თმისა“ (ჩუბინაშვილი, 1984). ორივე სახელური ფუძე (კონწოლი, კონძოლი) ფონეტიკურად ერთი ოდენობაა (ძ:წ მონაცვლეობა). ვფიქრობთ, მეტსახელი **კონწოლი<კონძოლი**'საგან. შესაძლებელია, გრძელი თმები ჰქონდა და ამის გამო უწოდეს **„კონწოლი“**. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენთან, ორთაბათუმში გამიგონია სიგელი „კონწოლი“ (<კონსული). ნაკლებმოსალოდნელია, ისტორიულ კლარჯეთში იცოდნენ „კონსული“ და მეტსახელად დაარქვან ვინმეს.

ლაფერი – **ლაფერით** თამაში უყვარდა ალბათ და **ლაფერი** დაარქვეს. **ლაფერი** კიდევ „პატარა, ხის ბრტყელი ნიჩაბია, რომელსაც იყენებენ კარაქის ასაღებად“ (ნიჟარაძე, 1971), „ბრტყელი კოვზი“ (ორბელიანი, 1949)...

შავი, ბალანაᲘ – გარეგნული ნიშნებით შერქმეული მეტსახელებია.

ფოთე – მოშუებულია საბას განმარტებით (ორბელიანი, 1949). იგივეა, რაც აჭარული **ფოთვი**: „სუსტად, თავისუფლად შეკრული: ქამარი **ფოთვად** შემეᲘრტყი და არ გეტკინება წელი“ (ნოღაიდელი, 2015). **ფოთე** იგივეა, რაც **ფოთვე** (ამ უკანასკნელში ვ შემდეგაა განვითარებული). მეტსახელიც ამ მნიშვნელობას უნდა უკავშირდებოდეს: შარვალი **ფოთე** ჰქონდა, უვარდებოდა და ამიტომ დაარქვეს **ფოთე** (შდრ. ძვ. ქართ. მოფოლხუება, მოფოლხუებაᲘ – მოდუნება, მოშუება (აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001. ვრცლად იხ. ცინცაძე, ფალავა, 1998).

ლეჩერი – თურქულია, „ხილისაგან მოდულებული ტკბილი წვენი“ (ბაქმაზივით); მასში ჩახარშულია მსხლის ან წაბლა ხაპის (თეთრი გოგრა) ნაჭრები“ (ნიჟარაძე, 1971; შდრ. ნოღაიდელი, 2015). ლეჩერი მურაბაცაა მუჰაჯირთა მეტყველებაში (ფუტკარაძე, 1993). ტკბილმოუბარი კაცი იყო და **ლეჩერიც** იმიტომ დაარქვეს ალბათ. ცნობისათვის: აჭარაში **ლეჩერაᲘ** – საწყალი, უქნარა ადამიანია (ნოღაიდელი, 2015).

ბურჯგელაᲘ – ბურჯგალი წაბლის ეკლებიანი კანია აჭარულში (ნოღაიდელი, 2015). **ბურჯგალი>ბურჯგელ**'ს ბათუმურში და ზოგადად სამხრულ მეტყველებაში. **ბურჯგელაᲘ** ბურჯგალივით აჩეჩილი თმის გამო შეარქვეს ალბათ.

კუჭეჭი – მოფუსფუსე, მშრომელ, საქმეს გადაყოლილ კაცზე იტყვიან (შდრ. ნიჟარაძე, 1971). ამ თვისებების გამო შეურქმევიათ ისკებელი კლარჯისთვის აღნიშნული ლაღაბი (შდრ. ქართლური **მუჭუჭი.** ღლონტი, 1984)

ჭანი – ისკებში (კლარჯეთი) ერთ კაცს **ჭანს** ეძახდნენ. „ჩქარი იყო, აფუჭებდა" – განმარტა მთხრობელმა. ბუნებრივია, ეს განმარტება არაა საკმარისი მიზეზი, არც მთლად დამაჯერებელი: თუ ჩქარი იყო და სიჩქარეში აფუჭებდა რაღაცას, **ჭანი** რაღა შუაშია?

ჭანი მეტსახელად აჭარაშიც გვხვდება (ნიჟარაძე, 1971). აჭარულში **ჭანის** ძირითადი სემაა „დაუკოდავი ხარი" (ნიჟარაძე, 1971). მის საპირისპიროდ არსებობს **„ჭანკოდილი"** „წყვილგამოსხმული, დაკოდილი" (ნიჟარაძე, 1971) შდრ. 1. სუსტი მოზვერი, ცვედანი; 2. ცუდად დაწმენდილი, დაყვერული (ნოღაიდელი, 2015). შდრ. მთიულური **დაჭანებული** (კაიშაური, 1967). **ჭან**'ში იგივე ძირი ჩანს, რაც **ჭანჭ**–ალ'ში და ამ ფუძეს არაფერი აქვს საერთო ეთნონიმ **ჭან**'თან.

ჭანი – ლაღაბი სუსტის, ცვედანის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

მუზიკაჯი – მუსიკოსი, აქ აკორდეონზე დამკვრელი: „აკორდიონზე დაკრა უყვარდა, მაგრამ ვერ აფერავდა". რომ „ვერ აფერავდა", იმიტომაც დაარქვეს „მუზიკაჯი".

მეტსახელებს არქმევდნენ მუჰაჯირად წასულები, ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში გადასახლებულები. მშობლიურ გარემოს მოშორებულები ინახავდნენ წინაპართა სამშობლოს ტრადიციებს, მათ შორის მეტსახელითაც მოიხსენებდნენ ერთმანეთს: კონკრეტულ სიტუაციაში პიროვნების მოქმედება, მისი გარეგნული ნიშანი, ხასიათი, ფიზიკური მდგომარეობა... ხდებოდა ლაღაბის მოგონების საფუძველი. მეტსახელით სახელდების მიზანი კარგად ჩანს მუჰაჯირთა შთამომავალთან ერთ მოკლე დიალოგში:

„– ლაღაბს რატომ მუუგონებდენ?

– გაგულიანდებოდა კაცი, ლაყაბ ეტყოდი" (მუჰაჯირი, 2016:376).

გადასახლებულები ახალ სამშობლოში ძველი ტრადიციით არქმევდნენ ერთმანეთს: **ბეშავლი, შავმურაჲ, ყარაღები, გოლომანაჲ, თავდიდაჲ, მენჯურაჲ, ფერუხაჲ**...

ჯუმურიეში ძველმა ხატილელებმა ჩვენთან მოსაუბრის გასაგონად გვითხრეს:

,,– აᲂ **ქალამანაჲ**ა!

– რატომაა **ქალამანაჲ**?

– ქალის სოფელში მოვდა, **ქალამანა**ᲂ ეტყვიან!"(მუჰაჯირი, 2013:413).

ქალამანაჲ ზესიძეს უწოდეს, ცარიელ–ტარიელი მოვიდაო ქალამნების ამარა, იმის თქმა სურდათ ხუმრობით სახელმდებლებს.

კოჩბაირში მემედ შირინოღლისაგან ჩავიწერეთ:

,,– ლაღაბებს არ დუუძახებთ ერთმანეთს?

– მე ამას **დათვი** ვუძახი, ამას – **ღორი,** ჩვენა **ფანთოლა**ᲂ გვიძახიან, **ფაფული, ხოჯისანი, სარალი, შაბანალი...** ფანთოლი **ჩავარდება** ჩემ დედესა, **ფანთოლა**ᲂ უთქმიან" (მუჰაჯირი, 2016: 409).

ფანთოლი – შარვალია, **ფანთოლა**ᲂ – შარვლიანი უნდა იყოს, მაგრამ მეტსახელის სახელმდებელი სულ სხვა ნიშანს მიაქცევს ყურადღებას: ,,ფანთოლი რომ ჩავარდება" კაცს, იმიტომ უწოდეს **ფანთოლა**ᲂ.

ყორღანელი ჩურუქსუელები აგრძელებენ ქობულეთურ ტრადიციას: ,,ყაშმერობით" სიგელებს არქმევენ და ,,აჯაღინებენ", აჯავრებენ ერთმანეთს. ყორღანში შეხვდებით **სარი აჰმედს, თოფალ ხუსეინს, ჭატაჲ ჯემალას, ხოხოლ ჯემალას**... (მუჰაჯირი, 2016:109).

სოფელში ორი ჯემალია (შეიძლება მეტიც), ხომ უნდა გაარჩიონ ერთმანეთისაგან? ამიტომაც მოუგონეს მეტსახელები: ერთს **ჭატაჲ** (ვისაც ყურის ნიჟარა პატარა აქვს. შდრ. ჭატაᲂ – 1. მოკლეყურა, ყურებშეჭრილი ცხვრის ან თხის მეტსახელი... (ნიჟარაძე, 1971) შეარქვეს, მეორეს – **ხოხოლი** (მაღალ კაცზე იტყვიან, უშნოდ ტანაყრილზე. შდრ. აჭ. **ხოხოლაჲ**. ნოღაიდელი, 2015).

კოხაჲ, დიმითრიე, მალაყი, დათვი... ჩამოგვითვალეს თანასოფლელთა მეტსახელები ნუსრეთიელმა კლარჯებმა.

„დათვი“ და **„დიმითრიე“** ცნობილია მათთვის, **კოხა**'სა და **მალაყ**'ის მნიშვნელობა აქ არავინ იცის, მეტსახელმა შემოინახა ისინი.

კოხა'ს ბათუმურ აჭარულში ეძახიან კეცის ნატეხს ან კრამიტს, რომელსაც გაახურებენ, შეზავებულ ქაფშიას/ხამსას ან თევზს დააკრავენ, მიაფიცხებენ ცეცხლზე და ისე წვავენ.

კოხს სინოყივრეს მოკლებულ, გამოფიტულ მიწასაც უწოდებენ აჭარაში (ტოპონიმიცაა კოხი ქობულეთში, საკოხია – მაჭახელში – ავტ.) (შდრ. ნიჟარაძე, 1971).

„გამოფიტული კაცის“ მეტსახელი უნდა იყოს **კოხა**ი.

სხვა ლაღაბებიც ჩავიწერეთ სხვადასხვა დროს მუჰაჯირთა სოფლებში ადამიანის ფიზიკურ თვისებებზე რომ მიუთითებს: **გალი, მოკლე, შავი, თეთრი, ბაჯახსუზი, წაკვაი, ტაკვეცი, ბოქშვაი, კვირითავაი, დოლაი, ბუძგაი, ხორომჯი, ჭინკალაი...** დასახელებულ ზოგიერთ სახელურ ფუძეზე შეიძლება გარკვეული კომენტარის გაკეთება:

გალი (<გალა?) – ღია: **გალა** ფერი – ღია ფერი (ნიჟარაძე, 1971). თუ ფერთანაა კავშირში მეტსახელი, მაშინ სახელდების მოტივი გასაგებია.

ბაჯახსუზი – ტანდაბალ კაცზე იტყვიან, თუმცა უფეხოსაც ნიშნავს.

ტაკვეცი – ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. კომბლის მსგავსი კეტი, რომლის ცემით ფშვნიან ტარიდან სიმინდს. 2. გად. მაგარი აღნაგობის ტანდაბალი ადამიანის აღმნიშვნელი (ფუტკარაძე, 1993:573; შდრ. ნიჟარაძე, 1971). მეტსახელი **ტაკვეცის** მეორე, გადატანით მნიშვნელობას უკავშირდება.

ბოქშვაი – მსხლის ჯიშია, რომელიც ასე ხასიათდება: „ნაყოფი მსხვილი, მომრგვალო ფორმისაა. კანი მკვრივი და ოდნავ უხეშია, ძირითადად მწვანე ფერისაა, მზის მხარეზე კი მოწითალო ფერი დაჰკრავს, სრულ სიმწიფეში კი – მოყვითალო ფერი“ (ნიჟარაძე, 1971). გად. ბოქშვას ეტყვიან **დიდთავა** მამაკაცს.

დოლიაი – ურქო პირუტყვი (ფუტკარაძე, 1993). შდრ. საბა „რქამოკლე“ (ორბელიანი, 1949). **ურქო** პირუტყვს ბათუმურ აჭარულში **დოლას** ეძახიან. მეტსახელად **დოლას//დოლიას** „რქებდადგმულ“ მამაკაცს ეტყვიან.

ბუძგაი – ვისაც ბუძგივით თმა აქვს. შდრ. **ბუძგი//ბუზგი** – დაბალი ჩირგვი, ბუჩქი (ფუტკარაძე, 1993).

ხორომჯი – ხორომის (<ხორუმის) მოცეკვავე. იტყვიან კაცზე, ვისაც ხორომის ცეკვა უყვარს, მაგრამ ვერ ახერხებს (შდრ. მუზიკაჯი).

ჭინკალაი – მეტსახელის ფუძეში გამოყენებულია **ჭინკა** (ავი სული, მავნე. ქეგლ): **ჭინკალა<ჭინკა–ალა** (–**ალ**ა სუფიქსის შესახებ იხ. ჯორბენაძე...1988:29).

პიროვნების ორწევრა აღნიშვნის მიზნითაც იყენებენ ხოლმე ლაღაბს. კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებთან შეხვდებით: **ქვაბი იბრაიმაი, კაკაბერაი ომერაი, ჰოპამამის ომერაი, ლენგერაი ჰასანაი, გოშპაროლლი ჰასანაი, დევეჯი ჰასანაი, იუსუფ ონბაში, გორ უსუფაი, მოლა სულეიმანაი, დელი ხოჯა...**

ზოგიერთ ლაღაბს განმარტებაც მოაყოლეს მთხრობელებმა:

,,ბაღნობაში ქვაბით უთამაშია, **ქვაბი იბრაიმა**ი უთქმიან (მუჰაჯირი, 2016:159).

ზავერ ხოჯა – ,,ყური (აქ: სმენა – ავტ.) აკლიაო" – განმარტა მთხრობელმა.

* * *

ქართულ კულტურაში მეტსახელის აღსანიშნავად უხმარიათ ტერმინები: **თიკუნი**, **მეტსახელი, ლაღაბი//ლაღუბი//ლაყაბი// ლაყუბი, კილი, სიგელი**. შესაძლოა, რომელიმე კუთხეში სხვა სახელიც გამოიყენებოდეს, ჩვენთვის ჯერაც უცნობი.

მეტსახელის შერქმევის ტრადიცია ჩანს მსოფლიოს მრავალ კულტურაში, იგი ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა. უმრავლეს შემთხვევაში საერთოა სახელდების პრინციპებიც. თუ ადამიანის საკუთარი სახელი ნებისმიერია, მეტსახელი გარკვეული ნიშნითაა შერქმეული.

ქართულ კულტურაში მეტსახელი რამდენიმე ნიშნით გამოუყენებიათ, მათგან გამოკვეთილია:

ა. მეტსახელის შერქმევა პიროვნების გამოსაჯავრებლად;

ბ. მეტსახელის შერქმევა პიროვნების ორწევრა აღნიშვნისათვის.

ხდება ისეც, რომ გამოსაჯავრებლად შერქმეული მეტსახელი გამოუყენებიათ პიროვნების ორწევრა აღნიშვნისათვის.

მეტსახელით სახელდებისას გაუთვალისწინებიათ სხვადასხვა ნიშანი: პიროვნების ფიზიკური მდგომარეობა, წარმომავლობა, ხასიათი და სხვა მრავალი. მეტსახელში ჩადებულია სახელმდებლის იუმორის გრძნობა, სარკაზმი, დამოკიდებულება სახელდებულისადმი, ფსიქოლოგიური მდგომარეობა...

გამოყენებული ლიტერატურა და შემოკლებანი:

ამირანდ. – მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა ლილი ათანელაშვილმა, თბ. 1969. **არაბ.** – არაბული; **აჭ** – აჭარული კილო. **გად.** – გადატანით; **დიალ.** – დიალექტური; **ვიწ.** – ვიწური კილოკავი; **თ.** – თურქული ენა; **ორთაბ.** – ორთაბათუმი, თემი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში; **სპ.** – სპარსული; **ჩიხ.** – ჩიხისხევი, სოფ. იმერხევში, ისტორიულ შავშეთში; **ჭ** – ჭევსურული; **ქ.ცხ** I – ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ. 1955; **ქ.ცხ** II – ქართლის ცხოვრება, II, თბ. 1959;

ქ.ცხ. IV– ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1973; **ქისკ** – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ. 1984; **ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად. ტ. 1–8, თბ. 1950–1964, თბ.

აბულაძე, 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ.

ალავიძე, 1941 – მიხეილ ალავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი. ქპი შრომები, II, ქუთაისი.

ბერიძე, 1981 – გრიგოლ ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ.

თანდილავა, 2013 – ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ.

თოფურია, 1959 – ვარლამ თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის. ქესს, 1, თბ.

თოფურია, ქალდანი, 2000 – ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ.

თურქული, 2001 – თურქულ–ქართული ლექსიკონი, ლია ჩლაიძის რედაქციით, თბ.

კაიშაური, 1967– ლია კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ.

მუჰაჯირი, 2016 – მამია ფაღავა, მუჰაჯირთა შთამომავლებთან, თბ.

მაისურაძე, 1990 – ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ.

ნიჟარაძე, 1971 – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. ბათუმი.

ნოღაიდელი, 2015 – ჯემალ ნოღაიდელი, აჭარული კილოს სალექსიკონო მასალალები, ბათუმი.

ორბელიანი, 1949 – სულხნ–საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ.

რუსული... 1993 – რუსულ–ქართული ლექსიკონი, თბ.

სარჯველაძე, 2001 – ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თ.

ფაღავა 2011(1) – მამია ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბ.

ფაღავა...**2016** – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, **კლარჯეთი**, თბ.

ფაღავა, 2016(1) – მამია ფაღავა, მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ბათუმი.

ფაღავა, 2014 – მამია ფაღავა, გვარ–სახელები კლარჯეთიდან. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, VIII, ბათუმი.

ფაღავა... **2011** – მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, **შავშეთი**, თბ.

ფაღავა, 2015 – მამია ფაღავა, ოდენსუფიქსური წარმოება კლარჯეთის ტოპონიმიაში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი.

ფაღავა, 2017 – მამია ფაღავა, კლარჯული ჩანაწერები, თბ.

ფუტკარაძე, 1993 – შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

ქაჯაია, 2002 – ოთარ ქაჯაია, მეგრულ–ქართული ლექსიკონი, ტ. 1–3, თბ.

ღლონტი, 1984 – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო–თქმათა სიტყვის კონა, თბ.

შანიძე, 1984 – აკაკი შანიძე, ქართული კილოები მთაში. თხზ. 12 ტომად, ტ. 1, თბ.

ჩუბინაშვილი, 1961 – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ.

ჩუბინაშვილი, 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ–რუსული ლექსიკონი, თბ.

ქავთარაძე, 1964 – ივანე ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს, I, თბ.

ქავთარაძე, 1985 – ივანე ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ.

ცინცაძე, ფალავა, 1998 – მერი ცინცაძე, მამია ფალავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), ბათუმი.

ღამბაშიძე, 1988 – როგნედა ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ.

ძიძიგური, 1940 – შოთა ძიძიგური, კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართულის მესამე პირის სუბიექტური პრეფიქსის პრობლემასთან დაკავშირებით. ენიმკის მოამბე, V-VI, თბ.

ჯორბენაძე...1988 – ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ.

Mamia Phaghava

Nicknames from Chorokhi Ravine

(Summary)

In the Georgian culture the terms: Tikuni,Nickname, Laghabi//Laghubi//Lakabi//, Kili, Sigeliwere used as the synonyms of the word "nickname". Perhaps there were other words in some parts of Georgia, but we do not know them yet.

Giving the nicknames to the people is an old tradition in many cultures of the world. It is the world phenomenon. In most cases, the principles of giving the nicknames are common. If the name of the person could be anything, while giving the nickname is usually given considering some signs.

In the Georgian culture there were used several signs giving the nickname:

a. to tease the person;

b. to mention the person with two names.

There were cases when the nickname given to tease the person was used as the second name of the person.

While giving the nickname following features of the personwere considered: the physical condition, the origin, the character so on. In the nickname humor, sarcasm, attitude of the author of the nickname to the person, his psychological condition are expressed.

მაია ბარამიძე

პირდაპირი ნათქვამისა და ავტორისეული სიტყვების ურთიერთმიმართებისათვის ქართულში

პირდაპირი ნათქვამი სხვათა სიტყვის სახეობაა. სხვათა სიტყვად იწოდება ამა თუ იმ პირის გამონათქვამი, ნაფიქრ-ნააზრევი, რომელიც ჩართულია ავტორისეულ თხრობაში. მიუთითებენ მისი გადმოცემის ორ საშუალებაზე - პირდაპირსა და ირიბ ნათქვამზე, რომელთა აღსანიშნავად ზოგჯერ იყენებენ ,,პირდაპირ და ირიბ მიმართვას" ან ,,პირდაპირ და ირიბ მეტყველებას", მოყვანილ სიტყვებს" (ძიძიგური,1965:94-101; ძიძიგური, 1969: 204-206).

სხვათა სიტყვის ეს სახეები ასეა განმარტებული ქართული ენის სინტაქსის ამჟამად მოქმედ სახელმძღვანელოში: ,,თუ ვისიმე ნათქვამი (ან განაზრახი) მოლაპარაკისა თუ დამწერის მიერ სიტყვა-სიტყვით (ე.ი. უცვლელად) არის გამეორებული, ამას პირდაპირი ნათქვამი ჰქვია... თუ ვისიმე ნათქვამი (ან განაზრახი) ავტორის მიერ არ არის უცვლელად გამოყენებული, არამედ სხვისი ნათქვამის აზრია გადმოცემული თავისი თვალსაზრისით, ამას ირიბი ნათქვამი ჰქვია"(კვაჭაძე, 1988:255-456).

დამოწმებულ წინადადებათაგან დავასახელებთ ერთს: *,,როგორ მოგეწონა ეს ამბავი?" - ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ (ილია)*[24]. ამ პირდაპირი ნათქვამის შემცველი წინადადების გადაკეთებით მიღებული ირიბნათქვამიანი წინადადებაა: *როცა ოთახში შევიდნენ, არჩილმა ჰკითხა დას, თუ როგორ მოეწონა მას ეს ამბავი.*

• განსაზღვრა პირდაპირი ნათქვამისა, როგორც სხვისი ნათქვამის სიტყვასიტყვით, უცვლელად, ხოლო ირიბისა როგორც მისი შეცვლილი სახით გადმოცემისა, სრულად არ წარმოაჩენს სხვათა სიტყვის ამ ორი სახეობის ერთმანეთისაგან განსხვავებებს.

ნ.ჯიქია გვთავაზობს ასეთ განსაზღვრას: ,,ძირითადი თავისებურება პირდაპირი ნათქვამისა არის სხვისი ნათქვამის სიტყვა-სიტყვით, უცვლელად გადმოცემა, ნათქვამის შინაარსის,

24. მაგალითებს ვიმოწმებთ ლ. კვაჭაძის სახელმძღვანელოდან.

ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტიკური თავისებურებების შენარჩუნებით, ირიბი ნათქვამი სხვის ნათქვამს გადმოგვცემს არა სიტყვა-სიტყვით, არამედ შეცვლილი ფორმით შინაარსის შენარჩუნებით“ (ჯიქია, 1979:53-63).

• მთავარი განსხვავება სხვათა სიტყვის ამ ორ სახეობას შორის ისაა, რომ ირიბი ნათქვამის შემცველ წინადადებაში იგულისხმება ერთი პირი - ავტორი, პირდაპირნათქვამიან წინადადებაში კი - ორი პირი: ავტორი და მთქმელი.

ავტორად იწოდება პირი, რომელიც გადმოსცემს სხვის ნათქვამს, ხოლო მის წინადადებას, რომელიც ახლავს სხვის ნათქვამს, ჰქვია ავტორის სიტყვები, ავტორისეული თხრობა. ის პირი, რომლის ნათქვამიც გადმოიცემა, არის მთქმელი.

რუსულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ავტორისეულ სიტყვას უწოდებენ **в водящее предложение**, ქართულში „ჩამრთველ წინადადებასაც“ იყენებენ. ის თხრობაში რთავს პირდაპირ ნათქვამს.

• მხატვრულ ნაწარმოებში სხვისი ნათქვამის გადმომცემად ითვლება ის, ვინც მოგვითხრობს, სულერთია იქნება ის ნაწარმოების ავტორი თუ რომელიმე პერსონაჟი.

„ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა“ - უთხრა ქალს ოთარაანთ ქვრივმა ცოტა არ იყოს მწყრალად (ილია).

ამ წინადადებაში მთხრობელი არის ნაწარმოების ავტორი, მთქმელი - ოთარაანთ ქვრივი.

„ცეცხლი ყოფილა შენი გული“, - მითხრა პატარა ხანს უკან მღვდელმა (ილია).

ამ წინადადებაში ავტორიც და მთქმელიც არიან პერსონაჟები - გლახუკა (ამ შემთხვევაში ავტორი) გადმოგვცემს მეორე პერსონაჟის (მთქმელის) - მღვდლის ნათქვამს.

ავტორმა შეიძლება თავისი ნაფიქრი, ნააზრევი გადმოსცეს როგორც სხვისი - ამ შემთხვევაში ერთი და იგივე პირი ავტორიცაა და მთქმელიც:

ჩემი ღმერთი შენა ხარ! - დავუძახე მე აღტაცებულმა (ილია).

პეპიავ, კაცო, შენა ხარ? - გაოცებით შევყვირე საცოდავსა (ილია).

პირდაპირი ნათქვამისა და ავტორისეული სიტყვების ადგილი - რიგი თავისუფალია. ავტორისეული სიტყვები შეიძლება მოსდევდეს პირდაპირ ნათქვამს, უსწრებდეს ან ჩართული იყოს მასში:

ნუ იტყვი მაგას! - შეჰკივლა კესომ წყრომით და თვალები დაუბრიალა (ილია);

პატარა ხანს უკან ლუარსაბმა წამოიძახა: დარეჯან, აბა თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, ა იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის (ილია);

მზე სასწაულია, დაიწყო მან დუმილის შემდეგ. მზე სასწაულია, მაგრამ შენ არ გინახავს ნამდვილი მზე (ნ.დუმბაძე).

• პირდაპირი ნათქვამის შემცველი წინადადების სტრუქტურისათვის, მისი სინტაქსური ბუნებისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი ზმნით არის გადმოცემული ავტორისეული სიტყვების შემასმენელი. უმეტეს შემთხვევაში ასეთ შემასმენლად არის **მეტყველების, თქმის** ლექსიკური მნიშვნელობის ზმნები: ***თქვა, მოახსენა, განაცხადა, მისწერა, შეატყობინა, მოუთხრო, ახსნა, ამტკიცებდა, შთააგონებდა, ასწავლიდა, დაუწუნა*** (კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა მწკრივში, პირსა და რიცხვში).

დახე, სტირის! - სთქვა იქ მდგომელმა დედაკაცმა (ილია).

ქალაჩუნები რომ არიან, იმიტომაო, - იტყოდა ხოლმე თავისთვის (ილია).

მოითმინეთ, მამაო, - უთხრა მან ტერ-დავითს, - კათედრაზე არ ახვიდეთ, ის ახლავ გავა (კლდ.).

შეატყობინე, რომ ახლა იმ მოღალატეებს აქ მოვასწარი და ჯარები მოგვაშველოს (ყაზბ.).

• ხშირად ასეთ ზმნებს ახლავს **ემოციის, მთქმელის განწყობილების** გამომხატველი სიტყვებიც - მეტყველების აქტთან ერთად ყურადღება მახვილდება მის თანმხლებ ემოციურ ელფერზე.

მაგ ოხრიშვილმა რაღა ჩემს ხელში გამოიჩინა ქალობა! - სევდიანად ამბობდა ელენეზე გულმოსული ბეკინა (კლდ.).

აქ გახლავარ, აქ! - რაღაც მტრულად წარმოთქვა არისტომ (კლდ.).

ასეთ, ემოციის გამომხატველ სიტყვებად გვხვდება: **„სინანულით“, „დაცინვით“, „წყრომით“, „ნაღვლიანად“, „გახავრებით“, „გაცხარებით“, „ცივად“, „მწუხარებით“, „მკაცრად“, „ზიზღით“** და სხვ.

• გამოიყოფა ზმნები, რომლებიც მეტყველების თავისებურებებსაც გამოხატავენ.

მართალს ამბობს, კაცო! - თავ ზარდაცემულმა წაილულლულა (კლდ.).

ბიცოლა დაფინო მოვიდა - ტიტინებდა პატარა მაიკო (კლდ.).

• ზოგი ასეთი ზმნა აღნიშნავს ნათქვამის შინაარსის ხასიათს (საყვედურს, ნუგეშს, რჩევას, ახსნას...).

რაღა გიჭირს! - ანუგეშა ელგუჯამ (ყაზბ.).

ვაჟკაცს ვაჟკაცური სიტყვა ექნების! - მოუწონა ხანდოსხეველმა (ყაზბ.).

მაზრის უფროსი მაინც ყოფილიყო! - ინატრა ჯარის უფროსმა (ყაზბ.).

• ზოგი ზმნა აღნიშნავს მეტყველების პროცესს, წინა ნათქვამთან კავშირს, მეტყველების დაწყებას, დამთავრებას, შეწყვეტას:

მე ეს ოთხი თვეა, რომ ასე ვარ - დაიწყო კიდევ, - დამიგდო ავადმყოფობამ (ილია).

მაშ, მოჯამაგირედ იდგები, - დავუმატე მე (ილია).

ასეთი წინადადებები ჩათვლილია რთულ ქვეწყობილ წინადადებებად, რომლებიც შედგება მთავრისა და პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადადებებისაგან (ჯიქია, 1979:59).

რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში ასეთი წინადადებები უკავშირო რთულ თანწყობილ წინადადებად იწოდება (Кодухов, 1957:13).

პირდაპირი ნათქვამი შეიძლება **ქვემდებარული დამოკიდებული** წინადადება იყოს: *იქნებ აღარ ვუყვარვარ? - თავში გაუელვა ონისეს (ყაზბ.); თოფი გადმოუშვირა საფრად გაკეთებული კედლიდან და მოისმა: ვინაა მანდ, ვინ ჰკივის?(ყაზბ.).*

პირდაპირი ნათქვამი **უბრალო დამატებითი დამოკიდებული** წინადადებაა:

მართალს ამბობს, მართალს! - დასთნხმდნენ ყველანი (ყაზბ.).

თუ პირდაპირი ნათქვამი ავტორისეულ სიტყვას სახელით გადმოცემული წევრით უკავშირდება, მაშინ იგი **განსაზღვრებითი დამოკიდებული** წინადადებაა:

სიკვდილი არ კმარა, შე ცოდვიანო... შენ იმათი წვალება გინდა? - ამ სიტყვებით და მუქარით მიეშურებოდა მარტო(ყაზბ.).

,,მეფის ბრძანებას და სურვილს ვერ გადავალ... მარტო მე შევებმი რუსებს" - ამ პასუხით გაისტუმრა მან შუაკაცები (ყაზბ.).

• მრავლადაა ისეთი შემთხვევები, როცა ავტორისეულ სიტყვებში მხოლოდ მეტყველების პროცესის თანმხლები მოძრაობის გამომხატველი ზმნებია შემასმენლად:

სტუმარი ახტა-დახტა: ან ჩემი ქერის თავთავი მომეცით, ან ეგ მამალიო (ღლონტი, 1978:194);

რაო?! - თვალები დაუბრიალა უფროსმა, - დამთვრალხართ და მთიულები მოგჩვენებიათ (ყაზბ.);

აბა, სადაა? - გადმოხედა ელგუჯამ, - მართლა მთიული ყოფილა (ყაზბ.);

შენ, ვაჟბატონო, ბაზრობა რომ დამთავრდება, მაშინ წადი, - მიუბრუნდა ფეფენა ნიკას, - რას გაჩერებულხარ, წადი! (კლდ.);

აგრე, შენი კვნესამე, აგრე, - მღელვარებით მოეხვია აბდია, შენი ჭირიც დამილევია (ყაზბ.).

ასეთ შემთხვევებში აღნიშნული ზმნების გვერდით შეიძლება **„თქმის"** წრის რომელიმე ზმნაც დაემატოს, მაგრამ მნიშვნელობა აქვს **ავტორისეული სიტყვების ადგილს:** იგი უნდა უსწრებდეს პირდაპირ ნათქვამს ან ჩართული იყოს მასში. იცვლება წინადადების კონსტრუქციაც: იგი **რთული ქვეწყობილი ხდება:**

პირიმზისა მიუბრუნდა და უთხრა აბდუშაჰილს: მართლა ლამაზი უნდა იყოს (აკაკი).

თუ ავტორის თხრობა მოსდევს პირდაპირ ნათქვამს, მაშინ მეორე ზმნას ვერ დავუმატებთ:

შე კაცო, რა მოგივიდა, წამოვარდა ბესარიონი (კლდ.);

წადილა, წყაროდან წყალი მოიტანე! - მიუბრუნდა ელგუჯა მზალოს (ყაზბ.).

• ზემოაღნიშნული ზმნების გარდა ავტორისეულ ნათქვამში გვხვდება სხვა ზმნებიც:

გოჩავ! სცადეს_მოხუცის შეკავება, მაგრამ პირგამეხებული ხევისბერი ცეცხლებს ყრიდა თვალთაგან (ყაზბ.);

შენ არ მომიკვდე, მე დარჩენა რ შემეძლოს, ეხლავე უნდა წავიდე, - გაიწია პლატონი (კლდ.).

შვილო, შვილო! - და ზედ გაეკრა (ყაზბ.);

ჰაი, ჰაი, რომ სურს! რაღა კითხვა უნდა? თუ არ სდომოდა, აქ რაღად მოვიდოდა? - ართმევდნენ ერთმანეთს სიტყვას, მაგრამ ძიძია კი ჩუმად იყო (ყაზბ.);

აი, შენი ხენცელაის მადლი კი გამიწყრეს! - დაცინვით გაიკამათა მოხევემ (ყაზბ.);

რაისთვის, რაისთვის? - შეტევით მისწვდნენ ქალები (ყაზბ.);

სად მიხვალ? - იქავ შეაყენა ვილაცის ხმამ (ყაზბ.).

ასეთი წინადადებები უახლოვდება რთულ თანწყობილ წინადადებებს.

• სხვათა სიტყვა, მისი განსაზღვრა იმთავითვე გულისხმობს ავტორის სიტყვებს. პირდაპირი ან ირიბი ნათქვამი მხოლოდ ავტორის თხრობასთან მიმართებაში გამოიყოფა.

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ავტორისეული სიტყვები პირდაპირ ნათქვამთან არ არის ჩათვლილი აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. ქართული ენის სინტაქსის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: ,,პირდაპირი ნათქვამი ხშირად დიალოგის სახით არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში პირდაპირ ნათქვამს შეიძლება არ ახლდეს ავტორის სიტყვები, როგორც ეს გვაქვს, მაგალითად დრამატულ თხზულებაში (და რამდენადმე სხვა ტიპის ნაწარმოებებში)"(კვაჭაძე,1988:457). პირდაპირი ნათქვამის ერთ-ერთ გავრცელებულ სახედ მიაჩნია დიალოგი ნ.ჯიქიასაც: ,,პირდაპირი ნათქვამის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა დიალოგი, ...რომელიც ხშირად კითხვა-მიგების სახითაა წარმოდგენილი, დიალოგში პირდაპირ ნათქვამს ყოველთვის არ ახლავს ავტორის სიტყვა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნულოვან ჩამრთველთან"(ჯიქია, 1979:60).

ჩვენი მხრით, აღვნიშნავთ, რომ გრამატიკული სხვაობა პირდაპირსა და ირიბ ნათქვამებს შორის სწორედ ავტორისეული თხრობისა და სხვათა სიტყვის შემცველ წინადადებათა შეკავშირების წესებში მდგომარეობს. ცალკე აღებული, პირდაპირ ნათქვამად მიჩნეული წინადადება უკვე აღარ არის პირდაპირი ნათქვამი - სხვათა სიტყვა. მართალია, პირდაპირი ნათქვამი და ავტორისეული სიტყვები დამოუკიდებელი სინტაქსური ერ-

თეულებია, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა შედარებითია, არა ისეთი როგორიც უკავშირო თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორისაა, როგორიც მაგალითად:

მთის მაღლა წვერები დაითოვლა,(1) ნიავი თანდათან საგრძნობელი შეიქმნა,(2) ჩაყვითლებულ-ჩაშავებული ფოთოლი კვნესით ჰშორდებოდა მასაზრდოებელ რტოს (ღლონტი, 1978:137);

ამინდი თანდათან უარესდება,(1) ქარიშხალი ძლიერდება,(2) მინა ძაგძაგებს(3);

ილარიონის ეზოში ჩავედი,(1) აივანზე დაყრილ საჩირე ვაშლს მზე სისხლს უშრობდა,(2) ილარიონი ეზოში წამოწოლილიყო და ერთი კვირის გაზეთს დიდი გულმოდგინებით კითხულობდა(3).

ამ წინადადებათა ნაწილები უფრო მეტი დამოუკიდებლობით ხასიათდება, ვიდრე პირდაპირი ნათქვამის შემცველი რთული წინადადების ნაწილები, ეს კარგად ჩანს **თქმის, მეტყველების** ლექსიკური მნიშვნელობის ზმნებთან, რომლებიც ავტორისეულ წინადადებაშია. ასეთი წინადადების ნაწილებს აერთიანებს არა მარტო ინტონაცია, არამედ ავტორისეული სიტყვების აღნიშნული ზმნებიც. ავტორისეული სიტყვები არ წარმოადგენს დამოუკიდებელ წინადადებებს, იგი რთული წინადადების ნაწილია. ასევე პირდაპირი ნათქვამიც არის რთული წინადადების ნაწილი.

ამიტომ არ მიგვაჩნია მართებულად მათი გათიშვა და ცალ-ცალკე სხვადასხვა სახის წინადადების ნიმუშებად წარმოდგენა.

ასე მაგალითად: მაპირისპირებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადების ნიმუშად დამოწმებულია ადგილი ვაჟას მოთხრობიდან („ამოდის, ნათდება“): *ღმუთუნებდა ტოტია და ულრენდა კბილს ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ იმის ღრენა ვის შეაშინებდა?!*

ეს არის ავტორისეული წინადადება, რომელიც წარმოადგენს პირდაპირი ნათქვამის შემცველი რთული წინადადების ნაწილს. მას უძღვის პირდაპირი ნათქვამი - ტოტიას სიტყვები (რასაც ღმუთუნებდა ტოტია): *ბიჭო, ჭკვიანად! რას სჩადით, თქვე ბრიყვებო!*

ასეთივეა „ქართულ წინადადებაში“: *თქვა ილიკომ და ისე გადმოხედა, ჩემი თავი შემეცოდა“(ღლონტი, 1978:194).* ეს ავტო-

რისეული სიტყვები ნ.დუმბაძის მოთხრობაში მოსდევს პირდაპირ ნათქვამს (რაც თქვა ილიკომ): *„მაგას კი ეშველება, ხმადაბლა წაიკითხავს კაცი, მაგრამ ამას რა ეშველება?!“*

დამოწმებულია მხოლოდ პირდაპირი ნათქვამი: *„ცხრაკარი მთლად მიტოვებულია, ბატონო: წყალსადენი გატეხილი, აუზი ღორღით ავსილი, ქვევრები პირღია“*. ამ პირდაპირ ნათქვამს უძღვის ავტორის სიტყვები, რომელთა ბოლოს არის ორწერტილი: *წარდგა მწირი ალავერდელი წინ და მოახსენა.*

ანალოგიურია შემდეგი მაგალითები, მოყვანილია მხოლოდ სხვათა სიტყვა - პირდაპირი ნათქვამი:

თუ ტყული გამოდგეს, დამსმენს თავი გააგდებინე (კვაჭაძე,1988:409). ამ პირდაპირ ნათქვამს ვ.ბარნოვის მოთხრობაში მოსდევს: *ბრძანა შაჰმა და ისევ ჩაფიქრდა.*

ასეთივეა: *ვაი, თუ მაგისი გარეგანი სიწყნარე შავი დღის მომასწავებელი იყოს ჩვენთვის“*. ამ პირდაპირ ნათქვამს ტექსტში მოსდევს ავტორისეული სიტყვა: *სთქვა ბაბუცას დედამ და მიეცა საგონებელს ლოდივით მძიმეს (ბარნოვი, 370).*

პირდაპირი ნათქვამისა და ავტორისეული სიტყვების ურთიერთობა მეტად მრავალფეროვანია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ავტორის ნათქვამში გამოყენებული ჩამრთველი სიტყვები, პირდაპირი ნათქვამის ადგილი.

დამოწმებული ლიტერატურა

კვაჭაძე, 1988: კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

ღლონტი, 1978: ღლონტი ალ.; ქართული წინადადება, თბილისი.

ძიძიგური, 1965: ძიძიგური შ., ირიბი მეტყველების დასაცავად, ცისკარი, 1965, 7, თბილისი.

ძიძიგური, 1969: ძიძიგური შ., კავშირები ქართულ ენაში, თბილისი.

ჯიქია, 1979: ჯიქია ნ., სხვათა სიტყვა ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1979, 3, თბილისი.

Кодухов, 1957: Кодухов, Прямая и косвенная речь в современном русском языке, Москва.

Maia Baramidze

On the relationship of direct speech and author's words in Georgian

(Summary)

The present paper deals with one kind of the other people's speech- the issue of the relationship of direct speech and author's words in Georgian.

"The speech that belongs to another person and is included in the author's speech or record, is called the other people's speech or the other people's statement. The other people's speech can be of two types: direct and indirect" (L. Kvachadze).

Direct speech is such kind of the other people's speech that is used unchangeably and directly by an author. An author is a person, who reports another person's speech or thoughts, but an author's sentence that follows another person's speech is called author's words , author's context or speech.

In a literary work the person reporting the other person's speech, it doesn't matter whether he is an author or a character of a novel, is considered to be an author. For instance: „gleħebi rom dainaħavdnen otʰaraantʰ kʰvrivs, it'q'odnen: c'amovida meħi da vai imas, visac daecemao"(Ilia) (when peasants saw the widow of Otaraant, they would say: the lightning flashed and who is that poor man who would be struck by it). In this sentence the person who reports the other person's speech is an author of the story but the speakers here are –peasants. The following sentence is a bit different: „ramdeni ħani viq'avi magastʰan, - mitʰħra glaħuk'am, mǧvdeli rom c'avida da magistʰanebi čem dǧeši čemtʰan ar utʰkʰvams"(Ilia) (How long I have been with him,- said Glakhuka when the priest left and the things like that he has never said to me). Here the author is the character- Gabriel as well, who reports another character's, speaker's- Glakhuka's speech.

One and the same person can be an author and a speaker: „bedma ikʰamdin mimiq'vana-metʰ kʰi, vambobdi gulši, - rom k'acic unda momak'vlevinos"(Ilia)(the fate has driven me to the point – I said- I would say to myself- that I would be made to kill a man). According

to the sentence the character of the story- Gabriel is an author, who deals with his thought as the other person's speech.

Author's words are not considered as essential elements used with direct speech in the special literature. "Direct speech is often given in the form of a dialogue. In this case direct speech might not be followed by author's words that we have in dramatic stories(and in some other kinds of stories as well) " (L. Kvachadze).

N. Kajaia also believes that a dialogue is the most widespread form of direct speech. "Direct speech is not always followed by author's words in a dialogue".

We would like to highlight that "Direct speech" taken separately is not direct speech but it turns to- the other people's speech. It becomes an independent syntactic unit, a separate sentence. A dialogue without author's words cannot be direct speech.

The difference between direct and indirect speech is in the rules connecting author's words and the other people's speech. The other people's speech definitely involves author's words. Direct speech and indirect speech are identified in relationship with the latter. The fact that the other people's speech is another people's speech means that it is reported by someone and it has its author. Another person's speech should be reported by someone.

When defining the meanings of direct speech and indirect speech the features of the other people's speech (direct speech in this case) are highlighted. Direct speech and indirect speech are also distinguished in the other languages. In the academic Russian grammar we can find: "The other people's speech is the speech of a speaker, himself, if it is followed by a comment". This comment is particularly about author's speech.

Overall, direct speech is definitely followed by author's words; it could exist only in connection with them.

მაია კიკვაძე

მუჰაჯირ ქართველთა ტრადიციებში ასახული ენობრივი ფორმები

ისტორიულმა ბედუკუღმართობამ ბევრი ქართველი მუჰაჯირად აქცია. სამშობლოდაკარგულ მუჰაჯირთა შთამომავლები დღეს ცხოვრობენ თურქეთის სხვადასხვა რეგიონში, დიდ ქალაქებსა თუ სოფლებში. დრო-ჟამის გამო მათ ირგვლივ უამრავი რამ განადგურდა. დაინგრა ძირძველი ქართული კულტურის ძეგლები, დაიკარგა ძველი ქართული ტრადიციები.

უცხო გარემოში მოხვედრამ ბევრი რამ შეცვალა მუჰაჯირთა მეტყველებაშიც. ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა წინაპართა ენა. ცვლილება ძირითადად ლექსიკას შეეხო. სამწუხაროდ, ეს შეუქცევადი პროცესია და ყოველწლიურად უფრო და უფრო ქრება ქართულის კვალი იქაურთა ყოფიდან. ამდენად, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველების ქრონოლოგიურ ჭრილში შესწავლა საინტერესო და მნიშვნელოვანი საქმეა.

საანალიზოდ გამოვიყენეთ ქართველი მეცნიერების, მკვლევრების მიერ სხვადასხვა წლებში მუჰაჯირთა შთამომავლებთან ექსპედიციების, სტუმრობის დროს ჩაწერილი მასალები (პროფ. შ. ფუტკარაძე, პროფ. მ. ფაღავა, პროფ. მ. ცინცაძე, პროფ. ავთ. ნიკოლეიშვილი, ასოც. პროფ. მ. ბარამიძე, ასისტ. პროფ მ. ხახუტაიშვილი...), გარდა ამისა, თურქული პოეზიის ნიმუშები. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ავთ. ნიკოლეიშვილის წიგნი „თურქეთის შავიზღვისპირეთში – ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან“(2016). წიგნში შესულია თურქეთის შავიზღვისპირეთში აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ექსპედიციის მასალები. სხვა საკითხებთან ერთად, მათ აინტერესებდათ, მუჰაჯირები რამდენად იცავენ თხოვა-გათხოვების დროს ეთნიკურ სიწმინდეს? სტუმარ-მასპინძლობას, როგორია მათი ტრადიციული სამუშაო იარაღები, სახალხო დღესასწაულები, ქორწილი, დაკრძალვა, თამაშობანი, გართობა და ა.შ. რატომ უსვამენ ჭადზე ჯვარს?

მოკლედ ყველაფერი, „რა ქართული ნაკვალევია მათში დარჩენილი?... სამწუხაროა, რომ „თურქეთელი ქართველების ცნობიერებაში ქართული ნაკვალევი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ფერმკრთალდება...“(ნიკოლეიშვილი, 2016:8; 22).

მუჰაჯირებთან სტუმრობის სრულიად ახალ და საინტერესო მასალებს გავეცანით პროფ. მ. ფაღავას წიგნში „მუჰაჯირთა შთამომავლებთან“ (2016).

„რა არის მუჰაჯირი ქართველისათვის ნაციონალური მეობა? რითი დაუპირისპირდა იგი დამხვდურ კულტურას? რატომაა მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერება „ისტორიის ფრაგმენტები“ და არა გაბმული მოთხრობა?“ (ფაღავა, 2016:120) – სვამს შეკითხვას ბატონი მამია და პასუხიც ნათელია: ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს (უმეტესად უფროსი თაობის წარმომადგენლებს) ფრაგმენტულად ახსოვთ წინაპართა ენა, ზოგსაც სპონტანურად, ქართველებთან შეხვედრებისას, საუბრისას, სიტუაციიდან გამომდინარეს იხსენებენ. უფრო მეტად კი შემოუნახავთ ძველქართული ტრადიციები. ეს უკვე ისტორიაა. ტრადიციებია სწორედ კულტურათა დიალოგის მთავარი არგუმენტი. აქ ერთმანეთს ერწყმის ქართულ-თურქული ურთიერთობები.

ჩვენებურებთან ყველაზე მეტად ვხვდებით სამშობლოს არდავიწყების, ერთმანეთის გვერდით დგომის, წინაპართა პატივისცემის, გარდაცვლილთა ხსოვნის, დასახლების–საცხოვრებლის მოწყობის, შრომითი საქმიანობის, ქორწილის, სუფრის გაშლის, კაცის კვლის ტრადიციებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მუჰაჯირ ქართველთა ტრადიციებში ასახული ენობრივი ფორმები. ყურადღებას გავამახვილებთ სახელებზე, ზმნებზე, შესიტყვებებზე.

მ.ფაღავა აღნიშნავს: მუჰაჯირად მოსულმა ქართველებმა „ვერ იგუეს ადგილობრივთა ტრადიციული ყოფა. სხვა მიზეზებთან ერთად, ამიტომაც მოიზღუდეს თავი, ჩაიკეტნენ უცხოთათვის, რითაც გადაარჩინეს საკუთარი იდენტობა...“ (ფაღავა, 2016:47). სწორედ ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ძველი ქართული ტრადიციები ყველაზე კარგად ქალებში არის შემორჩენილი, ისინი არიან ყველაზე საინტერესო რესპო-

დენტები, მაგრამ მათთან კონტაქტში შესვლა არ არის ადვილი. ოჯახის უფროსები, მამაკაცები ეკრძალვიან ქალების გამოჩენას. ამის შესახებ წერს კიდეც ავთ. ნიკოლეიშვილი: „წასვლის წინ მასპინძელს ვუთხარით, კარგი იქნებოდა სახლში მყოფ ქალბატონებთანაც თუ მოვახერხებდით გასაუბრებას, მაგრამ ჩვენს შეთავაზებაზე მან კატეგორიული უარი განგვიცხადა–ქართული არ იცის, თანაც შეუძლოდ არისო"(ნიკოლეიშვილი, 2016:42). სამწუხაროდ, ასეთი არგუმენტები ხშირად ისმის მუჰაჯირთაგან. მაგრამ შეიძლება ითქვას, ნამდვილი გამარჯვებაა, როცა შეძლებ და ქალბატონების მონათხრობსაც ჩაიწერ, ყველაზე მართალს და უტყუარს. ეს მათი შინაური, ძველქართული, საოჯახო ენაა...

მუჰაჯირთა მეტყველებისთვის დამახასიათებელია ფონეტიკური ცვლილებები (ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის დაკარგვა, ბგერის ჩართვა, სუბსტიტუცია...). ამ მხრივ საინტერესო სურათს იძლევა ტრადიციებში ასახულ სახელურ და ზმნურ ფორმათა ანალიზი.

სამშობლოს არდავიწყების, ერთმანეთის გვერდით დგომის, გარდაცვლილთა ხსოვნის, წინაპართა, უფროსების პატივისცემის ტრადიციები:

სამშობლოს სიყვარულის, წინაპართა ტრადიციების შენახვა ჩანს პირად საუბრებში, ლექსებში. სახელებში დადასტურდა ორმაგი მრავლობითობის გამოხატვა: ***ძმანები: სისხლით ვართ ძმანები*** (ნიკოლეიშვილი, 2016:57).

გვხვდება წარმოქმნილი და თხზული სახელებიც: **საქარქაშო** (თურქ. şehit mezarları= ომში დაღუპვა, დაცემა). ტრადიციის თანახმად,დაღუპულთა საფლავებზე ბავშვებს,ახალგაზრდებს,ხეიბრებს მოჰყავთ შესაწირი,კლავენ და ჩაიფიქრებენ სურვილებს.

ჴელისაკოცნელად (=ხელის საკოცნელად): უღრმესი პატივისცემის გამოსახატავად ასაკით უფროს პიროვნებას (როგორც ქალს, ისე მამაკაცს) ხელზე კოცნით მოიკითხავენ, მიესალმებიან: *სიზედ და დოდოფალი წავლენ გოგოს ანასთან ჴელისაკოცნელად* (ფუტკარაძე, 1993: 679).

მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილში კუთვნილებითი ნაცვალახელის ნაცვლად ჩვენებითი ნაცვალსახელია გამოყენებული: ***იგინის ფესვები: არ დავაწყევლიოთ წინაპრებს თავი, ჩვენ ვართ იგინის ფესვები*** (= იმათი) (ნიკოლეიშვილი, 2016:59).

საურთიერთო ნაცვალსახელი **ერთმანეთი** გვხვდება დიალექტური ფორმებით: ***ერთქმანები /ერთქვენები /ერთქვენეფი: ვყაშმერობდით ერთქმანებში;*** *დევკავოთ ერთქვენები, ვიყოთ ყველამ ისარის კონა* (ნიკოლეიშვილი, 2016:59, ფაღავა, 2016: 108);

ზმნებში ადგილი აქვს ბგერის ჩანაცვლების შემთხვევებს (ვ / მ) : ***დაგვამიწყდეს: არ დაგვამიწყდეს ჩვენი წინაპრები და ვიცოდეთ მათი ყადრი*** (ნიკოლეიშვილი, 2016:65).

დასახლების – საცხოვრებლის მოწყობის, სახლის მშენებლობის ტრადიციები:

„თავიანთი ისტორიული სამშობლოსაგან სამუდამო განშორებით განპირობებული ნოსტალგიის გრძნობით რამდენადმე მაინც განსაქარვებლად თურქეთში გადმოხვეწილი მათი წინაპრები საქართველოში არსებული თავიანთი სოფლების მსგავს ადგილებში ცდილობდნენ დასახლებულიყვნენ. სახლებსაც იმგვარს აგებდნენ და კარმიდამოსაც იმგვარად აწყობდნენ“ (ნიკოლეიშვილი, 2016:121). მუჰაჯირთა შთამომავლების სიტყვებით რომ ვთქვათ, დასახლების (დაჟდუმლების), სახლების გამართვის, **გაკეთილშობილების** ტრადიცია მათ წინაპართაგან აქვთ შესისხლხორცებული. ამიტომაც ირჩევდნენ საგანგებოდ მათთვის შესაფერის საცხოვრებელს, ტყის პირას, მთიან ადგილებში და ზღვასთან ახლოს: *აქ კაი გვარები* ***იჟდენ*** (= სახლობდნენ): *მჟავანაძეები აქზე* ***დაჟდენ;*** *მე შვილთან* ***ვჟდივარ*** (=ვცხოვრობ); *ამფერ სახლში* ***მოჟდა*** (=დასახლდა); *სტამბულში* ***დავჯექით*** (=დავსახლდით); ***გააკეთილშობილეს*** *აქოურობა* (=გაალამაზეს) (ჰ.ფასიოღლუ-ჰამიდიე). ტრადიციულად მთელი სოფელი ერთად სახლობდა, ცდილობდნენ, ერთმანეთს არ დაშორებოდნენ, გათხოვა-მოყვანაც ერთმანეთში იცოდნენ. ამ წესს კარგად გამოხატავს ზმნური ფორმები **დევკავოთ, დუუკავიან, დეიკავებდენ:** *ქართველებო, გეხვეწები,* ***დევკავოთ*** *ერთმანე-*

თი...ერთობაში ძალა არის... (ნიკოლეიშვილი, 2016:57); *ერთმანე-ბი* ***დუუკავიან*** ; *ასე* ***დეიკავებდენ*** *ერთმანებ* (ფაღავა, 2016:98).

საინტერესო ლექსიკური ერთეულებია შემორჩენილი სახლის მშენებლობის ტრადიციებშიც. აქ შერეულია ქართული და თურქული სიტყვები. „სამშობლოდან აყრილებმა წამოიღეს სახლის მშენებლობის ტრადიციები. ახალ საცხოვრისში დაიწყეს ისეთი სახლების შენება, როგორიც სამშობლოში ჰქონდათ, და არა ისეთების, როგორსაც ადგილობრივები აშენებდნენ, – უფანჯრო ჯარგვალებს“ (ფაღავა, 2016:43).

ხიზარი (თურქ.hızar=ხერხი): *ფიცრით აკეთებდნენ სახლს,* ***ხიზრით*** *დახერხავდნენ...*

ახორი:(თურქ. ahir=ბოსელი): ***ახორი*** *სახლის ქვეშ იყო.*

ქირემეთი: *ზეთ* ***ქირემეთი*** *(კრამიტი-ფაღავა) არ იყო.*

ყავარი: ***ყავარს*** *დააწყობდნენ,* ***ყავარზე*** *– ქვებს.*

ოდა (თურქ.oda = ოთახი): *სახლი* ***ოდებათ*** *იყო დაყოფილი* (ფაღავა, 2016:43).

ზმნებში **-ავ** თემის ნიშნის ნაცვლად გვხვდება **-ევ:** *ყავარს* ***დახურევდნენ..***

„თურქეთელ ქართველთა უმეტესობა ეროვნული სიამაყის გრძნობით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მათმა წინაპრებმა თავიანთ ახალ სამშობლოდ ქცეულ ქვეყანაში ისეთი ცხოვრებისეული ნიჭი, უნარი და გონიერება გამოამჟღავნეს, რომ თურქებმა ბევრი რამ ისწავლეს მათგან... კერძოდ, სწორედ ქართველებისგან გადაულიათ მათ ხეხილით დამშვენებულ ეზოებში ფართო ფანჯრებიანი სახლების აგების ტრადიცია“ (ნიკოლეიშვილი, 2016:41).

შრომითი საქმიანობის ტრადიცია:

მუჰაჯირი ქართველების საქმიანობა, მსგავსად წინაპრებისა, მიწას უკავშირდება. მათთან მიწის დამუშავება, ყანაში ხვნა-თესვა ერთობ სახალისო პროცესად ითვლება. ეს კარგად ჩანს შრომითი საქმიანობის დროს შესასრულებელ ლექს-სიმღერებში, ჰოროველებში: **ჰოროველა; ჰოროლი; მორბედი** (თურქ. Horovella; Horoli; Morbet). ტრადიციულად წყვილ ხარს მიჰყავს კვა-

ლი, მისი გამყოლი ბავშვია. ამ დამხმარე ბავშვს **მორბედი** ჰქვია. მორბედის მოვალეობაა ხარმა სწორი კვალი გაიტანოს. რამდენ ხანსაც მიწის პატრონი რჩება ყანაში, მორბედიც იმდენსავე ხანს რჩება. მიწათმოქმედება საკმაოდ შრომატევადი საქმეა, დროს მოითხოვს, რაც მორბედისთვის მოსაწყენი ხდება, მორბედი ბავშვი მალე იღლება და მოვალეობაც ბეზრდება, მორბედი ხარის ზურგზე ჯდება. ამ ადგილს **ჰოდაკი** ჰქვია. მორბედი ბავშვები გზაზე, მოპირდაპირე ყანაში მომუშავეებს ხმამაღალ სიტყვებს უგზავნიან, ეშაირებიან. ამგვარად მორბედის საქმიანობა უფრო სახალისო ხდება. ხმამაღლა წარმოთქმულ საპასუხო სიტყვებს **ჰოროველა** ეწოდება, ზოგჯერ ჰოროველა სრულდება ნახევრად წამღერებითაც. სოფლებში ამას **ჰოროლიც** ჰქვია.

ნემსი ვისროლე ყანაში, პრიალა, პრიალა, პრიალა.
სადაც ლამაზი გოგოა, ჩვენთან მოვიდეს ყანაში;
ჰოროლი, ჰოროლი,
მონეტა ვისროლე მარალში, ეი, დაო, მომეცი მე ალი,
მოგცემ ხბოიან ძროხას...
თურქული ვარიანტი:
Ine attim tarlaya, Paril, paril, parlaya;
Nerde guzel kizlar var, Gelsin bizim tarlaia.
Horoli, horoli,
Kutana kostum Marali, Ola bacin bana ver Ali,
Inek verem danali.

ყურადსაღებია, რომ მუჰაჯირებმა უცხო გარემოში ქართული კულტურა მოიტანეს. უფრო მეტიც, ეს კულტურა „დამხვდურებსაც აათვისებინეს“. ეს კარგად ჩანსა ყოველდღიური საქმიანობის ამსახველ ენობრივ ფორმებში. როგორც თავად ამბობენ: „თურქებმა **თელი დეიწავლეს**, იმათ სახლი **გაკეთება**, **ნალიაᲘს გაკეთება** არ იცოდენ (ნალიას ტრადიციულად ქართველები აგებდნენ)... **გარცხვა, გაკეთება** ჩვენგან **იწავლეს** დედე...“ (ფაღავა, 2016:47). საყურადღებო ზმნური ფორმაა – გარცხვა. მ. ფაღავა აღნიშნავს, რომ იგი დასტურდება შავშურშიც. შევნიშნავთ, **გარცხა** გვხვდება ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც: **გარცხა** = გარეცხვა. უფრო

მოგვიანებით, აღნიშნული ფორმა ჩანს დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირშიც“: „უწინდელი გათხუნვილი დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს...“

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები საგანგებოდ იცავდნენ ხვნა-თესვის წესებს. შესაბამისად, საინტერესოა ამ პროცესის ამსახველი სინტაგმები, როგორიცაა: ***თესლის გაქნევა, მთვარის დაძველება: მარტ-აპრილში თესლი'ნა გეიქნიო, მთვარემ დაძ-ველდეს'ნა*** – ასეთია ტრადიცია (ფაღავა, 2016:76).

თურქეთელ ქართველებში შემორჩენილია ისეთი ენობრივი ფორმები, რომლებიც არ დასტურდება არც აჭარულში და არც ქართულის სხვა დიალექტებში. ასეთია **პურის განიავება.** ეს სინტაგმა უკავშირდება პურის დათესვის, პურის გალეწვის ტრადიციას: *პურ გაფენდენ, ხარმან ვეტყოდით, დუგენზე (კევრი) დავჯდებოდით, იტრიალებდენ ხარები, მარცვალი რომ გაცვინდებოდა, **უუნიავებდით, გახდებოდა** პური...* (ფაღავა, 2016:71). მ. ფაღავა შენიშნავს, რომ ლექსემა **განიავება** დასტურდება აჭარულში, ოღონდ „გაფანტვის“, „დაფანტვის“ მნიშვნელობით: „ქონება გაანიავა“... „გაანიავა“–„ქარს გაატანა“.

ქორწილის ტრადიცია:

მუჰაჯირ ქართველებში ქორწილის რიტუალი მეტად მნიშვნელოვანია. უნიელი ქართველის მურად შაფინის (ძნელაძის) ინფორმაციით „თურქეთელ ქართველთა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით სოფლებში მცხოვრებნი) ბოლო დრომდე მაქსიმალურად ერიდებოდა ეთნიკურად შერეულ ქორწინებას“ (ნიკოლეიშვილი, 2016: 80).

ქალის დანიშვნის საკითხს ტრადიციულად დღესაც ოჯახი წყვეტს. დღემდე მოქმედებს ე.წ. ***„გოგოს დანახვის“, „მოკითხვის წესი“.*** ერთი მხრივ, მუჰაჯირებში შენახულია ძველი ქართული წესი, პარალელურად მათი ქორწილი ტრადიციული თურქული ქორწილის მსგავსიცაა. საქორწილო სუფრაზე ძირითადად თურქული კერძებია. მკაცრად იცავენ მუსლიმთა ცხოვრების წესს, იკრძალება ღვინის სმა.

საქორწილო ტრადიციებში საინტერესოა სახელური და ზმნური ფუძეები. ხშირია ბგერის დაკარგვის, სუბსტიტუციის შემთხვევები. სახელებში ლექსიკა შერეულია, ქართული სიტყვების გვერდით თურქულსაც ვხვდებით:

ჰელმანდილებ (ცხვირსახოცი, ხელსახოცი): *დოდოფალი* ***ჰელმანდილებ*** *გვაჩუქებს* (ფუტკარაძე, 1993: 679).

დუგუნი (თურქ. Duğun = ქორწილი): ***დუგუნი*** *ვიცით ძველებურა... დუუძახთ* ***ყომშებ, ხისიმ-ახრაბა*** (თურქ. komşu = მეზობელი; akraba= ნათესავი) (ფუტკარაძე, 1993: 439).

ჯეიზი (თურქ.Geyız=მზითევი): *აი, ფატმა ხაბაზიფხეს* ***ჯეიზიდანაა*** (ხახუტაიშვილი, 2014: 20).

მოვკითხფავთ... *იმ კაცს კაი გოგო* ***ხავს*** (ყ-ხ მონაცვლეობა) (ნიკოლეიშვილი, 2016).

ვაწვევთ *(=ქორწილს გადავიხდით): დუგუნ* ***ვაწვევთ*** (ფუტკარაძე, 1993: 439).

თურქულ ენაში მოქმედების სიხშირე და პერიოდულობა გამოხატულია „genış zaman"-ით, ქართულში მისი შესატყვისია მომავალი დრო. ჩვენს საანალიზო მასალებში ჭარბობს მსგავსი ფორმები: ***მოვკითხავთ*** (= გავიგებთ, გავიკითხვთ), ***დევნახავთ, მევწონებთ, მივალთ, მოვთხოვთ, დავნიშნავთ:*** *გოგოს* ***დევნახავთ, მევწონებთ, მივალთ,*** *მის ბაბას* ***მოვთხოვთ...*** (ფაღავა, 2016:44). ამ წესის აღსრულების შემდეგ, თუ ქალის მამა უარს იტყოდა, მუჰაჯირებში სრულდებოდა ძველი ქართული ქალის გატაცების ტრადიცია. მუჰაჯირებში ამას გამოხატავს შესიტყვება **ქალის გაქცევა** : *მომცა მომცა, არ მომცემს,* ***გავაქცევ!*** *ქალი* ***გავაქციე,*** *ლივერით მომდევენ, გევქეცი* (ფაღავა, 2016:44).

დედოფლის ხანჯლებში გატარების ძველი ქართული ტრადიცია მუჰაჯირებს დანებში გატარებით, დიალექტური **გარუნიებით** შეუცვლიათ. ამასთან, ისინი უარს ამბობენ დედოფლისაგან ფულის მოთხოვნის თურქულ ტრადიციაზეც: *დოდოფალს* ***გაარუნიებენ*** *დანებში. აქანაᲥ* ***ფულს მოსთხოვენ, ისე არ იქნება*** (ფაღავა, 2016: 387).

ტრადიციულად მუჰაჯირთა ქორწილი ორ დღეს გრძელდება. ქორწილის გადახდას გამოხატავს ზმნა ***ვიქთ***: *მერე ორი დღე ქორწილ* ***ვიქთ*** (=გადავიხდით).

აქვე ყურადღებას გავამახვილებთ ერთ ლექსემაზე – **მაყარჯობაზე.** მუჰაჯირები განმარტავენ: ***მაყარჯობა*** *(გევეზობა) ძველებმა იქმოდენ* (თურქ. Geveze=მოლაპარაკე, მოლაყბე). საინტერესო სინტაგმაა **მაყარჯობა**–ჭირვეულობა: „წესი იყო ძველად, გაჭირვებული მაყარი უცნაურ მოთხოვნებს უყენებდა სიძის ოჯახს. ოჯახი ვალდებული იყო შეესრულებინა: მოითხოვდნენ, დაკალით ხბო, ძროხა, ხარი... თუ არადა, სახლის გადაწვით იმუქრებოდნენ“ (ფაღავა, 2016: 227).

საქორწილო ტრადიციებში მწირად, მაგრამ მაინც ფიქსირდება თურქული ძირის ზმნები, რაც საერთო მოვლენაა სამხრული კილოებისთვის. მაგალითად, ***გაჰერსება*** (თურქ. **hers** =სიბრაზე): *რომ გააქცევდი, გოგოს ბაბაი არ* ***გაჰერსდებოდა?*** აქვე, თურქული ძირის პარალელურად, ქართული ზმნის დიალექტური ვარიანტიცაა დასახელებული: ***გაჰერსება//გაბღეზება: გაბღეზდებოდა,*** *შიმირიგდებოდა!* (ფაღავა, 2016:44).

სუფრის გაშლის, გამასპინძლების ტრადიცია:

საინტერესო ენობრივი ერთეულია **სუფრა.**

სუფრის გაშლის აჭარული ტრადიცია შემოუნახავთ მაჭახლელებს. ისინი სასადილო მაგიდას „**სუფრას**“ ეძახიან. იქაურთა თქმით „ძველებური **სუფრ**ა გვალი იყო“. ტრადიციულად სუფრა ერთიანი ხისგან ითლებოდა. „სუფრა ერთიანი ხიდან გამოთლილი დაბალი მაგიდაა (ჯორკოებით რომ მიუსხდებოდნენ გარშემო), კარგად ცნობილი მთელს აჭარაში. თანდათან ხის სუფრა მაღალმა მაგიდამ შეცვალა, სახელი ძველი დარჩა... დღეს სუფრა ჩვეულებრივ სასადილო მაგიდის საფარს ჰქვია“ (ფაღავა, 2016:41). აღსანიშნავია სწორედ ის, რომ მუჰაჯირებში **სუფრა** დღესაც ძველი მნიშვნელობით გამოიყენება. **„სუფრასთან მისხდომა“** – ეს სინტაგმა ძველია, იმდროინდელი, როცა სუფრას ხისაგან გამოთლილ პატარა მაგიდას იყენებდნენ“ (ფაღავა, 2016:42). კლარჯულში სუფრის გაშლას **სუფრის დადება** ჰქვია (რაც, ვფიქრობთ თურქულის გავლენა უნდა იყოს: sofra kurmak=სუფრის დადგმა). მაგიდის გაშლის სემანტიკით უნიეს სოფლებში გავრცელებული ყოფილა **სუფრის დაკავების**

ტრადიცია: *გოგოს ფეშინში წავყვებოდით. **სუფრას დევკავებ-დით...*** (ფაღავა, 2016:56).

ჩვენებურებში **სუფრა** სიმბოლოა ქართული სტუმართმოყვარეობისა, სახლის, მამისეული ოჯახის მონატრებისა. გათხოვილ ქალს დედა სუფრას მზითევში ატანდა და ასე არიგებდა: „გქონდეს, ვინმე რომ გესტუმრება, ამ **სუფრაზე** მიართვი საჭმელიო. ქალმა იგი ზურგზე მოკიდული წამოიღო. სუფრა ასოზ-დათხუთმეტი წლისაა. ქალს სახლი გაახსენდებოდა, გამოიტანდა, დადგამდა და იტირებდა...“(ფაღავა, 2016: 112).

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლებთან დღეს სუფრა იშლება შერეული, ქართულ-თურქული წესით, მაგრამ ქობულეთური სტუმართმოყვარეობით: „დგამენ“ მაგიდას ან ეზოში შლიან ხალიჩას, ზედ ალაგებენ ტრადიციულ ქობულეთურ და თურქულ საჭმელებს.

მუჰაჯირებს საქართველოდან წამოულიათ ბუხრის ქვების დამზადების ტრადიცია. სოფლებში შემოუნახავთ კეცის გამოყენების კულტურაც: ***კეცზე** ვაცხობდით **პურ, ჭად... დავაკრავდით,** თენექას **დავახურებდით, შევწვავდით...*** ესეც ქართული ტრადიციაა – კეცის მჭადი და პური... (ფაღავა, 2016:65). დასახელებულ მაგალითებში სახელები მიცემით ბრუნვაში ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო ზმნებში ადგილი აქვს -ავ/ებ თემის ნიშანთა მონაცვლეობას).

კაცის მოკვლის ტრადიცია:

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართველი მუჰაჯირები თავად ირჩევდნენ საცხოვრებელ ადგილებს, უმეტესად ტყის პირას. მათ ხშირად უწევდათ იქაურ სომხებთან წინააღმდეგობის გაწევა. თუმცა, ძალადობასაც ჰქონია საფუძველი –ბრძოლა გადარჩენისთვის. უფრო მეტიც, „ჩვენს ქალებზე თვალი დარჩენიათო“, ამბობდნენ. ვერ პატიობდნენ ქართველები „ერმენებს“ შეურაცხყოფას: **მუუკლიან, დუუკლიან, შუუშინებიან** ზმნები გამოხატავს მათ დამოკიდებულებას დამხვდურებისადმი. სიამაყით აღნიშნავდნენ: *აქა **კაცის მოკლა** ჩვენებურებმა მეიტანეს* (ფაღავა, 2016: 189).

განხილული საანალიზო მასალა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მუჰაჯირ ქართველთა ტრადიციებში ასახული ენობრივი ფორმები მრავალფეროვანია. მრავალფეროვნებას განაპირობებს არქაული, შერეული ლექსიკა, საკუთრივ რომელიმე კუთხისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები, სახელური და ზმნური ფუძეები, შესიტყვებები.

ენობრივი ფორმების დიდი ნაწილი ქართველ მუჰაჯირთა მეხსიერების ისტორიული ფრაგმენტებია. მათ ჯერ კიდევ ახსოვთ უძველესი ქართული ტრადიციები, წესები. მუჰაჯირებმა დროთა განმავლობაში შეითვისეს თურქი ხალხის კულტურა, რაც აისახა კიდეც იქაურთა მეტყველებაზეც. დღეს სახეზე გვაქვს კულტურათა დიალოგის შედეგი – დავიწყებას ეძლევა ქართული ენა და ტრადიციები. ვფიქრობთ, მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნებს შორის კულტურულ ურთიერთობებს შეუძლია ამ პროცესების შეჩერება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნიკოლეიშვილი, 2016: ნიკოლეიშვილი ა., თურქეთის შავი ზღვისპირეთში–ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი.

ფაღავა, 2016: ფაღავა მ., მუჰაჯირთა შთამომავლებთან. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეი, ქართველოლოგიის ცენტრი, „გამომც. აჭარა“. ბათუმი.

სარჯველაძე, 2001: სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

საღინაძე... 2015: საღინაძე რ., კიკვაძე მ., ჰამიდიეს მასალები (ჩაწერ. რ. საღინაძისა და მ. კიკვაძის მიერ). რიზე, ჰამიდიე, თურქეთი.

ფაღავა... 2009: ფაღავა მ., ცინცაძე მ., კლარჯული მასალები. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამხრ.-დას. საქართველოს სამეცნ.-კვლევ. ცენტრის კრებ., VI. გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი". ბათუმი.

ფაღავა... 2011: ფაღავა მ., ცინცაძე მ., შავშური დიალექტის მასალები: შავშეთი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველოლოგიის ინსტ., გამომც. „ჰოროსი XX1". თბილისი.

ფაღავა... 2014: ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., კლარჯული კილო (მასალები): ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტ., ქართველოლოგიის ცენტრი, კრებ. VIII; IX. გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი". ბათუმი.

ფუტკარაძე, 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული. აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომც. ბათუმი.

ხახუტაიშვილი, 2014: ხახუტაიშვილი მ., სალექსიკონო მასალა ქობულეთური კილოკავისთვის (ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით). ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტ. მეცნ. ფაკულტ., ქართველოლოგიის ცენტრი. კრებ. IX. გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი". ბათუმი.

Ardanuç, 2008 : Ardanuçlular kültür ve dayanışma derneği, Halkbank. Ardanuç.

Maia Kikvadze

Linguistic Forms Reflected in Georgian Muhajirs' Traditions

(Summary)

Descendants of Georgian Muhajirs (mainly old generation) remember their ancestors' language fragmentally. Some of them use the language naturally while meeting Georgians and talking with them. But they have kept Georgian traditions, which is the main argument of dialogue between cultures.

In the article we discuss linguistic forms like names, verbs, word combinations reflecting Georgian traditions (remembering the motherland, standing side by side, respecting ancestors, memorizing the names of the deceased, working, feasting, wedding and some other traditions).

In the speech of Georgian Muhajirs one can find the linguistic forms that are not found in any Georgian language dialect.

ნათელა ფარტენაძე

ფუნქციური სტილის მახასიათებლები სარეკლამო ტექსტში

თანამედროვე საზოგადოების პირობებში სარეკლამო ტექსტი უფრო ხშირად ხდება კვლევის ობიექტი. მოცემული ნაშრომის მიზანია საკვლევი მასალის სტილური კუთვნილების განსაზღვრა, კერძოდ კი, ქართული სარეკლამო ტექსტის - ზოგადად და სლოგანის - კერძოდ. ცნება „სტილის" არსებულ განმარტებებს შორის ყველაზე ხშირად გამოყენებული განსაზღვრება მოცემულია გ. სოლგანიკის ნაშრომებში. ასე, მაგალითად, **ფუნქციური სტილი** განისაზღვრება როგორც „ლიტერატურული ენის ნაირსახეობა, რომელიც ასრულებს ურთიერთობის გარკვეულ ფუნქციას" (სოლგანიკი, 1997:86). ფუნქციურ-სტილისტიკური კუთვნილების მიხედვით ენის ყველა საშუალებები შეიძლება იყოს დაყოფილი ორ დიდ ჯგუფად: ზოგადად გამოსაყენებელი და გარკვეულ სტილზე დამოკიდებული (მიმაგრებული). დანიშნულების, შესრულებული ფუნქციისა და ენობრივი საშუალებების შერჩევის მიხედვით, ფუნქციური სტილი შეიძლება იყოს: **სალაპარაკო - ყოველდღიური, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო, საგაზეთო - პუბლიცისტური და მხატვრული** (სოლგანიკი, 1997: 89). ფაქტობრივი მასალის წინასწარმა ანალიზმა აჩვენა, რომ შესწავლილ სარეკლამო ტექსტებში წარმოდგენილია სხვადასხვა სტილის თვისებები. ამიტომაც სარეკლამო ტექსტების სტილური თვისებების გამოსაყოფად აუცილებელია განიხილოს ყველა ფუნქციური სტილის თვისებები.

სალაპარაკო - ყოველდღიური სტილი შეიძლება განისაზღვროს როგორც არაოფიციალური მეტყველება პირდაპირი კომუნიკაციის პირობებში. იგი ძალზე მრავალფეროვანია და სისტემატურ ხასიათს ატარებს. ,,სასაუბრო სტილისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები საძიებელია ფონეტიკაში, წარმოთქმაში, ინტონაციაში, ფრაზეოლოგიაში, სიტყვაწარმოებაში, ლექსიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში. ყველგან ხასიათდება ინდივიდუალურობით, ორიგინალურობითა და რეგულარ-

ობით. ასევე განუსაზღვრელია თემატური თვალსაზრისითაც (სანიკიძე, 1999:73). ფონეტიკურ დონეზე სალაპარაკო სტილის თავისებურებაა შემოკლებული ფორმის გამოყენება, მაგალითად: *რავი (რა ვიცი), ადე (ადექი), დაჯე (დაჯექი), მოიცა (მოიცადე), მოიტა (მოიტანე), გაიტა (გაიტანე), კაი (კარგი), რო (რომ), ხო (ხომ) ძაან (ძალიან)* და ა. შ.

ლექსიკის დონეზე კომპრესია ვლინდება შემდეგი ერთეულების ხელსაყრელი გამოყენებით, როგორიცაა: *შემეშვი (თავი დამანებე), უყურე (ფრთხილად იყავი)*; ასევე, ასეთი გამონათქვამები, მაგალითად: *„მინერალური წყალი“* შეცვლილია ერთი სიტყვით - *მინერალური* და ა. შ.

სარეკლამო ტექსტის კიდევ ერთი მახასიათებელია სხვადასხვა სახის შემოკლებითი ფორმა, მაგალითად, დამხმარე ზმნების ან სხვა სიტყვების ფონეტიკური რედუქცია.

- ეს ზებუნებრივია (ყავა „კაპუჩინო“).

- მოდი, რა, ქოლმანს, დამინთე ცეცხლი (ქოლმანსი, მსოფლიოში ცნობილი მდოგვის ბრენდი).

სალაპარაკო სტილის სინტაქსური სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი სტრუქტურულად და სემანტიკურად დაკავშირებული რეპლიკის შეთანხმება, დიალოგის მსგავსად, თავს იჩენს როგორც წინადადებაზე უფრო დიდი ერთეული; უმეტეს შემთხვევაში ეს ორწევრიანი ერთეულებია: მაგალითად, *კითხვა-პასუხი – როდის იწყებ? - ხვალო, თქვა რაფაელმა; საუბრის გაგრძელება – ასე, რომ, თქვენ, რასაკვირველია, იტყოდით... - და გულისხმობთ* და ა. შ.

ოფოციალურ-საქმიანი სტილის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებია: 1) სხვა ინტერპრეტაციების გამომრიცხველი სიზუსტე და 2) ენობრივი სტანდარტი (სოლგანიკი, 1997: 97).

ოფოციალურ-საქმიანი სტილის ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულების თავისებურებები გამოიხატება კლიშეების სიჭარბით: *როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირობები, წინასწარი და წერილობითი შეთანხმების გარეშე, ფორს მაჟორი* და ა. შ.

მარტივი წინადადება ხშირად რთულდება ერთგვაროვანი წევრების გამო. ფართოდ გამოიყენება პასიური კონსტრუქციე-

ბი და ქვეწყობილი წინადადებები კავშირებით. მაგალითად: *ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ გააკეთეთ სწორი არჩევანი ამ კონკრეტული ხაზის შერჩევით,* ***რადგან*** *ის ნამდვილად წამყვანია გაყიდვაში; ჭურჭლის თითოეული ნაწილი* ***იყო*** *სათითაოდ* ***გახვეული*** *სქელ ქაღალდში...*

სამეცნიერო სტილი გადმოსცემს სამეცნიერო ინფორმაციას მომზადებული და დაინტერესებული აუდიტორიისთვის. შეიძლება გამოვყოთ მეცნიერული ენის შემდეგი სტილური თავისებურებები – *განზოგადება, ლოგიკურობა და ობიექტურობა* (სოლგანიკი, 1997: 93).

ლექსიკური შემადგენლობის ზოგი დახასიათება მოიცავს შემდეგ თვისებებს: სიტყვები გამოიყენება პირდაპირი ან ტერმინოლოგიური და არა ექსპრესიულ-ხატოვანი მნიშვნელობებით. ნეიტრალური სიტყვებისა და ტერმინოლოგიის გარდა გამოიყენება ე. წ. წიგნური სიტყვები: *ავტომატიზაცია, მგრძნობიარე, ანალოგიური, შესაბამისად, ერთდროული* და ა. შ.

სამეცნიერო ტექსტის სპეციფიკას მიეკუთვნება პრეპოზიციული განმსაზღვრელი ჯგუფები, რომელიც შედგება სიტყვათა მთელი ჯაჭვებისაგან: *წყალბადის იონის პოტენციალის რეგისტრატორები; საზენიტო ცეცხლის კონტროლის სისტემა* და ა. შ. წინადადებებში ელემენტები, აბზაცებში წინადადებები და ნაწარმოების თავებში აბზაცები ერთმანეთთან დაკავშირებულია ექსპლიციტურად, რაც იწვევს კავშირების სიმრავლეს: *რომ, და რომ, მაშინ, თუ, როგორც, ან, არც. მაგალითად: ეს კი იმას ნიშნავდა,* ***რომ*** *დეკომპრესიული გაჩერება არ იყო აუცილებელი და* ***რომ*** *ეს პარამეტრები იქნებოდა შენახული მეხსიერებაში.*

სამეცნიერო სტილში აშკარა უპირატესობა ენიჭება პასიურ კონსტრუქციებს და ზმნის უპირო ფორმებს. *მაგალითად: მე ვიყენებ იმავე მიდგომას, რაც იყო ადრე* - აღნიშნული ფრაზის ნაცვლად გამოიყენება: *მიდგომა იგივე, რაც გამოიყენებოდა ადრე.* ხშირია კავშირებითი კილოს ფორმების გამოყენებაც: *უნდა გაითვალისწინო, უნდა დაინახო, შეიძლება დაწერო, აჩვენო, ივარაუდო, ადვილად დაინახო.* სიტყვათა წყობა უმეტესწილად პირდაპირია, ჭარბობს ქვეწყობილი წინადადებები. საავტორო მეტყველება მოცემულია, პირველი პირის მრავლობითი რიცხ-

ვის ფორმით: *ჩვენ გავაცნობიერებთ, მივიღეთ, დავინახავთ, ახლა ვამბობთ...*

პუბლიცისტური სტილი გამოიყენება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში. ერთ-ერთი მისი თავისებურებაა ენის ორი ფუნქციის შეთანხმება: *შეტყობინების ფუნქცია (ინფორმაციული) და ზემოქმედების ფუნქცია (ექსპრესიული)* (არნოლდი, 2002: 322).

„პუბლიცისტური ტექსტების მიზანია მოქალაქეთა ჯგუფის ინფორმირება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ახალი ფაქტების, მოვლენების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების შესახებ; ობიექტური ვითარების წარმოდგენა და სასურველი მიმართულებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, მოქალაქეთა ინტერესისა და აქტიურობის გამოწვევა, სოციალური პროცესების წახალისება“ (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014: 70-71).

პუბლიცისტიკის ფუნქციური ბუნების ამგვარი ინტერპრეტაცია გამომდინარეობს მისი დანიშნულებიდან: ინფორმაციის მოწოდებასთან ერთად ის გამოხატავს გარკვეულ საზოგადოებრივ (პარტიულ, ინდივიდუალურ) პოზიციას და არწმუნებს მკითხველს ამის სინამდვილეში. საგაზეთო ენის სპეციფიკა, პირველ რიგში, მის განზრახ და განსაკუთრებულ **ექსპრესიულობაშია**.

პუბლიცისტური ენის სხვა მნიშვნელოვანი თვისებაა **სტანდარტის** არსებობა (კოჟინა, 2008: 344–345).

პუბლიცისტური სტილის ლექსიკურ მახასიათებლებს შორის უმეტესობა მიეკუთვნება საკუთარ სახელებს: ტოპონიმები, ანთროპონიმები, დაწესებულებების დასახელებები და ა. შ. სხვა სტილებთან შედარებით დიდი მაჩვენებელია რიცხვითი სახელებისა და თარიღებისა.

*ინციდენტი მოხდა **ოქტომბერში**, ვაგზლის ტერიტორიაზე; **უზენაესმა სასამართლომ** მოისმინა საქმე ტელეფონის გატეხვის შესახებ; ეს ჩაიდინა მაშინ, როდესაც ის იყო 16 წლის.*

ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მახასიათებლები წარმოდგენილია ლიტოტესით: *არ არის უმნიშვნელო, არ არის უღირსი, არ არის აუცილებელი* და ა. შ.

ზოგადად, პუბლიცისტური სტილისთვის ჩვეულებრივია რეკლამა. „იგი გვხვდება სათაურებში, მკითხველისადმი მიმართვისას, პრობლემური კითხვებისას და ა. შ.“ (სანიკიძე, 1999: 50).

მეტყველების **მხატვრული სტილი,** როგორც ფუნქციური სტილი, გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში და განსხვავდება სხვა სტილებისგან, განსაკუთრებულად ესთეტიკური ფუნქციით. თუ სალაპარაკო ენა ასრულებს კომუნიკაციურ ფუნქციას, სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი სტილი ხასიათდება შეტყობინების ფუნქციით, ხოლო მხატვრული სტილი დატვირთულია ესთეტიკური ფუნქციით, ანუ ემოციურ-ხატოვანი და მკითხველზე ზეგავლენის ფუნქციით (სოლგანიკი, 1997: 98).

მხატვრული სტილის მახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებაა ენის სახვით-გამომსახველობით საშუალებების (ტროპების) დიდი ოდენობით გამოყენება. სარეკლამო ტექსტებში ყველაზე ხშირი ტროპებია ეპითეტი და მეტაფორა. **ეპითეტი** - გამოხატვის საშუალებაა, რომელიც ეფუძნება აღსაწერი მოვლენის თვისების გამოყოფას. მაგალითად: *დამღუპველი ხიბლი; საიმედო პარტნიორი; საოცარი სივრცე...*

ზედსართავი სახელი, გარდა თავისი საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობისა, იძენს ემოციურ შეფერილობას, რადგან ის ავლენს ავტორის დამოკიდებულებას მშვენიერების მიმართ.

მეტაფორა ჩვეულებრივ განისაზღვრება როგორც დამალული შედარება, როდესაც ერთი საგნის სახელი გამოიყენება მეორისთვის და ამგვარად გამოყოფს ამ საგნის რომელიმე მნიშვნელოვან თვისებას.

ეპითეტსა და მეტაფორის გარდა, ფართოდ გავრცელებულია ისეთი ტროპები, როგორიცაა: ალეგორია, პერსონიფიკაცია, ანტითეზა, გრადაცია, შედარება, ირონია და სხვა.

ამგვარად, ყველა ფუნქციონალური სტილის მახასიათებლების განხილვის შემდეგ შეიძლება გამოვყოთ **ნებისმიერი ფუნქციური სტილის** შემდეგი თავისებურებები: 1) თითოეული სტილი ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ მხარეს და აქვს განსაკუთრებული გამოყენების სფერო. თითოეული სტი-

ლი ხასიათდება ურთიერთობის გარკვეული პირობებით – ოფიციალური, არაოფიციალური და ა. შ.; 2) თითოეულ სტილს აქვს საერთო მიზანი; 3) თითოეული სტილი შეიცავს მისთვის ტიპური ენობრივი საშუალებების გარკვეულ ნაკრებს. ეს შიდა (ექსტრალინგვისტური) და გარეთა (ინტრალინგვისტური) თვისებები განსაზღვრავს ფუნქციური სტილის ფორმას (კოჟინა, 2008: 28).

თითოეულ სტილს აქვს თავისთვის დამახასიათებელი სიტყვებისა და გამოთქმების ნაკრები, თუმცა სიტყვათა ძირითადი მასა თითოეულ სტილში წარმოდგენილია ნეიტრალური, ინტერსტილისტური სიტყვებით, რომლის ფონზე ჩანს დამახასიათებელი ლექსიკა და ფრაზეოლოგია. ინტერსტილისტური ლექსიკა აერთიანებს ფუნქციურ სტილებს და არ აძლევს მათ საშუალებას გადაიქცეს სპეციალურ, ძნელად გასაგებ ენებად. დამახასიათებელი სიტყვები კი შეადგენს სტილის ენობრივ სპეციფიკას. ისინი განსაზღვრავენ მის ენობრივ ფორმას (სოლგანიკი, 1997: 87).

თითოეული ფუნქციური სტილის თავისებურებების ანალიზი გვაძლევს სარეკლამო ტექსტების დამახასიათებელი თვისებების დადგენის საშუალებას. თანამედროვე ლინგვისტიკაში სარეკლამო ტექსტების ადგილის საკითხი ფუნქციური სტილების სისტემაში ჯერჯერობით რჩება ღია. რეკლამის ენაში შეიძლება აღმოვაჩინოთ სხვადასხვა სტილის ელემენტები, მაგრამ ის, რასაკვირველია, წარმოადგენს ერთგვარ ფუნქციურ-სტილისტიკურ ერთობლიობას.

ინტერსტილისტიკური ზემოქმედება ართულებს მის სტრუქტურას, მაგრამ სხვადასხვა სტილის საშუალებები რეკლამაში ექვემდებარება პირდაპირ მიზანს - მოახდინოს გავლენა მკითხველის დამოკიდებულებაზე სარეკლამო ობიექტისადმი.

ლივშიცი სარეკლამო ენას განსაზღვრავს როგორც განსაკუთრებულ ქვესისტემას პუბლიცისტური სტილის ჩარჩოებში (ლივშიცი, 1999: 9). მისთვის რეკლამა იჭერს ენის ქვესტილის ადგილს, რომელსაც აქვს პუბლიცისტურ სტილთან მსგავსება-განსხვავების თვისებები. რეკლამის ენის ქვესტილის საგაზეთო-საჟურნალო და პუბლიცისტური სტილის ბეჭდვითი ნაირსახეობების მსგავსება განისაზღვრება ისეთი ექსტრალ-

ინგვისტური ფაქტორების ერთობლიობით, როგორიცაა: ოპერატიულობა, ადრესატის მასობრიობა, მასთან ირიბი კონტაქტი. სტანდარტისა და ექსპრესიის თანაფარდობა, რომელიც ახასიათებს პუბლიცისტურ სტილს, ვლინდება რეკლამის ენაშიც.

სარეკლამო ენის ქვესტილი, პუბლიცისტურის მსგავსად, ხასიათდება ორი ფუნქციის (**ინფორმირებული** და **ზემოქმედი)** ერთობლიობით, თუმცა სარეკლამო ენის საერთო ემოციურ შეფერილობას აქვს გარკვეული განსხვავებები. თუ პუბლიცისტური სტილის ტექსტებს შეუძლია გამოიწვიოს ადამიანთა ემოციების მთელი სპექტრი, სარეკლამო ზემოქმედება მთლიანად ეყრდნობა დადებით შეფასებებსა და ემოციებს (ლივშიცი, 1999:12). სარეკლამო სტილის დამახასიათებელ თვისებებს შორის გამოყოფენ *ინფორმაციულობას, შემფასებლობას, საგნობრივ კონკრეტულობას, განზოგადებულ გამოსახულებას, მიმართვას და ლაკონიურობას.* აღნიშნული სტილური თვისებები ეფუძნება ექსტრალინგვისტური ფაქტორების სპექტრს.

თითოეული სარეკლამო ტექსტი განკუთვნილია გარკვეული რეაქციის მისაღებად, რასაც სამეტყველო აქტების თეორიაში ეწოდება **პერლოკუციური ძალა** (ლივშიცი, 1999: 158). ნებისმიერი სარეკლამო ტექსტის პრაგმატული მიმართულება შედგება *ადრესატის იმ საპასუხო ქმედებებისკენ გამოწვევის* აუცილებლობაში, რომელიც შეიძლება იყოს გამოხატული ქმედებით ან სარეკლამო საგანზე აზრის შეცვლით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექსტის სტილური თავისებურებები გამოიხატება ენის სხვადასხვა დონეზე (ფონეტიკური, ლექსიკური და სინტაქსური).

ყველა ჩამოთვლილი მახასიათებელი მიუთითებს იმაზე, რომ სარეკლამო ტექსტი მიეკუთვნება **სალაპარაკო სტილს.** აღსანიშნავია სალაპარაკო სტილის ტექსტების ლექსიკური და სინტაქსური თავისებურებებიც, რომელიც მოცემულია საკვლევ მასალაში. ამგვარ თავისებურებებს მიეკუთვნება:

1) ზმნების პოსტპოზიტივებით გამოყენება:

ლევისი ჯინსი - ხარისხი, რომელიც არასოდეს გადის მოდიდან.

ბეიფილიჩის შემწვარი წიწილა - ჩვენ ვიცით, როგორ მოვამზადოთ წიწილა...

2) აბრევიატურების გამოყენება:

არავითარი ШШ პირები, შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს! ,,Wi-Fi" -სწრაფი ინტერნეტი...

სინტაქსის დონეზე გამოიყოფა სხვადასხვა ელიფსური კონსტრუქციები, რომლებიც დამახასიათებელია სალაპარაკო სტილის ტექსტებისთვის. მაგალითად: *სამსუნგი, როგორც არცერთი სხვა; 7 დეისი, როგორც კაცობრიობის უდიდესი აღმოჩენა...*

ელიფსური კონსტრუქციები გამოიყენება სარეკლამო ტექსტში, ერთი მხრივ, შეკუმშული სახის ინფორმაციის გადაცემისთვის, და მეორე მხრივ, ისინი გვეხმარება უჩვეულო, დაუვიწყარი სურათის შექმნაში.

სარეკლამო ტექსტის ზემოაღნიშნული მახასიათებლები ხელს უწყობს **ძალაუნებურ და ბუნებრივ** ურთიერთობას და ინფორმაციის აღქმას რაც, თავის მხრივ, დამახასიათებელია სალაპარაკო სტილისთვისაც.

სარეკლამო ტესტებში გამოიყოფა **სამეცნიერო ტექსტების** ზოგიერთი სტილური მახასიათებელიც. აქ აღინიშნება გარკვეული ტერმინოლოგიური ლექსიკის გამოყენება, რომელიც მიმართულია შემოთავაზებული პროდუქციის მიმართ რეციპიენტის ნდობის ჩამოყალიბებაზე. მაგალითად: *როჩესტერ კოლონიალი - კარ-ფანჯრის **ექსპერტია** (როჩესტერ კოლონიალი, კარ-ფანჯრებისა და აქსესუარების მწარმოებელი და დისტრიბუტორი); **შექმნილია,** რათა გადაარჩინოს სიცოცხლე (ვოლვო S40 , მეორე ფაზის მანქანა).*

თუმცა, ჩვენ მიერ გაკეთებული ანალიზის შედეგად სარეკლამო ტექსტებში არ იყო აღმოჩენილი **ოფიციალურ-საქმიანი სტილის** თვისებები, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სარეკლამო ტექსტი არ ისახავს მიზნად კომუნიკაციის მონაწილეთა შორის წმინდა ფორმალური ურთიერთობების დამყარებას.

პუბლიცისტური სტილის მახასიათებლებს შორის, რომლებიც აისახა სარეკლამო ტესტებში, უმეტესობა საკუთარი სახელებია, დაწესებულებების და ორგანიზაციების დასახელებები, რიცხვით სახელები და ვადები. მაგალითად:

საქართველოს მსგავსი ადგილი არ არსებობს (საქართველოს ტურისტული კომპანია).

***ორმოცდაათი** სასტუმრო, **ოცდაორი** ქვეყანა, **ერთი** ფილოსოფია (ოთხი სეზონის სასტუმროები და კურორტები).*

სარეკლამო ტექსტში ხშირად გამოიყენება ისეთი წყობა, როგორიც ახასიათებს პუბლიცისტურ სტილსაც. მაგალითად:

***ვფიქრობ** შენზე - ელექტროლუქსი;*

*ინფინიტი - **დავაჩქაროთ** მომავალი;*

არქი ჯგუფი - ბინის შეძენა ყოველთვის მარტივია...

მხატვრული ტექსტის მკვეთრად გამოხატული თვისებაა სხვადასხვა ტროპის დიდი რაოდენობით გამოყენება, რაც ასახავს მხატვრული სტილის ესთეტიკურ ფუნქციას. შექმნილი გამოსახულებების მიზანია, გამოიწვიოს ჰარმონიისა და სილამაზის შეგრძნება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარეკლამო ტექსტის მთავარი მახასიათებელია შეთავაზებული პროდუქციის დადებითი იმიჯის შექმნა. ამ მიზეზის გამო სარეკლამო ტექსტებში ფართოდ გამოიყენება ენის გამომსახველობითი საშუალებები:

1. ეპითეტი

პაულა ლიშმანი - მარადიული, ელეგანტური, თანაბარზომიერი. პაულა ლიშმანის ტანსაცმელი - ნამდვილი ტრიკოტაჟის ბენწვი;

ლიკანი - ცოცხალი მინერალური ძალა...

2. მეტაფორა

*ჩვენ **დაგიბრუნებთ** ღიმილს თქვენს სახეზე (სასტუმრო „ჰილტონი“)...*

3. შედარება

*კამპა - **ისეთი** ინტენსიური, **როგორც** თქვენ („კამპა“, ხილის წვენის ასორტიმენტი).*

*მაგნუმი - დამზადებული **ყველასგან განსხვავებულად** („მაგნუმი“, ნაყინის ბრენდი).*

4. ჰიპერბოლა

ბელავუდი - იატაკები მთელი ცხოვრების მანძილზე („ბელავუდის“ წინასწარ დამუშავებული ხის იატაკები).

5. ალეგორია

სიამოვნება - გზა სიხარულისკენ („მაგნუმი", ნაყინის ბრენდი).

მოცემულ მაგალითში აბსტრაქტული არსებითი სახელი სიამოვნება' წარმოდგენილია კონკრეტული არსებითი სახელის - გზა', ბილიკი' დახმარებით.

6. პერსონიფიკაცია

*აი ბი ემ - კომპიუტერები **ეხმარება** ხალხს.*

***ოჯახის** ყველაზე **სანდო წევრი** (ავტომობილი „ნისან ალმერა").*

7. ანტითეზა

*საუკეთესო **სიურპრიზი** არ არის **სიურპრიზი** (სასტუმრო „რედისონი").*

გამოსახულება ამ შემთხვევაში იქმნება ერთი და იმავე სიტყვის დაპირისპირებით, ოღონდ მეორე შემთხვევაში იგი გამოიყენება უარყოფით ნაწილაკთან ერთად.

8. გრადაცია

*ორმაგი **კომფორტი,** ორმაგი **ღირებულება,** ორმაგი **სასტუმრო** (ჰაიატის აპარტამენტები სასტუმრო „ჰილტონი").*

*თქვენი **კოლეჯი** - თქვენი **მომავალი** (ქართული კოლეჯი - „ახალი სკოლა").*

გამოსახულება აქ იქმნება სიტყვათა ისეთი განლაგებით, როდესაც ყოველ მომდევნო სიტყვას აქვს უფრო ძლიერი მნიშვნელობა. ეს ზრდის მთელი ტექსტის მიერ მოხდენილ საერთო შთაბეჭდილებას.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სარეკლამო ტექსტი ხასიათდება ფუნქციური სტილის პრაქტიკულად ყველა თვისებებით, გარდა ოფიციალური და საქმიანი მახასიათებლებისა. ამიტომ ის შეიძლება შევაფასოთ როგორც ფუნქციური ინტერსტილური ქვეტიპი ან ტექსტის ჟანრი.

გამოყენებული ლიტერატურა:

არნოლდი, 2002: Арнольд, И. В. Стилистика. учеб. для вузов. 4-е изд., испр. и доп. М. 2002.

გალპერინი, 1977: Гальперин, И. Р. Стилистика английского языка. М., 1977.

გოლუბი: 2010: Голуб, И. Б. Стилистика русского языка, М.,2010.

კოჟინა, 2008: Кожина, М. Н. Стилистика русского языка, М., 2008.

ლივშიცი, 1999: Лившиц, Т. Н. Специфика рекламы в прагматическом и лингвистическом аспектах, М., 1999.

სანიკიძე, 1999: სანიკიძე თ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბილისი, 1999.

სერლი, 1986: Серль, Дж. Р. Что такое речевой акт?; Косвенные речевые акты; Классификация речевых актов // Новое в зарубежной лингвистике. Вып. XVII. М., 1986.

სოლგანიკი, 1997: Солганик, Г. Я. Стилистика текста. М. : Наука, 1997.

ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014: ცეცხლაძე ნ., , ხახუტაიშვილი მ., სტილისტიკა, თბილისი, 2014.

Natela Phartenadze

Characteristics of Functional Style in Advertising Texts

(Summary)

Advertising text is characterized by almost allcharacteristic features of the functional style, except the official and business ones. Therefore, it can be considered to be the interstyle subtype or the text genre.

ლევან ხალვაში

ისტორიზმი ლინგვისტურ აზროვნებაში

მე-19 საუკუნეში ენათა შესწავლის პრაქტიკა იძენს თავის მეცნიერულ სახეს შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებაში. სიტყვა „შედარებითი" ამ ლინგვისტური მიმართულების სახელწოდებაში მიანიშნებს გამოყენების ხერხზე, ხოლო სიტყვაში „ისტორიული" ასახულია კვლევის მიზანი. ფონეტიკურ კანონებზე დამყარებით ენობრივი ფაქტების შედარების შედეგად მათი წინაფორმების აღდგენა უხსნიდა მეცნიერებს ისტორიამდელ წარსულში ჩახედვის პერსპექტივას. მოგზაურობას დროში, თუნდაც ენობრივ წარსულში, რომელიც ასახავს უძველეს რეალობას, არ შეიძლება არ გამოეწვია ცხოველი ინტერესი ლინგვისტიკის გარეთაც. ხოლო თავად ლინგვისტიკაში ენათა წინარე მდგომარეობის რეკონსტრუქციის იდეა მოიპოვებს აბსოლიტურ ღირებულებას. თუ მე-19 საუკუნის დასაწყისში ი. გრიმი შეახსენებდა ყველას: „ჩვენი ენა ჩვენი ისტორიაც არის" (გრიმი, 1956: 61), აღნიშნულო საუკუნის მეორე ნახევარში, ჰ. პაულის მიხედვით, ენის მეცნიერული კვლევა შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ისტორიული (პაული, 1960: 25). ამ გერმანელი მეცნიერის ნაშრომის სათაური „ენის ისტორიის პრინციპები" გულისხმობს ენის კვლევის პრინციპებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ ენათა შედარებას არ შეეძლო წარემართა ლინგვისტური ძიება უკან - წარსულის აღდგენისკენ. ენათა შედარების გზით ლინგვისტიკაში შეიქმნა ორ-და- მრავალენოვანი ლექსიკონები და შეპირისპირებითი გრამატიკები. მოცემული ობიექტების შედარების გზით ოდესღაც არსებული ობიექტის რეკონსტრუქციის იდეას აქვს არალინგვისტური ისტორია.

ადამიანი იბადება არამარტო გარკვეულ ენობრივ წრეში და განიცდის მის კონცეპტუალურ ზეგავლენას, როგორც ამბობს ჰუმბოლდტი (ჰუმბოლდტი, 1984: 80), იგი იბადება აგრეთვე გარკვეულ ეპოქაშიც, რომელიც ხასიათდება თავისი მსოფლმხედველობით, მეცნიერული და ფილოსოფიური აზ-

როვნებით. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მეცნიერულ აზროვნებას განსაზღვრავდა იმდროინდელი აღმოჩენები ბუნებისმეცნიერებაში და ჰეგელის ფილოსოფია. 1838 წელს გერმანელმა მეცნიერებმა, ბოტანიკოსმა მ. შლეიდენმა და ბიოლოგმა ტ. შვანმა, აღმოაჩინეს, რომ ყოველივე ცოცხალს, მაგალითად, ვარდის ყვავილს, ფრინველის ფრთას, ადამიანის ტვინს და ა.შ. აქვთ ერთი- უჯრედოვანი აგებულება. ფრანგმა პალეონტოლოგმა ჟორჟ კიუვემ (1769-1832) დაადგინა ორგანოთა კორელაციის კანონი, რომლის თანახმად ცოცხალი ორგანიზმი წარმოადგენს სისტემას, რომლის ნაწილები შეპირობებულია ერთმანეთით. ასე, მაგალითად, თუ ცხოველს აქვს მჭრელი კბილები, მას უნდა ჰქონდეს მარტივი აგებულების კუჭ-ნაწლავი და თათები ბრჭყალებით, ხოლო ბრტყელ კბილებს შეესაბამება რთული აგებულების კუჭ-ნაწლავი და ჩლიქები. ცალკეული ძვლების მიხედვით კიუვემ აღადგინა ისტორიულად არსებული 150 სხვადასხვა ცხოველის იერსახე. მას მიაწერენ გამონათქვამს: მომეცით ერთი ძვალი და მის მიხედვით მე აღვადგენ მთლიან ცხოველს. საგულისხმოა კიუვეს კიდევ ერთი აღმოჩენა, გათხრების დროს მან მიაქცია ყურადღება იმას, რომ მიწის უფრო ძველ დანაშრევში ხვდებოდა უფრო მარტივი აგებულების ცხოველთა ძვლები და, პირიქით, გვიანდელი ხანის განათხარში - უფრო მაღალორგანიზებულ ცხოველთა ძვლები. კიუვეს დასკვნამ: დედამიწაზე სიცოცხლის მარტივი ფორმები იცვლება უფრო რთულით - ხელი შეუწყო დარვინიზმის ჩამოყალიბებას. წიგნში „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით ანუ შეგუებულთა გადარჩენა სიცოცხლისათვის ბრძოლაში“ (1859 წ.) ჩ. დარვინმა სიცოცხლის მრავალი ფორმით არსებობა ახსნა პრინციპით: ერთისაგან უსასრულო სიმრავლისაკენ (დარვინი, 1939: 120). ცოცხალი ორგანიზმი წარმოადგენს სხვადასხვა ნიშანთა კომბინაციას. ბუნება ახდენს ზეგავლენას ორგანიზმზე და იწვევს იმ ნიშანთა გაძლიერება-განვითარებას, რომლებიც უფრო საჭიროა სიცოცხლისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზმი იღუპება. სიცოცხლის ახალი ფორმები ჩნდება არსებული ორგანიზმების არაერთგვაროვანი ცვლილების გამო ბუნების ზეგავლენის

შედეგად. ცოცხალ ფორმათა ნაირფეროვნება დაუსრულებელია და შეუქცევადი. ცოცხალ არსებათა შორის მიმდინარეობს ბრძოლა არსებობისა და გამრავლებისათვის (დარვინი, 1939: 135).

ჟ. კიუვეს , ჩ. დარვინის და სხვათა წყალობით მოძღრვრება ცოცხალი ბუნების შესახებ ჩამოყალიბდა მეცნიერების ერთ-ერთ დარგად - ბიოლოგიად, რომელიც ცოცხალი სამყაროს აღწერასთან ერთად ადგენს და გვიხსნის ორგანიზმთა არსებობის კანონზომიერებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კიუვესა და დარვინის მეცნიერული მოღვაწეობის შედეგად ბიოლოგიამ შეიძინა იმპლიკაციებზე (თუ A, მაშინ B-ც) აგებული მეცნიერული ენა. ამ გარემოებამ გამოიწვია სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერთა ინტერესი ბიოლოგიის მიმართ. კიუვეს თანახმად, ორგანიზმი წარმოადგენს ურთიერთშეპირობებული ნაწილების მთლიანობას. ხოლო დარვინთან ორგანული სამყარო ვითარდება შინაგანი (იმანენტური) კანონების მიხედვით. არ არის შემთხვევითი, როცა ლინგვისტიკაში ისტორიულ - შედარებითი მეთოდის შემომღები ფრანც ბოპი წერს შემდეგს: „ენები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორგანული ბუნების სხეულები, რომლებიც წარმოიქმნება გარკვეული კანონების მიხედვით, ვითარდება შინაგანი სასიცოცხლო პრინციპის მიხედვით და თანდათანობით კვდება...“ (ჩიქობავა, 1983: 24) ფრ. ბოპი ბიოლოგიის მაგალითზე გვთავაზობს განვიხილოთ ენები იმანენტურად მათი „შინაგანი სასიცოცხლო პრინციპის მიხედვით“როგორც ადამიანებისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტები. ჟ. კიუვეს პალეონტოლოგიური რეკონსტრუქცია გულისხმობდა წარსულისკენ მიმართულ კვლევას: აწმყოში მოცემული ელემენტების შეჯერებით წარსულში სავარაუდოდ არსებული ობიექტის აღდგენას.

ენათა ნათესაობის იდეა პირველად 1538 წელს ნაშრომში „ენათა ნათესაობის შესახებ“ წამოაყენა ფრანგმა მეცნოერემა გვილელმ პოსტელუსმა. 1599 წელს ჰოლანდიელმა მეცნიერმა იოსებ სკალიგერმა ენები გაყო ორ ჯგუფად ორი დაშვებული ფუძე-ენის მიხედვით. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ევროპელები გაეცნენ სანსკრიტს, რომლის სიტყვები ფონეტიკური შედგენილობითა და სემანტიკით საოცრად ემთხვევა ევროპულ

ენათა შესაბამის მონაცემებს. ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნის უილიამ ჯონსის ვარაუდით, ბერძნული, ლათინური, კელტური, გოთური, აგრეთვე სპარსული და სანსკრიტი მომდინარეობენ ერთი წყაროდან, რომელიც უკვე აღარ არსებობს (რეფორმატსკი, 1967: 390).

ამგვარად, ენათა მონათესაობის იდეა წამოყენებული იყო მე-19 საუკუნეზე ადრე, მაგრამ მეცნიერები ვერ ასაბუთებდნენ მას. მათგან განსხვავებით ფრ. ბოპს ჰქონდა აღნიშნული ფაქტის კონცეპტუალური ხედვა, რომელიც ნაკარნახევი იყო ბუნებისმეცნიერებით. გერმანელი ენათმეცნიერი ცდილობდა ენათა შედარების გზით მოეხდინა მათი სავარაუდოდ არსებული წინარე ენის რეკონსტრუქცია. ნაშრომში „სანსკრიტული ენის უღლების სისტემის შესახებ შედარებით ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ და გერმანულ ენებთან“ (გამოვიდა 1816 წ. მაინის ფრანკფურტში) ფრ. ბოპი უპირისპირებს ერთმანეთს უღლების აფიქსებს, რადგან სიტყვებისაგან განსხვავებით გრამატიკული ელემენტების სესხება ერთი ენიდან სხვა ენებში არის შეუძლებელი:

სანსკრ.	გოთ.	ლათ.	ბერძნ.	ძვ. რუს.
as-mi	i-m	su-m	ei-mi	iec-мь
a- si	i-s	e-s	es-si	ie-си
as-ti	is-t	es-t	es-ti	iec-ть

ბოპი შენიშნავს: „ლათინური ენა არანაკლებ ემსგავსება ინდურს, ვიდრე ბერძნული; მასში ძლივსღა თუ მოიძებნება თუნდაც ერთი მიმართების გამომხატველი ფლექსია, რომელიც არ იყოს საერთო სანსკრიტთან“ (ბოპი, 1956: 29).

1833-1852 წლებში სამ ტომად გამოვიდა ბოპის ფუნდამენტური ნაშრომი „სანსკრიტის, ზენდის, სომხურის, ბერძნულის, ლათინურის. ლიტვურის, გოთურის, ძველსლავურის და გერმანული ენების შედარებითი გრამატიკა“, რომელშიც გრამატიკულ მასალაზე დაყრდნობით დასაბუთებულია მრავალი ენის მონათესაობა, რომელთაც ავტორმა „ინდოევროპული ენები“ უწოდა. ამრიგად, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ბოპმა

შექმნა ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა. მაგრამ ბოპს, მისივე აღიარებით, პირველ რიგში აინტერესებდა „ენის ორგანიზმის“ (ბოპი, 1956ა: 31) რეკონსტრუქცია. ბოპი გამოყოფს ენათა 3 ძირითად კლასს: 1. ენები, რომელთაც არა აქვთ ნამდვილი ძირი და ამიტომ არც აქვთ „ორგანიზმი“ (გრამატიკა). ასეთ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება ჩინური ენა. 2. ერთმარცვლოვანი ძირების მქონე ენები, რომელთაც აქვთ თავისი „ორგანიზმი“. ძირები იყოფა ორ ჯგუფად: ზმნურ და ნაცვალსახელურ ძირებად. პირველისაგან წარმოიშვნენ ზმნები და სახელები; მეორე ჯგუფისაგან - ნაცვალსახელები, წინდებულები, კავშირები და ნაწილაკები.



ბოპის თანახმად, გრამატიკული ფორმები მიღებულია სრულმნიშვნელოვანი ძირების დამხმარე ძირებთან აგლუტინაციის (შერწყმის) შედეგად. მაგალითად, სახელობითი ბრუნვის მხოლობითი რიცხვის დაბოლოება - S ბევრ ინდოევროპულ ენაში წარმოიშვა ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან Sa (ეს): სანსკრიტ. Sutas „შვილი“, გოთურ. Wulfs „მგელი“; ხოლო ზმნის I პირის მხოლობითი რიცხვის ფლექსია - mi (სანსკრიტ. as-mi „ვარ“, dada-mi „ვაძლევ“) წარმოქმნილია ნაცვალსახელისაგან ma. 3. ორმარცვლიანი ძირის მქონე ენები, რომელთაც ძირში, როგორც წესი, სამი თანხმოვანი აქვთ. ასეთი ენები, მაგალითად, სემიტური გრამატიკულ ფორმებს აწარმოებენ ხმოვანთმონაცვლებით (ბოპი, 1956ა: 34-35).

სპეციალისტთა შეფასებით, მიზანი, რისთვისაც ბოპი იყენებდა თავის მეთოდს- ენის თავდაპირველი მდგომარეობის რეკონსტრუქცია, გამოდგა ნაკლებად დამაჯერებელი, ვინემ თვით მეთოდი.

ბოპთან ერთ დროს, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად ენათა ისტორიულ-შედარებით კვლევას აწარმოებდა დანიელი ენათმეცნიერი რასმუს რასკი (1787-1832). თუ ბოპი მიზნად ისახავდა ენათა შედარების გზით ენის თავდაპირველი მდგომარეობის შესწავლას, რასკისთვის ენა ყველაზე უტყუარი მოწმობაა ხალხთა წარმოშობისა და მათი ნათესაური კავშირების შესახებ, რადგან ერთი თაობის სიცოცხლის განმავლობაში ხალხს შეიძლება გამოეცვალოს სარწმუნოება, ტრადიცია, ადათ-წესები, კანონები, მაშინ როდესაც ენა ინახავს თავს ათასწლეულთა განმავლობაში. ასე, მაგალითად, „ბერძენი გლეხის მეტყველებაში ჯერ კიდევ შეიძლება გამოვიცნოთ ჰომეროსის ენა..., არაბებს ესმით ის, რაც დაიწერა არაბულად მუჰამედამდე..., თანამედროვე ინგლისურ ენაში ჯერ კიდევ შეიძლება გამოვარჩიოთ ანგლოსაქსური“ (რასკი, 1956: 36-37). ნაშრომში „ გამოკვლევა ძველი ჩრდილოური ანუ ისლანდიული ენის წარმოშობის შესახებ” (დაიწერა 1814., გამოქვეყნდა 1818 წ.) რასკი საგანგებოდ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ხალხების ერთმანეთთან ურთიერთობის შედეგად სიტყვათა დიდი ნაწილი გადადის ერთი ენიდან სხვა ენაში, მაშინ როდესაც ბრუნებისა და უღლების ფორმათა სესხება არის შეუძლებელი. ამიტომ ენათა მონათესაობის დადგენის დროს, რასკის აზრით,განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ გრამატიკას (რასკი, 1956: 37). აღნიშნული სავსებით ეთანხმება ბოპის პოზიციას. მაგრამ ენათა გენეტიკური მიმართებების გასარკვევად რასკი გვთავაზობს კიდევ ორ კრიტერიუმს: ენათა ძირითადი ლექსიკის ერთნაირობას და ენათა შორის ბგერათა კანონზომიერ შესატყვისობას, რასკის ტერმინოლოგიით, „ასოთა გადაწევის წესებს“. ამ სამი კრიტერიუმიდან მესამე გამოირჩევა იმით, რომ წარმოადგენს ლოგიკურ იმპლიკაციას (თუ A, მაშინ B-ც) ანუ მეცნიერულ კანონს, რაც აძლევს ხელს რასკს ამტკიცოს: „თუ ორ ენას შორის ადგილი აქვს შესატყვისობას ისე, რომ შესაძლებელი ხდება ერთი ენიდან მეორე ენაში ასოთა გადასვლის წესების გამოყვანა, მაშინ ასეთ ენებს შორის არსებობს მჭიდრო ნათესაური კავშირი“ (რასკი, 1956: 38) ასე, მაგალითად, ბერძნული e ლათინურში გადადის a -ში; ხოლო o- u-ში:

ბერძნ.	ლათ.	ბერძნ.	ლათ.
feme	fama (აბზავი, დიდება)	olhos	sulcus (კვალი, ნაოჭი)
meter	mater (დედა)	bolbos	bulbus (ხახვი, ბოლქვი)
fegos	fagus (წიფელი)	amorge	amurca (ქაფი, ნალექი)
pelos	palus (ბოძი, ლელქაში)		

ისლანდიური ენის წარმოშობის კვლევის შედეგად რასკი იმ დასკვნამდე მიდის, რომ აღნიშნული ენა ისე, როგორც გერმანული, სლავური და ბალტური ენები მომდინარეობს ძველი ფრაქიულისაგან, რომლის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენენ ბერძნული და ლათინური ენები (რასკი, 1956: 45).

გერმანული ენის ისტორიული გრამატიკის შემქნელის იაკობ გრიმის (1785-1863) შეფასებით, კლასიკური ფილოლოგიის გრამატიკოსები სიტყვას უყურებდნენ, როგორც თავის ხელოვნებაში სავარჯიშო მასალას. ამიტომაა, ასკვნის გრიმი, რომ ბერძნულისა და ლათინურის ელემენტარული მორფოლოგიაც კი არ არის სათანადოდ დამუშავებული, შედეგი მიღებულია მხოლოდ სინტაქსში, რომელიც სანახევროდ გრამატიკას არ ეკუთვნის. გრამატიკოსებს უნარი არ შესწევდათ ერთი ენის ფაქტებით აეხსნათ მეორე ენის ფაქტები (გრიმი, 1956: 54). მაგრამ ახლა,- აგრძელებს გრიმი,- ენათმეცნიერება უკვე საფუძვლიანად გარდაიქმნა ისე, როგორც მეცნიერებები მცენარეთა და ცხოველთა აგებულების შესახებ გადაიქცნენ შედარებით ბოტანიკად და შედარებით ანატომიად (გრიმი, 1956: 55). სამი მონათესავე ენის მიმართებიდან შესაძლებელია გამოვიყვანოთ მათი სიცოცხლის კანონი. თუ თავის დროზე სანსკრიტს გაეცნენ მისი სრულყოფისა და გასაოცარი სისწორისათვის, აგრეთვე მასზე დაწერილი უძველესი და უმდიდრესი ლიტერატურის გამო, დღეს ამავე სანსკრიტს სწავლობენ სხვა ენების ჭეშმარიტი ისტორიის გამოსარკვევად, მათ შორის გერმანული ენების ისტორიული განვითარების კანონების დასადგენად . ამგვარად დადგინდა ენათა დიდი რაოდენობა სიტყვათა საერთო ძირებითა და ფლექსიათა საერთო სისტემებით. ამ ენათა ეს ინდოგერმანული ჯაჭვი გადაჭიმულია აზიიდან და მოი-

ცავს თითქმის მთელ ევროპას (გრიმი, 1956: 56). გრიმის აზრით, ინდოგერმანული ენის შინაგანი წყობის შესწავლით შესაძლებელია ნათელი მოეფინოს ადამიანური ენის წარმოშობასა და განვითარებას საზოგადოდ. ამრიგად, გრიმთან ენის „შინაგანი წყობა", „სიცოცხლის კანონი" ისტორიული კატეგორიაა, მისი გამოვლენა შეიძლება მხოლოდ „ისტორიული განვითარების კანონების" დადგენით ენათა ისტორიულ- შედარებითი ანალიზით და არა ერთი ენის აღწერით აწმყოში. ენათა ისტორიულ -შედარებითი კვლევის ლინგვისტიკისათვის ერთადერთ ჭეშმარიტ მეთოდად აღიარება ლინგვისტიკასაც ხდიდა ისტორიულ მეცნიერებად.

როგორც მეცნიერების მთავარი პრინციპი გამომდინარეობს გ. ჰეგელის ფილოსოფიური მოძღვრებიდანაც, სადაც სამყარო წარმოადგენს არა მყარ მდგომარეობას, არამედ მსოფლიო გონის ევოლუციურ პროცესს (ჰეგელი, 1984) თუ ჰეგელის თანახმად სამყაროში ყოველივე არსებული მსოფლიო გონის გამოვლინებაა, გრიმი შესაძლებლად თვლის დედამიწაზე არსებული ენები მიიჩნიოს ერთი ადამიანური ენის არსებობის პროცესად, რომელიც იყოფა ჰეგელის მსოფლიო სულის ევოლუციის მსგავსად სამ საფეხურად: 1. სიტყვებისა და ძირების ჩამოყალიბება; 2. ფლექსიის სრულყოფა და აყვავება; 3. ფლექსიის მოშლა და ანალიტიკური ფორმების დამკვიდრება (გრიმი, 1956: 60).

ენას გრიმი მიიჩნევს სულის გამოვლინებად, ასე, მაგალითად, იგი წერს „გერმანულ გრამატიკაში": „დაკვირვების გარეშე ჩვენ ვერასოდეს მივუახლოვდებით ენის შეუცნობელი სულის გაგებას" (გრიმი, 1956ა: 52). მაგრამ გრიმი სადმე არ აზუსტებს, სულის რომელ ფორმას ჰეგელის მიხედვით იგი გულისხმობს: ობიექტურ სულს (ბუნებას), სუბიექტურ სულს (კაცობრიობას), თუ ხალხის სულს (ეროვნებას) (ჰეგელი, 1984: 42, 283, 335). ერთ შემთხვევაში იგი ამბობს: „კარგ პირობებში მოხვედრილი ენა ხესავით იზრდება ყველა მხარეს" და ასკვნის: „არა,ენა არ არის ადამიანის ბუნებრივი თვისება" (გრიმი, 1956: 57), სხვაგან კი თვლის, რომ „ენა გაჩნდა ადამიანის აზროვნებიდან" (გრიმი, 1956: 64).

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ჩიქობავა, 1983:** ჩიქობავა არნ., ზოგადი ენათმეცნიერება, თსუ, თბ., 1983

2. **ჰეგელი, 1984:** ჰეგელი გ., გონის ფილოსოფია, მეცნიერება, თბ., 1984

3. **ბოპი, 1956:** Бопп Фр. О системе спряжения санскритского языка... в кн. В.А. Звегинцев Хрестоматия по истории языкознания 19-20 в.в., Госучпедгиз, М., 1956

4. **ბოპი, 1956ა:** Бопп Фр. Сравнительная грамматика... в кн. В.А. Звегинцев Хрестоматия по истории языкознания 19-20 в.в., Госучпедгиз, М., 1956

5. **გრიმი, 1956:** Гримм Я., О происхождении языка, в кн. В.А. Звегинцев Хрестоматия по истории языкознания 19-20 в.в., Госучпедгиз, М., 1956

6. **გრიმი, 1956ა:** Гримм Я., Немецкая грамматика, в кн. В.А. Звегинцев Хрестоматия по истории языкознания 19-20 в.в., Госучпедгиз, М., 1956

7. **ჰუმბოლდტი, 1984:** Гумбольдт В., Избранные труды по языкознанию, М., Прогресс, 1984

8. **დარვინი, 1939:** Дарвин Ч., Сочинения, т. 3, изд-во АН СССР, М., 1939

9. **პაული, 1960:** Пауль, Г. Принципы истории языка, изд-во Иностр. Лит-ры, М., 1960

10. **რასკი, 1956:** Раск Р., Исследования в области древнесеверного, или происхождение исландского языка, в кн. В.А. Звегинцев Хрестоматия по истории языкознания 19-20 в.в., Госучпедгиз, М., 1956

11. **რეფორმატსკი, 1967:** Реформатский А. Введение в языковедение, Просвещение, М., 1967

Levan Khalvashi

Historicism in Linguistic Thinking

(Summary)

stablishing historical cost principle in research caused formation of linguistics as a scientific study. According to the author, it goes beyond linguistic thinking and dates back to biology and philosophy of Hegel.

რამაზ ხალვაში

დიგიტალური ქართველოლოგია

ქართველოლოგიური მემკვიდრეობის დიგიტალიზაციის სათავეებთან გერმანელი ენათმეცნიერი და კავკასიოლოგი იოსტ გიპერტი დგას, რომელიც ენათა ელექტრონული ბაზებითა და კვლევის კომპიუტერული საშუალებების შესწავლით 1980-იანი წლებიდან დაინტერესდა. 1984 წელს იოსტ გიპერტის მიერ თბილისში ჩაწერილი რამდენიმე კავკასიური ენის აუდიომასალები ინტერნეტში განთავსებული ერთ-ერთი პირველი ღია კავკასიოლოგიური ელექტრონული რესურსი იყო. იოსტ გიპერტმა ჩაუყარა საფუძველი, აგრეთვე, ძველი ქართული ენის ძეგლების გაციფრებას, რითაც შეიქმნა ციფრული ბანკი ქართული ენის ისტორიული კორპუსისათვის. პირველი ციფრული კორპუსი ძველი ქართული ენისათვის მოიცავდა ძველ ქართულ ბიბლიურ ტექსტებს, აპოკრიფებსა და კომენტარებს, ჰაგიოგრაფიულ და ჰომილეტიკურ ტექსტებს. იოსტ გიპერტის მიერ მომზადებული ძველი ქართული ენის კორპუსი, რომელშიც 100-მდე ტექსტი გაერთიანდა, ფრანკფურტის უნივერსიტეტის TITUS-ის პლატფორმაზე განთავსდა და დღემდე მოიხმარება მკვლევართა მიერ, როგორც საერთაშორისო მიმოქცევის პროდუქტი.

1999 წლიდან იოსტ გიპერტის თანამშრომლობა ქართველ ენათმეცნიერებთან თვისობრივად ახალ ფორმას იღებს და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების ფარგლებში თანამშრომლობის გზით ვითარდება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ენათმეცნიერს – მანანა თანდაშვილს.

იოსტ გიპერტისა და მანანა თანდაშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა ერთობლივმა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ევროპასთან სამეცნიერო ინტეგრაციის პროცესს. ამგვარი თანამშრომლობის შედეგად შექმნილმა რესურსებმა საფუძველი ჩაუყარა კავკასიურ ენათა ელექტრონულ პლატფორმას.

ქართულ-გერმანული კოოპერაციის მასშტაბზე ციფრებიც მეტყველებს: იოსტ გიპერტისა და მანანა თანდაშვილის მიერ განხორციელებულ პროექტებში 17-მა სამეცნიერო ინსტიტუციამ, ზოგადად კი 273-მა ქართველმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა. მთლიანობაში ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტების, ასევე, მოწვეული პროფესორებისა და მცირეხნიანი სამეცნიერო-კვლევითი მივლინებების ღირებულებამ 1,5 მილიონ ევროს გადააჭარბა.

დიგიტალურ კავკასიოლოგიასა და ქართველოლოგიაში იოსტ გიპერტისა და მანანა თანდაშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია:

1. ARMAZI (Alternative Resources, Materials, Applications and Zipped Information – კავკასიური ენები და კულტურები: ელექტრონული დოკუმენტაცია) – 1999-2002 წლებში[25].

2. ECLinG (Endangered Caucasian Languages in Georgia – საფრთხეში მყოფი კავკასიური ენები საქართველოში) – 2002-2005 წლებში[26].

3. SSGG (Die soziolinguistische Situation im gegenwärtigen Georgien – სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში) – 2005-2007 წლებში[27].

აღნიშნულ დიგიტალურ რესურსებთან ერთად ქართული ენის ეროვნული კორპუსის შექმნისთვის მყარი საფუძველი შექმნა ისეთმა მნიშვნელოვანმა პროექტებმა, როგორიცაა:

1. ქართული დიალექტური კორპუსი (GDC, საქართველო, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ხელმძღვანელი: მარინე ბერიძე)[28].

2. ქართული ენის კორპუსკული (GEKKO, ნორვეგია, ბერგენის უნივერსიტეტი, ავტორი: პაულ მოირერი)[29].

3. ქართული პრესის ელექტრონული არქივი Opentext (ავტორი: ირაკლი იაკობაშვილი)[30].

---

25. http://armazi.uni-frankfurt.de/
26. http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/ecling/ecling.htm
27. http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/ssgg/ssgg.htm
28. http://www.corpora.co/
29. http://clarino.uib.no/gnc/
30. http://www.opentext.org.ge/

4. ღია ელექტრონული რესურსი lib.ge (ავტორი: გიორგი კეკელიძე)[31].

2012 წელს ფოლკსვაგენის ფონდმა დააფინანსა იოსტ გიპერტისა და მანანა თანდაშვილის მიერ წარდგენილი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი „ქართული ენის ეროვნული კორპუსი: ტექნოლოგიური ჩარჩოს შექმნა“ (2012-2014), რომლის მიხედვითაც, ქართული ენის ეროვნული კორპუსის განვითარება სამი ეტაპად დაიგეგმა:

I. ქართული ენის ეროვნული კორპუსის ტექნოლოგიური ჩარჩოს შექმნა (2013-2015 წლები);

II. ოქროს სტანდარტის (პროტოტიპული) კორპუსის შექმნა (2015-2018 წლები);

III. კორპუსის ბალანსირება (2018-2023 წლები).

ქართული ენის ეროვნული კორპუსი[32], დღევანდელი მონაცემების მიხედვით, მოიცავს 130 მილიონი ტოკენს, ანუ სიტყვაფორმას (შდრ. ბრიტანული ეროვნული კორპუსი – 100 მილიონი ტოკენი, სომხური ეროვნული კორპუსი – 110 მილიონი ტოკენი, რუსული ეროვნული კორპუსი – 150 მილიონი ტოკენი). მასში შესულია როგორც ქართული ენის ისტორიული მემკვიდრეობა (V-XVIII საუკუნეების ლიტერატურული და ისტორიული ძეგლები), ისე XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურა და 90-იანი წლებიდან მოყოლებული – ქართული პრესა. ამჟამად მიმდინარეობს ქართული ენის კორპუსის XIX და XX საუკუნეების პრესის მასალებით განვრცობა. გარდა ამისა, დღევანდელ ეტაპზე კორპუსის განვრცობის არსებით მიზანს წარმოადგენს მისი ჟანრობრივი დაბალანსება და გაჯერება სამეცნიერო, იურიდიული, პოლიტიკური და სოციოლექტური მასალებით.

ქართული ენის ვებკორპუსის – KaWaC-ის (ინგლ. Kartvelian Web as a Corpus – „ქართველური ვები, როგორც კორპუსი“) შექმნა ახალგაზრდა მკვლევრის – სოფიკო დარასელიას სახელთანაა დაკავშირებული. ს. დარასელიამ თსუ-ში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამჟამად იგი განათლების საერთაშორისო ცენტრის სადოქტორო პროგრამის სტიპენდიატია, მეორე სადოქტორო კვ-

31. http://lib.ac.ge/
32. http://gnc.gov.ge

ლევას ახორციელებს ლიდსის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი). დღეისათვის ქართული ენის ვებკორპუსი მოიცავს 150 მილიონზე მეტ სიტყვას და განთავსებულია ლიდსის უნივერსიტეტის ვებგვერდზე სხვა ისეთი ენების ვებკორპუსების გვერდით[33].

უკანასკნელ პერიოდში დიგიტალიზაციის განყოფილებები რამდენიმე ქართულ კვლევით დაწესებულებაში, ბიბლიოთეკასა და არქივში გაიხსნა.

ამ თვალსაზრისით ლიდერობს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელმაც dspace-ის ელექტრონულ პლატფორმაზე დაყრდნობით შექმნა რამდენიმე ციფრული კოლექცია. ესენია:

1. მერაბ მამარდაშვილის სახელობის ციფრული კოლექციები;
2. ბეჭდური არქივის და დისერტაციების ციფრული კოლექცია;
3. ელექტრონული ბიბლიოთეკა „ივერიელი", რომელიც მომხმარებელს სთავაზობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების, ჟურნალების, გაზეთების, ფოტოების და სხვა იშვიათი გამოცემების გაციფრებულ ასლებს[34].

დიგიტალიზაციის განყოფილება მოქმედებს, აგრეთვე, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. განყოფილება მიზნად ისახავს ცენტრში თავმოყრილი ქართული და უცხოენოვანი ხელნაწერების, ისტორიული დოკუმენტებისა და საარქივო მასალების დიგიტალიზაციას, ციფრული ასლების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნას. ამ მიზნების მიღწევა დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებს, რადგან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში თავმოყრილია დიდძალი ხელნაწერი მემკვიდრეობა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს უკვე გააჩნია რამდენიმე პროექტის ვებგვერდი: ქართველი ისტორიული მოღვაწენი (IV–XVIII სს.); ქართული ხელნაწერი წიგნი (ალბომი); Encyclopedia Georgica; Astronomical Manuscripts; მოხატული ისტ. დოკუმენტები; პირადი არქივების კატალოგი[35].

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში ქართული ენის კომპიუტერული დამუშავების ლაბორატორია ვლად-

33. http://corpus.leeds.ac.uk/internet.html
34. http://dspace.nplg.gov.ge/?locale=ka
35. http://manuscript.ge/el-resursebi/

იმერ კიკილაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა 1989 წელს. გარდა ამისა, 1991 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა „ლინგვისტური ატლასის“ ლაბორატორია, რომლის ძირითად ფუნქციად განისაზღვრა ქართველური ენების დიალექტების ტექსტური და ლექსიკური ბაზების მომზადება. 1995 წელს შეიქმნა კომპიუტერული ლინგვისტიკის ლაბორატორია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მანანა თანდაშვილი. მისი ინიციატივით დაარსდა ყოველწლიური კონფერენცია „ენის კონცეპტუალური და კომპიუტერული მოდელირება“, რომელიც 1996-99 წლებში ტარდებოდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში და გამოსცემდა კრებულს „ენის კონცეპტუალური და კომპიუტერული მოდელები“ (სულ გამოიცა 3 ტომი). 2006 წლის ზაფხულში კი დიალექტოლოგიური ატლასისა და კომპიუტერული ლინგვისტიკის ლაბორატორიების ბაზაზე ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების ლაბორატორია, რომელსაც 2009 წლიდან დღემდე მარინე ბერიძე უძღვება. მრავალწლიანი საქმიანობის შედეგად ლაბორატორიაში ორი კორპუსი შეიქმნა (ორივე პროექტის ხელმძღვანელია მარინე ბერიძე):

1) „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი – ქართული დიალექტური ტექსტების კორპუსი“;

2) „ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი“[36].

ციფრული ქართველოლოგიის სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა „ენის მოდელირების ასოციაციამ“, რომელიც 2006 წელს შეიქმნა ქართველ ენათმეცნიერთა და პროგრამისტთა მონაწილეობით. ასოციაციის ვებგვერდზე უკვე განთავსებულია ასოციაციის მიერ განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის ელექტრონული რესურსი[37].

1995 წლიდან თსუ-ში მოქმედებს „ლექსიკოგრაფიული ცენტრი“, რომელსაც დაარსების დღიდან თინათინ მარალიტაძე

36. http://sml.corpora.co
37. http://ena.ge/

ხელმძღვანელობს. ციფრული ლექსიკოლოგიის სფეროში ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია:

1) „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი", რომელშიც ამჟამად 110 000-მდე სიტყვა-სტატიაა წარმოდგენილი[38].

2) „ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტექსტების პარალელური კორპუსი"[39].

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი (ხელმძღვანელი – ნინო დობორჯგინიძე) დიგიტალური ჰუმანიტარიის სფეროში ახორციელებს პროექტს „ქართული ენის კორპუსი", რომელიც 2009-2015 წლებში შეიქმნა. ამ ეტაპზე ილიაუნის კორპუსი შედგება მონოლინგვური და ბილინგვური ქვეკორპუსებისგან. მონოლინგვურ კორპუსში წარმოდგენილია ორი ძირითადი სექცია: 1) ძველი და საშუალი ქართული ენა; 2) ახალი და უახლესი ქართული ენა. ძველი და საშუალი ქართული ენის ქვეკორპუსები ასახავს, ერთი მხრივ, სხვა ენებთან (ბერძნული, სირიული, ქრისტიანული არაბული, სომხური) და კულტურებთან ქართულის ურთიერთობას და, მეორე მხრივ, ქართული სამწერლობო-მთარგმნელობითი სკოლების (წინაათონური, ათონური, ანტიოქიური, ქართული ელინოფილური და ა.შ.) ლიტერატურულ პროდუქციას. ბილინგვურ კორპუსში კი წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნისა" (ქართულ-ინგლისური) და „ქართლის ცხოვრების" (ქართულ-სომხური) პარალელური კორპუსები[40].

„ვეფხისტყაოსნისა" და „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერებსა და გამოცემას ემყარება აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თეზაურუსის" კომიტეტის (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია) ვებგვერდზე განთავსებული რესურსები[41].

დიგიტალური ჰუმანიტარია დამკვიდრდა ქართულ საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სივრცეშიც. 2012 წლიდან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტთან და ფრანკფურტის ლინგვისტურმა წრესთან

38. http://dictionary.ge/
39. http://corp.dict.ge/
40. www.corpora.iliauni.edu.ge
41. http://saunje.nekeri.net

თანამშრომლობით იმართება საერთაშორისო საზაფხულო სკოლა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში. დღემდე ჩატარდა 6 საზაფხულო სკოლა, რომლის ძირითადი თემაა დიგიტალური ჰუმანიტარია, კორპუსლინგვისტიკა და ქართველოლოგიის სპეციალური პრობლემები. საზაფხულო სკოლის ფარგლებში გამართულ საერთაშორისო ვორკშოფში მონაწილეობდნენ ცნობილი ევროპელი მეცნიერები ფრანკფურტის, კიოლნის, ლაიპციგის, ბერგენის, მიუნხენის, დარმშტადტის უნივერსიტეტებიდან და ნეიმეჰენის ენათა არქივიდან. საზაფხულო სკოლაში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის 150-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. მათი დიდი ნაწილი ამჟამად აქტიურად თანამშრომლობს მეგაპროექტში „ქართული ენის ეროვნული კორპუსი". გარდა ბათუმისა, ფრანკფურტის ლინგვისტურმა წრემ სეზონური სკოლები და ვორკშოფები ჩაატარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობითაც (ხელმძღვანელები: მანანა თანდაშვილი, დარეჯან თვალთვაძე).

აქვე აღვნიშნავთ, რომ 2014 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიგიტალური ჰუმანიტარიის ორი სეზონური სკოლა ჩატარდა პროფ. ირინე დარჩიას ხელმძღვანელობით: 1) თსუ ზაფხულის სკოლა „ციფრული კვლევების მეთოდები ფილოლოგიურ მეცნიერებებში (ბოლონიისა და სოფიის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით); 2) თსუ ზამთრის სკოლა „შესავალი ციფრულ ფილოლოგიაში" (ლაიფციგის უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის კათედრასთან თანამშრომლობით).

2016 წლიდან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს დიგიტალური ჰუმანიტარიის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელობითაც ხორციელდება საბაკალავრო პროგრამა-მაინორი დიგიტალურ ჰუმანიტარიაში. პროგრამამ 2015 წელს გაიარა აკრედიტაცია და საქართველოში ჯერჯერობით ერთადერთი საგანმანათლებლო პროგრამაა ამ მიმართულებაში (პროგრამის ხელმძღვანელები: რამაზ ხალვაში – ბსუ, მანანა თანდაშვილი – ფრანკფურტის უნივერსიტეტი).

2017 წლიდან ბსუ დიგიტალური ჰუმანიტარიის ცენტრში ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტთან და ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება პირველი „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში“ (Cross-National Doctoral School), რომლის ხელმძღვანელები არიან იოსტ გიპერტი და მანანა თანდაშვილი. პროექტმა დიდი დაინტერესება გამოიწვია ახალგაზრდა მეცნიერთა შორის – დარეგისტრირდა 61 აპლიკანტი. კონკურსის შედეგად შერჩეულმა 27 სტუდენტმა საგანგებო მომზადება გაიარა ფრანკფურტის უნივერსიტეტში.

ბსუ დიგიტალური ჰუმანიტარიის ცენტრი ასევე ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ახორციელებს საგრანტო პროექტს „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი“ (ხელმძღვანელები: მანანა თანდაშვილი და რამაზ ხალვაში). პროექტი მიზნად ისახავს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის (DigiArchive) დაფუძნებას, ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნას. DigiArchive-ის ორენოვანი ვებგვერდი აღჭურვილია რესურსების მოპოვების (მასალის ჩაწერა) და დიგიტალური კურირების (რეგისტრაცია, ტექნიკური დამუშავების, არქივირება, დაცვა და შემდგომი შევსება) მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური საშუალებებით. ჯერჯერობით პროექტის ფარგლებში რესურსების დოკუმენტირება და არქივირება მხოლოდ ერთ რეგიონს (აჭარა) მოიცავს, თუმცა DigiArchive ჩაფიქრებულია, როგორც ინტერდისციპლინური რესურსების თანამედროვე საცავი, რომელიც პერსპექტივაში გააერთიანებს საქართველოში გავრცელებული ენებისა და კულტურების, აგრეთვე, ქართული დიასპორების ლინგვოკულტუროლოგიურ დიგიტალურ რესურსებს[42].

42. http://digiarchive.bsu.edu.ge/

Ramaz Khalvashi

Digital Kartvelology

(Summary)

The article deals with the history of digital Kartvelology. The paper discusses its development with the merit of Frankfurt School of linguistics (Jost Gippert and Manana Tandashvili), the National Parliamentary Library of Georgia (Iverieli Digital Library), Korneli Kekelidze Georgian National Centre Manuscripts, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Language Modeling Association, Lexicographic Centre at Tbilisi State University, Institute of Linguistic Studies of the Ilia State University, Georgian Academy of Sciences (Rustaveli Committee) and Shota Rustaveli State University (Centre for Digital Humanities).

თინა შიოშვილი

მარადიული გაზაფხულის მითოსი ტაოს ფოლკლორში

მარდიული გაზაფხულის (ზაფხულის), ანუ მიწიერი სამოთხის, მითოსს იცნობს მსოფლიოს თითქმის ყველა უძველეს ხალხთა მითოლოგია და, როგორც პროფესორი ზურაბ კიკნაძე მიუთითებს, ყველგან თავისებური სახე აქვს, "დაკავშირებულია იმ ქვეყნის რეალიებთან (ლანდშაფტი, ისტორიული წარსული, ტოპონიმია, ფლორა, ფაუნა...), სადაც ის შეიქმნა" (კიკნაძე, 2008: 61). ქართული ზეპირსიტყვიერებაც იცნობს სამოთხის მითოსს, რომელიც თამარ მეფის სახელს უკავშირდება, რაც სავსებით მოსალოდნელი და ბუნებრივია, რადგანაც იმ საზოგადოების ცნობიერებაში, სადაც ჩაისახა ეს მითოსი, თამარის სამეფო წარმოდგენილი იყო "ოქროს ხანად", თამარი _ მის ერთპიროვნულ შემოქმედად და მზრუნველ პატრონად" (კიკნაძე, 2008: 61).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მარადიული გაზაფხულის მითოსის მრავალი ვარიანტი მოგვეპოვება (სიხარულიძე, 1961: 81, 254-261); მათი მოკლე შინაარსი ამგვარია: თამარ დედოფალს სამეფო ტახტი ედგა იალბუზის მთაზე, სადაც ზამთარი არ იცოდა და სულ მუდამ ზაფხული სუფევდა; ამ მარადიულ სამეფოში არც სნეულება იყო, არც _ სიბერე და არც _ სიკვდილი, რადგანაც ყოვლისშემძლე, გულთმისან თამარ დედოფალს დრო-ჟამის ფრინველი (შუქურ-ვარსკვლავი) დატყვევებული ჰყავდა, რის გამოც დროის მდინარება შეჩერებული იყო და "საქართველოში ზამთარი სრულებით ამოიძირკვა იმიტომ, რომ ზამთარი შუქურვარსკვლავის ძალით მოდიოდა" (სიხარულიძე, 1961: 81-82). სასახლეში თამარის არყოფნის დროს მცველად დატოვებულმა ერთგულმა მსახურმა (გამზრდელმა) ცნობისწადილი ვერ დაძლია და აკრძალული მეთორმეტე ოთახის კარები გააღო, რასაც ფრინველის გამოფრენა _ გაუჩინარება და ამინდის შეცვლა მოყვა: ატყდა საშინელი ქარიშხალი, წამოვიდა თოვლი და მთელი იალბუზის მთა სასახლითურთ სულ ერთიანად დაფარა.

მითოსის თანახმად, ამ დროს ბაღდადში მონასტრის ასაშენებლად მყოფი თამარი ყველაფერს მიხვდა, სასწრაფოდ გველზე

ამხედრდა და საქართველოსაკენ გამოსწია, მაგრამ იალბუზზე ასვლა ვეღარ შეძლო და ვარძიის მონასტერში წაბრძანდა. ასე დაიკარგა მიწიერი სამოთხე, დაიწყო დრო-ჟამის მდინარება, გაჩნდა წელიწადის დროები, რაც, პროფესორ ზურაბ კიკნაძის მართებული შენიშვნით, ნიშნავს იმას, რომ "... დრომ დაიპყრო სივრცე, გაბატონდა მასზე; "მარადიული გაზაფხული", აკრძალვის ძალით რომ არსებობდა, წარმავალმა წუთისოფელმა შეცვალა..." (კიკნაძე, 2008: 62).

მარადიული გაზაფხულის მითოსი ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი უძველესი ქართული რეგიონების _ ტაოსა და კლარჯეთის _ ზეპირსიტყვიერებაში. ტაოში, სოფელ ვანისხევის ერთ-ერთ უბანში _ ჭილათში 2017 წლის 1 აგვისტოს ჰურიე დუმანისაგან (გამოთხოვილია სოფელ იეთიდან) ჩვენ მიერ ჩაწერილი ნარატივის თანახმად, პირველი თოვლის მოსვლა ქელაზორში მცხოვრებ ქრისტიან ბერს ("ქეშიშს") შეუნიშნავს და ამბის შესატყობად კაცები გაუგზავნია. "კაცები გასულან, თოვლი ხელში უუწევნიან, შუუხედნიან, ცივი ყოფილა. აბლი წამოულიან, გამდნარა, დაკარგულა".

ჩამოსულან და ბერისთვის მოუყოლიათ ყველაფერი. ბერი მიმხვდარა, რაც იყო ეს თეთრი მასა და უთქვამს:

" _ ე თოვლია, აქ ვეღარ ვიქნებით, თიბილ ადგილებში წევნოთო!"

ელიასხეველი შევქი თოფჩუს ნაამბობის (ჩავიწერე 2017 წლის 27 ივლისს) თანახმად, "თევნარში გათოვებულა. ქეშიშითინ უთქვიან ქი:

_ ზემო თეთრი რამე არი, ისი რა არი?"

ბერს უთხოვია, ჩამოეტანათ ეს თეთრი რაღაც და "ქეშიში მიმხდარა ქი, თოვლიაო" და უთქვამს:

" _ აქობაში აღარ დეიჟდომლება, აქიდან წევნეთო!"

დოლენჯიანთკარელი (სოფელ ხევას უბანი) მევლუდ დოლენჯიშვილისაგან 2017 წლის 26 ივლისს ჩვენ მიერ ჩაწერილი მითოსური ნარატივი მოგვითხრობს: "აქ, ქუაბაქ, ყოფილან გურჯები, აქვე მჯდარან. შუუხედნიან, გათოვლებულა. არ იციან, რა არი. გუუგზავნიან ორითანე ბიჭი. გასულან ქეთქეთში, ჩამუუტანი-

ან, გამდნარა ქი, კიდო გასულან ქეთქეთში, ჩამუუტანიან, კიდო გამდნარა"; შემდეგ ბერთან მისულან და მოუყოლიათ მომხდარის შესახებ. ბერს კი უთქვამს:

" – ბიჭებო, აქ არ იცხოვრება, ის თოვლია! გათოვდება ორი მეტრო და ვერ ვიქნებით აქა, დევირჩობითო!"

მართლაც, ის ადგილი მიუტოვებიათ.

არსებითად იდენტურია მარადიული გაზაფხულის მითოსის უფრო მოკლე ვარიანტები, რომლებიც ჩავიწერე ბასლიკარში (სოფელ ხევას უბანი) მენემშა და ემინე ქეჩენჯებისაგან.

მითოსის ყველა ტაოური ვარიანტით თოვლის მოსვლა ბერების სამყოფლის მოშლასთან ასოცირდება; ისინი ტოვებენ თავიანთ სამყოფელს. მთქმელები ერთხმად აფიქსირებენ, რომ "იქედან წასულან", მაგრამ არავინ იცის, კონკრეტულად სად წავიდნენ ქრისტიანი ღვთისმსახურები. მთავარი ჩვენებური მთქმელებისთვის რეალობასთან მისადაგებული ვითარებაა ("აქობადან წასულან") _ იქ, იმ ადგილებში, ქრისტიანები აღარ ბინადრობენ. ერთადერთი, დოლენჯიანთკარული, ვარიანტის თანახმად, რომლის მთქმელიც საკმაოდ გათვითცნობიერებული, განათლებული პიროვნებაა, "ქეშიში წევდა ბათუმში" და ესეც სრულიად რეალური ვითარების გამოძახილია; ბასლიკარული ვარიანტი კი ასკვნის: "... გაქცეულან უკნისკენ. ჰად წასულან, ა ვიცი, ჰაცხადან მოსულან, იქ წასულან".

საყურადღებოა, რომ კლარჯულმა მითოსმაც შემოგვინახა რწმენა-წარმოდგენა შეჩერებული დრო-ჟამისა, ანუ მარადიული გაზაფხულისა, თუმცა აღარც კლარჯელთა მსოფლგაგება უკავშირდება თამარის სახელს. სოფელ ბერთაში 2013 წელს მეჰმედალი ქესქინის მიერ ოსმან ოსქანისაგან ჩაწერილი მითოსური ნარატივის თანახმად, მარადიული გაზაფხულის, ანუ შეჩერებული დრო-ჟამის, ადგილია ართვინის მიდამოები, სადაც, თურმე, თოვლი არასოდეს მოდიოდა.

"ართვინში ძველ საუკუნებში არ თოვლდა". აქ, სოფელ სოთში (დღევანდელი სეითლერი), ნიგალას უბანში, ყოფილა ეკლესია, რომელშიც "მცხოვრობდა ქეშიში", ანუ ქრისტიანი ბერი. მთქმელის განმარტებით, ეს ეკლესია ბუხარეთის მთებში, სოთსა და

ვაზრიას შორის, მდებარეობს და "ავჯი ეკლესიას" ეძახიან.

ერთ დღეს ბერმა კაჩკარის მთაზე, საქალარის პლატოზე, თეთრი რაღაც შენიშნა. ასეთი რამ მანამდე არასოდეს ენახა და ძალიან გაუკვირდა. მან ოთხი მსახური გაგზავნა მთაში ამბის გასაგებად, თან თოფიც გაატანა და დაარიგა:

"_ ეს თოფი იმ თეთრი რაღაცას ესროლეთ და მოკალით!"

კაჩკარის მთაზე ასულებმა თოფი კი ესროლეს იმ თეთრ "რაღაცას", მაგრამ ვერაფერი დააკლეს; ნელ-ნელა მიუახლოვდნენ, ხელით შეეხნენ და "დაინახვენ, რომ ეს თეთრი არსება ცივი რაღაცა არის". ამის შემდეგ ტყავის ტომარა გაავსეს ამ თეთრი მასით და უკან, ეკლესიისკენ გამობრუნდნენ.

ეკლესიის მსახურებმა ბერს ტომარა აჩვენეს და უთხრეს:

"_ თეთრი არსება ამისი შიგან არის".

ტყავის ტომარა რომ გახსნეს, იქ მხოლოდ წყალი დახვდათ...

"_ მე წიგნებში ვიკითხე, ეს თოვლია", _ განმარტა ბერმა და დაასკვნა:

აქ ვერ ვიცხოვრებთ იმიტომ, თოვლი მოდის, ძალიან სიცივე იქნება!"

ამის შემდეგ ბერ-მონაზვნები ბარში ჩამოსულან, ნიგალას ეკლესიაში გაუგრძელებიათ მოღვაწეობა და ზემოთ, მთაში, მდებარე ეკლესიაში ვეღარ ადიოდნენ.

ამ მითოსის ვარიანტი პროფესორმა მალხაზ ჩოხარაძემაც დაამოწმა ქალაქ ართვინში 2013 წლის 21 აპრილს (ჩოხარაძე, 2015: 292).

მართალია, ტაოური და კლარჯული მარადიული გაზაფხულის, ანუ მიწიერი სამოთხის, მითოსს ჩვენებურები თამარ მეფის "ოქროს ხანას" აღარ (ვეღარ) უკავშირებენ (თამარი მათ ისტორიულ მახსოვრობაში ოდენ მატერიალური კულტურის ძეგლთა უპირობო შემოქმედად არის შერაცხილი), მაგრამ კაცობრიული მითოსური მსოფლმხედველობის ესოდენ სანუკვარი ხანა მათ ისტორიულ მეხსიერებაში მაინც ქრისტიანული ღვთისმსახურების სივრცესთან არის გაიგივებული და, ბუნებრივია, ესეც გენეტიკური სისხლის ყივილის ერთ-ერთი სულიერი გამოძახილია. სხვაგვარად წარმოუდგენელიც არის, რადგანაც ტაოელ

თუ კლარჯ ჩვენებურთა ცნობიერებაც ერთიანი ქართული კულტუროლოგიური წიაღიდან მომდინარეა, მისივე გვარ-ტომთა მსოფლმხედველობის განუყოფელი ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

კიკნაძე, 2008: ზურაბ კიკნაძე, "ქართული ფოლკლორი", თბ.;

სიხარულიძე, 1961: ქსენია სიხარულიძე, "ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება", ტ. I, თბ.;

შიოშვილი, 2017: თინა შიოშვილი, "კლარჯული ფოლკორი", თბ.;

ჩოხარაძე, 2015: მალხაზ ჩოხარაძე, "ხანძთა და "ათორმეტ სავანეთა" მხარის სალოცავები", ბათ.

Тина Шиошвили

Миф Вечной Весны в таоиском Фольклоре

(Резюме)

Жители Тао и Кларджети, в течении веков живущие в турецком окружений, вместе с другими архаичными жанрами фольклора до последнего времени сохранили память о мифе вечной весны.

По сравнению с общегрузинским фольклором таоиский миф о вечной весне больше не связан с именем Царицы Тамар; несмотря на это этот сюжет ассоцируется с памятью христианского богослужения, что еще раз подтверждает что самосознание таоицев является частью единого грузинского культурного пространства.

გურამ ბახტაძე

ქართული რომანტიზმის გენეზისისათვის

თანამედროვე ლიტ. მცოდნეობაში ქართული რომანტიზმის შესახებ არაერთი სიღრმისეული ნაშრომი გამოქვეყნდა. სხვადასხვა მეოდოლოგიის გამოყენებით ჩატარებული კომპლექსური გამოკვლევები ნათელს ხდიან აღნიშნული ლიტერატურული მიმდინარეობის აქმდე უცნობ ასპექტებს. ზურაბ კიკნაძის, კონსტანტინე ბრეგაძის, გაგა ლომიძის, ზაზა შათირიშვილის და სხვა მეცნიერთა მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომთა შემდეგ თითქმის აღარაფერი რჩება სათქმელი. თუმცა წინამდებარე სტატია ჩვენი მოკრძალებული ცდაა იმისა, რომ ქართული რომანტიზმის გენეზისის საკითხების შესახებ ჩვენი მოსაზრებაც გამოვთქვათ. მართალია, ერთი მხრივ, დღეს გაბედულად "შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ქართული რომანტიზმი არ იყო სტიქიური მოვლენა". (კონსტანტინე ბრეგაძე). მეორე მხრივ, ქართველი რომანტიკოსები რუსული რომანტიზმის ისეთ წამომადგენლებს დაეყრდნენ, როგორებიც ვასილი ჟუკოვსკი და ალექსანდრ პუშკინი არიან. (ზ.შათირიშვილი.www.lib.ge..) აქვე უნდა აღინიშნოს, კ. ბრეგაძისა და კ. კაციტაძის აზრით, რომ მსოფლხედველობრივი მსგავსებას ქართული რომანტიზმი განსაკუთრებით გერმანულთან მიმართებაში ამჟღავნებს. (https://www.radiotavisupleba.ge/) მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ქართული რომანტიზმის თვითმყოფადობას ძველი და ახალი თაობის მეცნიერები ერთხმად აღიარებენ. გვსურს გავამახვილოთ ყურადღება რამდენიმე ნიუანსზე, რომლებიც ქართული რომანტიზნის გენეზისის საკითხებისათვის გამოდგებოდა.

ქართული რომანტიზმი ერთ–ერთი უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურაში. ტრადიციებით მდიდარი ქართული მწერლობა ამ კუთხითაც გამორჩეულია. უნდა აღინიშნოს, რომ რომანტიზმი პირველი მიმდინარეობა იყო, რომელიც ქართულ

მწერლობაში ასე სრულყოფილად გაფორმდა. კლასიცისტური ტენდენციები ძველი ქართული მწერლობის აღორძინების ხანაში და შემდგომ პერიოდშიც (ბესიკის, ალ. ორბელიანის შემოქმედება) შეინიშნებოდა. ამის დასტურია ანტონ კათალიკოსის თეორიები, თუმცა კლასიციზმი, როგორც მიმდინარეობა, ჩვენს ლიტერატურაში არ ჩამოყალიბებულა. გამოჩენილი ქართველი ლიტერტურათმცოდნე გურამ ასათიანი აღნიშნავს: „ქართული პოეზია XIX საუკუნის მანძილზე თანმიმდევრულად გაივლის ევოლუციის სამ ძირითად ფაზას: კლასიცისტურს, რომანტიკულს და რეალისტურს. კლასიციზმი ყველაზე ნაკლებშემოქმედებითი, ისტორიულად უპერსპექტივო და უნაყოფო (მიუხედავად მისი ნიმუშების საკმაოდ დიდი რაოდენობისა) ნაკადია ამ მიმდინარეობათა შორის. გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში ის თავისებური გადმონაშთის, წინა საუკუნიდან გადმოყოლილი ლიტერატურული ინერციის სახით არსებობს“. (ასათიანი, 2007:40)

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კლასიციზმი აბსოლუტური მონარქიის იდეოლოგიის გამომხატველი მიმდინარეობაა, ბუნებრივიც არის, რომ იგი ქართულ ხელოვნებაში არ აღმოცენდა. საქართველოს სახელმწიფო მართვის ისტორია იცნობს აღზევებული მონარქიული მმართველობის ფორმას, მაგრამ იგი უმთავრესად პატრონყმურ ურთიერთობაზე იყო დაფუძნებული. (რაც თავისთავად საყურადღებო ფაქტია)

შესაბამისად, ჩვენში არც სენტიმრნტალიზმი ჩამოყალიბებულა ლიტერატურულ მიმდინარეობად, მაგრამ ქართული რომანტიზმი თავისი ზოგადი ტიპოლოგიური ნიშნებითა და ეროვნული თავისებურებით ერთ–ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ევროპული რომანტიზმისა.

თუ გავიხსენებთ ჰეგელის სიტყვებს – „რომანტიკული ხელოვნება ქრისტიანული ხელოვნებაა“ – დავრწმუნდებით, რომ ქართული კულტურა, ამ მხრივ ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა რომანტიზმს. „საქართველო დასვლეთს განსაკუთრებით ქრისტიანობამ დაუკავშირა. ქართული ქრისტიანობის თავისებურებათა გამოსავლინებლად აღნიშნულ მომენტს არსებითი

მნიშვნელობა აქვს. მით უფრო, რომ ქართული ხასიათი ქართული ზნე–ჩვეულებანი თავისი განვითარების ისტორიული ძნელბედობის გზაზე ქრისტიანობის გზით ვითარდებოდა. ქრისტიანობა აკავშირებდა ჩვენი ხალხის კულტურას ახალი ეპოქის აღმავალ ცივილიზაციასთან. საქართველო ხომ ურთიერთისაგან განსხვავებული ორი კულტურულ–რელიგიური სამყაროს მიჯნაზე მყოფი ქვეყანაა. ცხადია, ამიტომაც დასავლური და აღმოსავლური სულიერი მისწრაფებები გარკვეულად აისახა ქართულ ხასიათშიც. განსხვავებული ტენდენციების ხალხებთან სიახლოვემ, მათთან მჭიდრო სულიერმა კონტაქტებმა ქართულ ცხოვრებაში ხელი შეუწყო ქრისტეს მცნებათა ნიადაგზე ეროვნული სარწმუნოებრივი პოზიციის ჩამოყალიბებას. ქრისტიანული რელიგიური რწმენა ჩვენში შეერწყა ქართველი ხალხის განცდაში არსებულ ტრადიციისადმი რწმენას, რამაც ბუნებრივ პირობებთან ერთად, ხელი შეუწყო ქართველ ადამიანში მიწიერ, მისტიკურისაგან შორს მდგომი მისწრაფებების გაჩენას. აი ესაა ერთი მთავარი პირობა იმისა, რომ ქრისტიანობა საქართველოში რომანტიზმის მასაზრდოებელ წყაროდ იქცა". (ევგენიძე,1982:35–36)

ქართული მწერლობა ასევე მდიდარი იყო (ნათარგმნი და ორიგინალური) რაინდული ლიტერატურით. „ამირანდარეჯანიანი", „აბდულმესიანი" და სხვა. მარტო „ვეფხისტყაოსანი" რად ღირს, სადაც უდიდესი ადგილი ეთმობა პიროვნებას, მის სულიერ სამყაროს.

რაინდული ლიტერატურის იდეას, მის მთავარ კვანძს, ეპიზოდთა მდინარებასა და კომპოზიციურ სპეციფიკას განსაზღვრავს თავისთავად რაინდული ურთიერთობა, რომელიც წარმოადგენს თხზულების მთავარ თემას და ერთადერთი ძლიერი მოტივი ესაა რაინდული იდეალი ბრძოლისა, რომელიც ჩვეულებრივ ვითარდება ორთაბრძოლებისა და ომების მრავალგვარ ეპიზოდში. მათი მიზანია რაინდის პირადი ძალღონის დემონსტრაცია, რომელიც ამაღლებულ საწყისად იქცევა ხასიათების შესაქმნელად, რომლის გაშლასაც ემსახურება მთლიანად სიუჟეტის განვითარება, ყოველი ამბავი თუ ეპიზოდი.

სხვა უფრო ძლიერი იმპულსის მქონე მოტივი რაინდულმა რომანმა ნაკლებად იცის, ყველაფერი დანარჩენი წარმოადგენს ამ მოტივის გაშლის საშუალებას, მისთვის შემთხვევით ნახულ ფონს. ამიტომ ამგვარი თხზულების ამბავთა განვითარებაში მთავარია საბრძოლო თავგადასავლები. გმირის ისტორია და ხასიათი ძირითადად მისი საბრძოლო თავგადასავალია. მას არა აქვს სხვა, უფრო საკუთარი განცდებით აღბეჭდილი პიროვნული ცხოვრება, (როგორც „ვეფხისტყაოსანშია“) რის გამოც თხზულების სიუჟეტი არაა გამთლიანებული გმირის შინაგანი სამყაროს ამსახველი შინაარსით.“ (ქართ. ლიტ ისტ. ტ., მე-2 მოდიფიცირ, 2009:21) რომანტიკულმა მსოფლხედველობამ სწორედ ამ კუთხით გაამდიდრა რაინდული საწყისი; მასზე დაამყნო ქრისტიანული სათნოება, რწმენა, იმედი და სიყვარული შეჰმატა რაინდის ქმედების მოტივაციას და ამგვარად მისცა დასაბამი რომანტიკულ ხელოვნებას.

ქართული რომანტიზმის აღმოცენების წინაპირობებზე საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აღორძინების ხანის მწერლობაში გამოვლენილ ტენდენციებს: ამ პერიოდში ყალიბდება ჩვენში ლიტერატურული გვარი – ლირიკა თეიმურაზ პირველის, დავით გურამიშვილის, ბესიკის და სხვათა პოეზიაში. გაბაასების ჟანრისათვის დამახასიათებელი, დაპირისპირებაც ხომ რომანტიკული ესთეტიკის ერთ–ერთ წინაპირობად შეიძლება ჩაითვლოს. ასევე, რომანტიკული ტენდენციები გამოიკვეთა ემიგრანტი პოეტების პატრიოტულ თემისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში და ეს თემა კლასიკური რომანტიზმის დონეზე განავრცეს 1832 წლის შეთქმულების მონაწილე რუსეთის გუბერნიებში გადასახლებულმა ქართველმა პოეტებმა თავიანთ ლირიკაში. საწუთროს გმობისა და მისი წაღმა–უკულმა ტრიალის თემა, რომელიც ასე მკაფიოდ გამოიკვეთა აღორძინების ხანის მწერლობაში ქართული რომანტიზმის ადრინდელ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. თუ ვაღიარებთ იმას, რომ მე–17–მე–18 საუკუნეების ქართული მწერლობა ერის სულიერ განწყობას გამოხატავს, მაშინ ასევე უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, გა-

ნმანათლებლური მიმართულების პარლელურად, ვითარდება რომანტიზმიც. აქვე შეგვიძლია დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“ ან ბესიკის „რძალდედამთილიანი“ გავიხსენოთ. აღნიშნულ ნაწარმოებებში აშკარად იგრძნობა შემოქმედებითი ინტერესი ხალხური სიტყვერებისადმი; სალიტერატურო ენა უახლოვდება სახალხო ენას; პერსონაჟებიც სოციალურად დაბალი ფენის წარმომდგენლები არიან. ეს ტენდენციები კი რომატიზმის მახასიათებელ ნიშნებად ითვლება.

ფრ. შლეგელისეული კონცეფციის თანახმად რომანტიზმის მხატვრულ–ესთეტიკურ წანამძღვარს ევროპულ ლიტერატურაში გოეთეს – „მაისტერის მოსწავლეობის წლები“ წარმოადგენს. რომლის მთავარი გმირი (პერსონაჟი), – ვილჰელმ მაისტერი, ობიექტურ სინამდვილესთან გადაუჭრელი წინააღმდეგობის გამო სულიერ კრახს განიცდის. ქართული რომანტიზმის აღმოცენებაში ამგვარი წანამძღვრის როლი „ვეფხისტყაოსანს“ შეეძლო შეესრულებინა. ტარიელიც ხომ ობიექტურ სინამდვილესთან მუდმივ კონფლიქტში იყო. მანაც არანაკლები სულიერი კრახი განიცადა. ცხოვრების, ობიექტური სინამდვილის მიმართ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დამოკიდებულება შემდეგი აფორიზმებითაა გადმოცემული: **„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან“; „ბრძენნი იცნობენ სწუნობენ, მით მათგან საწუნელია“.**

ასე რომ, ქართული რომანტიზმი ევროპულთან შედარებით ადრე იწყებს აღმოცენებას. დამოუკიდებლობის დაკარგვამ კი საბოლოოდ ჩამოაყალიბა იგი. 1801 წელს რუსეთმა საქართველოში გააუქმა სამეფო ინსტიტუტი, დინასტიის წარმომადგენლები საქართველოდან გადაასახლა და ფეოდალური არისტოკრატია აბსოლუტურად უფუნქციოდ დატოვა. ეს იყო უდიდესი ეროვნული ტრაგედია, რომელიც ადეკვატურად განიცადა მთელმა ერმა. რუსეთმა ძალიან მოკლე ვადაში გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი მიზნები. მეგობარი ქვეყნისაგან ამგვარი პასუხი მტკივნეული დარტყმა იყო. ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავს: „საზოგადოების მაღალი ნაწილი, ნებსით თუ უნებლიეთ, დაეშვა რუსიფიკტორული პოლიტიკის დაღმართზე, მწერლები კი ქანობდ-

ნენ ძველისა და ახლის შორის იმედის და სასოწარკვეთილების საზღვარზე, დამოუკიდებელ საქართველოზე მეოცნებენი და მისთვის განწირულები. და თითქოს სიმბოლურია ის გარემოება, რომ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა ქალებმა დაიწყეს, – ერეკლე მეფის სამმა ასულმა: მარიამ, თეკლე და ქეთევან ბატონიშვილებმა ნაზი ცრემლებით დაიტირეს „ედემის ბაღი“ – საქართველო“. (კოტეტიშვილი,1959:45) ამ გოდების არქეტიპი პროფესორ ზურაბ კიკნაძის აზრით, ბიბლიის შემდგომ „ვეფხიტყაოსანში“ ჩამოყალიბდა: „ედემს მოშორებული, განდევნილი ადამის გოდება ისმის ავთანდილის სიტყვებში –

„ვა სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,...

ამ სტრიქონებში კაცობრიობის წინაპარი, გმირი პოემისა და მისი ავტორი უნისონში {ადამი, ავთანდილი, რუსთველი.} გოდებენ – მათ ერთი სატკივარი აქვთ: სამივენი მოშორებულნი და მოწყვეტილნი არიან: ადამი - პირველქმნილ სამოთხეს, პოემის გმირი - არაბეთის სამოთხეს, პოემის ავტორი თავის ქვეყანას.

„ვეფხისტყაოსანის“ ეს გლოვა ქვეყნიდან (სამშობლოდან) გადახვეწის, მისგან შორსმყოფობის გამო, რომელსაც არქეტიპად ადამის გლოვა აქვს, თავად შეიქნა არქეტიპი მომავალი თაობებისათვის, რომელთა ცხოვრებაში XVIII საუკუნიდან შემოდის ემიგრაციის, ქვეყნიდან ნებსით თუ უნებლიეთ ან იძულებით გადახვეწის გამოცდილება, რომელიც ლიტერატურაში გარკვეულ ჟანრს ამკვიდრებს „საწუთროს სამდურავის“ სახით. ზურაბ კიკნაძის აზრით სწორედ რუსთაველმა შეუქმნა ქართველ მეფე-პოეტებს ენა, რომლითაც მათ საკუთარ სამშობლოსთან განშორება გამოიტირეს. (ზ. კიკნაძე, მერანის გენეალოგია“, ინტერნეტიდან. http://reso-kiknadze.de/meranisgenealogia.pdf) ბატონი ზურაბ კიკნაძის ღრმა და ლოგიკურად დასაბუთებული დასკვნა საფუძველს კიდევ უფრო უმყარებს ქართული რომანტიკული ფესვების ეროვნულ ლიტერატურაში ძიებას. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი გადაჭრით აღიარებს რუსი რომანტიკოსების – ჟუკოვსკისა და პუშკინის გავლენას ქართული რომანტიზმის აღმოცენების სკითხში.

ბატონი იუზა ევგენიძე ვიდრე ქართული რომანტიზმის გენეზისის საკითხს შეეხებოდეს პირველ რიგში ლიტერატურის

ეროვნულობაზე საუბრობს. იგი განიხილავს ამერიკელი რომანტიკოსი მწერლების – ედგარ ალან პოსა და ევერტ ოგასტეს დაიკინგის მოსაზრებებს ეროვნული მწერლობის შესახებ. ედგარ პო აღნიშნავს: „ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ამერიკული ლიტერატურა უნდა იყოს ნაციონალური. მაგრამ თუ რა არის ნაციონალური ლიტერატურაში და რა მოგებას ვნახულობთ ჩვენ ამით? ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია. ის, რომ ამერიკელი შემოიზღუდოს ამერიკული თემატიკით, ან თუნდაც უპირატესობა მიანიჭოს მას, – ეს უფრო პოლიტიკური მოთხოვნაა, ვიდრე ლიტრატურული, საუკეთესო შემთხვევაში ეს სადავოა“.

ევერტ ოგასტეს დაიკინგი კი ასე აყალიბებს თავის აზრს: „ნაციონალური ლიტერატურაში, პირველყოვლისა, ნიშნავს მშობლიურ ავტორებს. მეორე მხრივ, ჯეროვან პროპორციას ეროვნული თემებისას, რომელებიც იძლევა შესაძლებლობას მშობლიურიბუნებისაღსაწერად,ტრადიციებისადაჩვეულებების დაცვა გამოსახვას, ყოველდღიურ შემთხვევათა ასახვას, წარსულის აღქმას და იმ გარემოებათა აღბეჭდვას; რომლებიც აფორმებენ დროისა და ქვეყნის სულს; – ყველაფერი ეს უნდა განიმსჭვალოს გასულიერდეს მხურვალე და განმანათლებლური პატრიოტიზმით. **ქვეყნის ლიტერატურა უნდა იყოს ნაციის, ერის ფიზიკური, მორალური და ინტელექტუალური სახის გამომხატველი** სარკე. სხვა ხალხებმა და მომავალმა დრომ ჩვენს მწერლებთან უნდა იხილონ ხალხის პორტრეტი. დაინახონ რელიგიური და მოქალაქეობრივი განწყობილებანი (მდგომარეობები), ჩვეულებანი და ბედნიერება ადამიანისა, უძლეველობა და წარმავლობა სახელმწიფოებისა''. ეს მწერალი ისეთ უკომპრომისობას იჩენს ლიტერატურის ეროვნულობის ძიების გზაზე, – აღნიშნავს ი. ევგენიძე, – რომ ამნაირადაც კი სვამს კითხვას: „რაიმე სტიქიური უბედურების გამო ამერიკელი ხალხი უცბად რომ დაიღუპოს, მომავალ თაობებს მისმა ლიტერატურამ უნდა აუწყოს თვისება და ღირსება ამ ხალხისა და ამით ხალისი, სარგებლობა მოუტანოს დროის წიაღს შეფარებულ ხალხებსო''.

ავტორი წიგნისა – „ქართული რომანტიზმის საკითხები“ თავის მხრივ დასძენს: „ლიტერატურის ეროვნულობის შესამჩნევად აუცილებელი ის მოთხოვნები, რომლებსაც ამერიკელი რომანტიკოსები უყენებენ საკუთარი ქვეყნის მხატვრულ სინამდვილეს, იმგვარი პრეტენზიებია, რომლებიც მეტნაკლებად შეიძლება მოეთხოვოს ყოველი მოწინავე ერის ლიტერატურას და რასაკვირველია, მათ შორის ქართ ულსაც.“(ევგენიძე,1982:38–39). ქართული ლიტერატურა და, თავსთავად რომანტიზმიც აბსოლუტურად აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს. როგორც ყოველთვის მე–19 საუკუნის დასაწყისშიც ასახა ჩვენმა მწერლობამ ერის სულის მოძრაობა.

1801 წლიდან საქართველოში შექმნილი ვითარება – უკიდურესი ეროვნული და სოციალური ჩაგვრა, უსამართლობა, ბიუროკრატიზმი – სულს უხუთავდა საზოგადოებას. ქართველმა ხალხმა, რომელსაც სარწმუნოებისათვის, სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის გამუდმებით სისხლის ღვრა უხდებოდა, ოცნებად გაიხადა წარსული დიდების დაბრუნება. „ქართული რომანტიზმისათვის „დიდებული წარსული“ მამა-პაპათა დრო აღმოჩნდა (როგორც პირდაპირი გაგებით, ისე _ მეტონიმიურად). ესაა მეფე ერეკლეს დრო, როცა სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ ქართველ რომანტიკოსთა მამები და პაპები. აღსანიშნავია, რომ ერეკლე ბევრი მათგანის პირდაპირი წინაპარი იყო – გრიგოლ ორბელიანის დედა– ხორეშანი და ვახტანგ ორბელიანის დედა–თეკლე ერეკლეს ქალიშვილები იყვნენ, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა – ეფემია (გრიგოლ ორბელიანის და) – ერეკლეს შვილიშვილი გახლდათ. აქედან გამოდინარე, „რომანტიკული წარსული“ ქართველი რომანტიკოსებისათვის საკუთარი გენეალოგიური წარსულიცაა. მაგრამ მათი პოეტური (და არამხოლოდ პოეტური) მედიტაციის საგანი სწორედ ამ „საკუთარი დიდებული წარსულისაგან“ დაცილება და მოწყვეტაა. „დიდებული წარსულის“ თემატიზება პირველმა გრიგოლ ორბელიანმა განახორციელა - ამის გამოხატულებაა პოემა „სადღეგრძელო“ და ლექსები _ „იარალის“ და “ჰე, ივერიავ!

ვიდრე იყო ქედმოდრეკილი... (ორივე _ 1832 წელსაა დაწერილი)". (შათირიშვილი,ქართული რომანტიზმის გენეალოგია, ინტერნეტიდან.)

საქართველოში შექმნილი ვითარებისადმი შეუგუებლობა ქართველმა ხალხმა მრავალჯერ გამოხატა შეიარაღებული აჯანყებებით (1804, 1810,1812, 1819 წ.წ.) მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო 1832 წლის შეთქმულება, რომელსაც პოლიტიკური რომანტიზმის ხასიათი ჰქონდა. იგი სავსებით გამოკვეთილი ნიშანსვეტია ჩვენს ისტორიაში, საიდანაც ეყრება საფუძველი ეროვნული მეობის თვითშემეცნების შეგნებულ პროცესს.

1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა უმეტესობა ცნობილი ქართველი მწერლები, მოაზროვნე–მოღვაწეები არიან: ა.ჭავჭავაძე, ს. დოდაშვილი, გ. ერისთავი, ალ ორბელიანი, ვ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი... ყველა ეს პირი ქართული ლიტერატურის სახელს და დიდებას ქმნის. მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ ყოველგვარ ქართულს და საზოგადოდ, ქართველობას შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში რუსეთის გარეშე დაღუპვა ელის. ასეთია მათი პოზიცია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამისდა მიუხედავად, ისინი მწვავედ განიცდიან საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლას. სწორედ ასეთ ვითარებაში ჩამოყალიბდა სპეციფიკურად ქართული რომანტიზმი, როცა ღირსებაშელახულ სამშობლოს მწვავე მდგომარეობით განპირობებულ განცდებს სიამაყე, საკუთარი კულტურული მეობის გრძნობა და ამავე დროს რეალურ ვითარებაში შექმნილი უილაჯობის შეგნებაც ამოუდგა გვერდით. (ევგენიძე, 1982:52)

ამგვარ რეალობას აი როგორ ხსნის მეოცე საუკუნის დიდი მოაზროვნე აკაკი ბაქრაძე: „ქართული ეროვნული ენერგიის მიმართ არსებობდა ნიჰილიზმი. თავად ის, რომ საუკუნეების მანძილზე ქართული სამეფო კარი თავშესაფარსა და მფარველობას ეძებდა, (ბიზანტინიზმი ა. ბ.) უკვე მოწმობდა ძვალსა და რბილში გამჯდარ ნიჰილიზმს. ეს ნიჰილიზმი შემთხვევით არ დაბოლოებულა გიორგი მეთორმეტისა (თუ

მეცამეტის) სასოწარკვეთილი სიტყვებით. როცა საქართველოში რუსთა ბატონობის დამყარების საკითხი იხილებოდა, დავით ჩერქეზიშვილს უკითხავს მეფისათვის – „ბატონო მეფევ და კარისკაცნო დარბაისელნო: რომ აღებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთა თვისსა დროსა დახშვასა მისსა?“ – გიორგის უპასუხებია – „დახშვა კარისა ამის იქნება დახშვა ქრისტიანობისა კარისა; ამისათვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაცა ვესავთ, იქნება თვით მცველად კარისა, რომელსაცა თვით ჯვარცმული მასზედ (მაშინ) დახშავს და განაღებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩენს საჭიროდ“ (პ.იოსელიანი – „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“).

ქართველი ხალხი კი არ დაკეტავს დარიალის კარს როცა ეს აუცილებელი გახდება, არამედ – უზენაესი. ამას ღვთის ანაბარად დარჩენა ჰქვია, რაც არამარტო პიროვნების უძლურებას გამოხატავს, არამედ მთელი ერისას.“ – შენიშნავს აკაკი ბაქრაძე. (ბაქრაძე, მე–19 საუკუნე ,ინტერნეტიდან).

„ასეთია ისტორიოგრაფიის მონაცემთა ასპექტში ქართული რომანტიზმის ის სპეციფიკური ეროვნული ნიშანი, რომელიც ისტორიულლ განასერში ქართველი კაცის პატრიოტული თავმოყვარეობის, ეროვნული, ქართული მეობის ნერვს წარმოადგენს. ესაა თითქმის რელიგიურ დონემდე აყვანილი სიყვარული საკუთარი ისტორიული ბედუკულმართობით დაწყლულებული ეროვნული სხეულისა, გაერთიანებასა და თავისუფლებაზე მარადიული ეროვნული ოცნება რომ ასაზრდოებს“(ევგენიძე, 1982:52).

ქართველი რომანტიკოსებისათვის, მიუხედავად ამ ლიტერატურული მიმდინარეობის სპეციფიურობისა – რომ ავტორი საკუთარ მეს უნდა ჩაულრმავდეს და სწორედ ამ ჩაღრმავების არაჩვეულებრიობის ჩვენებით უნდა დაკავდეს, – არ არსებობს თემა თვინიერ პატრიოტიზმისა და სიყვარულისა. აქ როგორც ვლ. სოლოვიოვი რომანტიზმის შესახებ მსჯელობისას აღნიშნავდა: ერთმანეთსაა გადაჯაჭვული პიროვნული, ეროვნული და უნივერსალური, საერთო საკაცობრიო.

მითითებული ლიტერატურა:

1. **ასათიანი, 2007:** ასათიანი გურამ, ტ. -II. pdf-ფაილი; ელექტრონული ვერსია.2007;
2. **ევგენიძე, 1982:** ევგენიძე იუზა, ქართული რომანტიზმის საკითხები. თბ., მერანი, 1982;
3. **კოტეტიშვილი, 1959:** კოტეტიშვილი ვახტანგ: ქართული ლიტერატურის ისტორია. XIX ს.: თბ. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" 1959;
4. **ქართული... 1959:** ქართ. ლიტ ისტ. მე-2 ტ., მოდიფიც. 2009; http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/2999/1/ Kartuli LiteraturisIstoria_tomi_II. pdf;
5. http://reso-kiknadze.de/meranisgenealogia.pdf) ;
6. https://www.radiotavisupleba.ge;

Guram Bakhtadze

For the genesis of Georgian romanticism

Summary

The article reviews historical, cultural and socio-political bases of Georgian romanticism. The main point is that even though there was a touch of European romance with Georgian poetical thinking (through the Russian literature), romanticism began to occur much earlier than it happened in Europe. That the origins of Georgian romanticism originate on national grounds, finding the nuances that prove it is not difficult in old Georgian writings

შორენა მახაჭაძე

სიცოცხლის კონცეპტი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში /ტიციანი - ლადო - გოგლა /

თანამედროვე ჰუმანიტარულ კვლევებში ხშირად შეხვდებით ცნებას კონცეპტი, მაგრამ სხვადასხვა მეცნიერი იმდენად განსხვავებულ შინაარსს დებს მასში, რომ ძნელდება მისი ცალსახა განსაზღვრა. მას თავისუფლად მოიხმარენ ლიტთეორიაში აქამდე არსებული ტერმინების სანაცვლოდ, შესაბამისად, კონცეპტი შეიძლება აღნიშნავდეს როგორც არქეტიპს, მითოლოგემას, ისე - სიმბოლოს, სახეს. სწორედ ამიტომ, სანამ სიცოცხლის კონცეპტზე მსჯელობას შევუდგებოდეთ, აუცილებელია დავაზუსტოთ, კონკრეტულად რას ვგულისხმოთ ტერმინში ,,კონცეპტი".

ვფიქრობთ, კონცეპტი ესაა აზროვნების ერთეული, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის გამოცდილება და ცოდნა, ის აზრის მენტალური რეპრეზენტაცია, სხვაგვარად, კულტურულად აღნიშნული ვერბალიზებული აზრია, მასში კონცენტრირებულია ადამიანის საქმიანობისა და მის მიერ სამყაროს შეცნობის პროცესის შედეგები. მათში ერის უმაღლესი სულიერი ფასეულობებია ფიქსირებული. შესაბამისად, კონცეპტს გააჩნია ენობრივი გამოხატულება, ეთნოკულტურული სპეციფიკა. კონცეპტების ერთიანობა კი ქმნის ამა თუ იმ ერის ,,სამყაროს გულუბრყვილო სურათს": ,,კონცეპტი წარმოიშობა სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობისა და ადამიანის პირადი და სახალხო გამოცდილების შეჯახების საფუძველზე... კონცეპტის პოტენცია მით უფრო ფართო და მდიდარია, რაც უფრო ფართო და მდიდარია ადამიანის კულტურული გამოცდილება" (სტეპანოვი 2007:248).

როგორც ვხედავთ, კონცეპტი განუყოფლადაა დაკავშირებული კულტურასთან, ესაა კულტურის დანალექი ადამიანის ცნობიერებაში, ის, რითაც კულტურა შედის მის მენტალურ სამყაროში. მეორე მხრივ, კონცეპტი ისაა, რის საშუალებითაც ჩვეულებრივი ადამიანი თავად შედის კულტურაში, ასე რომ,

,,კონცეპტი მრავალგანზომილებიანი მენტალური წარმონაქმნია, რომელსაც სამი უმნიშვნელოვანესი მხარე გააჩნია: სახეობრივი, ცნებითი და ღირებულებითი" (ლიხაჩევი 1997:281).

კონცეპტის ანალიზისას, როგორც წესი, ითვალისწინებენ: კონცეპტის გამოყენების სიხშირეს, მსოფლმხედველობრივ ორიენტირებს, საკომუნიკაციო რელევანტურობას. შესაბამისად, კონცეპტის, როგორც უნივერსალური ფენომენის განხილვა, საშუალებას გვაძლევს სრულყოფილი წარმოდგენა შევიქმნათ შემოქმედის პოეტური სამყაროს, ხედვის, ინდივიდუალური სტილის შესახებ.

კონცეპტი ,,სიცოცხლე" ნებისმიერი ენისთვის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურულ-სემიოტიკური ელემენტია. ის საკვანძო, ძირითადი კონცეპტია ქართული ენისა. მისი მნიშვნელობა განუზომელია ქართველის მენტალობისთვის, ის განსაზღვრავს ქართველი კაცის მსოფლმხედველობას. ამაზე მეტყველებს, თუნდაც, მისი სემანტიკური მრავალპლანიანობა ლექსიკონებში, ქართულ მწერლობაში.

რა თქმა უნდა, უნივერსალური, საერთო-სახალხო მატარებელი კონცეპტებისა არის ხალხური ანდაზები, რომლებშიც განზოგადებულია სოციალურ-ისტორიული, ზნეობრივი, კულტურული გამოცდილება, ამიტომ ანდაზებსა და სახალხო თქმებს ხშირად მინი-კონცეპტებსაც უწოდებენ, მათში ხომ ლაკონიურად, ფორმულის სახითაა ჩამოყალიბებული სიცოცხლე-სიკვდილის ბინარული ოპოზიცია.

კონცეპტ ,,სიცოცხლის" სტრუქტურის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, გამოვყოთ მასში არსებული ცნებითი, სახეობრივი და ღირებულებითი ფენები. ცნებითი ფენა კონცეპტ ,,სიცოცხლის" ბირთვია. ის რთული სტრუქტურული ერთეულია, მას გააჩნია სემანტიკურ-აზრობრივი, ასოციაციურ-მენტალური თავისებურებები და ვერბალური ფორმირების სპეციფიკა.

რა თქმა უნდა, კონცეპტი ,,სიცოცხლე" ერთ-ერთი საბაზისოა, მაგრამ მისი უნივერსალურობის მიუხედავად, ცალკეულ ენობრივ კულტურაში მას განსხვავებული სპეციფიკა გააჩნია. ქართველი კაცისთვის ეს კონცეპტი თავისუფლებასთან, ხალ-

ისთან, ბედნიერებასთან, დღესასწაულთან, ზეიმთან ასოცირდება, ამიტომაცაა, რომ ქართული კლასიკური მწერლობის იდეალური სახეები სიცოცხლისათვის (რომელიც ქართულ სინამდვილეში ბედნიერების ტოლფარდ ცნებად აღიქმება) მებრძოლი გმირებია, ისინი თავიანთი სიკვდილითაც კი სიცოცხლის დამკვიდრებას უწყობენ ხელს.

გურამ ასათიანი თავის ბრწყინვალე ესეში „სათავეებთან" ზუსტად შენიშნავს, რომ „ქართული ხასიათი ... ბედნიერების მაძიებელი ხასიათია... ჩვენი ხასიათის თანდაყოლილი თვისებაა „სილაღე"... ბუნებრივი არტისტიზმი, თანდაყოლილი სწრაფვა ყოველივე ამაღლებულისკენ... ქართველისთვის ცხოვრება თავისთავად ზეიმია, დღესასწაულია, სანახაობაა, „სახიობაა" (ასათიანი 1988:445-528).

თუმცა ქართველმა კაცმა იცის, რომ სიცოცხლე სწრაფწარმავალია, ის „წუთისოფელია". აქედან გამომდინარე, სიცოხლის კონცეპტი თავისთავში მუდმივად გულისხმობს ამ წარმავლობასაც. ალბათ სწორედ ამიტომ გამოიხატა ქართულ პოეზიაში ასეთი ექსპრესიით სიკვდილ-სიცოცხლის „წინააღმდეგობრივი მთლიანობა", გავიხსენოთ:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა" (რუსთაველი 1974:19).

ამან ამოათქმევინა ვაჟას გენიალური სტრიქონები:

„მადლობელი ვარ, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა!" (ვაჟა-ფშაველა 1957:136).

ამ კლასიკური მაგალითებიდანაც უკვე ჩანს, რომ კონცეპტი „სიცოცხლე" უაღრესად ექსპრესიული და სუბიექტურად შეფერილია ცალკეული ავტორის შემოქმედებაში. ზემოთ მოყვანილ ნიმუშებში გვხვდება მინი-კონცეპტები - უნიკალური, თვითმყოფადი, ორიგინალური შეხედულება ცხოვრებაზე. ისინი მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ ავტორისეულ დისკურსში ფუნქციონირებენ.

ასეა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაშიც. ჩვენ საგანგებოდ გამოვყავით სამი შემოქმედი: ტიციან

ტაბიძე, ლადო ასათიანი და გიორგი ლეონიძე, რადგან სწორედ მათთან გვხვდება კონცეპტ „სიცოცხლის“ მსგავსი გააზრება. ამასთან ერთად, მათ პოეზიას ანათესავებს უმძაფრესი დრამატიზმი, პირველქმნილი, დაუოკებელი ვნებათღელვა, გულწრფელი, ხალასი ემოცია, უთვალავი ფერით შემკული სამყაროთი თითქმის ბავშვური გაოცება თუ აღტაცება, და, როგორც გურამ ასათიანი იტყოდა: „ყელში მობჯენილი ცრემლების პათეტიკა... გადალახული სევდა... და ცხოვრებისადმი ვაჟკაცური დამოკიდებულება... მათ განსაკუთრებული სიმძაფრით გამოხატეს ქართული ხასიათის უბერებლობა“ (ასათიანი გ. 1988:366; 436).

ტიციანისთვის სიცოცხლე და პოეზია სინონიმებია, პოეზია თავდავიწყებული გატაცების საგანია, მოვარდნილი მეწყერია, რომელსაც შეუძლია შემოქმედის ცოცხლად დამარხვა:

„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და იქვე დაგმარხავს“ (ტაბიძე ტ. 1985:145).

როგორც ვხედავთ, კონცეპტი „სიცოცხლე“ ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში შეიცავს სამშობლოს, პოეზიის, სიყვარულისა და სიკვდილის კონოტაციებს. მსგავსად გაიაზრებენ ამ კონცეპტს ლადო ასათიანი და გიორგი ლეონიძე. რაც მთავარია, ვერცერთ შემთხვევაში სიკვდილი ვერ ამარცხებს სიცოცხლეს:

„საქართველოს მზე გაანათებს სიცოცხლეს ლამაზს
მაშინაც, როცა პოეზიით დავიღუპებით“ (ტაბიძე ტ. 1985:91).

ტიციან ტაბიძის შემოქმედების გასაღებად გამოდგება სტრიქონები:

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი,
- მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!..“ (ტაბიძე ტ. 1985:155).

ლადო ასათიანიც სიცოცხლეს ლექსად გარდაქმნის და ამით მის სხეულში ჩაბუდებულ სიკვდილს ამარცხებს:

„რადგან სხვა რამე, სიმღერის გარდა,
ახლაც ვერ შველის ტკივილებს ჩემსას,
მჯერა, ამ დიად ბუნების კართან

მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად!“ (ასათიანი ლ. 1979:28).

ეს, მართლაც, „ჰეროიკული სულის პოეტიკაა“ (არაბული 2017:3).

ლადო ასათიანის მიერ პოეზიაში შემოტანილი ყაყაჩოს სახეც, მეცნიერთა დაკვირვებით, სიცოცხლის მშვენიერებისა და მისი გაგრძელების, მარადიული ახალგაზრდობის სიმბოლოა (გადილია 2009:66), ასევე უკვდავების წყაროსა და სიცოცხლეს უკავშირდება ლადო ასათიანის მამაპაპისეული ცისფერი სარწყულიც (გელაშვილი 2009:71).

როგორც ვხედავთ, სიცოცხლის კონცეპტი და მისი კონოტაციები განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ლადო ასათიანის პოეზიაში, რამეთუ ყმაწვილობიდანვე სიკვდილით დაღდასმული ახალგაზრდა ვერ გატეხა გარდაუვალის ყოველდღიურმა მოლოდინმა, პირიქით, კიდევ უფრო გაუმძაფრა სიცოცხლის ჟინი. ის ყველა დღეს აღიქვამდა როგორც პირველსა და უკანასკნელს, ამიტომაც ასეთი თავდავიწყებით ტკბებოდა, თვრებოდა განგებისაგან მისთვის ნაჩუქარი თითოეული წუთით:

„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!“ (ასათიანი ლ. 1979:114).

გიორგი ლეონიძისთვის კი:

„სიჭაბუკე და ლექსი ერთია,
ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი!“ (ლეონიძე 1980:106).

ორივე ერთად კი - სიცოცხლეა: ომახიანი, ჭაბუკური ზავთითა და ყიჟინით სავსე, სიცოცხლე, რომლის ერთადერთი აზრი და გამართლება სიყვარულია: თავდავიწყებული, უნაპირო, ათასწლეულებგამოვლილი და დაუმარცხებელი სიყვარული სამშობლოსი თუ სატრფოსი:

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები,
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები“ (ლეონიძე 1980:10)

სამშობლოს შეწირული „ღიმილის ბიჭები“ კი, ფიცს დებენ: თუ საქართველოს კვლავ დასჭირდება მათი თავდადება:

„ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით“ (ლეონიძე 1980:235).

ეს სტრიქონები ლადო ასათიანის ლექსის გადაძახილადაც გაისმის:

„ჩვენ, შეიძლება, ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს“ (ასათიანი ლ. 1979:114).

როგორც უკვე ვთქვით, გიორგი ლეონიძისთვის სიცოცხლე მარადიული სიჭაბუკე, მყვირალობა და სიყვარულია, რომლის ძალა ამარცხებს სიკვდილსაც კი:

„მოდი!
გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..“ (ლეონიძე 1980: 75).

ასე ხდება ტიციანის, ლადოსა და გოგლას პოეზიაში ქართველისათვის ამ უმნიშვნელოვანესი მენტალური ზნეობრივი ფენომენის - სიცოცხლის კონცეპტის - აქტუალიზება: მათთვის სიცოცხლე მარადიული სიჭაბუკე, მისი მშვენიერებით ტკბობა და ბედნიერებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა, ესაა სიკვდილის უარყოფა, შემოქმედებით მარადიულობასთან ზიარება. და სწორედ სიცოცხლის კონცეპტში ჩადებული ეს კონოტაციები ქმნიან „მარად ჭაბუკად დარჩენილი“, სიცოცხლის უკვდავების რწმენით ანთებული პოეტების ხატს.

გამოყენებული ლიტერატურა:

არაბული 2017: არაბული ავთანდილ. „ასათიანური - ჰეროიკული სულის პოეტიკა". იხ. აწსუ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა", შრომები, მე-4, ქუთაისი.

ასათიანი 1988: ასათიანი გურამ. „საუკუნის პოეტები". თბილისი.

ასათიანი 1979: ასათიანი ლადო. ერთტომეული. თბილისი.

გადილია 2009: გადილია ინდირა. „ლადო ასათიანის ყაყაჩო". იხ. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი მესამე სამეცნიერო სესიის მასალები-2, ლექსმცოდნეობა. თბილისი.

გელაშვილი 2009: გელაშვილი მანანა. „სამყარო ქვიშის მარცვალში". ლადო ასათიანის პოეზიის ერთი თავისებურების შესახებ". იხ. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი მესამე სამეცნიერო სესიის მასალები-2, ლექსმცოდნეობა. თბილისი.

ვაჟა-ფშაველა 1957: ვაჟა-ფშაველა. რჩეული. თბილისი.

ლეონიძე 1980: ლეონიძე გიორგი. ლექსები. პოემები. ერთტომეული. თბილისი.

ლიხაჩევი 1997: Лихачев Д. С. Концептосферо русского языка // Русская словестность От теории словестности к структуре текста: Антология. Москва.

რუსთაველი 1974: რუსთაველი შოთა. „ვეფხისტყაოსანი". თბილისი.

სტეპანოვი 2007: Степанов Ю. К. Концепты. Тонкая пленка цивилизации. Москва.

ტაბიძე 1985: ტაბიძე ტიციან. ლექსები. პოემები. პროზა. წერილები. თბილისი.

Shorena Makhachadze

The Concept of Life in Georgian Poetry of the First Half of the Twentieth Century (Titsian Tabidze, Lado Asatiani, Giorgi Leonidze)

(Summary)

Concept is a unit of thinking where essential combination of experience and knowledge is given. It is a mental representation of the opinion, in other words, it is a culturally verbalized idea. It reflects the results of human activities and the process of understanding of the universe., in which the highest intellectual values are fixed.

The concept of "Life" is the most important structural-semiotic element for any language. It is the main, key concept of the Georgian Language. Its meaning is immeasurable for the Georgian mentality, it determines the outlook of a Georgian man.

The concept of "Life" is highly expressive and it is subjectively colored in the works of certain authors. They have mini-concepts – unique, original view of life. They only function in this author's discourse.

The same is in Georgian poetry of the first half of the twentieth century too. We specially chose three authors: TitsianTabidze, LadoAsatiani and GiorgiLeonidze, because only these authors have the similar interpretation of the concept of "Life". In their works concept of "Life" contains connotations of homeland, poetry, love and death. The most important is the fact that in any case death cannot defeat the life.

მალხაზ ჩოხარაძე, მანანა თავდგირძე, მარიამ ჩოხარაძე

მუჰაჯირობის ნარატივები და აჭარაში მცხოვრები აფხაზების კოლექტიური მეხსიერების ზოგიერთი საკითხი

აფხაზთა მუჰაჯირობასთან დაკავშირებული მრავალი დეტალი ხალხის მეხსიერებამ შემოინახა. მეხსიერებაზე და, შესაბამისად, ხალხურ ნარატივებზე დაკვირვება უაღრესად საინტერესო სურათებს აცოცხლებს ხოლმე. ეს სურათები ყოველთვის როდია ობიექტური, ამასთან, ბუნებრივია, დროთა მდინარებამ მრავალი კონკრეტული ფაქტი ამოშალა თაობათა მეხსიერებიდან... მიუხედავად ამისა, ბევრი რამ დღემდე ცხოვლად და, ხშირად, ხატოვანი ინტერპრეტაციებით არის შემონახული.

ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდებში მეხსიერების შესწავლა ინტერდისციპლინარული კვლევების ერთ-ერთ საყურადღებო მიმართულებად ჩამოყალიბდა... „ჩვენ ვცხოვრობთ მეხსიერების საყოველთაო ზეიმის ეპოქაშიო," - ხატოვნად აღნიშნავდა ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი პიერ ნორა. (Nora, 1989). კონკრეტულ შემთხვევაში, როცა მუჰაჯირობის ნარატივებზე ვსაუბრობთ, თავისთავად გასაგებია, რომ ვეხებით რამდენიმე თაობის მეხსიერებაში გამოტარებულ ისტორიებს. შესაბამისად, არ უნდა დაგვავიწყდეს „გარე ფაქტორები" ანუ ის, რომ მეხსიერებაში შენახული ისტორიის შინაარსს განსაზღვრავს, უპირველესად, რა თქმა უნდა, ფაქტი ან მოვლენა, რომელსაც ეფუძნება ნარატივი, მაგრამ ამასთან ერთად - ა) იდეოლოგიური, კულტურული და მატერიალური კონტექსტი ფაქტისა თუ მოვლენისა; ბ) თემასთან დაკავშირებული საისტორიო ლიტერატურა და წყაროები და მათთან მთხრობელის წვდომის ხარისხი; გ) მსმენელი, გარემო სადაც ამბავს ყვებიან; დ) მიზანი, რისთვისაც ყვებიან ამბავს. საკამათო არ უნდა იყოს, თუ ვიტყვით, რომ ამ გარე ფაქტორების ზემოქმედების ძალა და შინაარსი ზოგჯერ არსებითად განსხვავებულია სხვადასხვა თაობისთვის. ამასთან, როგორც აღნიშნავდა მ. ჰალბვაქსი, ადამიანები აღიქვამენ, გაიაზრებენ და იმახსოვრებენ ფაქტებს და მოვლენებს იმ სოციალ-

ური ჯგუფის მიერ განსაზღვრული საშუალებებით, რომელსაც ეკუთვნიან (halbwachs,1992).

ეს გარე ფაქტორები ხშირად ზემოხსენებული სუბიექტივიზმის საფუძველიც ხდება, მაგრამ ჩვენი მიზანი სწორედ ხალხის მეხსიერებაში თაობიდან თაობამდე, მთხრობელიდან მთხრობელამდე ტრანსფორმირებული ისტორიის აღნუსხვაა, ანუ ჩვენ სწორედ სუბიექტური ისტორია გვაინტერესებს, რაც ზოგჯერ საკმაო სიზუსტით ემთხვევა ობიექტურ რეალობას, ზოგჯერ კი რადიკალურად არის დაშორებული მისგან, არცთუ იშვიათად, სულაც, მითოლოგიზებულია და ლამის დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოების სახეს ღებულობს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რაც უფრო ძველდება ამბავი, მით უფრო იცვლება მისი სტრუქტურა, თაობიდან თაობამდე, მთხრობელიდან მთხრობელამდე ემატება ახალი, იცვლება ან იკარგება ძველის დეტალები; რომელიმე ამბავი შეიძლება შეივსოს სულ სხვა ისტორიის ეპიზოდებით, ერთმანეთს გადაებას ორი - სრულიად განსხვავებულ ადგილსა და დროში მომხდარი - ფაქტი და ა.შ. ვერსიების შეჯერებისას კი, რომელიმე მთხრობელის კატეგორიული პოზიცია („მე ზუსტად ვიცი!") ზოგჯერ ცხარე კამათსაც შობს ხოლმე.

ამდენად, მეხსიერების ტექსტური რესურსი დროთა განმავლობაში იცვლება, მაგრამ კოლექტივის მეხსიერებაში მაინც რჩება გამაერთიანებელი ძაფები, რომელიც ერთიან ჩარჩოს ქმნის და განსაზღვრავს ფაქტის თუ მოვლენის საზოგადო სახეს, არსს კოლექტივისთვის.

ზეპირი ისტორიების მოქცევა ,,სქემატურ თხრობით შაბლონში" ზოგადი თხრობის მოდელზე დაკვირვებას ნიშნავს. ამ მოდელში აუცილებლად გამოიკვეთება ხოლმე კოლექტიურ მეხსიერებაში აღბეჭდილი დომინანტი, რომელიც საფუძველია კოლექტიური მეხსიერების კონცეპტუალური სურათისა. მკვლევარი კი ვალდებულია, ნარატივებიდან გარკვეული ბალანსი შექმნას და სცადოს კოლექტიური მეხსიერების ერთიანი სურათის დახატვა.

მეხსიერების თემატური დიაპაზონი განუსაზღვრელია, მაგრამ ამჯერად მხოლოდ რამდენიმე თემატურ რკალს ვეხებით

მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ნარატივების ფარგლებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხშირად იკვეთება საინტერესო პარალელები ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების XXI საუკუნის თაობის ისტორიებთან.

აფხაზთა მუჰაჯირობა მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან იწყება და რამდენიმე მასშტაბურ ტალღას მოიცავს 60-იან და 70-80-იან წლებში (ხორავა, 2004:7). გადასახლების ცალკეული შემთხვევები კი მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებამდე ფიქსირდება.

მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ნარატივების ერთ-ერთი ძირითადი თემაა გადასახლების მიზეზები. გასაკვირი არაა, რომ ეს თემა, უპირატესად, კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა და უკავშირდება რუსეთის კავკასიურ ომებს, აფხაზთა 1867 წლის აჯანყებას, რუსეთ-ოსმალეთის ომებს, ამ სახელმწიფოთა შორის გარიგებებს და ა.შ.

აჭარაში მცხოვრები აფხაზების ზეპირ ისტორიებში მუჰაჯირობის მიზეზთა შორის რელიგიური მოტივი თითქმის არ ფიგურირებს. მეტიც, არაერთი ნარატივის თანახმად, ოსმალეთში გადასახლებულ აფხაზთა შორის ქრისტიანებიც იყვნენ (ა.კ.; იხ. აგრ. აჩუგბა, 1988:24; ხორავა 2004:70). საყურადღებოა, რომ რელიგიური მოტივი თურქეთში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლებში თვალსაჩინოა ყველგან, სადაც კი ჩვენ მუშაობის შესაძლებლობა გვქონდა. რაც შეეხება ეკონომიკურ ფაქტორს, ცნობილია, რომ მუჰაჯირობის ყველა ტალღის თანამდევი იყო საკმაოდ აქტიური ოსმალური პროპაგანდა, თუმცა მუჰაჯირთა შთამომავლების 21-ე საუკუნის თაობაში ეკონომიკური მოტივი მეტისმეტად მკრთალია, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ნარატივებში კი საერთოდ არ ფიგურირებს. სამაგიეროდ, ხაზგასმულია ინტერესები იმპერიებისა, რომლებიც გულცივად, მხოლოდ თავიანთი სახელმწიფოების ინტერესებიდან გამომდინარე, წყვეტდნენ უამრავი ადამიანის ბედს. ერთი ჩანაწერის თანახმად, „თურქეთის იმპერიამ ის ხალხი მიიღო იმიტომ, რომ დაინტერესებული იყო, დაესახლებინა დაცარიელებულ ადგილებზე. ამასთან, სჭირდებოდათ მუშახელი, ჯარისკაცები“ (ფ.ა.)...

ყველაზე თვალსაჩინოა საომარი ვითარების ტკივილიანი გამოძახილი თავისი სისხლიანი შედეგებით. საზოგადო სურათი

კი ერთ-ერთ ზეპირ ისტორიაში ასეა დახატული: „უკვე ვერც მოლაპარაკება შველოდა საქმეს და ვერც ხვეწნა-მუდარა, ათასობით ხალხი აყარეს, სახლ-კარს მოსწყვიტეს და ვაიშუამავლების მეშვეობით ზღვის ნაპირისკენ წაასხეს, სადაც გემების მთელი კოლონა იყო განლაგებული“ (ა.შ.). შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში რეალობა რადიკალურად არის წარმოდგენილი და ხაზგასმულია, რომ მუჰაჯირები, - ის პირველი თაობა, ვინც მშობლიური მიწიდან აყრის და უცხო მხარეში გადასახლების გადაწყვეტილება მიიღო - ამ რეალობას ადეკვატურად აღიქვამდა და აანალიზებდა. ტენდენციის დასტურად კიდევ ერთ ჩანაწერს მოვიყვანთ, თუმცა, უნდა აღინიშნის რომ ხსენებული განწყობა მრავალ რესპონდენტთან მეორდება: „მიზეზი არის ის, რომ აჯანყებულები იყვნენ და სისხლში ჩაახშვეს აჯანყება, დაემუქრნენ და უთხრეს, არ წახვალთ, ჩამოგახრჩობთ. ნაწილი თვითონ სახელმწიფომ, რუსეთის სახელმწიფომ გაიყვანა, ნაწილი თავისით გადასახლდა, რადგან, დარჩენის შემთხვევაში, მათ დახოცავდნენ“ (ი.ქ.).

მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ნარატივების მეტად საინტერესო თემაა გადასახლების სტრატეგია ცალკეული ოჯახისთვის, წამსვლელთა რაოდენობა და აშ. როცა საქმე ეხება არა ცალკეულ პიროვნებებს, არამედ ათასობით ოჯახს - ათასობით მამაკაცს და ქალს, ბავშვს და მოხუცს... გასაკვირი არაა, რომ ზეპირ ისტორიებში წარმოდგენილი სურათების მრავალფეროვნება ცხადყოფს პრობლემის არაორდინალურობას და გადაწყვეტილების მიღების სირთულეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა მსგავსება ჭოროხის აუზიდან რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 ომის შემდგომ გადასახლებული მუჰაჯირების ისტორიებთან.

უმეტეს შემთხვევაში მიემგზავრებოდა მთელი ოჯახი, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სურათი ერთგვაროვანი არ ყოფილა. კერძოდ, შეიძლება ვისაუბროთ რამდენიმე რეალობაზე:

ა) გაემგზავრა მთელი ოჯახი;

ბ) ოჯახის უხუცესი წევრები დარჩნენ, სხვა ყველა გაემგზავრა;

გ) დარჩა ერთი ძმა, სხვა ყველა გაემგზავრა;

დ) გაემგზავრა ერთი ძმა, სხვა ყველა დარჩა;

ე) გაემგზავრა კონკრეტული პირი კონკრეტული პრობლემის (მაგ. უთანხმოება პიროვნებებთან ან სახელმწიფოსთან და სხ) გამო...

ბუნებრივია, ყველა ცალკეულ ფაქტს გააჩნდა თავისი ახსნა. ამ შემთხვევათა ანალიზი ვრცელი საუბრის თემაა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: 21-ე საუკუნის თაობის ნარატივებიც ცხადყოფს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება ტკივილით იბადებოდა.

მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ნარატივების ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თემაა მგზავრობის პრობლემები. ეს ტრაგიზმი შორს წასულთა შესახებ არსებულ ნარატივებს უფრო მსჭვალავს, თუმცა, არც აჭარაში გადმოსახლების გზა ყოფილა ია-ვარდით მოფენილი.

მუჰაჯირები მიემგზავრებოდნენ ან გემით, ან სახმელეთო გზით - ურმებით, ცხენებით, ფეხით... საოცრად რეალისტური სურათი გააცოცხლა ერთ-ერთმა მთხრობელმა: „დედაჩემი იყო დაბადებული 1871 წელს. იგი ყვებოდა, რომ ურმებით მოვდიოდითო, ძალიან ციოდა, ამიტომ თურმე ნაბადში გამხვიესო. როცა რომელიღაცა ადგილზე გავჩერდით, ნაბადი გაუხნიათ და უნახავთ, რომ ნაბდის ბეწვებს, ბუსუსებს ვწოვდი - ამდენად პატარა ვიყავი გადმოსახლებისასო...“ (ფ.ა.).

როგორც ჩანს, საზღვაო გზამ უფრო მტკივნეული კვალი დააჩნია თაობათა მეხსიერებას, რაც ერთ-ერთი რესპონდენტის ჩანაწერში ტრაგიკული ექსპრესიით აისახა:

„გემზე დაიწყეს [ლტოლვილთა დახარისხება]. მოხუცები, ავადმყოფები და ბავშვები, შიმშილისგან ქანცგამოცლილები, [სასიკვდილოდ გაწირეს]... [მგზავრებს]... თურქეთის ნაპირებისკენ მიაქანებდნენ, ისევე, როგორც ერთ დროს ამერიკის გზაზე აფრიკელ მონებს უსწორდებოდნენ გემზე...

ქალები, რომლებსაც ცოტა ხნის წინ ხელებიდან მიცვალებული ბავშვები გამოჰგლიჯეს და უმოწყალოდ ზღვაში თევზებს გადაუყარეს, მოსთქვამდნენ... ზღვაში გადავარდნას ლამობდნენ...“ (ა.შ).

სხვა ისტორია მოგვითხრობს დედის შესახებ, რომელსაც გემზე პატარა შვილი გარდაეცვალა, თურმე მთელი გზა, რო-

გორც ცოცხალი, ისე ეჭირა და უმღეროდა, რათა ვერაფერს მიმხვდარიყვნენ და ბავშვის ცხედარი ზღვაში არ გადაეგდოთ (გ.ჩ.)...

აღნიშნული ჩანაწერები ერთგვარად ეხმაურება საისტორიო ლიტერატურას. თ. აჩუგბა, მაგალითად, იმოწმებს რა 70-იანი წლების პრესის მასალებს, აღნიშნავს: „გარდა იმისა, რომ შიმშილი და ეპიდემია მუსრს ავლებდა სამშობლოდან მოწყვეტილ ტყვეებს, ოსმალოს ჯარისკაცები არ ერიდებოდნენ გემების გათავისუფლებას „უსარგებლო ტვირთისაგან“... თურქებს გემებით მიჰყავდათ მოხუცებიც, ახალგაზრდებიც, ბავშვებიც, მაგრამ როგორც კი გემი ზღვის სიღრმეში გაუჩინარდებოდა, იწყებოდა აფხაზი ტყვეების დახარისხება, ყველა მოხუც მამაკაცს, ვისაც იარაღის ტარება არ შეეძლო, მოხუც ქალებს... ასევე მცირეწლოვან ბავშვებს, ვისაც დედის მზრუნველობა ესაჭიროებოდათ, გემებიდან ზღვაში ჰყრიდნენ. დიდძალი ხალხი იხოცებოდა როგორც გემით გადაყვანისას, ისე ფეხით მგზავრობის დროს...“ (აჩუგბა,2008:17)

ამ რეალობის გამოძახილია დღემდე შემორჩენილი სულისშემძვრელი თქმულება, რომ მუჰაჯირობის შემდგომ აფხაზები დიდი ხნის განმავლობაში თევზს არ ჭამდნენ, რადგან იმხანად ბევრი იქცა თევზების ლუკმად შავ ზღვაში...(ს.ა.)

იმასღა ვიტყვით, რომ ტკივილით და ცრემლით სავსე გზა მუჰაჯირობის ყველა ტალღისთვის იყო დამახასიათებელი; შავიზღვისპირეთს თუ მარმარილოს რეგიონში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებაში დღემდეა შემონახული არაერთი ტრაგიკული ისტორია. ამ ისტორიათაგანია მაგალითად, 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს არტანუჯიდან, სოფელ ლონგოთხევიდან გადასახლებულთა ეპიზოდებიც: „რუსები რომ დასხმიან თავს, ხალხს სოფელი მიუტოვებია და სახლები გადაუწვავს. ლტოლვილებს თოქათი გაუვლიათ და ადანამდე წასულან... გზაში ბევრი ჩვენი ხალხი გარდაცვლილა. ბავშვები ვერ უტარებიათ, დახოციათ და წყალში გადაუყრიათ...” (Önal 2010: 34).

რაც შეეხება აფხაზების საზღვაო გზას, აჭარაში გემით შემოყვანილი მუჰაჯირების შესახებ ზეპირი ისტორიების რამდენიმე ვერსია არსებობს. ამჯერად იმასღა შევნიშნავთ, რომ ამ ისტორიებშიც ნათლადაა ასახული გადმოსახლების სირთულეები...

არაორდინალური ისტორიაა ნარატივი პარხალოღლების შესახებ. აქ მხოლოდ ერთ მონაკვეთს შევეხებით ამ ისტორიისა: მუჰაჯირობის ტალღას მთელი ოჯახი თურქეთის შიდა რაიონებში გადაუტყორცნია. გარკვეული დროის შემდეგ ოთხი ძმა პარხალში გადმოსახლებულა და წარმატებული ბიზნესი წამოუწყიათ, რამდენიმე სავაჭრო ობიექტი ჰქონიათ, შემდეგ ბათუმში გადმოსახლებულან, ბიზნესი გაუფართოებიათ, მუშახელს შორის კი პარხლელებიც ბევრი ჰყოლიათ... მათი ცხოვრება თუმცა პროგრესულად ვითარდებოდა, მაგრამ მაინც არაერთი პრობლემით იყო სავსე (ა.შ.). ეს ისტორია მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ორ დამახასიათებელ დეტალს გვინდა მივაქციოთ ყურადღება, რომლებსაც, სულ ცოტა, ასოციაციური კავშირი მაინც უნდა ჰქონდეთ ჩვენი რესპონდენტის მონათხრობთან: პირველი ისაა, რომ პარხლის ხეობაში დღემდე ცხოვლადაა შემონახული წინაპრების ისტორიები, რომლებიც ბათუმს უკავშირდება. პარხლის ხეობა 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგაც არ მოქცეულა რუსეთის იმპერიაში, მიუხედავად ამისა, პარხლელები ხშირად დადიოდნენ საშოვარზე ბათუმში. საქმე ისაა, რომ ამ ძველ ისტორიებში მეტისმეტად ხშირად ფიგურირებს პურის საცხობი, როგორც სამუშაო ადგილი.

მეორე გამოძახილი თურქეთის რესპუბლიკის ორდუს პროვინციის უნიეს რაიონის სოფელ მიტრაბოლის (იუჯელერის) ჩანაწერია. ეს ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებაა და 2012 წელს 82 წლის საბრი ილდიზმა (თავდგირიძემ), თავის ნაამბობში პარხალოღლებიც ახსენა: „...ოსმალის და რუსის ომის დროს [ჩვენებსთვის უთქვამთ], რუსნა მიეხმაროთო, თუ არა და თავ წაგაძრობთო. არაო, ჩვენებმა და გამოქცეულან აქეთ. ჯერ ორდუს მოსულან, მემრე აქ ამოსულან. შეითანი ვინმე იყო რუსი. კახაბერში პარხალოღლები თლათ ციმბირ გუუსახლებიან და იმათ ადგილებზე რუსები მუუყვანიან"...

მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ნარატივების მნიშვნელოვანი თემაა ლტოლვილთა დასახლების გეოგრაფია. ჩვენი რესპონდენტები აჭარაში არსებულ ვითარებას საკმაოდ კარ-

გად იცნობენ. ზეპირი ისტორიების მიხედვით, სანამ აჭარაში ოსმალეთი ბატონობდა, დასახლების გეოგრაფიას, ძირითადად, თურქეთის ხელისუფლება განსაზღვრავდა, თუმცა, ფიგურირებს მიწების ყიდვის მოტივიც. დასახლებათა სტრუქტურას სხვა გარემოებებიც ცვლიდა: 1877-78 წლების ომის შემდგომმა მუჰაჯირობის ტალღამ აჭარაში დაფუძნებული აფხაზების ნაწილიც გაიყოლა. 1880 წლის გაზეთი „დროება“ აფხაზების შესახებ აღნიშნავდა: „ბათომის მაზრაში ჩვენ შევხვდით მოაჯირებს, ანუ აფხაზეთიდამ გამოსულებს, მათ უჭირავთ სახელმწიფო მამულები, ოსმალეთის მთავრობისგან მუქთად მიცემულნი... იგინი სცხოვრობენ ან ქალაქ ბათუმში, საკუთარ ნაწილში, რომელსაც ჰქვიან ნურიე, ან ბათუმის გარშემო, ან მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზედ, გონიეს მეზობლად. ამგვარად, იმათ უჭირავთ ოც ადგილზედ მეტი. თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოდ, რომ უკანასკნელ დროს იმათგან მეათედი ნაწილი აღარ დარჩა: ან დაიხოცნენ, ან გადასახლდენ ოსმალეთში ჩვენი ჯარების ბათომში შემოსვლამდინ“ (დროება, 1880).

საინტერესოა, რომ იშვიათად, აჭარაში „ჩარჩენას“ შემთხვევითობა განაპირობებდა: ერთი კონკრეტული ისტორია დაახლოებით, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მომხდარ შემთხვევას აცოცხლებს: „ჩემი წინაპრები როცა ჩამოვიდნენ აქ, ბაბუა, რომელიც იყო უხუცესი, მალარიით გახდა ავად, სანამ ის გამოჯანმრთელდებოდა, თურქეთის გზა ჩაიკეტა და დარჩა აქ ოჯახი. მაშინ ბევრი გადადიოდა [თურქეთში] და ჩვენებიც უნდა გადასულიყვნენ, მაგრამ ხსენებული მიზეზის გამო გზა ველარ გააგრძელეს“ (დ.ჩ).

უნდა ვაღიაროთ, რომ თურქეთის შიდა რაიონების აფხაზური დასახლებების შესახებ ჩვენს რესპონდენტებს საკმაოდ მწირი ინფორმაცია გააჩნიათ, თუმცა, იციან, რომ აფხაზები არ დაუსახლებიათ ერთიან სივრცეში (ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვით, შეგნებულად დაქსაქსეს). აღვნიშნავთ, რომ აფხაზური სოფლები განლაგებულია 16 პროვინციაში. ეს თავდაპირველი დასახლებებია. ბუნებრივია, დღეს აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები მრავლად ცხოვრობენ თურქეთის დიდ თუ მცირე ქალაქებში (ჩოხარაძე 2016: 99).

აფხაზური დასახლებები შემდეგ პროვინციებშია: ადანა, ამასია, ბალიქესირი, ბილეჯიქი, ბურსა, ჩორუმი, დუზჯე , ესკიშეჰირი, ქაისერი, ქოჯაელი, ქუთაჰია, საქარია, სამსუნი, სივასი, თოქათი , იოზგათი; ყველაზე მეტი დასახლება საქარიას და დუზჯეს პროვინციებშია.

მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ნარატივების კიდევ ერთი თემაა ახალ საცხოვრებელ ადგილზე დამკვიდრების პრობლემები. საზოგადოდ, მუჰაჯირების (აქ არ ვგულისხმობთ მხოლოდ აფხაზ მუჰაჯირებს) ნარატივებში ეს არსებითი საკითხია. 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ სამხრეთ საქართველოდან გადასახლებულებს, ძირითადად, ოსმალეთის შიდა პროვინციებში, მარმარილოს რეგიონში და შავიზღვისპირეთში ასახლებდნენ. იქაურ მუჰაჯირთა შთამომავლები ხშირად მიუთითებენ მათი წინაპარი მოახალშენეების დამხვდურ მოსახლეობასთან მეტისმეტად რთული ურთიერთობის შესახებ. შესაძლოა, არა ყოველთვის და არა ყველგან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში გადარჩენისთვის ბრძოლის მუდმივად თანამდევი იყო ხოლმე სისხლი და მსხვერპლი... ამ თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავებული ვითარება ფიქსირდება აჭარაში გადმოსახლებულ აფხაზთა ნარატივებში.

აღსანიშნავია, რომ მუჰაჯირთა შთამომავლები აჭარაში ხაზგასმით მიუთითებენ დამხვდურთა გულითადობის და თანადგომის შესახებ. აქ მოვიტან მხოლოდ ერთ ჩანაწერს, რომელიც ზუსტად გამოხატავს საერთო განწყობას: „ჩემს მეხსიერებაში არაა არცერთი ფაქტი, მტკივნეულად ვინმეს მიელო აქაური მდგომარეობა. აჭარამ აფხაზები მიიღო როგორც საკუთარი შვილები, ამიტომ იმ განსხვავებას - რომ ვიყავით ჩამოსულები და აქაურები იყვნენ მიმღები საზოგადოება - ჩვენ ვერ ვგრძნობდით, ასეთი რამ არ ყოფილა, საერთოდ, მე როგორც მახსოვს, ურთიერთპატივისცემა დიდი იყო და ეს იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ემოყვრებოდნენ ურთიერთს...“ (ფ.ა). აქვე აღვნიშნავთ, რომ ანალოგიური განწყობა ფიქსირდება დამხვდურთა ნარატივებში, მეტადრე - აფხაზთა „სამეზობლოში...“

როგორც აღვნიშნეთ, აფხაზთა მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ზეპირი ისტორიების მხოლოდ მცირე ნაწილი შეინახა თა-

ობათა მეხსიერებამ. დამახასიათებელი დეტალია, რომ, როგორც არაერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, ძველებს, ანუ იმ თაობას, რომელთა თავზეც გადაიარა მუჰაჯირობის სრულმა სიმძიმემ, არ უყვარდათ გადმოსახლების ამბებზე ლაპარაკი. ამ პოზიციის გაგება შეიძლება, თუმცა, კოლექტიური მეხსიერების შემორჩენილი ფრაგმენტებიც საკმაოდ შთამბეჭდავ სურათს ქმნის.

წყაროები და ლიტერატურა:

აჩუგბა, 2008: აჩუგბა, თ., აფხაზთა დასახლება აჭარაში, ბათუმი.

დროება 1880: გაზ. დროება, N 80.

ჩოხარაძე 2016: ჩოხარაძე მ., ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში, წიგნი პირველი, მარმარილოს ზღვის რეგიონი, ბათუმი.

ხორავა, 2004: ხორავა ბ., აფხაზთა მუჰაჯირობა, თბილისი.

Halbwachs, 1992: Halbwachs, M., *On Collective Memory*, University of Chicago Press.

Nora, 1989: Nora, P., "Between Memory and History: Les Lieux de Mémoire", *Representations*, *№ 26, Special Issue: Memory and Counter-Memory*, University of California Press. Spring, p. 1. http://www.jstor.org.

Önal, 2010: Ulku Onal, Artvin Muhacirlik Hatıralari, Ankara.

ა.კ. - მთხრობელი **ანზორ კუდბა**, 77 წლის, ქ. ბათუმი, 2016 წ.

ა.შ. - მთხრობელი **ასლან შარაშიძე**, 64 წლის, ს. ფერია, 2016 წ.

გ.ჩ. - მთხრობელი **გულიკო ჩაზმავა** 70 წლის, ს. ადლია / ქ. სანკტ-პეტერბურგი, 2017 წ.

დ. ჩ. - მთხრობელი **დარეჯან ჩაზმავა** 81 წლის, ს. ადლია, 2017 წ.

ი.ქ. - მთხრობელი **ილია ქათამაძე,** 57 წლის, ქ. ბათუმი, 2016 წ.

ს.ა. - მთხრობელი **სევერიან აკვაზბა,** 67 წლის, ქ. ბათუმი, 2016 წ.

ფ.ა. - მთხრობელი **ფერიდე აცამბა**, 93 წლის, ს. ადლია / ქ. მოსკოვი, 2015 წ.

Malkhaz Chokharadze, Manana Tavdgiridze,
Mariam Chokharadze

Muhajirs' narratives and some issues of collective memory of Abkhazians living in Adjara.

(Summary)

The resettlement of Abkhazians begins from the middle of XIX century and includes several large waves in the 60s and 70s. The individual cases of migrationare fixed before the 20-30s of XX century.

People have kept a lot of memories about the Abkhzian Muhajirs in their memory.Although, over the time many concrete facts have been erased from the memory of generations, many of them came down to us and are preserved by figurative interpretations.

The present workanalyzesthe issues of the collective memory of Abkhazians living in Batumi within the narratives related to Muhajirs. The research draws parallels with the stories of the Georgian Muhajirs' descendants of XXI century generation.

The article deals with such themes as the reasons for the process of Muhajire, the resettlement strategy for individual families, the number of migrants, the travel problems, the Geography of refugee resettlement, the issues related to the rendering habitable place, etc.

ქეთევან შოთაძე

ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ანზორ კუდბას რომანში „უჟამო ჟამი“

2004 წელს „გამომცემლობა აჭარამ“ დასტამბა ანზორ კუდბას ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური რომანი „უჟამო ჟამი“, რომელმაც მკითხველთა ყურადღება უმალ მიიქცა. თავად მწერალი ასე აფასებს თავის ნაწარმოებს: „ეს ჩემი მისტერიაა: „უჟამო ჟამი“... შევნიშნავთ, რომ ეს მისტერია საკმაოდ რთული სტრუქტურის ნაწარმოებია, მრავალგანზომილებიანი ფსიქოლოგიური, მისტიკური თუ რეალისტური შრეებით.

ანზორ კუდბა ექვსი წიგნის ავტორია და რომანი „უჟამო ჟამი“ მათ შორის ერთ-ერთია. რაოდენობაზე მხოლოდ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ მივუთითოთ ამ წიგნებს შორის არსებულ არა მხოლოდ ასოციაციურ კავშირებზე, რომლებიც ხან იდუმალების საბურველითაა მოცული, ხანაც აშკარად გამოვლინდება ხოლმე საკმაოდ რთულ სიუჟეტურ ქარგაში თუ მიზანმიმართულ მხატვრულ დეტალებში. ხატოვნად თუ ვიტყვით, ანზორ კუდბა ერთი დიდი ტკივილით შეძრული მწერალია, ეს ტკივილი წიგნიდან წიგნში გადადის: წიგნები ამ ტკივილის გამოხატვის ფორმაა და ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ მწერალი ფსიქოლოგიური პროზის მიმდევარია. მის ნაწარმოებებში ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური მოვლენები მხოლოდ საბაბია, ზოგჯერ - ფონიც, ძირითადი სათქმელის, თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს წარმოსახვისთვის (ბიბილეიშვილი, 2005:145)

„უჟამო ჟამიც“, როგორც აღნიშნავენ, „სამყაროს ახლებური მოდელის ძიების პროცესს ასახავს. იგი „აპოკალიფსის“ იდეური გაგრძელებაა“ (შაინიძე, 2004:6). ისიც ცხადია, რომ ამ რომანს საკმაოდ ძნელად შესაღწევი კარიბჭე აქვს, ხასიათდება სიმბოლოთა მრავალსახეობით და სიუჟეტური ხაზის მრავალპლანიანობით. ნაწარმოების მთავარი სიუჟეტური ხაზია ამრა სოლომონის სულიერი და ფიზიკური მისტერია, რაც სიმბოლოებით, ცხადი და სიზმრისეული მონოლოგებით, ხილვებით, მისტიკური წიაღსვლებითაა გადმოცემული (მსხილაძე, 2004:10).

როგორც აღვნიშნეთ, ა. კუდბას პროზა, უპირველესად, ადამიანის სულიერ სამყაროში ჩაღრმავების მცდელობაა. „უჟამო ჟამიც“ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური წიგნია, რომლის იდეა ზოგადსაკაცობრიოა და „სულიერების ბეჭდითაა დაბეჭდილი“. (შ. მახაჭაძე, რ. მსხილაძე). რაც შეეხება რეალისტურ პლანს, იგი კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტებს, კერძოდ, ქართულ-აფხაზურ ტრაგედიას ეფუძნება, რაც საზოგადოდ არის დამახასიათებელი მწერლის შემოქმედებისთვის. „აფხაზეთი ჩემი ჯვარცმაა“ - თქვა მწერალმა და თავის ნაწარმოებებში მკითხველს გაუმხილა დაუამებელი და გაუსაძლისი ტკივილი იმ უაზრო ომის გამო, „იმ ზვარაკის გამო, რომელიც ერთმაც გაიღო და მეორემაც, იმ უსაზმანოდ დაღვრილი სისხლის გამო, რომელმაც ჩვენი ლურჯი მდინარეები წითლად შეღება“.. (მახაჭაძე, 2009:217). რომანში თვალსაჩინოა ავტობიოგრაფიული დეტალები: ანზორ კუდბა დედით ქართველია, ხოლო მამით - აფხაზი, ამიტომაცაა, რომ სულში დავანებული გაუმხელელი ტკივილი თავის ნაწარმოებებში განსაკუთრებული სიმძაფრით გადმოსცა. „უჟამო ჟამის“ მთავარი პერსონაჟი ამრა სოლომონია, რომელშიც ორი ერის - ქართველისა და აფხაზის სისხლი მღელვარებს და ხსნის გზას ეძებს. „ორი გვარი და ორი აღრეული სისხლი... შეერთდება შენში ეს ორი სისხლი და ერთ მდინარედ დაიწმინდება. შენ ორი ერის შვილი ხარ. ჯერ აიმღვრევა ეს ორი სისხლი, აირევ-აიმღვრევა ერთმანეთში და... ამაზე შემდეგ უფრო დაწვრილებით სოსო - სოლომონ და ამირან - ამრა“ (კუდბა, 2004:15). „გზის ძებნა“ ორი საწყისის, საკუთარი ვინაობის, გაცნობიერების პროცესია. „დედაჩემის მხარე (სოსოს) სოლომონს მეძახის (ქართველობა), მამაჩემის მხარე კი ამრას (იგივე ამირანი). ასე, რომ მე ამრაც ვარ და სოლომონიც. ამრა ხომ მზეა აფხაზურად“ (კუდბა, 2004:15).

ძნელია ორი ძლიერი სისხლის დავანება ერთ სხეულში: „ამრა სოლომონი ხარ შენ, ამირანივით, იმ მითოლოგიური გმირივით უძლეველი... იმ სოლომონივით ბრძენი“. ამრა სოლომონი სულის თავისუფლებას მოწყურებული და მისთვის მებრძოლი გმირია, მის ძნელად სავალ გზაზე კი არსებითი ბარიერი სულიერი გაორებაა. თუმცა ამას არც ჰქვია გაორება: სისხლიანი ქარ-

თულ-აფხაზური დაპირისპირების ყველა ჭრილობა, ომში ჩართული ორივე მხარის მიერ დაღვრილი სისხლის ყოველი წვეთი თითქოს ერთ ცნობიერებაშია ასახული მძაფრ ტკივილად... წარსული და მომავალი ერთმანეთს დაუნდობლად ებრძოდა ამრა-სოლომონის არსებაში: „ადრე უსაყვედურებდნენ ამრა სოლომონს და ასე ასწავლიდნენ ჭკუას: „განვედი შენგან აფხაზი და განიწმინდე!“ (ატკივდება მაშინ აკუდბობა ამრა - სოლომონს!) „დაიჭერდნენ აფხაზები და როზგქვეშ დასძახებდნენ: „განვედ ქართველი შენგან და განიწმინდე! (გალოგრეობა ატკივდება მაშინ ამრა სოლომონს).“

ავტორი პირუთვნელი მემატიანის თვალით დანახულ რეალობას უხატავს მკითხველს, აღწერს რა მე-20 საუკუნის საქართველოს სურათს: „სისხლის მორევი: ქართველისა და აფხაზის სისხლი ერთმანეთში გაჯერებული... დადგება სისხლის წვიმების ჟამი... მოდის, მოდის ახალი თაობა, დასისხლიანებული ხელებითა და შერყვნილი სულით...“ უდიდესი განსაცდელის წინაშე იდგა ამრა-სოლომონი, რადგან მის ძარღვებში ორი სისხლის ნაკადი მღელვარებდა, რაც ავალდებულებდა, ისე მოქცეულიყო, როგორც ამ ორი ერის ღირსეულ შვილს შეეფერებოდა. ამ მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგა რეალურად არაერთი ქართველი თუ აფხაზი, ასეთი დაუნდობელი და შეუნელებელი ბრძოლა მიმდინარეობდა ავტორის სულშიც. ნაწარმოებში გაცხადებული მწერლის ეს ტკივილი, სამწუხაროდ დღესაც ისეთივე მძაფრი და დაუამებელია. მკითხველიც ხედავს, რომ მწერალი ერთი კალმის მოსმით, სულისშემძვრელი სტრიქონებით გვისურათხატებს ქართველთა და აფხაზთა ომის ძირითად შედეგს: „იწვოდა აფხაზეთი და სული ეხუთებოდა საქართველოს, კვდებოდა ზეზეურად და აღარც კვდებოდა. სრულიად საქართველოო, უკვე ველარ იტყოდით საქართველოზე“ . (კუდბა, 2004:183)

როგორც აღვნიშნეთ, აფხაზეთის თემას მწერალი სხვა თხზულებებშიც ეხება. „ჩვენ ისევ ვებრძოდით ერთმანეთს, თუმცა, კაი ხანია ვიცოდით და შეგნებულიც გვქონდა, რომ ვცოდავდით და არასოდეს გვეპატიებოდა“ (კუდბა, 2013:75) - ეს „ფიქრის სავარძლის“ პერსონაჟის, ნოეს ტკივილია აფხაზებისა და ქა-

რთველების მტრობის გამო. რა უნდა გაარიგოს მოძმემ, როცა საერთო მტერი გაცილებით უფრო ძლიერია და ამასთან - ვერაგი? ვერაგულ განზრახვას კი ვერც აფხაზები ჩაწვდნენ და ვერც ქართველები. მტრის ანკესს წამოეგნენ და ორივე მხარისთვის ტრაგიკული შედეგებიც თვალსაჩინოა. ასეთ შემთხვევაში უცხო თესლი გაიხარებს სამოთხისებრ მიწაზე... (მახაჭაძე, 2009:219)

ხსენებული მტრის რეალური სახე ჯერ კიდევ წინარე ეპოქაში გამოისახა. აფხაზის და ქართველის, ისტორიულად ორი ძმის, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება ადრევე სცადა ჯერ ცარისტულმა, მერე საბჭოთა იმპერიამ, რომელსაც მთავარ ამოცანად მცირე ერების ასიმილაცია დაესახა. ნაწარმოებში მწერალი ამ იდეის მქადაგებელსაც წარმოგვიდგენს. ეს ექიმი ადამაძეა, რომელიც ამტკიცებს, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა უგუნურებაა, რადგან „კაცის ბედს კაცი უნდა განაგებდეს ყოველთვის, პატარა ერის ბედსაც - დიდი ერი და პატარა ერი ხომ ჭეშმარიტი თავისუფალი ვერასოდეს იქნება!“ (კუდბა, 2004:287)

საბჭოთა იმპერია ერთნაირი სიმკაცრით ებრძოდა აფხაზსა თუ ქართველს, სომეხსა თუ აზერბაიჯანელს, ყველას ვინც მას შეეწინააღმდეგებოდა, ვისაც განსხვავებული აზრი ექნებოდა და მის მიერ შემოთავაზებულ მოდელს არ მიიღებდა. ამრა-სოლომონისთვის საბჭოთა კავშირი „ბოროტების ბუდეა“, „ქაჯეთის ციხეა“ , რომლის დანგრევაც სულით ხორცამდე ენატრება: „დანგრეულიყო ჩემს თვალწინ ეს მართლაც ბოროტების ბუდე, ცეცხლი მოსდებოდა ისე, რომ ვერაფრით ჩაექროთ. დაფერფლილიყო მთელი ეს ანომალიური ზედახორა...“ (კუდბა, 2004:289). მწერალი მიანიშნებს საზოგადო ჭირზე, როგორც ეპოქათა ტრაგედიის საფუძველზე, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირების წლების განმავლობაში პროვოცირებულ მიზეზებზე და ამის დასადასტურებლად სტალინის ეპოქასაც წვდება: „კაცი სატანა დააბიჯებდა ღია ცის ქვეშ, ყველას თვალწინ... უცოდველი და ცოდვილი ერი ერთ დიდ ტაფაზე დაყარა და მივიწყების მდინარეში გადაუძახა, მტყუან-მართალი ერთ სასწორზე შეაგდო, აიწონა-დაიწონაო! - შესძახა და გულიანად გადაიხარხარა... კაცი კაცს მტრობდა, კაცი კაცს სძულდა და სიცოცხლე-

შივე უთხრიდა საფლავს... ერთა გამათავისუფლებელი დროშის ფრიალით იპყრობდა იგი ქვეყნიერებას“ (კუდბა, 2004:77) და რა გასაკვირია, თუ ამ საერთო ბოროტების უნებური მსხვერპლი აღმოჩნდა ქართველიც და აფხაზიც. შემთხვევითი არ არის ის, რომ „ახალ გზაზე შემდგარი“ ამრა სოლომონის გზა „9 აპრილზე გადის“, იგი უნდა გამხდარიყო ამ დღის ჟამთააღმწერელი, თუმცა 9 აპრილის გააზრება და შეფასება მაშინვე არ იყო აუცილებელი, ისტორიულ განაჩენს უნდა დალოდებოდნენ ქართველებიცა და აფხაზებიც, რადგან „თქვენი ყველასი შველა 9 აპრილს შეუძლია“.

აქ ერთხელაც უნდა გავიხსენოთ, რომ ქართულ მწერლობას ოდითგანვე დაებედა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგომა, ხოლო მწერალი, უპირველესად, უნდა ყოფილიყო, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, გულმტკივნეული მამულიშვილი, „რომელსაც ძილშიაც არ სძინავს ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებულსა“. ანზორ კუდბა დოკუმენტური სიზუსტით აღწერს 9 აპრილის მღელვარე წუთებს:

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, როგორც... თავისუფლებაზე ფიქრობს ყველა....დამუკიდებელ საქართველოს გაუმარ-ჯოს!...“

„ახალგაზრდობა ოვაციებით ეგებება ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გია ჭანტურიას, ირაკლი წერეთელს...“

„ლოცვად ქცეულა დღეს სრულიად საქართველო!

აღსდექ, საქართველოვ! - გაჰყვირის ერი და ბერი!“

„სრულიად საქართველო“ ქართველსაც გულისხმობს და აფხაზსაც... ყველა ერს გულისხმობს, ვინც საქართველოში ცხოვრობს. ეს ყველა მათგანის ბრძოლაა თავისუფლებისთვის, ერთიანი, ძლიერი თავისუფალი სახელმწიფოსთვის, მაგრამ ერთხელაც გავიხსენოთ, რომ მტერსაც არ ძინავს, რომ იგი ძლიერია და ვერაგი: 9 აპრილს „ჩრდილოელი დიდი მეზობლის დიდი ნდომის“ პირველი მსხვერპლი გახდა ქართველი. დაეცა ქართველი, მაგრამ გაიღვიძა, გამოვიდა საუკუნოვანი ბურანიდან. მწერლის აზრით, „9 აპრილი ქართველთა დიდი გამოღვიძების დღე იყო“ , მაგრამ ჩრდილოელი დიდ მეზობელი ქართველებს ამ გამოღვიძებას არ აპატიებდა და უმალ გააჩაღა ძმათამკვლელი

ომი, რომელმაც არაერთი სიცოცხლე შეიწირა ორივე მხრიდან და მწერალიც გულისშემძვრელად მოთქვამს:

„რატომ არ ახსოვს, დედაო ჩემო, აფხაზი ქართველს?

ნეტავ რატომ სძულს ქართველი აფხაზს, ო, ნანავ ჩემო?...

მკვლელი ერთი ჰყავთ აფხაზს, ქართველსაც! !

აფხაზეთში აფხაზი აღარ დარჩენილა!

აფხაზეთში ქართველი ამომწყდარა!

აღარ მღერიან დღეს აფხაზეთში...აღარ მღერიან საქართველოში." (კუდბა, 2004:102)

როგორ უნდა დააღწიოს თავი ორმა ერმა ამ უმძიმეს მდგომარეობას? ამირა-სოლომონის მამის აზრით, მისი თაობა „ღირსებააყრილია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ „გამოვიდეს ოდესმე სინათლის შარაგზაზე." (კუდბა, 2004:80) მამის რწმენით, შეიძლება ამირა-სოლომონის თაობას ერგოს წილად ეს დიდი მისია, „გამოვიდეს ოდესმე სინათლის შარაგზაზე." (კუდბა, 2004:80) „ერის აწმყოსა და მომავალზე" უნდა ფიქრობდეს სოლომონი, თავისი ღვთით კურთხეული სიბრძნე მხოლოდ ამისთვის უნდა გამოიყენოს... მამის, ვაზა აკუდბას, აზრით, ამირა-სოლომონის არსებაში სოლომონის სიბრძნეს უნდა „შეეზავოს" ქრისტესმიერი სიყვარულის განცდა: „გიყვარდეს მტერი შენი", ეს იმას ნიშნავს, რომ შენ აღარ ხარ მტერი შენი მტრისათვის და, რასაკვირველია, იგიც ვერ იქნება შენი მტერი. მტრად ველარ მოგეკიდება! და ჩამოდგება მაშინ ქვეყნად საყოველთაო მშვიდობა, იქნება სიყვარული!" (კუდბა, 2004:155) წინააღმდეგ შემთხვევაში ვაზა აკუდბას აზრით, ამირა-სოლომონი ვერაფრით აიცილებს იმ სატანჯველს, რაც აფხაზ ერს მოელის ახლო და შორეულ მომავალში" (კუდბა, 2004:155).

მწერლის რწმენით, აფხაზი და ქართველი ხალხის დაპირისპირებაში ორივე ერთნაირადაა დამნაშავეც და მართალიც, ამიტომ ხსნის გზა ერთია. ვაზა აკუდბას მრწამსი, რომ „მომავლის შეცვლა ნამდვილად შეუძლია ადამიანს" (კუდბა, 2004:156) ლაიტმოტივად გასდევს მთელს ნაწარმოებს.

ხსნის გზის ერთგვარ დასაწყისად მოიაზრება ამირა სოლომონისადმი მიმართული შეგონება: „შენს კანონიერ ადგილს

მხოლოდ მაშინ დაიბრუნებ, თუკი გაიხსენებ წარსულს“ (კუდბა, 2004:212), თუმცა მარტო გახსენება კმარა, წარსულს აწონვა უნდა, ავის და კარგის გააზრება. საშველი არ იქნება, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას / და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული / ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას“... (ჭავჭავაძე, 2008: 160)

ის, რომ ძმათა შორის სისხლისღვრა საერთოკავკასიურ ხასიათს ატარებს და არ არის მხოლოდ აფხაზთა და ქართველთა ტკივილი, კარგად ჩანს საანალიზო ნაწარმოებში: „დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდებიან აფხაზი - მამაშენის მხარე და ქართველი - მოდგმა დედაშენის! შენ ვერ შეაჩერებ ამ დიდ პროცესს. სრულიად საქართველო (დღეს სრულიად რომ ველარ არის) დიდი საკირეა, რომელშიც უნდა გამოიწვას ქართული სული და ვითომ მარტო ქართული სული?! სული კავკასიური, ამირა-სოლომონ და იქნებ მარადი სულიც“. (კუდბა, 2004:271) აქაც ხმიანდება ილიას უკვდავი სიტყვები: „როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?“ (ჭავჭავაძე, 2008:172)

ეს ოცნება იკითხება „უჟამო ჟამშიც“.

ოცნებისკენ მიმავალი გზა კი ნარეკლიანია, ოღროჩოღრო და ძნელად სავალი. არის ცდომილება - საშიში და ზოგჯერ დამღუპველიც. ამირა-სოლომონი ეძებს გზას: „და ისევ კითხვა - ყველაზე სადაგი, მაგრამ საიდან?! არც ჩრდილოეთიდან და აღარც სამხრეთიდან! არც აღმოსავლეთიდან და აღარც - დასავლეთიდან! მხოლოდ მაღლიდან!“ (კუდბა, 2004:345)

ანზორ კუდბას სწამს, რომ ჭეშმარიტი გზა მხოლოდ ღვთის სიყვარულია და მისი მცნებების საქმედ ქცევა: „გავუძლოთ! გავუძლოთ! - ამომძახოდა დედამიწა. - გვიყვარდეს ჩვენ ერთმანეთი - მე-კაცი და კაცს-დედამიწა!

როცა გიყვართ გაუძლებთ მაშინ...სიყვარულს ვერავინ და ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს, ვერავინ ვერაფერს დააკლებს!“ (კუდბა, 2004:349)

მწერლის მუდმივი საფიქრალიც საუფლო სამშობლოს ყოფნა-არყოფნა და მისთვის მშობლიური ორი ერის გახლეჩაა. იგი,

როგორც ჩვენი დროის უტყუარი მხატვრული მატეანე, ამხელს ეპოქის ნაკლსცა და ღირსებასაც, ეძებს ხსნის გზას... მწერალს ღრმად სწამს, ორი ძმის დიდი შერიგების დრო აუცილებლად დადგება და ეს მოხდება მხოლოდ ღვთის ნებით, თითოეული ჩვენგანის სულიერი ამაღლებაა: „რომელი არს სიყვარული, დიახ, სიყვარული და მხოლოდ ყოვლისმპატიებელი სიყვარული და მეგობრობა არის ის ჯადოსნური იარაღი, რითაც ქართულ-აფხაზური თუ ქართულ-ოსური, ზოგადად კი კავკასიური, გორდიას კვანძის გახსნა შეიძლება". (მახაჭაძე, 2009: 225)

ამის სანიმუშო მაგალითს თვითონ მწერალი იძლევა: „ჩემში უკვე შემორიგებია აფხაზი ქართველს!.." (კუდბა, 2008:4)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბილეიშვილი ი. „უკვდავი სული"; ბათუმი, 2005
2. კუდბა ა. „უჟამო ჟამი"; ბათუმი, 2004
3. კუდბა ა. „ფიქრის სავარძელი"; ბათუმი, 2013
4. კუდბა ა. „ჩემში უკვე შემორიგებია აფხაზი ქართველს", გაზეთი „აჭარა", 2.12.2008 წ. №135
4. მახაჭაძე შ. „და სიტყვა იყო ღმერთი"; ბსუ, 2009 წ.
5. მსხილაძე რ. „მწერლის მისტერია"; გაზეთი „აჭარა", 27.11.2004 წ. №235
6. შაინიძე ჟ. წინათქმა ა. კუდბას რომანისა „უჟამო ჟამი"; ბათუმი, 2004
7. ჭავჭავაძე ი. „აჩრდილი" (ქართველი მწერლები სკოლაში); თბილისი, 2008

Ketevan Shotadze

Some Issues Of the Georgian-Abkhazian Relationship in Anzor Kudba's novel "Timeless Time"

(Summary)

Anzor Kudba's novel "Timeless Time", published by a publishing house "Adjara" in 2004, immediately attracted the attention of readers. A difficult period in the history of our country, acute problems, contradictions, pain, a cry of the soul... are artistically reflected in this work. "Timeless Time" has quite "hard-to-open doors"; the composition is characterized by multi-dimensional symbols anda multifaceted storyline. The writer has set a number of topical issues, the most important of which is the Georgian-Abkhaz tragedy. According to the author "Abkhazia is a cross of Georgia"; the writershares his sorrow and heartache over the war in Abkhazia.He is a true storyteller of our time, who exposes the nation's advantages and disadvantages and explores the path of salvation. The writer is deeply convinced that the time for reconciliation of two fraternal people will surely come. This will happen only with the will of God and the spiritual awakening of each of them, when we will be able first to thinkand then to act. Love, the Only Forgiving Love and Friendship are those magic weapons that can cut this knot.

მარინა შალიკავა, ნატალია ლაზბა

საქორწინო ტრადიციები მუჰაჯირ აფხაზთა შთამომავლებში

საქორწინო ურთიერთობების შესწავლით ნათლად იკვეთება ყოფისა და კულტურის ამსახველი მრავალი ელემენტი. აფხაზური საქორწინო ტრადიციები მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია. მასში ლოკალურთან ერთად თავმოყრილია ქორწინებასთან დაკავშირებული ისეთი ადათ-წესებიც, რაც უშუალოდ ზოგადქართულ საქორწინო ურთიერთობებს ახასიათებს.

აფხაზურ ოჯახში დასაქორწინებელი შვილების ბედს ოჯახის უფროსი - მამა წყვეტდა. იმ შემთხვევაში თუ მისაღები არ იყო სასიძო და დასამოყვრებელი ოჯახი, უარი გაპროტესტებას აღარ ექვემდებარებოდა. შვილი უსიტყვოდ ემორჩილებოდა მამის გადაწყვეტილებას. თუ მამის სურვილს წინააღმდეგ მაინც წავიდოდა ვინმე, ეს ოჯახთან რამდენიმეწლიან, ზოგჯერ კი მთელი ცხოვრება კავშირის გაწყვეტას ნიშნავდა.

ზოგადად აფხაზებში ქორწინების რამდენიმე ფორმა არსებობდა. წინათ ქორწინება უმეტესად ჩუმად, ქალ-ვაჟის მოლაპარაკების შედეგად, მოტაცებით წყდებოდა. ასეთ ქორწინებას აფხაზურად „ამაძა“ ეწოდებოდა. ამასთან ერთად იყო ქორწინების სხვა ფორმებიც - საჯაროდ „ტყვიის შეგდების“, აკვანში დანიშვნის, გარიგების და სხვ. აფხაშეთში ქალის ძალით მოტაცების ფაქტები იშვიათად ხდებოდა, რადგან მას სისხლ-მესისხლეობა მოჰყვებოდა (ბახია-ოქრუაშვილი, 2011: 127). თუმცა, არცთუ შორეულ წარსულში აჭარაში მცხოვრები აფხაზები საკმაოდ ხშირად იტაცებდნენ ქალს. ამას არა ძალადობად, არამედ სავაჟკაცო საქმედ მიიჩნევდნენ. გარკვეული დროის მანძილზე მოტაცებას მასიური სახეც მიულია. ამასთან დაკავშირებით აფხაზი რესპოდენტი ზურაბ ჩაუშბა იხსენებს: ბიძაშვილმა ქალი მოიტაცა, რისთვისაც სამი წელი ციხეში ჩასვეს, როცა ციხიდან გამოვიდა ის ქალი მაინც მოიტაცაო. აფხაზურ წიაღში მივიწყებული თუ აკრძალული ჩვეულება შესაძლოა აჭარაში ახალი ძალით ამოქმედდა. აჭარის მკვიდრთათვის მოტაცება, ანუ ქალის „მოპარვა“

ჩვეულებრივი საქმე იყო. მოტაცების მიზეზი ძირითადად ქალის მშობლების უარი ხდებოდა (მსხალაძე, 1965: 54).

თუ საქორწინო კავშირი „არგამა“ (ე.ი.საჯარო) წესით წყდებოდა, მაშინ სასიძოს მამა ნათესავების თანხლებით საჩუქრებით ხელდამშვენებული პატარძლის ოჯახში მიდიოდა, სადაც მათ საგანგებოდ გაშლილი სუფრით ხვდებოდნენ. ამ შეხვედრისას იგეგმებოდა მომავალი ქორწილის დეტალები. პატარძლის ოჯახი სიძესაც სიმბოლურ საჩუქარს უგზავნიდა.

აფხაზური ე.წ. „ტყვიის შეგდების“ ანუ „ახკაშვრა“ -ს წესით ქორწინებისას ვაჟის ოჯახი უფროსი მამაკაცის ხელით საპატარძლოს ტყვიას უგზავნიდა. ტყვია ფიგურირებდა აგრეთვე აკვანში დანიშვნის ჩვეულებაშიც. ამ დროს ორივე აკვანში ერთნაირი ფორმის ნიშანს ამოჭრიდნენ, ხოლო გოგონას სასთუნალთან ტყვიას ამოუდებდნენ. ასეთი ქორწინების წესს აფხაზურად „აგაგრაეაქუარა“ („აგარა“ - აკვანი, „ეაქუარა“ - ამოჭრა). (ბახია-ოქრუაშვილი, 2011:128) ეწოდებოდა. ყურადღებას იქცევს აფხაზურ საქორწინო ურთიერთობებში, კერძოდ საქმის გადაწყვეტისას ტყვიის არსებობის ჩვეულება. ზოგადად აფხაზური ჩვეულებითი სამართალი უმკაცრეს ნორმებს ეფუძნებოდა. სიტყვის გატეხვას, სახალხოდ სახელის შებღალვას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც ცნობილია, აფხაზებში სისხლ-მესისხლეობის ინსტიტუტი მუდმივად მოქმედებდა. ქვეცნობიერად ტყვია უმკაცრესი შუამავალი იყო ადამიანურ ურთიაეთობებს შორის. შესაძლო ღალატს, სიტყვის გატეხვას აფხაზებთან სიცოცხლის ფასი ედო. აკვანში დანიშვნის ჩვეულება არც მთიანი აჭარისთვის იყო უცხო. აქ აკვანში დანიშვნა მხოლოდ წინასწარ შეთანხმებად ითვლებოდა, რომლის გარკვეულ მიზეზთა გამო დარღვევაც ხდებოდა ხოლმე, თუმცა ეს არ იწვევდა განსაკუთრებულ გულიწყრომას და საქმე მშვიდობიანად სრულდებოდა (ბექაია, 1965: 220, 221; მგელაძე, 1996: 205). სიტყვის დარღვევის შემთხვევაში კი აფხაზებთან საქმე შეიძლება გართულებულიყო, რადგან აფხაზური ხალხური საოჯახო სამართალი გაცილებით მკაცრი იყო.

აჭარაში მცხოვრებ აფხაზების საქორწინო ურთიერთობებში სავალდებულო ნორმას ეგზოგამიურობის დაცვა წარმოადგენ-

და. ქორწინება სისხლით, მოყვრობით, ხელოვნურად დანათესავებულთა, მოსისხლე გვარებსა და სოციალურად განსხვავებულ ფენებში აკრძალული იყო.

მაჭანკლის ანუ შუამავლის ინსტიტუტი აფხაზურ საქორწინო ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა. დასაქორწინებელ ახალგაზრდა მამაკაცს უფლება არ ჰქონდა ოჯახში ცოლის მოყვანის სურვილი ხმამაღლა გამოეთქვა, იგი ამოირჩევდა მასზე ასაკით უმცროსს შუამავალს და მორიდებით, ყველა წესის დაცვით ამცნობდა თავის სურვილს. დასამოყვრებელი ოჯახები სწორედ შუამავალის საშუალებით აწესრიგებდნენ ურთიერთობებს. მაჭანკალი შეიძლებოდა როგორც სასიძოს, ისე საპატარძლოს მხრიდანაც ყოფილიყო. თუ შუამავლის მიერ საქმე კარგად წარიმართებოდა, მას ძვირფას საჩუქრს მიართმევდნენ.

მაჭანკლის მიერ საქმის სასიკეთოდ მოგვარების შემდეგ ტრადიციულ აფხაზურ საქორწინო სამზადისს წინ უსწრებდა ნიშნობა. ნიშნობა ძირითადად ვიწრო წრეში იმართებოდა. საპატარძლოსთვის ნიშნობის რგოლის ბეჭედი აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა, სხვა სახის ოქროს სამკაულს კი იმის მიხედვით ჩუქნიდნენ მომავალ სარძლოს, რა ეკონომიური შესაძლებლობაც ჰქონდა ოჯახს. ნიშნობისას ვაჟის მხარე საპატარძლოს ოჯახის ყველა წევრს საჩუქარს მიართმევდა, ამ დღეს ვაჟის ოჯახის პატარა წევრებიც კი ძღვენის გარეშე არ უნდა დარჩენილიყვნენ.

აფხაზური ქორწილი ორი ან სამი დღე გრძელდებოდა. ამ დღეს ქალს თეთრი მოკრძალებული საპატარძლო კაბა ეცვა და თავზე ფატა ეფარა, რომელიც სახესაც უფარავდა. საპატარძლოს საქორწინო კაბას ვაჟის მხარე უკერავდა. აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, რომ მკერავთან ქალს ვაჟის ოჯახიდან ვინმე გაჰყოლოდა, მაგალითად მული, ან სხვა ოჯახის ახლობელი ქალი.

ქორწილის დღეს ნეფე-პატარძლის ერთად ყოფნა მიუღებელი იყო. პატარძალი არც მოწვეულ სტუმრებს დაენახვებოდა, მთელი ქორწილის განმავლობაში იგი სახედაფარული ცალკე ოთახში იჯდა. ნეფეს კი უფლება ჰქონდა ხალხში გარეულიყო და მო-

ელხინა. თუ ქორწილის მსვლელობისას სასიძო დედოფლის ნახვას მოისურვებდა მანამ არ დაანახვებდნენ, სანამ სიმბოლურ თანხას არ გადაიხდიდა. ფული უნდა გადაეხადა აგრეთვე ყველას, ვინც პატარძლის ნახვას მოინდომებდა. ამისათვის მაგიდაზე დადგამდნენ მოზრდილ ვაზას, რომელიც პატარძალთან ვიზიტისთვის ფულის ჩასაყრელად იყო განკუთვნილი.

აფხაზურ ქორწილში გარკვეული როლი ენიჭებოდათ სიძე-პატარძლის მეჯვარეებს. მათ ხშირად სანათესაო წრიდან აირჩევდნენ. აფხაზები მეჯვარედ ბიძაშვლს, ზოგჯერ ძმასაც მოიწვევდნენ ხოლმე.

ქორწილში კერძებს ძირითადად მამაკაცი მზარეულები ამზადებდნენ. მათ ამ დღეს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, რადგანაც კერძები გამორჩეულად გემრიელი უნდა ყოფილიყო. სუფრის გაწყობა და სტუმრების მომსახურება კი უფრო საქალებო საქმედ ითვლებოდა. აჭარაში ყველა აფხაზურ უბანს თითო გამოცდილი მზარეული მაინც ჰყავდა, რომელიც მასიურ წვეულებებზე, ლხინისა თუ ჭირის სუფრაზე ოჯახისთვის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა.

საქორწილო სუფრა ტრადიციული კერძებით იყო წარმოდგენილი. ზოგადად აფხაზურ კერძებში ყველაზე არსებითი და გამორჩეული ღომი - „აბსთა“ იყო, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს იჭერდა, არა მხოლოდ საქორწილო, არამედ ზოგადად აფხათა ტრადიციულ კვებით კულტურაში. ხორცეული საკვებს ძირითადად ძროხისა და ქათმის ხორცი შეადგენდა, უმეტესად მოხარშული სახით. სადღესასწაულო სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ძროხის ბეჭი და მრგვალად მოხარშული დედალი. აფხაზები სანელებელებიდან ყველაზე გამორჩეულ ადგილს ქონდარს ანუ „აწიბრს“ უთმობდნენ. ქონდრით შეკმაზული ფაშვი - „ამგოჩაფა“ და ყველიანი პელმენები - „აჩაჰალავ“ საქორწინო სუფრას განსაკუთრებულ ხიბლს მატებდა. აფხაზურ სუფრას ასევე ყოველთვის ამშვენებდა წიწაკის, ნივრის, ნიგვზისა და სხვადასხვა სუნელის ნაზავი - „აჯიკა“, რომელსაც სპეციალურად ამოღრმავებულ ქვაზე „აჰაყა“-ზე ქვისვე სანაყის- „არხგა" -ს მეშვეობით ამზადებდნენ. აფხაზურ საქორწილო

სუფრაზე ტრადიციულად უნდა ყოფილიყო ასევე მოხარშული საქონლის გულ-ღვიძლი და ენა. მსგავსი ტრადიცია აფხაზეთშიც არსებობდა, სადაც ქორწილის სუფრასთან შამფურზე ასხმულ საქონლის გულ-ღვიძლს პატივისცემის ნიშნად უხუცესებს მიართმევდნენ. (ბახია-ოქრუაშვილი, 2011: 129). როგორც ჩანს საქონლის გულ-ღვიძლი საკლავის საუკეთესო ნაწილად ითვლებოდა. წინათ წარმართი აფხაზები ხის შამფურზე ასხმულ გულ-ღვიძლს მჭედლობის ღმერთს „შაშუსაც"მიართმევდნენ, რაც თაყვანისცემისა და პატივისცემის უდიდესი გამოხატულება იყო (სახოკია, 1985: 403).

ქორწილში საუკეთესო დესერტად „ფახლავა" იყო მიჩნეული, რომელიც სუფრასთან სპილენძის სინებით მიჰქონდათ. თითოეულ სინზე „ფახლავის" ასი ნაჭერი თავსდებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ გარდა აფხაზურისა ქორწილში ასევე ამზადებდნენ აჭარულსა და ზოგადად, ქართულ კერძებსაც.

ქორწილის სუფრა ეზოში, სპეციალურად აგებულ და გადახურულ შენობაში იყო გაშლილი. ყველა მოწვეული სტუმარი ერთ გრძელ მაგიდასთან თავსდებოდა, რადგანაც აფხაზებთან ერთმანეთთან ზურგშექცევით დასხდომა მიუღებელი იყო.

აფხაზურ ქორწილში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თამადის არჩევას. იგი ოჯახისთვის მისაღები, საზოგადოებაში დაფასებული და კარგი სიტყვა-პასუხით გამორჩეული პიროვნება უნდა ყოფილიყო. სუფრიდან სულ ბოლო სწორედ თამადა დგებოდა. აფხაზურ სუფრასთან ერთი სადღეგრძელო ერთ ჯერზე სამი, ოთხი ან ხუთი ჭიქით ისმებოდა, ანუ ჭიქების რაოდენობა იმის მიხედვით იზრდებოდა, თუ რამდენი მიმართულებით განივრცობოდა სადღეგრძელოს არსი. ქორწილში ალკოჰოლური სასმელიდან ყველაზე მეტად ღვინო და არაყი იყო მიღებული. ალკოჰოლის უზომოდ მიღება და სიმთვრალით გამოწვეული შეუფერებელი საქციელი აფხაზებისთვის დიდ სირცხვილად ითვლებოდა. იმ შემთხვევაში თუ ოჯახი ისლამს აღიარებდა, ალკოჰოლური სამელი საერთოდ იკრძალებოდა.

რამდენიმე ათეული წლის წინათ აფხაზურ ქორწილში დოლი და აკორდეონი გართობის საუკეთესო საშუალება იყო. უკრა-

ვდნენ აფხაზურ საცეკვაოს და მღეროდნენ აფხაზურ სიმღერებს, ან ქართულ სიმღერებს აფხაზური ტონალობით. ამ ფაქტს თავისებური გამართლება ჰქონდა. ცნობილია, რომ ეთნიკური თვითშეგნება ეროვნულობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილი, ახალ გარემოსა და ხალხთან ადაპტირებული აფხაზები თანდათან კანონზომიერ სახეცვლილებას განიცდიდნენ. დროთა განმავლობაში ნელ-ნელა კარგავდნენ ენას, ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს. ამიტომ აფხაზებში თანდათან ამოქმედდა თვითგადარჩენის მექანიზმი. რითაც და როგორც შეეძლოთ იბრძოდნენ თვითმყოფადობის გადასარჩენად. ასე მაგალითად: xx საუკუნის 70-იან წლებში ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მნათობში მცხოვრები ცოლ-ქმარი იზოლდა კონცელიძე-ხოხბა და მისი მეუღლე ბიჭიკო ხოხბა ტელევიზორის მეშვეობით სწავლობდნენ აფხაზურ ცეკვასა და სიმღერას, რომლებსაც შემდეგ დიდი სიამაყით ასრულებდნენ აფხაზურ ქორწილებში.

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ტრადიციულ კულტურაში მზითევის („აიხრაწარა“) ინსტიტუტიც რა თქმა უნდა არსებობდა, მაგრამ მას არასოდეს ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. მზითევის შემადგენლობა და რაოდენობა არასოდეს ყოფილა განსაზღვრული. იგი ოჯახის შეძლებაზე, ეკონომიურ და ხშირად სოციალურ მდგომარეობაზეც იყო დამოკიდებული. ოჯახი პატარაძალს აძლევდა საბან-ლეიბს და თეთრეულს. თუ ეკონომიური შესაძლებლობა ჰქონდათ საძინებელი ოთახის ავეჯსაც ატანდნენ.

აფხაზურ ოჯახში შესული ახალი რძალი მორჩილი და მოკრძალებული უნდა ყოფილიყო. ველზე მოპოვებული მასალების მიხედვით რძალი მამამთილს მთელი ერთად ცხოვრების განმავლობაში ვერ გასცემდა ხმას. ცალკეულ შემთხვევაში მამამთილთან ჩურჩულითა და ჟესტების ენით შეიძლებოდა ურთიერთობა. იგი განსაკუთრებული მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდა ოჯახის დანარჩენ წევრებსაც. მას არ ჰქონდა უფლება ქმრის, მამის, ბაბუის, უფროსი მაზლების, დედამთილის, მულების სახელები ხმამაღლა წარმოეთქვა.

რძალთან ოჯახის მსგავსი დამოკიდებულება სპეციალურ ლიტერატურაში დამუნჯებისა და განრიდების სახელწოდებითაა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური წესები მოქმედებდა მთიან აჭარაშიც (აჩუგბა, 1985: 96,97,98. ჩელებაძე, 2005:140).

წინათ აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს არაერთ კუთხეში მიღებული იყო პატარძლის კერასთან ზიარების ტრადიცია. კერასთან ზიარების რიტუალი ქორწილიდან სამი კვირის შემდეგ იმართებოდა: დილით, ადრე, დედამთილი ახალმოყვანილ რძალს კვერცხსა და წყლის დოქს მისცემდა ხელში, წაიყვანდა წყაროზე, რძალი კვერცხს გამდინარე წყალში ჩააგდებდა და მერე დოქს წყლით აავსებდა. როცა იქიდან დაბრუნდებოდნენ, დედამთილი, საოჯახო სალოცავის - „წყლის დედოფლის“ სახელზე ლოცვას წარმოთქვამდა. შემდეგ დიდ სახლში შეიყვანდა, კერას სამჯერ შემოატარებდა და „შერიგების“ სუფრას გაშლიდა. აჭარაში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებში კი მსგავსი რამ არ დასტურდება. პატარძლის კერასთან ზიარების ტრადიცია უხუცესებსაც კი არ ახსოვთ. თუმცა, ფაქტია, რომ მათ ტრადიციულ ყოფაში ნამდვილად არსებობდა კერასთან ზიარების ზოგადქართული ჩვეულება.

უნდა აღინიშნოს რომ აჭარაში ადგილობრივ მოსახლეობასთან აფხაზთა მრავალწლიანმა თანაცხოვრებამ როგორც ყოფიერების სხვადასხვა სფეროს, ისე საქორწინო ურთიერთობებსაც თავისი კვალი დააჩნია. მრავალი აფხაზური ტრადიცია გამარტივდა ან ტრანსფორმაცია განიცადა. თუმცა ამ პროცესს აფხაზთათვის არ დაუტოვებია გაუცხოების ხანგრძლივი განცდა, რასაც გარკვეულწილად ხელს უწობდა დამხვდურთა კულტურული იდენტობის თანხვედრა. აჭარის მკვიდრთა და მუჰაჯირ აფხაზთა კულტურა, ტრადიციები, სარწმუნოებრივი აღმსარებლობა ერთმანეთს ემთხვეოდა, რაც თავისთავად ურთიერთშორის კეთილგანწყობილ გარემოს ქმნიდა.

აჭარაში მცხოვრები აფხაზები გარკვეული დროის მანძილზე ცდილობდნენ მხოლოდ აფხაზურ ოჯახებთან დამოყვრებას. გასათხოვარმა აფხაზმა ქალმა კარგად იცოდა როგორი სასიძო იყო მისაღები მამისთვის და ზოგადად მისი ოჯახისთვის,

ამასთან ითვალისწინებდა საერთო სურვილს - სასიძო აფხაზი ყოფილიყო. აჭარაში კი აფხაზთა სიმცირის გამო, ყოველთვის არ მოიძებნებოდა კონკრეტული ოჯახის შესაფერისი სასიძო, ამიტომ გარკვეული პერიოდის მანძილზე არაჩვეულებრივი აფხაზი ქალები ხშირად გაუთხოვარი რჩებოდნენ. ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემთხვევაშიც კი, გასათხოვარი შვილები მკაცრად იცავდნენ მამის ნებას. მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა და შეიქმნა შერეული, აფხაზურ-აჭარული ოჯახები, რამაც დასაქორწინებელი ასკის აფხაზებში საქორწინო ურთიერთობათა ხარისხი რამდენადმე დააბალანსა. როგორც აღვნიშნეთ, აჭარული და აფხაზური საოჯახო ტრადიციები თითქმის ერთმანეთის მსგავსი იყო, რასაც საერთო სარწმუნოებრივი აღმსარებლობაც უწყობდა ხელს, ამიტომ მრავალწლიანმა ურთიერთობებმა ურთიერთსიმპატიები ჩამოაყალიბა. ამრიგად, აჭარელი სასიძო და საპატარძლო მისაღები გახდა აფხაზური ოჯახისთვის. განსაკუთრებით თავი ისახელეს აფხაზურ ოჯახში შესულმა აჭარელმა რძლებმა. ისინი აფხაზური წეს-ჩვეულებების მიმდევარნი, დამცველნი და დამფასებელნი გახდნენ. ველზე შეკრებილი მასალის თანახმად არაერთმა აჭარელმა რძალმა მეუღლის ოჯახის პატივსაცემად აფხაზური ენაც კი შეისწავლა. დამოყვრებული აჭარულ-აფხაზური ოჯახები შემდეგში საფუძველი გახდა მრავალწლიანი სანდო და უღალატო ურთიერთობისა. აჭარამ მიიღო და დააფასა მაღალი კულტურული მეკვიდრეობის, ტრადიციული და არისტოკრატული სულის მქონე აფხაზი საზოგადოება. აფხაზთან დამოყვრება მისაღები და საამაყო გახდა. მაგალითისთვის მოვიყვანთ სოფელ ჭარნალში მცხოვრები გულნაზ ლომაძე-აკვაზბას სიტყვების ციტირებას: „აჭარაში ეამაყებოდათ აფხაზებთან დამოყვრება, რადგანაც ისინიც ჩვენსავით ლაპარაკობდნენ და ჩვენსავით ფიქრობდნენო...“ „საზოგადოებაში როცა აფხაზურ გვარს ვიტყოდი, განსაკუთრებული ყურადღებით და პატივისცემით შემომხედავდნენო...“ „ჩემი შვილები ასე კარგები იმიტომ არიან, რომ აფხაზები არიანო...“ ხოლო მისი სიტყვები: „ყველაზე სპეტაკი ხალხია აფხაზები“ ერთმნიშვნელოვნად უსვამს ხაზს მუჰაჯირ აფხაზთა შთამომავლების სიკარგესა და ღირსეულობას.

საქორწინო ურთიერთობების კვლევისას ყურადღებას იქცევს ორცოლიანობის, მეორედ გათხოვებისა და მსგავსი საკითხების განხილვა. უნდა აღინიშნოს რომ აჭარაში მცხოვრებ არც ერთ აფხაზურ ოჯახში არასოდეს არ დაფიქსირებულა ორცოლიანობის არც ერთი შემთხვევა.

ქვრივ ქალს აფხაზური საოჯახო სამართალი მეორედ გათხოვებას არ უკრძალავდა. მის გათხოვებაზე გარდაცვლილი ქმრის ოჯახი თავად ზრუნავდა. შვილები მამის ოჯახში რჩებოდნენ, თუმცა მათი ნახვის უფლება ქალს ყოველთვის ჰქონდა. ზოგადად, აფხაზურ ოჯახში ქვრივი ქალის ან კაცის ცალად დატოვება მიუღებელი იყო. აღსანიშნავია, რომ მეორედ დაქორწინებასთან საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება ოჯახში სიწმინდის დაცვას ემსახურებოდა.

ამრიგად, განხილული ეთნოლოგიური მასალების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა საქორწინო ურთიერთობებში დიდი ხნის განმავლობაში მრავლად შემოინახა წმინდა აფხაზური წეს-ჩვეულებები. თანამედროვე საქორწინო ურთიერთობები ძველისაგან განსხვავდება. ყოფიერების წიაღიდან გაქრა ან გამარტივდა არაერთი ქორწინებასთან დაკავშირებული ტრადიციული მიდგომა. შვილის დაქორწინების დროს უკვე აღარ დომინირებს ოჯახის უფროსის ცალსახოვანი გადაწყვეტილება. წყვილთა შორის ქორწინება ეფუძნება ქალ-ვაჟის ურთიერთშეთანხმებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აფხაზური საოჯახო ურთიერთობები დღესაც მაღალ ზნეობრივ პრინციპებზე დგას. თანამედროვე ოჯახი გამარტივებული სახით იმეორებს ძველი საოჯახო მმართველობის სისტემას. აქ დღემდე კარგადაა დაცული ასაკობრივ-სქესობრივი სეგრეგაცია. როგორც საქორწინო ურთიერთობებში, ისე ზოგადად ტრადიციული ყოფის სხვადასხვა სფეროში აშკარად გამოსჭვივის აფხაზური სული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჩუგბა თ. ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ნორმები აჭარაში, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბილისი, 1985, N 11
2. ბახია-ოქრუაშვილი ს. აფხაზთა ეთნოლოგია, თბილისი, 2011
3. ბექაია მ. ქორწინება აჭარაში (ნიშნობა), აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, ბათუმი, 1965
4. მსხალაძე ა. აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზიის ზოგიერთი საკითხი, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, ბათუმი, 1965
5. მგელაძე ვლ. ქორწინება და საქორწინო ჩვეულებანი აჭარაში, კულტუროლოგიური და იტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ბათუმი, 1996, N 1
6. სახოკია თ. მოგზაურობანი, ბათუმი, 1985
7. ჩელებაძე ნ. ქალი და ოჯახი, თბილისი, 2005

Marina Shalikava, Natalia Lazba

Wedding traditions in the descendants of Muhajir Abkhazians

Summary

For long time many of the original Abkhazian customs have been kept in the wedding ceremonies of Abkhazians living in Adjaria. Abkhazian wedding traditions are very interesting and diverse. Along with the local customs there are represented wedding traditions whichdescribe Georgian wedding ceremonies. Modern wedding ceremonies differ from old ones. Many traditional wedding customs had been forgotten or simplified. Despite that Abkhazian family habits still keep high morality. The Abkhazian character is represented inwedding ceremonies and likewise in all traditional aspects.

ელგუჯა მაკარაძე, მარიკა დუმბაძე

„მეგობრობის დღიური“

ალბომი ისტორიულად და ტიპოლოგიურად არაერთგვაროვანი, მრავალფეროვანი და დღემდე ნაკლებად შესწავლილი კულტურულ მოვლენაა. ხელნაწერი ალბომის კერძო, სრულიად განსხვავებულ სახეს წარმოადგენს ე.წ. „მეგობრობის დღიური“ (გენდერული კუთვნილების გათვალისწინებით, „ქალიშვილების დღიურსაც“ უწოდებენ), რომელიც ახალგაზრდული, უკეთ, მოსწავლეთა სუბკულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია.

საზოგადოდ, ურბანულ, განსაკუთრებით პოსტინდუსტრიულ, ეპოქაში კულტურული ველი მეტად არაერთგვაროვანია და, შესაბამისად, სუბკულტურები საზოგადოების კულტურული დიფერენციაციას ასახავს. სუბკულტურა თვითრეგულირებადი კომუნიკაციური სისტემა, კულტურული ქვეჯგუფია, რომელიც გამოირჩევა თავისი სტატუსით, ეთნიკური ერთობით, განსახლების არეალით, რელიგიით, რწმენა-წარმოდგენებით. ის წარმოადგენს გარკვეული სოციოკულტურული ჯგუფის (ახალგაზრდობის, სხვადასხვა პროფესიული გაერთიანების, კრიმინალების დ. ა. შ.) თვისებების მყარ მთლიანობას, რომელსაც გააჩნია სპეციალური ნიშნური ობიექტები, კერძოდ: ვერბალური (ფოლკლორი, არგო), რიცხვი, იდიოგრამა, რუკა, ფული. ისინი, სინამდვილის ობიექტები, ნიშნურ როლს თამაშობს, ახდენს რა კულტურული კოდების ტრანსლაციას, ტრანსმისიას. თავად ტერმინი „ სუბკულტურა“, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, 60-70-იან წლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა სწორედ ახალგაზრდული მოძრაობების შესწავლის კონტექსტში(დეივის,1971: 9). ის არაოფიციალური კულტურული პლასტია, რომელსაც გაბატონებული კულტურისაგან განსხვავებული ფასეულობა და ნორმები აქვს, თუმცა რადიკალურად არ უპირისპირდება მას. საქართველოში სუბკულტურებს ისეთი მდიდარი ტრადიცია არ გააჩნია, როგორც დასავლეთის ქვეყნებში. მეტიც, საბჭოთა ეპოქაში ისინი აკრძალული იყო. აქ ვერ

მოიკიდეს ფეხი ევროპა-ამერიკაში ფართოდ გავრცელებულმა ისეთმა სუბკულტურებმა, როგორიცაა: ბიტნიკები, პანკები, გოთები, ჰიპები. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდული სუბკულტურა აქ საერთოდ არ ყოფილა.

ძნელია იმის თქმა, ჩვენთან ზუსტად როდის ჩაეყარა საფუძველი „მეგობრობის დღიურს". მიუთითებენ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, კერძოდ, რუსეთში, მისი ტრადიცია მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებიდან იწყება (კალაშნიკოვა, 2003: 600). ალბომის ყველაზე ძველი ნიმუში, რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს, 1955 წლით თარიღდება. მის სტრუქტურასა და შინაარსში უკვე ჩამოყალიბებული ტრადიცია ჩანს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი ისტორია ამ ტრადიციის ფორმირებისათვის აუცილებელ ერთ- ორ ათეულ წელს მაინც მოითვლის.

„მეგობრობის დღიური" წარმოადგენს ჩვეულებრივ 48 ან 96 გვერდიან სასკოლო რვეულს. მისი რამდენიმე ფორმა არსებობს, კერძოდ, გვხვდება: მხოლოდ სიმღერების ან ლექსების ერთგვარი ნაკრები ან მხოლოდანკეტა-კითხვარი. ყველაზე გავრცელებული კი მათი სიმბიოზით შექმნილი „მეგობრობის დღიურია", მრავალჟანრული ჰეტეროგენური ტექსტების კრებული, თანმხლები ნახატებითა და არტეფაქტებით. „მეგობრობის დღიური", რომელიც იქმნება გარკვეული სუბკულტურის კონტექსტში, ფორმით პოლიელემენტური, ხოლო შინაარსით პოლიჟანრულია. ის შედგება როგორც ვერბალური, ისე ვიზუალური (ნახატი, სურათი) კომპონენტისა და სხვადასხვა სიმბოლოსაგან. მათი ურთიერთობით იქმნება საინტერესო კომბინაცია, ერთგვარი სემიოტიკური „ანსამბლი". ამიტომ ალბომი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციო-კულტურული მოვლენა, არტეფაქტი. შესაბამისად, ერთნაირად საინტერესოა მისი მსოფლხედვითი, კოგნიტური და კომუნიკაციური ასპექტები. წინამდებარე ნარკვევში კი მეტწილად შემოვიფარგლებით ალბომების ემპირული აღწერით, შევეცდებით გამოვარკვიოთ მათი კულტურულ-შემეცნებითი ღირებულება, სტრუქტურა , ფუნქცია. ამასთან, აქცენტს გავაკეთებთ ვერბალურ კომპონენტზე, რომელიც ალბომის, საერთოდ, მოსწავლეთა სუბკულტურის,

ბუნებას ყველაზე უკეთ, საგნობრივად და თვალშისაცემად გამოხატავს. მითუმეტეს, სხვა კოდებით გადმოცემული ინფორმაცია ვერბალურ კონტექსტზე დაყრდნობით „ითარგმნება“. ცხადია, ჩვენ გვაინტერესებს არა რომელიმე ერთი კონკრეტული ალბომი, არამედ მათი ერთობლიობა, როგორც ხელნაწერი ტექსტების ტიპი.

ალბომის საკუთრივ ვერბალური კომპონენტი ორი ნაწილად იყოფა:

1) ანკეტა-კითხვარი, რომელსაც ალბომის მფლობელი („მასპინძელი“) ადგენს, ხოლო „სტუმარი“, იგივე „მოპასუხე“, ვალდებულია პასუხი გასცეს მას. კითხვების რაოდენობა ხშირად 50-მდე აღწევს. კითხვები ტრადიციულია და მცირე ცვლილებით გადადის ალბომიდან ალბომში. (მოკლე ბიოგრაფია, სად და როდის გამიცანით, როგორ დამახასიათებთ, ვინ არის შენი საუკეთესო მეგობარი, რა არის სიყვარული, რას ინატრებდი ნატვრისთვალი რომ გქონდეს, რომელია შენი საყვარელი კინოფილმი, ვინ არის შენი საყვარელი მომღერალი, რა არის ცხოვრება). ზოგჯერ მასპინძელი სტუმარს სთხოვს, სამახსოვროდ დაუტოვოს ლექსი, იუმორი, ნახატი. პასუხები მოპასუხის განათლების, ინტელექტუალური შესაძლებლობის გამომხატველია, ხოლო ზოგჯერ ის მხატვრულ მასალასაც მოიცავს. მოპასუხე ცდილობს ორიგინალური იყოს პასუხის გაცემაში, თუმცა აქაც შეინიშნება შაბლონურობისა და ტადიციულობის კვალი. ჩვეულებრივ თამაშის წესებს მასპინძელი აყალიბებს, ის განსაზღვრავს დიალოგის მიმართულებას.

2) მხატვრული ნაწილი პოლიჟანრული და პოლითემატურია. აქ გვხვდება: ლირიკული და სასიმღერო ლექსები, შაირები, აკროსტიხები, მინიატურები, დიდაქტიკური ხასიათის ტექსტები, ანდაზები, აფორიზმები, სურვილები, რჩევები, ციტატები, „ამონარიდები“ ლიტერატურული ტექსტებიდან და კლასიკური ფოლკლორის ნიმუშებიდან. ისინი, პარაფოლკლორული ნიმუშები, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფორმა ე. წ. „წერილობითი ფოლკლორისა“, ერთგვარი ბუფერული ზონა წერილობით ლიტერატურასა და ტრადიციულ ფოლკლორს შო-

რის. მართალია, ისინი ინდივიდუალური შემოქმედების პროდუქტია, მაგრამ ორიენტირებულია ფოლკლორზე. საერთოდ, ხელნაწერი ალბომი, მისი აგების წესით, ხასიათით, ენათესავება ფოლკლორს: აქ გვაქვს ტექსტები, რომლებიც ალბომიდან ალბომში გადადის და ავტორის კუთვნილებას კარგავს, ხოლო სტერეოტიპულ შეხედულებები და გამოხატვის ფორმები გარკვეულ ტრადიციას ქმნის. ვერბალური მასალა ძირითადად არსებობს და ფუნქციონირებს სუბკულტურის საზღვრებში. აქვე შევნიშნავთ, რომ ალბომური სიტყვიერება ყურადღებას იპყრობს არა თავისი მხატვრული ღირებულებით, არამედ, როგორც გარკვეული სოციალური და იდეოლოგიური ტენდენციების გამომხატველი მასალა.

ალბომური ლირიკის ტრადიციული სახეა სურვილები, რომელსაც ახასიათებს დასაწყისი და დასასრული ფორმულები მრავალი ვარიანტით. ამასთან მათში აღიბეჭდება სხვადასხვა ეპოქის იდეოლოგიური სტერეოტიპების კვალი. მაგალითად, 1955 წლის დღიურის მიხედვით, მოსწავლეებს ასეთი სურვილები აქვთ:

"ქართველ ქალსა გეძახიან
მიტომ გმართებს დიდი ვალი
გისურვებ, რომ გამხდარიყავ
საბჭოეთის გმირი ქალი"

ან:

„დაგეთესოს საბჭოეთში,
გმირობა და წვდომა თვისა,
ღირსეულად შეგესწავლოს,
საფუძვლები მარქსიზმისა"

აგრეთვე:

„...მე გისურვებ ის მოგემკას,
რაც ლენინს დაუთესია"

60-70-იან წლებში სურვილები არა მარტო იცვლება, არამედ უფრო მრავალფეროვანი ხდება:

„მე გისურვებ, ჩემო დაო,
ცხოვრებაში ორ რამეს:
რუსთაველის ნიჭი გქონდეს,
თამარის სილამაზე"

ან:

„მე გისურვებ, ჩემო დაო,
შეიძინო სწავლა დიდი,
რადგან იგი ცხოვრებაში
გზა არის და მტკიცე ხიდი“

ან:„მე გისურვებ, ჩემო დაო,
ინსტიტუტის დამთავრებას,
ინსტიტუტის ბოლო კურსზე
კარგი ბიჭის შეყვარებას“

90-იან წლებში:

„მე გისურვებ, ჩემო დაო,
კარგი ბედი გქონოდეს,
აქეთ-იქით სიარულში
მერსედესი გყოლოდეს“

მოსწავლეები ავლენენ ერთგვარ „მგრძნობელობას“ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისადმი. ეს განსაკუთრებით 90-იანი წლების დღიურებში იგრძნობა. მხედველობაში გვქვს არა მარტო ანკეტაში დასმული კითხვა-პასუხი, რომელშიც აისახება გარკვეული ეპოქის პოლიტიკური კონიუქტურის კვალი, არამედ მხატვრული მასალაც. მაგალითად, შეგვხვდა 90-იან წლებში გავრცელებული პოლიტიკური ფოლკლორის ნიმუშები :

„მტრებიც ბევრი გვყავს, ბიჭებო,
მოყვარეც ბევრი დიადი,
ერთ მუშტად შეკრულ ქართველებს
წინ მიგვიძღვება ზვიადი!“

ან:

„ნეტა ის დღე დადგებოდეს,
შევარდნაძე მოკვდებოდეს,
რომ ერთი ასლან ბაბუ
პრეზიდენტად დადგებოდეს“

ალბომში ასახულა 90-იან წლებისათვის დამახასიათებელი ეკონომიური პერიპეტიების სურათიც:

„დოლარმა უთხრა ლარსაო,
რას მიქიცინებ თავსაო,

კუპონის ნაბიჭვარი ხარ,
.....დედის...“

ალბომურ ლირიკაში განსაკუთრებით პოპულარულია ხალხურ ყაიდაზე გაწყობილი შაირები. მ. ჩიქოვანი შენიშნავს, რომ თანამედროვე ფოლკლორში შაირის ჟანრმა შეინარჩუნა აქტუალობა. ჩვეულებრივ, შაირი ოთხსტრიქონიან ლექსს წარმოადგენს და „აგების თვალსაზრისით იგი შედარებას, საგნობრივ თუ ფსიქოლოგიურ პარალელიზმს ემყარება“ (ჩიქოვანი,1982: 3). შაირების სტრუქტურაწარმომქნელი ფაქტორია როგორც დასაწყისი, ისე, არც ისე იშვიათად, დასასრული ფორმულები. ისინი ხშირად ტრადიციული ფოლკლორის არსენალიდან არის აღებული. შედარებით იშვიათია ორიგინალური ფორმულები. შინაარსობრივად და ფუნქციურად შაირები, რომლებიც ალბომში გვხვდება, არც ისე მრავალფეროვანია. მათში განსაკუთრებით ხშირად გამოდის წინა პლანზე მემორიალური მოტივი თუ ფუნქცია, რომლის ღია დეკლარირება ხდება:

„გაზაფხული გაივლის,
ყვავილები დაჭკნება,
მე და შენი სიყვარული
სამუდამოდ დარჩება“

ან :

„ეს ნაწერი წაიშლება,
ეს ნაწერი დაიხევა,
მაგრამ ჩვენი მეგობრობა
არასოდეს წაიშლება“

შაირი მოხერხებულ ფორმაა საკუთარი გრძნობების, დამოკიდებულების, ამწუთიერი განცდების ღია და უშუალო დემონსტრირებისათვის. მაგალითად:

„მაღლა ქორი მოფრინავდა,
ქვეშ მიმინომ იტკარცალა,
ამ ლექსის დამწერელსა
წამკითხველი ენაცვალა“

ან:

„ეზოში ძევს თეთრი ქვა,
დავყევ ხელი არ ამყვა,

დაო, შენი სიყვარული
სადაც წაველ იქ წამყვა“.

ზოგჯერ ლექსიდან, გრძნობის უშუალო გადმოშლასთან ერთად, „ შემოქმედებითი უძლურებით“ გამოწვეული ჩივილი ისმის:

„ეს კალამი მიდი-მოდის
მაგრამ ლექსი არ გამოდის
დაო, შენი სიყვარული
ჩემ გულიდან არ ამოდის“„

ან:

მე არა ვარ ბევრის მთქმელი
და არც შოთა რუსთაველი,
ორიოდე სიტყვას გეტყვი
მიყვარხარ და მეყვარები“ .

სხვაგან ალბომის სტუმარი ცუდი ნაწერის გამო მოიბოდიშებს და აქაც ნაცად შაირის ფორმას მიმართავს:

„ვაშლი, ატამი, ბია
ჯიბეში ჩამიდვია,
ცუდი ნაწერისათვის
ბოდიში მომიხდია“

დღიურების მხატვრული მასალის მთავარი თემა სიყვარული და მეგობრობაა. ამ თემების „გაშლის“ დროს ლექსში განსაკუთრებით საგრძნობია დიდაქტიკურ-დამრიგებლური ხასიათის აზრობრივი კონოტაციები:

„სადაც ვარდი მიკრეფია
შემიკონავს თაიგული
თუ გოგო ხარ არ დაკარგო
სულ პირველი სიყვარული“

სხვაგან რჩევას აძლევს მეგობარს, რომ ბრმად არ ენდოს ვაჟს:

„ნუ ენდობი ვაჟის გულს,
მოსრიალე გველია,
ჯერ სიყვარულს აგიხსნის,
შემდეგ უარის მთქმელია“

ზოგჯერ რჩევა-დარიგება მოწოდების სახეს ატარებს:

„შეიყვარე მხოლოდ ერთი

და იწამე, როგორც ღმერთი!“

ალბომური სიტყვიერების პოპულარული ჟანრია აკროსტიხ-ის ფორმით გაწყობილი ფორმა:

„**მ**აინც გეტყვი, საფლავშიც რომ ვიყო,
არ გშორდები, თუნდ სიცოცხლე გამიყო,
კარგი ხარ, ლამაზი ხარ, რა გიყო?
ოხ, ნეტავი, შენს მახლობლად სულ ვიყო
ცის მნათობი შენი სახე მგონია,
ნარგიზივით გამაქროლებს ნიავი.
ის ოხერი, რა ქვა გული გქონია,
ერთი კოცნა დიდი რამე გგონია“.

ლექსებში ხშირია ირონიული კონოტაციებიც:

‘’სიგარეტს ისე არ მოვწევ,
რომ არ დავარტყა ნაფაზი
შეყვარებული მღალატობს
კიდე უკან მყავს ზაპასი“

ან:

„ახლანდელი ბიჭები
ულვინოდაც მთვრალია,
შეეკითხო გიპასუხებს
სიყვარულის ბრალია“

ალბომში „ორიგინალურ“ შემოქმედებით ცდებთან ერთად, მზა ფოლკლორული და ლიტერატურული მასალაც გვხვდება. ის ძირითადად სასკოლო პროგრამიდანაა და მიმართულია კონკრეტული ადრესატისაკენ, ალბომის მეპატრონისაკენ. ტექსტის მეშვეობით მიმდინარეობს გარკვეული დიალოგი სტუმარსა და მასპინძელს შორის, და, შესაბამისად, ტექსტები განიცდის გარკვეულ აზრობრივ, ფუნქციურ, კომუნიკაციურ ცვლილება-ტრანსფორმაციას. მაგალითად, ასეთია ხალხური პოეზიიდან პირდაპირ აღებული ფორმულები:

„ჩემი გული, შენი გული
ჯაჭვით არის გადაბმული
და შიგ ოქროს ასოებით
აწერია სიყვარული“

ანდა ქართულ ფოლკლორში ფართოდ გავრცელებული ნიმუშები:

„ჩვენი პატარა ერეკლე
ერთი პატარა კახია,
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია“.

ან:

„ერთხელ სჯობია სიკვდილი
ნიადაგ შელონებასა“

შეგვხვდა აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდან“: „სიკვდილამდის ვინს მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა“, „რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“.

როგორც მოსალოდნელი იყო, მასკულტურის მოძალების კვალდაკვალ, მის ცალკეულ ნიმუშებს თუ ელემენტებს ალბომშიც შეუღწევია და აქ სათანადო, კუთვნილი ადგილიც დაუჭერია. ამ მხრივ, დომინანტური როლი აქვს პოპულარულ სიმღერების ტექსტებს. კერძოდ, ასეთია: „ასე მგონია“ („ასე მგონია ქარს გავატან შენზე ოცნებას“... მისამღერები-„ოხ, სიყვარულო რა მტანჯველი რამე ყოფილხარ“,„წადი შორს წადი, იქნებ სულაც გადამავიწყდე...“) „ამიხსენი, რა ძალა გაქვს ჯადოსნური“ და სხვა. სხვადასხვა პერიოდის ალბომში სასიმღერო ტექსტები იმის მიხედვით ენაცვლება ერთმანეთს, პოპულარობა გასდის თუ არა.

90-იანი წლების ალბომში შეგვხვდა ფრაგმენტი კრიმინალური შინაარსის ბალადიდან- „ო, ბედო, ბედო შე უბედურო“:

„ო, ბედო, ბედო, შე უბედურო,
არც შენ დადიხარ სწორსა გზაზედა.
სულ იმას ფიქრობ რომ პატიმარი
გამოასალმო წუთისოფელსა...“

აქა-იქ გვხვდება სარეკლამო ციტატები ამ ტიპისა: „ნატახტარის ლიმონათი გინდა?“აგრეთვე, იუმორისა და ანეგდოტის ნიმუშები: „ვისი შვილი ხარ? -დედიკოს-ვინ არის შენი დედიკო?-მამიკოს ცოლი“. „-ჭიჭიკია რა გიყვარს ჩაციებული?-სიდედრი და შამპანიური“., „გამოცდა ქიმიაში: რომელი მჟავა იცით?- „პიკულის“, პომიდვრის, ჯონჯოლის“.

ვიზუალური კომპონენტი (ალბომური იკონოგრაფია) წარმოდგენილია: 1)ნახატით, რომელიც ძირითადად „მასპინძლის“ მიერ არის შესრულებული 2)ფოტო-სურათით, რომელიც ამოჭრილია რომელიმე პოლიგრაფიული „პროდუქციიდან“ და ჩაწებებულია ალბომში. ალბომი განკუთვნილია არა მარტო წასაკითხად, არამედ დასათვალიერებლადაც. ამიტომ მოზარდები ცდილობენ, ალბომის თითოეული გვერდი სრულად მოიცვან როგორც დეკორაციით, ნახატით, ისე ვერბალურმა ელემენტით.

90-იან წლების ალბომებში ჩნდება ტელესერიალების პოპულარულ პერსონაჟთა პორტრეტები, რომლებთანაც ახალგაზრდები თვითიდენტიფიკაციას ახდენენ. რაც შეეხება სიმბოლიკას, ის მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მეტწილად გულისა და ისრის („დაჭრილი გულის“) გამოსახულებით არის წარმოდგენილი. ზოგჯერ თან ახლავს მინაწერი; „ეს ხომ გულია და შიგ ისარი, რაც სიყვარულის არის ნიშანი“. საგულისხმოა, რომ აღნიშნული სიმბოლო ასევე განსაკუთრებით პოპულარულია გრაფიტებში (მაკარაძე, გაბეჩავა, 2015:)

საინტერესო სურათს გვაძლევს „მეგობრობის დღიურის“ კომუნიკაციური აქტის თვალსაზრისით განხილვა: ჯერ ერთი, აქ გვაქვს კომუნიკაცია ყველა თავისი კომპონენტით (ადრესატი, ადრესანტი, შეტყობინება, კოდი, კონტექსტი), მეორეც, ალბომური კომუნიკაცია არ არის ჩაკეტილი სისტემა მიუხედავად იმისა, რომ კითხვაცა და პასუხიც მიმართულია კონკრეტული ადრესატისაკენ, ხოლო ლექსებში ლირიკული მიმართვის ობიექტი შეზღუდულია. აქ დიალოგი ხშირად გადადის პოლილოგში. ადრესატისადმი მიმართვა-სურვილები ქმნის კომუნიკაციურ ველს და ამით ინარჩუნებს დიალოგურ სტრუქტურას.

მკაფიოდ იკვეთება „მეგობრობის დღიურის“ ფუნქცია: მოზარდების თვითიდენტიფიკაცია და სოციალიზაცია, მიერთება ჯგუფური ღირებულებებისადმი, კომუნიკაციური მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

მაკარაძე, 2016: მაკარაძე ე., თანამედროვე ქალაქის ზეპირსიტყვიერი ტრადიციები, მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 2016

მაკარაძე, გაბეჩავა, 2015: მაკარაძე ე. გაბეჩავა მ., ბათუმის გრაფიტები, კრებულში: ფილოლოგიური მაცნე, III, თბილისი, 2015

ჩიქოვანი, 1982: ჩიქოვანი მ., თანამედროვე ქართული ხალხური პოეზიის ჟანრები, კრებულში: ქართული ფოლკლორი, XII, თბილისი, გვ.,3

კალაშნიკოვა, 2003: Калашникова М. В., Современная алвомная традиция, წიგნში: Современныи городской фольклор, М., 2003

დეივისი, 1971: Davis F., Oh Youth Subcultures: The Hippie Variant, New york, 1971

Elguja Makaradze, Marika Dubadze

"Friendship Diaries"

Summary

The theme of the work, ,,friendship diaries" – as elements of the subculture is very relevant, since this culture has never been researched in Georgia. Find out what was the purpose of friendship diaries, their cultural-cognitive value, structure and function. Based on the album's empirical description, which currently contains verbal components, identify subcultural nature of students. The purpose of ,,friendship diaries" was clearly identified: self-identification and socialization of teenagers. Attitude to group values and satisfaction of their communication requirements.

ქეთევან გარაყანიძე

წარმართთა მიერ წამებული ქართველი წმინდანები და წამების იკონოგრაფია ძველ ქართულ პროზაში[43*]

ქართლში რელიგიათა (წარმართობისა და ქრისტიანობს) ურთ-ერთობის ისტორია იცნობს ფაქტებს, რომელთა ანალიზის საფუძველზე რწმუნდები, რომ ქრისტანობა საჯარო აღიარების გარეშე თავის წიაღში არ უშვებდა მოქცევის მსურველ წარმათებს. მაგალითად, ჰაგიოგრაფიული თხზულება „კოლაელ ყრმათა წამება" მოგვითხრობს, რომ კოლაელი ყრმები, რომლებიც მეზობლად მცხოვრებ ქრისტიან ბავშვებთან თამაშობდნენ, ერთ დღეს მოისურვებენ, გაჰყვნენ მეგობრებს ტაძარში, სადაც მათ მხოლოდ იმიტომ არ შეუშვებენ, რომ „მეკერპეთა შვილებად" მიაჩნიათ. ამის შემდგომ, როგორც ჰაგიოგრაფი მოგვითხრობს, კოლაელი ყრმები „მძლავრებით" სცდიან ტაძარში შელწევას, რასაც მოყვება ქრისტიანთა შეთავაზება: „უკეთუ გნებავს შესვლად ჩვენ თანა ეკლესიად, გრწმენინ უფალი ჩვენი იესუ ქრისტე და ნათელიღეთ სისხლისა მიმართ მისისა". ახალგაზრდული სურვილით შეპყრობილი კოლაელი ყრმები უმალვე იღებენ გამოწვევას და სიხარულით თანხმდებიან შეთავაზებას, რასაც მოჰყვება კიდეც მათ წინააღმდეგ თანამოძმეთა უკიდურესი გულისწყრომა და მშობლეთა დაუნდობელი განკითხვა.

რას აძლევდა ქრისტიანობას წარმართთა ამგვარი გამოწვევა?

ჩვენ სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ ქვეთავში რელიგიათაშორის პოლემიკის თემას ვეხებით და აღვნიშნავთ, რომ ქრისტიანობა პოლემიკის გზით ამარცხებს ადგილობრივ წარმართულ კულტებს ქართლში და ფეხს იკიდებს, როგორც სახელმწიფო იდეოლოგია, რომელიც აზროვნების, ცხოვრების წესის, ადამიანთა ურთიერთობების მონოპოლიზებას ახდენს. მკვლევარი გ. ქისტაური თავის სადისერტაციო ნაშრომში, ეხება რა ქრისტანული რელიგიის გავრცელების პერიოდს, აღნიშნავს:

43. * წარმოადგინა პროფ. რამაზ ხალვაშმა.

„საქართველოში ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ადრეულ ეტაპზე, დაუპირისპირდა ადგილობრივი ქართული წარმართული რელიგია, ხოლო შემდგომ საუკუნეებში ქრისტიანობა წარმოგვიდგა სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლის როლში (ქისტაური 2012: 104). კორნელი კეკელიძის მოსაზრებაზე დაყრდობთ გ. ქისტაური დასძენს, რომ „ეს ხიფათი (ფარული იდეოლოგიური ბრძოლა ქ.გ.) თავიდანვე იქნა შემჩნეული ჩვენში, ამიტომ გაჩაღდა მწვავე, დაუნდობელი, ხან ცხადი, ხან შენიღბული იდეური ბრძოლა (ქისტაური 2012: 104). ჩვენი აზრით სწორედ ამ შენიღბული იდეოლოგიური ბრძოლის გამოძახილია ქრისტიან მოძღვართა მიერ კოლაელი ყრმებისთვის წაყენებული პირობა, რომ თუ ტაძარში შესვლა სურთ, უნდა აღიარონ ქრისტე. ამგვარი გამოწვევა, აშკარაა, რომ უკიდურესად ძაბავდა ურთიერთობებს სხვადასხვა რელიგიური ბანაკების წარმომადგენელთა შორის, მსგავს დაძაბულობას მომდევნო პერიოდის ძეგლებშიც ვხვდებით, როცა საქმე ადგილობრივ წარმართობასთან და მაზდეისმთან კი არა, ისლამის აღზევებასთან გვაქვს. მაგალითად, „აბოს წამება“ ისლამზე აღზრდილი ახალგაზრდის ისტორიაა, რომელიც თანამემამულეებმა განკვეთეს, რადგან საჯაროდ დაგმო მამა-პაპათა სჯული. ეს საჯარო გამოწვევაც, რა თქმა უნდა, არ იყო ჩვეულებრივი განპირობებულობა, ის პოლიტიკური ბატალიების ფონზე მოდიფიცირდა და საბოლოოდ აბო თბილელი იძულებული გახადა ღიად ემოქმედა.

რატომ არ შეუძლია ჰაგიოგრაფიულ გმირს საიდუმლოდ იმოქმედოს, ბოლოსდაბოლოს რწმენა ხომ ასეთი პირადული მოცემულობაა?!

პოლემიკას, რომელსაც ქრისტიანები აწარმოებდნენ ყველა სივრცეში, სადაც კი ფეხი დადგეს, აუცილებლად სჭირდებოდა ხმაურიანი მოქმედებები, რომლებსაც ადგილობრივი წარმათებისა და ხელისუფალთა რადიკალური გადაწყვეტილებები მოჰყვებოდა შედეგად. სწორედ ასე ხერხდებოდა მთავარი მიზნის, ძლიერი ემოციური მუხტის ფონზე დამაჯერებელი გამარჯვების მიღწევა. ჩვენი აზრით, კოლელი ყრმების დრამა

ამის თვალსაჩინო მაგალითია, ამ კუთხით ასევე საინტერესოა აბიბოს ნეკრესელის ისტორია, წმინდა შუშანიკის წამება, ევსტათი მცხეთელის მარტვილობა, რაჟდენ პირველმოწამის ისტორია და, საერთოდ, ადრეული პერიოდის საქართველოს ეკლესიის ყველა მარტვილის თავგადასავალი.

მივადევნოთ თვალი, როგორ იქცა შუშანიკი მსხვერპლად. შეიძლებოდა თუ არა მისი დრამის თავიდან აცილება?

ის პოლიტიკური ვითარება, რომლის დროსაც ხდება „შუშანიკის წამებაში" აღწერილი მოქმედება, ნამდვილად შეიძლება შეფასდეს პოლიტიკურ კულმინაციად, როცა ხისტი მოქმედებაც კი დასაშვებია მთავარი მიზნის (რელიგიური იდეოლოგის შენარჩუნება და პოლიტიკური კურსის დაცვა) მისაღწევად. სწორედ ამიტომ არის, რომ არასასურველ პოლიტიკურ ფიგურად გამოცხადებული ვარსქენის წინააღმდეგ ყველაზე ვერაგული თავდასხმა მზადდება- მას ოჯახი უნდა აუჯანყდეს. სხვა ვერავითარ ახსნას ვერ ვუძებნით იაკობ ხუცესის მცდელობას, აუცილებლად პირველმა ნახოს შუშანიკი მას შემდეგ, რაც ახალი ამბავი (ვარსქენის გამაზდეანება) გაცხადდა. დედოფლის მარტვილობა აქ წინასწარგანზრახული გარდაუვალობაა, იაკობმაც კარგად იცის რა მოჰყვება ვარსქენის პოლიტიკურ სცენაზე ამგვარ შეჭრას. ადამიანური ტრაგედიები, რომლებსაც ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში ვაწყდებით, მკაფიო მინიშნებებია იმაზე, თუ როგორ მზადდება სასურველი სცენარი იდეოლოგიურ-პოლიტიკური პოლემიკისთვის. ერთი მსხვერპლია, მეორე მოძალადე, შედეგი კი ქრისტიანული იდეოლოგის გარდაუვალი ტრიუმფი. წარმოუდგენელია ჩაგვრისა და ძალადობის სცენამ საყოველთაო ვნებათაღელვა არ გამოიწვიოს.

რაც შეეხეება ასურელი მამის, აბობოს ნეკრესელის ისტორიას. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტი დრო დგას 'შუშანიკის წამებასა" და „აბიბოს ნეკრესელის წამებას" შორის, არაფერი შეცვლილა იდეოლოგიურ ფრონტზე. ქრისტიანობა კვლავ ცდილობს სივრცის გაფართოვებას, უფრო მეტიც, უკვე იერიში მიაქვს ლოკალურ წარმართულ უბნებზე. ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცდახების შემ-

დგომ წარმართთა მოქმედების არეალი შეიზღუდა, მაგრამ ეს საკმარისი არაა, რადგან ვიდრე არსებობს მისტერიული სივრცე, ისეთი როგორიც სარკინის მთა და კიდევ 12 მსგავსი ადგილია ქართლში, სადაც ასურული მამები საგანგებო მისიით მიავლინეს, პოლიტიკური პროცესი, რომლის მიზანიც ქრისტიანობის გავრცელებაა დასრულებულად ვერ ჩაითვლება.

აბიბოს ნეკრესელის მიერ წარმართთა დღესასწაულზე მისვლა და ცეცხლის ღმერთობის შესახებ განსჯა, პოლემიკური პროცესია. აბიბოსი ცდილობს ფაქტების კონსტატაციის საფუძველზე (მაგალითად, თუ როგორ აქრობს ის სარიტუალო ცეცხლს წარმართთა თანდასწრებით), აჩვენოს წარმართებს მათი ღმერთის უძლურება ქრისტეს ძალის წინაშე. მან, სავარაუდოდ, იცის ამ მოქმედების შედეგი რა იქნება, მაგრამ უკან არ იხევს.

ამრიგად, წამების ფაქტები V-VII საუკუნეების ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში აკარად მეტყველებენ ქრისტიანული იდეოლოგიის მთავარ მიზანზე: წარმოშვას ძლიერი ემოციური საფუძველი ადამიანების იმაში დასარწმუნებლად, რომ ვიდრე წარმართობა არსებობს, მუდამ იარსებებს „მძლავრებისა“ და ჩაგვრის საფრთხეც. საზოგადოებაში ნეგატიური განწყობის შესაქმნელად კი აუცილებელია მარტვილის ხატი, რომელიც ზოგჯერ უნებლიე, ზოგჯერ კი გააზრებულად მოქმედი მსხვერპლია. უნებლიე მსხვეპლი პროცესის დასაწყისში ვერ აცნობიერებს საბოლოო შედეგს. ყველას კარგად გვახსოვს შუშანიკის ერთ-ერთი რეპლიკა, რომლის პერიფრაზიც ასე ჟღერს: მხოლოდ ჩემი გადასატანია ეს განსაცდელი, არავინ არის, ვინც ვარსქენის რისხვისადან მიხსნის, უფრო მეტიც, ყველამ სასიკვდილოდ გამწირა. რაც შეეხება მარტვილის გააზრებულ მოქმედებას, აქ აშკარად საინტერესო სახე „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ავტორმა შემოგვთავაზა. აბიბოსი თავადვე იღებს წარმართთა მოქცევის ინიციატივას და ახორციელებს აქტს (ცეცხლზე წყლის დასხმა), რომლის რეზულტატიც მისთვის სავსების ნათელია, მაგრამ ის უკან არ იხევს, არ ცდილობს დიპლომატიურად იმოქმედოს, არამედ ხისტი მოქმედებით გამოიწვევს წარმართთა რეაქციას, რაც, როგორც ჩანს, ქრისტიანობის გავრცელების ადრეული

ეტაპიდან მოყოლებული გამოცდილი, აპრობირებული ხერხია.

ამგვარი დაპირისპირება ხელს ნამდვილად უწყობდა „მტრის ხატის“ შექმნის პოლიტიკურ აუცილებლობას, რომელიც თავის დროს ძლიერ იარაღად აქციეს ქრისტიაული რელიგიის მესვეურებმა ქართლში.

Ketevan Garakanidze

Georgian Saints martyred by pagans and iconography of martyrdom in old Georgian prose

(Summary)

There are some facts in the history of Christian-pagan relationships the analysis of which provides evidence that Christianity stopped the pagans willing to convert from entering its space without making a public confession.

How did Christianity benefit from challenging pagans?

We can suppose that Christianity beat local pagan cults via polemics in Karli of an early period and gained a foothold by establishing as an official ideology which managed to monopolize cognition, lifestyle and human relationships in this way.

Facts of martyrdom and experiences of hagiographic personages depicted in V-VII-century hagiography clearly indicate the prominent goal of Christian ideology: it intended to create the public mood to make people think that there would always be a threat of "violence" and oppression until pagan culture existed. An icon of the martyr, who was either a conscious or an unconscious victim, was relevant to create a negative mood. We believe that the method laid the foundations for converting Kartli to Christianity. It is worth mentioning that the approved means applied while struggling against Zoroastrianism was also often used during the period of Islamism.

ფატი აბაშიძე

თამარ მეფის სახე გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებასა და ზეპირსიტყვიერებაში[44*]

თამარი პირველი მეფე ქალია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მეფური ალღოს, გამჭრიახი გონებისა და დიდი ნებისყოფის წყალობით, თამარმა ბრძნულად წარმართა ქვეყნის მმართველობა; მან საქართველოს მტერთა ყველა შემოსევა მოიგერია და კიდევ უფრო განამტკიცა, გააძლიერა და გაამდიდრა თავისი სამშობლო. ხალხი მშვიდობიანად ცხოვრობდა, ქვეყანაში იდგა დიდი მშენებლობის დრო. ამიტომ, თამარის მეფობის ხანა საქართველოს ისტორიაში ცნობილია „ოქროს ხანის" სახელწოდებით. სწორედ ამიტომ ხსოვნა ქართველთა საამაყო მეფე ქალისა ხალხის მეხსიერებასაც შეუბღალავად შემოუნახავს.

რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანიც, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი თავისი ქვეყნისა და მისი გმირული ისტორიის მოტრფიალე, უდიდესი სიამაყით საუბრობს ივერთა სათაყვანებელ და საამაყო თამარ მეფეზე.

თამარ მეფის ციკლის ლექსებით, გადმოცემებით, თქმულებებითა და ლეგენდებით მდიდარია ჩვენი ეროვნული ზეპირსიტყვიერება, რომელიც „შთაგონებულია საქართველოს ბრწყინვალე ეპოქით, ხალხის თვითშეგნებითა და იმედით, პოლიტიკური ძლიერების, კულტურისა და მშვიდობიანი მშენებლობის იდეით. ამ ციკლის ნაწარმოებთა მრავალფეროვანი თემატიკა საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ეპოქითაა განსაზღვრული" (სიხარულიძე, 1949: 126).

გრიგოლ ორბელიანი პოემაში „სადღეგრძელო" აღტაცებული საუბრობს საქართველოს წარსულის იმ დიდებულ მონაკვეთზე, როდესაც მოღვაწეობდა თანამედროვეთაგან სამების მეოთხე წევრად აღზევებული და აღმოსავლეთ საქართველოს მითოსურ რწმენა-წარმოდგენებში ღვთისშვილად შერაცხილი ღვთივკურთხეული თამარ მეფე. პოეტი ასე ახასიათებს სათაყვანებელ მეფეს:

---

44. * წარმოადგინა პროფ. თინა შიოშვილმა.

ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,
თვალნი სიამის გამომაცენნი,
სარო-ტანადი, ნაზად მრხეველი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი!

(ორბელიანი, 1992: 357)

თამარ მეფის პორტრეტს თავის მხრივ დიდებულად წარმოაჩენს ქართული ხალხური პოეზია; მის სილამაზესა და გონიერებაზე არაერთი ხოტბითი ხასიათის სტრიქონი შეუქმნიათ სახალხო მთქმელებს. ხალხურ პოეზიაში ყველაფერი საუკეთესო, დიდებული, სანუკვარი თამარის სახელს უკავშირდება:

ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო,
თმები გქონდა ხუჭუჭი,
თვალები გეჯდა გიშრისა,
კბილები გქონდა მარგალიტისა...

(სიხარულიძე, 1949: 72)

ერთ-ერთი ხალხური ლექსი „ასეთი იყო თამარი“ ამგვარად წარმოაჩენს თამარის ხატებას:

ტყეს რომ შევყურებ აქოჩრილს,
მისი ნაწნავი მგონია,
მთაში წყაროთა ჩუხჩუხი
თვალზე ცრემლმონაჟონია;
მოლზე ყაყაჩოს სიწითლე
მისი ტუჩების ზოლია;
.....
მდინარეები ცელქები
მისი თითების ტოლია;
ქართლისა მთაგრეხილები
მის წარბთა თანასწორია;
სიმაღლე იალბუზისა
ალვა ტანისა სწორია;
დილით მზის გამოშუქება
მის კბილთგან მონაკრთობია...

(ნამც., 1989: 115)

სხვა ხალხურ ლექსში „თამარ ქალო“ ქართველთა სათაყვანებელი თამარ მეფის სილამაზე გელათის საყდართან და ამომავალ მზესთან ასოცირდება:

თამარ ქალო, ქვეყნის თვალო,
რა ლამაზი რამა ხარო!
ნეტავ რა არის მისთანა,
საყდარი გელათისთანა,
ამომავალი მზისთანა,
მეფე თამარ ქალისთანა!
(ქ. ხ. პ., 1984: 15)

პროფესორ ქსენია სიხარულიძის მართებული შენიშვნით, „თამარ მეფის სათნოება, ხელგაშლილობა და კაცთმოყვარება სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში არა მხოლოდ მისი უშუალო მოქმედებითაა მოცემული, არამედ მთქმელების წინასწარი დახასიათებით“ (სიხარულიძე, 1949: 257).

ინგილოური გადმოცემით, თამარ მეფე - „ეს ანგელოზი არსება ყველა ქართველს დედობას უწევდა, ყველას ერთნაირად უვლიდა და ეპატრონებოდა“ („საქ. კალენდარი“, 1890: 415).

საქარაში ჩაწერილი ლეგენდის თანახმად, თამარი „მეტად გულმოწყალე იყო. ისე დღე არ წაუვიდოდა, რომ რამე მოწყალება არ გაეცა. სამოწყალოდ ის უფრო თავის ხელით ნაკეთებს და ამ ნაკეთებში აღებულ ფულს არიგებდა“ („მოგზაური“, 1901: N 8, 9).

თამარ მეფის გულუხვობისა და ხელგაშლილობის კიდევ ერთი დასტურია იმერეთში, სოფელ დიმში, 1940 წელს ქეთევან ბურჯანაძის მიერ ჩაწერილი თქმულება, რომლის თანახმადაც, თამარი გორში შეხვედრია ერთ თავის სარდალს, რომელსაც არაგვი გაუცურავს და იქიდან ნანადირევი გამოუტანია. სარდლის ვაჟკაცობით აღფრთოვანებულ თამარს იგი უხვად დაუჯილდოვებია და ლექსად უთქვამს:

მიჩუქნია რეთი,
ბრეთი, არადეთი,
გორს - წისქვილი,
ატენს - ზვარი,

ვითამ მწვანე
კიტრი არი.

(ქ. ხ. ს. სიტყ.: 1961: 98)

გრიგოლ ორბელიანსაც, ისევე როგორც მის მშობელ ქართველ ხალხს, თამარ მეფე მშვენიერების, სიკეთისა და ქველმოქმედების სიმბოლოდ ესახება:

ვითარცა ღმერთა მშვენიერების,
ქველ-მოქმედების, სახიერების,
ვით მტრედი მადლის მშვიდი და წყნარი
ეგრეთ მშვენებით მოვალს თამარი!
სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი,
უპყრავს დიდებას და სათნოებას...

(ორბელიანი, 1992: 357)

ისტორიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, ახასიათებს რა თამარ მეფის მოღვაწეობას, ლოგიკურად ასკვნის, თუ რამ განაპირობა ხალხში მისი განუსაზღვრელი ავტორიტეტი, სიყვარული, რასაც სრულიად ბუნებრივად მოჰყვა სახალხო მთქმელთა შთამბეჭდავი სტრიქონები, რომლებშიც თამარ მეფე უკვდავების შარავანდედით არის შემოსილი და ღვთისშვილთა დობილად გამოცხადებული:

პირველად ღმერთი ვახსენით,
ეგ უფრო დიდებულია,
მემრ თამარ ნეფე ვახსენოთ,
ეგ ღმერთთან წილდებულია...

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1961: 202)

თამარ მეფის ციკლის ერთ ფშაურ საფერხულო ლექს-სიმღერაში „ბრძანებდა დამბადებელი“ კი ხაზგასმით არის აღნიშნული თამარის წმინდანობა, მისი ძალმოსილება და ქვეყნისათვის თავდაუზოგავი ზრუნვა, ხალხმა საყვარელი მეფე ღვთის შვილებს გაუტოლა და მითური ელფერი შესძინა მის სხივნათელ სახეს:

... ღვთისშვილთა ჰყავის წმინდაი
თამარი დედოფალიო,
უფლისა იყო ბრძანება -
შაირტყა მამის ხმალიო!..

(ქ. ხ. ს. სიტყ.: 1961: 71-72)

პროფესორ მ. ლორთქიფანიძის მართებული დასკვნით, „თამარ მეფემ, როგორც დიდმა სახელწიფო მოღვაწემ, დახვეწილმა დიპლომატმა, კარგად აუღო ალღო შექმნილ ვითარებასა და ეპოქის მოთხოვნათა დონეზე აღმოჩნდა ... ქართველმა ხალხმა გააიდეალა თამარის სახე და ლეგენდარულ პიროვნებად აქცია“ (ლორთქიფანიძე, 2008: 433).

გრიგოლ ორბელიანს, რომანტიკული მსოფლმხედველობის შესაბამისად, გაიდეალებული ჰყავს თამარი ისევე, როგორც ეტრფის თამარის „ოქროს ხანას“ ქართველი ხალხი. პოეტი ერთის მხრივ თამარს ახასიათებს როგორც სათნო, წმინდა, ქველმოქმედ პიროვნებას, ხოლო, მეორეს მხრივ საგანგებოდ გახაზავს, რომ ის იყო მებრძოლი, ძლევამოსილი, შეუპოვარი, პატრიოტი თავისი ქვეყნისა და ხალხისა, რისთვისაც

წინაშე მისსა ძლევა და მუზნი
განადიდებენ მისსა მეფობას!

(ორბელიანი, 1992: 357)

სამშობლოს მტრებთან ომებში თამარის ძლევამოსილი გამარჯვების ხოტბაა სვანეთში გავრცელებული ლექსი „ ... თამარ მეფევ ... “, რომლის თანახმადაც მტრის დამხობის შემდეგ ძლევამოსილი მეფე თამარი დავლით მიემართება სვანეთისაკენ:

თამარ მეფევ, თამარე,
სად ყოფილხარ, თამარე?
ვის ეომე, ვინ დარისხე,
ვინ დაამხე, თამარე?
მტერი დაგიმარცხებია,
დავლით მოხვალ თამარე!
სვანეთს მოხვალ, დავლით მოხვალ,
ძლევით მოხვალ, თამარე!

(სვან. ხ. ლ., 1968: 14-15)

პროფესორ თინა შიოშვილის მართებული დასკვნით, „ ... ძლევამოსილი, ამაღლებული თვისებებით შემკული მეფე ქალი არა მარტო თანამედროვეთათვის, არამედ შემდგომშიც მრავალი თაობისათვის იყო კეთილშობილების, ზნეობრიობის, ამაღლებული მოქალაქეობის, ქვეყნისათვის ზრუნვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში მისაბაძი და სამაგალითო“ (შიოშვილი, 2014: 95).

ქართველი სახალხო მგოსანი თამარის პორტრეტის დახატვისას, მეფის სილამაზესთან ერთად, მიანიშნებენ მის საბრძოლო სულისკვეთებასა და სათანადო აღჭურვილობაზე:

... შიგნით გეცვა ატლასი,
გარეთ გეცვა აბჯარი ...

(სიხარულიძე, 1949: 72)

პოემის თამარ მეფისადმი მიძღვნილ მონაკვეთში გრიგოლ ორბელიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თამარის ეპოქის საქართველოს ძლიერების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ქართველი ხალხის გმირული სულისკვეთება და ერთიანობა იყო. თამარისადმი მიმართულ სადღეგრძელოში გადმოცემულია ერთი სცენა დიდუბეში ლაშქრის თავმოყრისა საქართველოს ყველა კუთხისა და ტომის წარმომადგენელთა დახასიათებით. აქ არიან: კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, აბჯრით დამშვენებული ფშავ-ხევსურნი, მკლავით ძლიერი ქართლელნი, ფეხმარდი ოსები, ბრძოლაში შეუპოვარი მთიულები, სწავლით ქებული მესხები, ზრდილი იმერლები, მშვილდოსანი აფხაზები, მკვირცხლი გურულები და მეგრელები. თამარი მათ ლოცავს ჯვრით და ამხნევებს. პოემის თანახმად, თამარის გამაერთიანებელი დროშის ქვეშ იკრიბება მთელი ლაშქარი დიდუბეში, სადაც იდგა მეფის სასახლე:

თამარის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდუბეს ლაშქარი,
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერი ქართლელი,
ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, მთიული
ბრძოლაში შეუპოვარი!
მესხი სწავლითა ქებული,
გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი,
გურული, მეგრი მკვირცხლობით...

(ორბელიანი, 1992: 358)

თამარის ლოცვითა და ქებით გამხნევებული ქართველნი იღებენ კარნუსს (ერზრუმს) და სინოპს, გასცდებიან არეზს, თავრიზს, ყაფლანქუს და „ღვთის რისხვას დასცემენ ყაზმინს“...

თამარისადმი და მისი დიდებული ეპოქისადმი მიმართული ქება მოწმობს გრიგოლ ორბელიანის განუზომელ სიყვარულს ძველი საქართველოს გმირული წარსულისადმი, „ქართლის ცხოვრების“ საუკეთესო ფურცლებისადმი. არაერთი ლეგენდა და ისტორიული წყარო მოგვეპოვება, სადაც ქართველი სახალხო მგოსანი თუ მეისტორიე თამარს გვიხატავს, როგორც ერისა და ხალხის წინამძღოლს, მშობელ ქვეყანაზე მზრუნველ მეფეს; ამგვარია გრიგოლ ორბელიანის განწყობაც, რასაც მოსდევს მშვენიერი აფორიზმით გამოხატული ლირიკული გადახვევა:

თამარი ლოცავს ჯვარითა,
ჯარს ამხნევს გულის უხვებით;
გული მეფისა ზღვა არის,
უსამზღვროება წყალობით!..

(ორბელიანი, 1992: 358)

ქართველი მხედრებისადმი თამარის ზრუნვას გადმოსცემს ქართული ხალხური ლექსი „თამარ მეფე და ხონთქარი“, რომელიც საომარი მზადების ამსახველი არქაული რიტმისა და კილოს გავრცელებული საფერხულო სიმღერაა:

თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
ზედ ალმასები დაჰკიდა,
შიგ ჩასხა ქართველთ ლაშქარი,
მრავალ წყალობას დაჰპირდა.

(ქ. ხ. სიტ., 1970: 229)

პატრიოტიზმით გაჟღენთილი ეს ლექსი თამარს წარმოგვიდგენს როგორც ქართველთა ლაშქარზე მზრუნველს, მტრის წინააღმდეგ საომარ სამზადისში მყოფს, რომელსაც ზღვაში ალმასებიანი ხომალდი ჰყავს და წყალობას არ აკლებს სამშობლოს დამცველებს. ქართველი მესტვირნეების რეპერტუარში შესული ეს ლექს-სიმღერა დღემდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია.

ხალხური ხოტბის იშვიათი ნიმუშია სვანური საისტორიო-საფერხულო ლექს-სიმღერა „თამარ დედოფალი“, რომელშიც იგრძნობა მისი შემქმნელი ხალხის აღფრთოვანება ძლევამოსილი მეფის დიდებულებით:

ო, სიხარულო, თამარ დედოფალო,
ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო!
თმები გქონდა („გედგა“) ხუჭუჭი,
თვალები გეჯდა გიშრისა,
კბილები გქონდა მარგალიტისა;
შიგნით გეცვა ატლასი,
გარეთ გეცვა აბჯარი;
ფეხზე გეცვა, ჩექმები,
თავზე გედგა ზუჩი;
ცხენი გყავდა ქვიშისფერი,
უნაგირი გედგა ოდ, მოჭედილი,
აღვირი გედვა მოვერცხლილი,
მათრახი გქონდა ოქროსი.
თამარ დედოფალო, თამარს,
ყველაზე უკეთეს თამარს!

(ქ. ხ. პ., 1984: 14)

ასეთივე აღფრთოვანებას გამოხატავს გრიგოლ ორბელიანიც თამარ მეფის მიმართ ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“:

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!

(ორბელიანი, 1992: 346)

რომანტიკოს პოეტს უდიდეს სიხარულს ჰგვრის თამარის ხილვა; იგი თამარის ხატებას უმზერს როგორც სიხარულის, ისე მწუხარების ჟამს და სურვილი აქვს, სიკვდილამდე ასე გასტანოს, რათა არ გამოფხიზლდეს, აღარ იყოს მოწმე თავისი სამშობლოს სულით დაცემისა:

მიხარის - გიმზერ,
ვჰსწუხვარ - და გიმზერ
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..

(ორბელიანი, 2013: 68)

„შვენებით სავსეს“ უწოდებს გრიგოლ ორბელიანი თამარ მეფეს ამ დიდებულ ლექსში. ეს ერთგვარი ვედრებაა პოეტისა, რომელიც წარსულში ეძებს მომავლის იმედს; ცრემლმორეულს, თან ახლავს სევდანარევი სიხარული, რომელიც გამოწვეულია ძველი დიდებით და სევდა, რომელიც განაპირობა მისი ქვეყნის აწმყომ. ამგვარად მხოლოდ ხატის წინ ლოცულობენ მორწმუნენი. არ სურს გამოფხიზლება გრიგოლ ორბელიანს, რადგან მისი ერი სულიერადაა დაცემული. პოეტი თამარ მეფეს ბნელ ფერებში უხატავს ქვეყნის მდგომარეობას. მამულის წახდენის უპირველესი მიზეზი კი ისაა, რომ თამარის დიდება მოაკლდა ერს. შავმა დროებამ ფერი წაუხდინა და დააჭკნო წალკოტი. შავი დრო, პოეტისავე შენიშვნით, გულისხმობს შემოსევებს ლანგ-თემურისას და შაჰ-აბასისას, რომელთაც საშინლად ააოხრეს ქვეყანა. პოეტი იხსენებს ჩავლილ დიდებას და თამარს ესაუბრება, უმხელს გულისწუხილს:

ყვავილოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარა გვიბრწყინვის
შავ დროთა ძალით ფერ წახდენილი!
და, ვით განვლილსა
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნი!

(ორბელიანი, 2014: 68)

ლექსში თამარია საქართველოს დიდების სიმბოლო; პოეტი იგონებს მის დროს და როგორც საქრისტიანოს მფარველსა და მხსნელს, ვითარცა ღვთისმშობელს, ევედრება მას:

მოხედო ბედკრულს,
შენს სატრფოს - მამულს;
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად...
(ორბელიანი, 1992: 347)

ამგვარი თხოვნა-ვედრება რომანტიკოსი პოეტისა სრულიად ბუნებრივი რეაქციაა და ეფუძნება საუკუნეთა განმავლობაში ქართველ ხალხში შექმნილ განწყობილებასა და ნოსტალგიას თამარ მეფის მმართველობის ეპოქისადმი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, „ოქროს ხანა“ ეწოდა; მშობელი ქვეყნისადმი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის უდიდეს გრძნობას, რაც უფლის უზენაესი სურვილიც იყო და რაც თამარის ციკლის ზეპირსიტყვიერებაშია ჩაქსოვილი; ამის დასტურია ხალხური ლექსი „ ... შვიდი წლის ქალი თამარი ...“ (შიოშვილი, 2014: 29-30), რომლის თანახმადაც, მცირეწლოვან უფლისწულს უკვე ქვეყნის დაცვა-პატრონობა ავალია და ყველა სტიქიას იმორჩილებს უფლის ძალით; მითოპოეტური ლექსი „ ... ქალმა თქვა თამარ ნეფემა ...“ კი მოგვითხრობს, რომ თამარს დაბადებიდანვე ქვეყნის პატრონობის ფუნქცია მიანიჭა უზენაესმა:

... მაშინვე ჩანდა, თამარო,
როდესაც დაიბადეო;
მესამე თვე რომ გაგიხდა,
აკვანშიითა ასდეო,
ჯერ ხელ-პირ ჩამაიბანე,
მემრ პირჯვარ დაისახეო.
ჩიქილა გადაგეხურა,
ვერ გავიგ, სად რა წახვეო,
მოხვედი მეშვიდე წელსა,
სთქვი: - შუა ზღვაი ვნახეო.
(ქ. ხ. პ., 1984: 213)

თამარის დედისეული თხრობა მომავალი მონარქის ქცევებზე ამ არქაული რწმენა-წარმოდგენებით დახუნძლულ ლექსში

მიუთითებს თამარის ინიციაციაზე და მის ღვთაებრივ მისიაზე - წარუძღვეს და ეპატრონოს მის ქვეყანას. ამიტომაც ქართველი ხალხის ცნობიერებაში სათაყვანებელი მეფე თამარი ყოველთვის ცოცხალი იყო; ძნელბედობის ჟამს თამარს შესთხოვდნენ დახმარებას, ევედრებოდნენ, გადმოეხედა მისი ნაამაგარი ქვეყნისათვის. მესხური ლეგენდის თანახმად, „ბრწყინვალე დედოფალი გარდაიცვალა, მაგრამ არ იციან, სად არის. მისი გვამი ღმერთმა დამალა, რათა შემდეგში აღედგინა; ხალხი კი ძლიერ შეაწუხა მისმა გარდაცვალებამ, მაგრამ, რადგანაც ის მაინც უნდა აღდგეს, ამისათვის იმედს არ ჰკარგავენ და ხშირად იმღერიან ხოლმე:

აღსდეგ, თამარ დედოფალო,
შენთვის სტირის საქართველო!“

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1961: 85-87)

რა გასაკვირია, რომ სახალხო მთქმელის მსგავსად, გრიგოლ ორბელიანიც შესთხოვს თამარ მეფეს, რომ მოხედოს ივერთ, რათა დაუბრუნოს ძველი დიდება, რომელიც მას ჰქონდა, რათა ქართველები ღირსეულად დადგნენ სხვა ერთა შორის და კვლავ გაერთიანდნენ მტკიცე რწმენით:

შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე ამაღლებით,
ძალით დიდებით,
სამშობლო მიწის სიყვარულითა!

(ორბელიანი, 2013: 69)

„თამარის გასხივოსნებული, ზნეობრივად განსპეტაკებული სახე, სამშობლოსადმი განუზომელი სიყვარულით ანთებული მისი ღრმა ჰუმანური პიროვნება ხომ ყოველთვის, ყველა ეპოქაში იტევდა ადამიანთა ზნეობრივი მოძღვრის საპატიო ფუნქციას; ქართველი ხალხისათვის ყოველი ისტორიული ძველბედობის ჟამს თამარ მეფე და მისი ძლევამოსილი ეპოქა სამაგალითო

და მისაბაძი იყო“ (შიოშვილი, 2014: 224). ამის დასტურია დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი ჩვენებურების ნოსტალგია დღემდე მათ ისტორიულ მეხსიერებაში იმედად შემორჩენილი თამარ მეფისადმი; ქართველ მუჰაჯირთა ზეპირსიტყვიერებამ ბოლო დრომდე შემოინახა „დიდ დედად“ აღიარებული სახელი თამარ მეფისა; ისინი მის დიდებულ აჩრდილს შესჩივიან, რომ შორს არიან საქართველოდან და შესთხოვენ, შემწეობა აღმოუჩინოს სამშობლოდან მოშორებულთ:

ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ,
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ...
ზითვალ გიგავს პირიო,
მე შენთვინა და ვტირიო,
რას დაგვაკლებს მტერიო,
მეც იმაზე ვმღერიო.
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ...
ჩუენო დიდო დედაო,
ეს რა დეგვებედაო!
ჩუენო დიდო ანაო,
აქ რამ და მოგვიყვანაო.
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ!..
შორ დიგვირჩა მემლექეთი,
ღმერთო, მეგვე ბერექეთი!
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ,
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ!

(ფუტკარაძე, 1993: 55)

ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ასახული თამარ მეფის ნათელი პიროვნებისათვის დამახასიათებელი გულუხვობა, შრომისმოყვარეობა და სხვა სათნოებანი, როგორც პროფესორი

ქსენია სიხარულიძე მიუთითებს, „გენეტიკურ კავშირშია თამარის თანამედროვე ისტორიკოსის ცნობებთან და ერთგვარად ეხმაურებიან შავთელისა და ჩახრუხაძის პოეზიას“ (სიხარულიძე, 1949: 136); თუმცა, ბუნებრივია, მათ ერთი და იმავე წყარო ასულდგმულებთ და ეს ისევ და ისევ ხალხურ სიბრძნეში თავჩენილი თამარის ხოტბაა. ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ხომ ყველაზე მეტი ლეგენდა, ლექსი, თუ თქმულება თამარის სახელთანაა დაკავშირებული. ხალხი უმღერის თამარის სილამაზეს, გულუხვობას, მის სახელმწიფო მმართველობის ნიჭს, სიკეთეს, კეთილშობილებას; ზეპირსიტყვიერების თანახმად, თამარი ქვრივ-ობოლთა, გაჭირვებულთა, გლახაკთა ქომაგი და დამხმარეა; იგი გმირია, რომელიც ხმლით ხელში მიუძღვის თავის ხალხს მტრების წინააღმდეგ და სწორედაც ამგვარია გრიგოლ ორბელიანისეული თამარის ხატებაც; სწორედ ამიტომაც რომანტიკოსი პოეტი ბეთანიის ეკლესიის კედელზე გამოსახულ თამარ მეფის ფრესკას შეჰღაღადებს დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და კრძალვით...

გამოყენებული ლიტერატურა:

ორბელიანი, 1992: გრიგოლ ორბელიანი, „ქართული მწერლობა“, ტ. IX, თბ.;

ორბელიანი, 2013: გრიგოლ ორბელიანი, სერია „ჩემი ხუთეულის“, ტ. 96, თბ.;

სიხარულიძე, 1949: ქსენია სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ.;

შიოშვილი, 2014: თინა შიოშვილი, „თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში“, თბ.;

ფუტკარაძე, 1993: შუშანა ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ბათ.;

ქ. ხ. პ., 1984: „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. VI, (საისტორიო ლექსები), თბ.;

ქ. ხ. სიტყ., 1970: „ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია“, შენიშვნა, შესავალი წერილი, განმარტებითი ბარათები და შენიშვნები დაურთო ქს. სიხარულიძემ, თბ.;
ქ. ხ. ს. სიტყ., 1961: „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, ტ. I, ტექსტის მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძისა, თბ.;
„საქართველოს კალენდარი“, 1890;
„მოგზაური“, 1901: № 8, 9;
სვან. ხ. ლ., 1968: „ირინოლა, სვანური ხალხური ლექსები“, თბ.;
ნამც., 1989: ნამცვრევი (ხალხური პოეზია, ჩაწერილი ქართლში. შემკრებ-შემდგენელი გიორგი ხორგუაშვილი, თბ.).

Pati Abashidze

Queen Tamar's face on Grigol Orbeliani's creation works and orally transmitted folklore

(Summary)

Romanticist Grigol Orbeliani as true enthusiast of his country and admirer of his heroic history, talk proudly about Iberian idol and glorious Queen Tamar. Which inspired with poetry from Queen Tamar's cycle, retellings, epics and legends, rich of our national orally transmitted folklore.

თეონა კეკელიძე

ალექსანდრე ყაზბეგის პროზის კინესიკა[45*]

ალექსანდრე ყაზბეგის რომანებში არავერბალური კომუნიკაციის სახეების კვლევა საინტერესო სურათს გვაძლევს. მათი საშუალებით მკითხველს პერსონაჟთა მოძრაობა თვალწინ წარმოუდგება, შექმნილ ვითარებას კი სრულყოფილად აღიქვამს და სწორად აფასებს, რადგან: „აღიქვამდე, ნიშნავს, ამჩნევდე წინააღმდეგობას ადამიანის ნათქვამ სიტყვებსა და მისი სხეულის ენას შორის“ (პიზი, 2016:114).

ანთროპოლოგი რეი ბერდვისელი პიონერი იყო არავერბალური კომუნკაციის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, **კინეზიკის** (ბერძ.-„*მოძრაობა*“) კვლევაში. მან აღმოაჩინა, რომ პირისპირ საუბრის დროს ვერბალური კომპონენტი 35 % -ზე ნაკლებია და კომუნიკაციის 65 % -ზე მეტი არავერბალურად სრულდება. სხეულის ენის მეორე აღიარებულმა მკვლევარმა, ალბერტ მერჰაბიანმა, გასული საუკუნის 50-იან წლებში აღმოაჩინა, რომ ვერბალური გზავნილის მთლიან არსენალში დაახლოებით 7 %-ია ვერბალური (მხოლოდ სიტყვები), 38 % - ვოკალური(მათ შორის ხმის ტონი, მოდულაცია, სხვა ხმები), ხოლო 55 % -არავერბალური.

კინესიკა არავერბალურ კომუნიკაციას ხუთ მიმართულებით შეისწავლის :

1. ინფორმაცის გადაცემა (ჟესტით მითითება)
2. საკომუნიკაციო მარკერი (ჟესტებით სიტყვიერი მნიშნველობის გამყარება);
3. ემოციური სტატუსი (გრძნობის გამოხატვა)
4. თვითობის გამოხატვა (სიარული, ჯდომა, დგომა კომუნიკაციისას)
5. დამოკიდებულება სხვების მიმართ

მწერლის შემოქმედებაში ხუთივე მიმართულებით ძალიან საინტერესო სურათი გვაქვს. ცალკ-ცალკე დავახიასთებთ თითეული მათგანს.

45.* წარმოადგინა ასოც. პროფ. ელგუჯა მაკარაძემ.

ინფორმაცია (ჟესტით მითითება)

ინფორმაციის გადაცემის, ჟესტით მითითების მაგალითებია: „ნუ დაივიწყებ ძუძუს, რომელმაც გაგზარდა, ნუ დაივიწყებ გულს, რომელიც შენმა მოშორებამ ააღელვა!... გახედე მთებსა! - გაუშვირა მოხუცმა ხელი და თვალებში ცრემლი გაუბრწყინდა"; ინფორმაციას გადასცემენ ყაზბეგის პერსონაჟები გაღეღილი მკერდის მეშვეობით: „-მომკალ, მომკალ! -დაიძახა იმან გახარებულმა და მკერდი უფრო მეტად გადაიწია". ინფორმაციას შეიცავს მზერა. მაგალითად: „მარიმ ისეთი ზიზღით შეხედა, რომ ჩემთვის სრულიად გამოაშკარავდა იმათი ურთიერთობა".

საკომუნიკაციო მარკერი (ჟესტებით სიტყვიერი მნიშვნელობის გამყარება)

ჟესტით სიტყვიერი მნიშვნელობის გამყარების მაგალითია : „-რაი არიაო? - წყენით უპასუხა სიონელმა, ჭორად კი არა, მე თავადა ვნახე, აი ემ თოლებითა . - თვალებზეც ხელები დაიდო"; ხელი მონაწილეობს შემდეგ შემთხვევაშიც : „- ვაი!... ჩაიცინა დედაკაცმა და ხანჯალს ხელი გავილო". ეს ჟესტი მუქარისშემცველიც არის.

ზემოთ განხილულ მაგალითებშიც კარგად ჩანს, რომ არავერბალური ელემენტი მოქმედებს ენობრივ ნიშანთან ერთად, აძლიერებს, აზუსტებს, ხანაც „საერთოდ ცვლის სიტყვით გამოხატულ მნიშვნელობას, ან ფუნქციონირებს საკუთრივ ენობრივი ნიშნისგან დამოუკიდებლად და ამ დროს ცალკეული სიტყვის ან გამოთქმის მაგივრობასაც სწევს" (მაკარაძე, 2013: 111).

ემოციური სტატუსი (გრძნობის გამოხატვა)

ყაზბეგის მოთხრობებში მოხევეები ავლენენ ცნობისმოყვარეობას, ინტერესს, აღეძვრებათ ეჭვი, უკვირთ, ღელავენ. პერსონაჟთა დინამიკური ხასიათში არეკლილია საზოგადოებრივი ურთერთობების ნიადაგზე წარმოქმნილი ემოციები. ყაზბეგის პესონაჟები ყველაზე ხშირად ბრაზობენ და ეს ემოცია რეალიზდება სხვადასხვა მოქმედებაში: იჭმუხვნიან წარბებსა და შუბლს: „-სანამ ნურასას სჭამს , სანამ ხევი ვერც ამოსწყვიტოს და ვერც ყრმად გაიხადოს, - ამაყად წარმოსთქვა ონისემ და შუბლი შეიჭმუხნა"; ბრაზი გამოიხატება თვალებშიც: „-ბოლოს ერთ-

ბაშად თვალები აღეგზნო, გაბრაზება დაეტყო...“ მთის შვილები ხშირად განიცდიან სინდისის ქენჯნას : „-ვაიმე, ვაიმე ! -პირზედ ხელების დაფარებით წარმოსთქვა ნუნუმ და ძალზედ შესტირა“, „ქალი მთლად აენთო, დაიფარა თვალებზედ ხელი და აღშფოთებული ველარ დამშვიდდა, სანამ ტირილი არ დაიწყო“.

ბუნებრივია, ყაზბეგის დრამატული პერსონაჟებისთვის უცხო არ არის სირცხვილის გრძნობა. ეს შინაგანი მდგომარეობა ხშირად მთელ სახეზე რეალიზდება: „უვლი თუ ჰყარაულობ?- წყნარად წარმოსთვა კობამ და დააკვირდა; დედაკაცმა შეხედა, გაწითლდა და თავი ჩაღუნა“.

სახეზე აღიბეჭდება შიშიც: „მე გაკვირვებით შევხედე იმის გაფითრებულს პირისახეს, რომელიც შიშს დაემახინჯა და უნებლივ გამეცინა“; „ბეჭია გველსავით იკლაკნებოდა შიშისა და ტკივილისაგან, სახე უცნაურად ელმიჭებოდა და არ იცოდა ონისეს გამედგრება რითი აეხსნა“;

ამაყი მთიელები ხშირად იმუქრებიან. ერთ შემთხვევაში მუქარა გადმოცემულია მყარი ჟესტით: „-აბა, მაშ მაგას ნუ დაივიწყებ, - თითის ქნევით უთხრა მოხუცმა და სწავლების კილოთი გააგრძელა: -ვინძლო ქვეყანა არ გააცინო..“; გვხვდება ირიბი ჟესტებიც: „- ვაი!... - ჩაიცინა დედაკაცმა და ხანჯალს ხელი გაივლო...“;

ხშირად პესრონაჟები არავერბალური ელემენტებით გაუცნობიერებლად გვაწვდიან თავიანთი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას: „ქალი არ გაინძრა და არც თავი აიღო; მხოლოდ ქვეითა ტუჩის ცახაცახზედ დაეწყო, რომ ქმრის სიტყვებმა გულზედ უკბინა“.

თვითობის გამოხატვა

ალექსადრე ყაზბეგთან კინესიკის კვლევის მეოთხე მიმართულებითაც საინტერესო სურათი გვაქვს. ეს არის თვითობის გამოხატვა, ე.ი სიარული, ჯდომა, დგომა. მაგალითად, „მამის მკვლელში“ პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის შესახებ ვიგებთ სწორედ თვითობის გამოხატვით : „იმან გადააფურთხა და რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და ძალზედ ამოიოხრა. ის მივიდოდა ქალთან, დაელაპარაკებოდა, მაგრამ რა პასუხს ვერ მიიღებდა, ისევ მოუსვენრად და მღელვარებით დაიწყებდა სიარულს“;

დამოკიდებულება სხვების მიმართ

პერსონაჟთა მოქმედებებში ჟესტით გამოიხტება სხვების მიმართ დამოკიდებულება. მაგალითად, გადაჯვარედინებული მკლავები შეკრული მუშტებით აჩვენებს, რომ არსებობს მტრული განწყობა. ხელის მოძრაობით არის წარმოდგენილია დადებითი დამოკიდებულება შემდეგ მაგალითში: „-კარგადაც მუშაობ! - ისევ იმ ღიმილით უთხრა ბიჭმა და გადაისვა ხელი ახლად აშლილ ულვაშებზედ". უარყოფითი განწყობა და დამოკიდებულება იკითხება შემდეგ მაგალითში „-დადეგ, დადეგ, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება! - ტუჩების ღრღნით უთხრა უფროსმა..."

არავერბალური კომუნიკაცის ძირითადი საშუალებები

ემოციათა და პერსონაჟთა გუნება-განწყობილების დახატვაში სხეულის თითქმის ყველა ორგანო მონაწილეობს, ისინი დამოუკიდებლად გამოხატავენ ემოციებს ან აზუსტებენ ჟესტს.

სხეულის ორგანოებიდან ყველაზე დიდი დატვირთვა არავერბალური კომუნიკაციაში **ხელს** ენიჭება. ასეა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაშიც. ცნობილია, რომ ტვინს ხელებთან ბევრად უფრო მეტი ნერვული კავშირი აქვს, ვიდრე სხეულის ნებისმიერ სხვა ნაწილთან. ამიტომ ჟესტები და პოზიციები, რომლებსაც ხელებით ვასრულებთ, ბევრისმთქმელია ჩვენი ემოციური მდგომარეობის შესახებ (პიზი, 2016: 114.).

ხელის სხვადასხვაგვარი მოძრაობით შეიძლება გადმოიცეს პერსონაჟის შანგანაგი მდგომარეობა. მაგალითად, შეკრული მუშტით: „-მიყურე... მიყურეღა, ვაჟკაცი ვტირი! - წამოიძახა ერთბაშად გაახრჭიალა კბილები და გულში მჯილის შემოკვრით მწარედ წარმოსთქვა: „-ოხ-მე!.." აქ მჯილის გულში ცემით პერსონაჟი თითქოს ცდილობს საკუთარ თავთან ბრძოლა გამართოს, გულს საყვედურობს იმის გამო, რომ აატირა;

გმირთა ემოციები რეალიზდება **მხრების** მოძრაობითაც: „-ისე! მხრების აწევით, ბედშავად უპასუხა იმან და ჩაღუნა თავი".

დიდი მნიშვნელობა ენიჭება **თავის** მოძრაობებს. სხეულის ენა შინაგანი განცდების გაუცნობიერებელი გამოხატვაა და ამდენად, როდესაც ჩვენ პოზიტიურად ვართ განწყობილი ან ვამტკიცებთ რამეს, ლარაპაკის დროს თავის დაკვრას ვიწყებთ.

მყარი ჟესტი, დათანხმების მნიშვნელობით, გამოყენებულია შემდეგ მაგალითში: „-ვხედავ, ვხედავ, - თავის ქნევით და წარმოუთქმელის მწუხარებით უპასუხა მამამ და მერმე დაუმატა : -სწუხხარ, იტანჯები და მე ბედშავს კი ველარ მიშველია!“

მეტად მრავალფეროვანია ემოციის გამოხატვის თვალსაზრისით **სახის მიმიკური კუნთები**. ისინი რეფლექსურია: ვერბალური კომუნიკაციისას მოსაუბრე იშვიათ შემთხვევებში უწევს მიმიკებს კონტროლს, ამიტომ კარგად შეიძლება მათი მეშვეობით ადამიანის შინაგან მღელვარებაზე, თუ სიმშვიდეზე, სიხარულსა თუ სიბრაზეზე ან კიდევ სხვა ემოციებზე დაკვირვება.

ადამიანური კომუნიკაციის ყველა სიგნალს შორის **თვალები** ყველაზე ზუსტი გამომხატველი უნდა იყოს. შინაგანი განცდები თვალების ირგვლივი კუნთების მოძრაობით წარმოჩნდება: „რაო? თვალები დაუბრიალა უფროსმა. -დამთვრალხართ და მთიულები მოგეჩვენებიათ“, ან: „-გამოიარე, წავიდეთ -თითქმის ბრძანებით უთხრა გირგოლამ და გადმოუბრიალა თვალები“.

რაც შეეხება მიმიკებში მონაწილე სხვა ორგანოებს, აღსანიშნავია, რომ ყაზბეგი ყველაზე მეტად **წარბის** მიმიკას წარმოგვიდგენს. უმეტეს შემთხვევაში იგი შეჭმუხვნილია, რაც, თითქოს, უარყოფით ემოციასთან არის დაკავშირებული, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. ხშირად ჟესტების იზოლირებულად შეფასებას შეცდომაში შევყვავართ, რადგან ერთი ჟესტი შესაძლოა მრავალი მნიშველობას იძენდეს - ეს დამოკიდბულია სხვა ჟესტებზე (ან ვერბალურ ელემენტზე), რომელიც იმავდროულად ვლინდება: „-იყუჩე!- წარბებშეჭმუხვნით და მბრძანებლის ხმით წარმოსთქვა ნინიამ“.

ემოციის რეალიზაციაში აქტიურად მონაწილეობს **შუბლის** არე. შესაძლებელია სხეულის ეს ნაწილი გამოხატავდეს როგორც დადებით, ისე უარყოფით ემოციას. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითში შეჭმუხვნილი შუბლი მწუხარებას გამოხატავს: „პირველი ღიმილის შემდეგ შამილს მცირედ შაეჭმუხნა შუბლი და წყნარად ამოიოხრა“. ხოლო შუბლის გაშლა ღიმილს და სიხარულს მოასწავებს: „ამაზე ფიქრობდა გაგი რამდენსამე ხანს და გადაწყვეტილება ვერა მიიღო-რა. ბოლოს დაღვრემილი შუბლი გაეშალა და პირი-სახეზედ რაღაც უპატიოსნო ღიმილმა გაურბინა...“

სხვადასხვა დატვირთვა ენიჭება **ტუჩებს** განწყობის გამოხატვისას. საინტერესოა თუ რა შეტყობინებას გზავნის „ განკიცხულის“ პერსონაჟი თავისი ღიმილით: „ის მოსულიყო, თავს დამდგომოდა და ისე ჩამომცქეროდა წიგნში.-წიგნსა კითხულობთ?მე შევიხედე და დავინახე აშკარა ბოროტი ღიმილი“-ეს სხვა არაფერია, თუ არა სარკაზმი. ნამდვილ სიამოვნებას გამოხატავენ პერსონაჟები შემდეგ მაგალითებში: „-სტუმარი ღვთისაა, ის ყოველთვის მასპინძელზედ უფროსად ჩაითვლება,-უთხრა შამილმა სიამოვნების ღიმილით“.

ტუჩ-კბილი ასევე აქტიურად მონაწილეობს პერსონაჟთა დამოკიდებულების გამოხატვაში სხვების მიმართ: „-დადეგ, დადეგ, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება! - ტუჩების ღრღნით უთხრა უფროსმა და დაუწყო ყურება. ის უყურებდა დიდ ხანს რაღაც სიამოვნებით და თითქოს სტკბებოდა მოხუცის მწუხარებით და ტკივილით“; ან მომიკლეს, მარტია მომიკლეს, მე რაღაც მინდოდა ცოცხალი თავი? - გააგრძელა ელგუჯამ და გაახრჭიალა კბილები“.

სულიერი მდგომარეობა პერსონაჟს ხშირად „აწერია“ მთელს **სახეზე**: „ნუნუმ უნებლიედ შეხედა იმას და, რა დაინახა იმის დაპრანჭული სახე, დაწრმუნდა, რომ სიტყვას არავითარი გავლენა აღარ ექნებოდა გამხეცებულს კაცზედ“ ან „ შიშს მწარედ დაეპრანჭა მათი სახე“;

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებში პერსონაჟები არავერბალური კომუნიკაციის პროცესში შედარებით იშვიათად იყენებენ **ფეხს**, თუმცა რაც გვაქვს, აქაც საინტერესო სურათი იხატება. მაგალითად, ფეხის მოძრაობით პერსონაჟი მუქარას გამოხატავს : „-ხმა გაიწყვიტეთ!-დასჭყივლა დიამბეგმა და დაუბარტყუნა ფეხები“. ან ავიღოთ ასეთი მაგალითი: „უფროსი იგრეხდა ულვაშებს; ხანდისხან წარმოსთქვამდა რაღაცა გამოურვეველ ხმებს და დროგამოშვებით ანძრევდა ერთ ფეხს. ბოლოს შეწყვიტა სიჩუმე და ერთბაშად შეუტია: -სად არის იაგო?“. თითქოს მთელი თავისი სხეულით ფიქრობს ეს პერსონაჟი და ეძებს გამოსავალს, თან ბრაზობს. ფეხის ეს მოძრაობა სწორედ გამოსავლის ძიებით უნდა იყოს გამოწვეული.

რიტორიკული ჟესტები

არავერბალურ სემიოტიკაში გამოყოფენ რიტორიკულ პოზებს, ჟესტურ ტროპებს. მათი გამოყენებისას აქცენტი საკუთრივ სიტყვიდან გადადის იმ ვიზუალურ ხატზე, რომელსაც ეს სოტყვა შობს და ამ დროს სიტყვას საუბრის საშუალებით კი არ აღვიქვამთ, არამედ ვხედავთ კიდეც. მხატვრული კომუნიკაციის დროს გამოყენებულია ისეთი რიტორიკული ჟესტები, როგორიცაა: ჰიპერბოლა, მეტაფორა, ალუზია, ირონია, ლიტოტესი. აღნიშნული არავერბალური ტროპების დეკოდირება, მხოლოდ შესაბამის კონტექსტშია შესაძლებელი (კრეიგლინ, 2001: 341). მაგალითად, ყაზბეგის მოთხრობებში გვხვდება მეტაფორა: „-რაი ვქნა, რაი? -ხელების მტვრევით და თითქმის ტირილით წამოიძახა იმედდაკარგულმა ნინიამ“ აქ ხელების მტვრევა პერსონაჟის შინაგან აღელვებაზე მიუთითებს, აშკარაა ნერვიულობის ფაქტორი.

ყაზბეგის პროზაში გვხვდება არაერთი ჟესტური შედარება. ცეცხლივით ანთებული თვალები ხშირია პერსონაჟებისთვის: „-არა, ველარ გავძლებ, არ შემიძლიან!.. -ერთბაშად წამოვარდა იაგო, როგორც გიჟი, და თვალები თითქოს ცეცხლივით აენთო“; ან: „ორივე ბიჭებმა შეხედეს ნუნუს, რომელსაც ამ სიტყვებზედ თითქოს თვალები ცეცხლებრ აენთო“;

ტექსტში ძალიან ხშირად არის დახატული პერსონაჟის ისეთი მდგომარეობა, როცა მისი ქცევა პირდაპირ არ მეტყველებს შინაგან განცდებზე. ხშირ შემთხვევაში ავტორი იყენებს ირიბ ჟესტებს ან ჟესტებს, რომლებიც აზუსტებს ნათქვამს (კიკაჩეიშვილი, 2012:154). ნაწარმოებებში არის არაერთი შემთხვევა ირიბი ჟესტით სათქმელის გამოხატვისა და ყველგან ეს მიზანი მიღწეულია „მწარე ჩაცინებით:“ „-რას გაჩუმდით? გაგიკვირდათ?.. ეჰ, ჰე, ჰე ჰე!.. -მწარედ ჩაიცინა იმან. -მიყურეთ, მიყურეთ, ნახეთ, კაცს სადამდის შეუძლიან მივიდეს!“ ან „-ვსწუხვარ, ძალიანა ვსწუხვარ. -მწარის ღიმილით წარმოსთქვა იმან.“

ყაზბეგის მოთხრობებში ჟესტით გადმოცემულია ირონიულ დამოკიდებულებას იმედგაცრუებული მთიელების შესახებ. ავტორი შემდეგნაირად აღწერს მათ მდგომარეობას: „გლეხ-

კაცები იქ დარჩნენ კიდევ რამდენიმე ხანი, შესჩივლეს ერთმანეთს თავიანთ მწუხარე მდგომარეობაზედ, მოიფხანეს თავები და დაიშალნენ სიტყვებით: -აღარცა სამართალია, აღარცა შეწყალება!.. როდემდის უნდა ვიტანჯნეთ ასე!..“

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებში ვხვდებით იდიომებს, რომლებიც ჟესტ-მიმიკით არის გადმოცემული: „ამ სიტყვებით ონისემ ხელი ხანჯალს გაიკრა და სახეზე აირია; ყელში ხრიალი დაიწყო და თვალებიდამ ნაწინწკლები გადმოსცვივდა, პირისახეზე ალმური აედინა.“ ასევე, „-ეგ საუცხოვოა! -სიხარულით და ხელების სრესით წარმოსთქვა მებატონემ.“

ჟესტ-მიმიკის, როგორც მხატვრულ საშუალებების, კვლევისას აუცილებელია ცალკე გამოვყოთ ე.წ. ნაციონალური ჟესტები, რიტუალური ჟესტები და მყარი ჟესტები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჟესტთა მთელი სისტემა, რომელიც თავს იჩენს ყაზბეგის თხრობაში და სწორედ ნაციონალური ჟესტის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს: „ ის შემოვიდა, მიესალმა შამილს და ხანჯალზედ ხელდადებული, ფეხებ-გადაჯვარედინებული მიეყუდა კედელს. აშკარად იყო, რომ გაჭირვებაში ფარჩო თავს დასდებდა შამილისათვის; დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა იმისი და ეს თავისუფალი დგომა უფრო დაახლოვებულს, ნათესაურს დამოკიდებულებას ამტკიცებდა, სანამ უფროსის წინაშე მოვალეობით გამოჭიმვა“. როგორც ვხედავთ, მოტანილ ნიმუშში ავტორი თავად განგვიმარტავს ნაციონალურ ჟესტის არსს.

არანაკლებ საინტერესოა ყაზბეგის მოთხრობებში დაფიქსირებული რიტუალური ჟესტები. რიტუალურია მკვდრის დატირების სცენა, რომელსაც ღრმა ფესვები ფოლკლორში აქვს: „მოწინავე წყნარად და მწუხარეს ხმით დაიძახებდა: „დედაი“ და ლოყებში ცემით სხვები ბანს მისცემდნენ და პატარა ნაბიჯის გადადგმით წინ წაიწევდნენ. ამათ, ლოყებშივე შემოკვრით და სიტყვებით „ადაი“ ცხედართან მყოფი ჭირისუფლები უპასუხებდნენ და უსიამოვნო ყვირილი და ლოყებში ტყაპა-ტყუპი მოსულთა და სახლში მყოფთა შორის არ სწყდებოდა.“

ალექსანდრე ყაზბეგი იყენებს მყარ ჟესტებს, რომელთა ამოცნობაც არ წარმოადგენს სირთულეს. ამ ჟესტების სემანტი-

კა უცვლელია ყველა ეპიზოდში, მაგალითად: „დიაცი თავშალს გაუშლიდა შუაში და მაშინვე გაშველდებოდნენ ერთმანეთს, ესენი კი... -აღარ გაათავა სიტყვები და ჩაიქნია ხელი...“ სინანულს, იმედგაცრუებას, პესიმიზმს გამოხატავს ეს ჟესტი სხვა შემთხვევებშიც: „-აჰუ, შეგირცხვათ კაცობა! - ხელის ჩაქნევით წამოიძახა იმან“. მყარი ჟესტით, თითის ქნევით გამოხატავს მუქარას ხევისბერი ნაწარმოებში „ხევისბერი გოჩა“: „-აბა, მაშ მაგას ნუ დაივიწყებ, -თითის ქნევით უთხრა მოხუცმა და სწავლების კილოთი გააგრძელა: -ვინძლო ქვეყანა არ გააცინო...“

განხილული რიტორიკული ჟესტები ატარებენ როგორც ინდივიდუალურ, ისე რეგიონალურ, კუთხურ (მთისთვის დამახასიათებელ) და საერთო-ნაციონალურ ხასიათს. უკანასკნელ შემთხვევაში ჟესტები ნაციონალურ-კულტურულ თვისებურებებს ავლენენ და ემბლემატურ სიმბოლიკას წარმოადგენენ (ხალიზევი, 2000: 191).

გამოყენებული ლიტერატურა:

კიკაჩეიშვილი, 2012: კიკაჩეიშვილი თ., პორტრეტი, ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, თბ., 2012

მაკარაძე 2013: მაკარაძე ე,.ხალხური ლექსის თეორიის საკითხები, თბ., 2013

პიზი, 2016: პიზი ა., პიზი ბ., სხეულის ენა, გამომცემლობა-„არეტე“, თბ., 2016

ხალიზევი, 2002: Хализев В, Теория литературы, м., 2000

კრეიგლინი, 2001: Креиглин Е, Риторика пози, язик и култура-факти и ценности, м., 2001

Teona Kekelidze

Non-verbal Communication in Alexandre Kazbegi's Prose

(Summary)

The article is about the importance of non-verbal communication in literary fiction. The article aims to do a review of the non-verbal communication means represented in the Alexandre Kazbegi as well as study, analyze and qualify these expressions. The said theme is very topical in the 21st century due to plenty of discussions about interrelationship between literature and its bordering fields. Alexandre Kazbegi's prose has not been studied in this direction yet. The article consists of three introductions, three chaptes, several sub-chapters, a conclusion and a bibliography.